

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY  
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

№8

2015

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)

ა-846

**რედაქტორი:** ელდარ მამისთვალიშვილი

**რედაქოლეგია:**

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ბუბა კუდავა

ლია მელიქიშვილი

აპოლონ სილაგაძე

გიორგი სოსიაშვილი

ნოდარ შენგელია

დავით ყოლბაია

**კორმქტშრა:** მარიამ კობერიძე

**კომიიუტიერული ურუნველყოზა:** გიორგი ყაზიშვილი

ISSN 1512-4657

**Editor:** Eldar Mamistvalishvili

**Editorial Board:**

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Aleksidze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Apolon Silagadze

Giorgi Sosiashvili

Nodar Shengelia

David Kolbaia

**Reviewer:** Mariam Koberidze

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

შინაარსი სტატიები  
CONTENTS Articles

საქართველოს ისტორია  
History of Georgia

- დავით ახლოური* - გიულდენშტედტის ცნობები ქსნის ხეობის სოფლების შესახებ (სამუხრანბატონო) 7  
**David Akhlouri** - GIULDENSHTEDT'S STATEMENT ABOUT THE KSANI VALLEY VILLAGES (SAMUKHRANBATONO)
- ელდარ მამისტვალიშვილი* - საქართველო-ჯეკაროსნების ურთიერთობა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება 22  
**Eldar Mamistvalishvili** - GEORGIAN-CRUSADERS RELATIONS AND FORMATION OF THE TREBIZOND EMPIRE
- ალექსანდრე მღებრიშვილი* - გორი XIX საუკუნის რუსულ წყაროებში (ქართველ ავტორთა რუსული გამოცემები) 44  
**Aleksandre Mgebrishvili** – GORI ACCORDING TO THE 19<sup>TH</sup>-CENTURY RUSSIAN SOURCES (THE RUSSIAN EDITIONS BY THE GEORGIAN AUTHORS)
- გიორგი სოსიაშვილი* - ვირშას მონასტერი და ვირშელთა საგვარეულო (საკითხის შესწავლისათვის) 66  
**Giorgi Sosiashvili** - VIRSHA MONASTERY AND VIRSHA FAMILY (FOR STUDYING THE ISSUE)
- ლია კიტიაშვილი* - ერეკლე II-ის ურთიერთობების რამდენიმე საკითხი იმერეთთან და ახალციხის საფაშოსთან (ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილების“ მიხედვით) 80  
**Lia Kitiashvili** – SEVERAL TOPICS ABOUT THE RELATIONS OF EREKLE (HERACLIUS) II WITH IMERETI AND AKHALTSIKHE PASHADOM (ACCORDING TO THE MISSIONARY DAILY LETTERS BY KHOJAVANT IOVANE)

- ოთარ ჯანელიძე* - ლიბერალური შეხედულებანი თერგდალეულთა  
ნაზრევში 99  
*Otar Janelidze* - LIBERAL VIEWS IN THE THOUGHTS OF THE  
TERGDALEULI

### მსოფლიო ისტორია World History

- მერაბ კალანდაძე* - კოტე ანთაძე და საფრანგეთის დიდი რევოლუ-  
ცია 114  
*Merab Kalandadze* - KOTE ANTADZE AND THE FRENCH  
REVOLUTION

- გურამ კუტალია* - კარლოს დიდის დიპლომატიური ურთიერთობა  
აღმოსავლეთთან 174  
*Guram Kutalia* - THE DIPLOMATIC RELATIONSHIP OF  
CARLOS THE GREAT WITH THE EAST

- ვაჟა ჩოჩია* - ფაშოდის კრიზისი XIX საუკუნის ბოლოს 186  
*Vazha Chochia* - THE CRISIS OF PASHODA AT THE END OF  
XIX CENTURY

### ეთნოლოგია Ethnology

- იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი* - საქართველოს მთიანეთისა და  
ჩრდილო კავკასიის ხალხთა ზოგიერთი ადათისა და ტრადიციის  
შესახებ 198  
*Ioseb (Soso) Alimbarashvili* - ABOUT SOME OF CUSTOMS  
AND TRADITIONS OF MTIANETI (ONE OF THE PART OF  
GEORGIA) AND OF THE PEOPLES OF THE NORTH  
CAUCASUS

**ლელა თოგოშვილი** - საქართველოში განათლების საკითხის შესწავლისათვის (რუსული კოლონიალიზმის პერიოდი) 222  
**Lela Togoshvili** - FOR STUDYING OF EDUCATION IN GEORGIA (RUSSIAN COLONIALISM PERIOD)

**გიორგი მინდიაშვილი** - მემინდვრობა საქართველოს ეთნოლოგიასა და მტკვარ-არაქსის კულტურაში 236  
**Giorgi Mindiashvili** - FIELD-HUSBANDRY IN GEORGIAN ETHNOLOGY AND IN KURA-ARAX CULTURE

### საისტორიო გეოგრაფია Historical Geography

**იგორ კეკელია** - ერთი საკითხი ენგურის ხეობის საისტორიო გეოგრაფიიდან („სააფაციო“) 246  
**Igor Kekelia** - ONE TOPIC FROM THE HISTORICAL GEOGRAPHY OF THE RIVER ENGURI VALLEY („SAAPATSIO“)

### დისკუსია Discussion

**ეკა ავალიანი** - ჩემი პასუხი ბ-ნ ჯემალ შარაშენიძის რეცენზიაზე: „რამდენიმე არასასიამოვნო სიტყვა ეკა ავალიანის წიგნზე: ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია: განვითარების ტრაექტორიები ძვ.წ. III ათასწლეულიდან III საუკუნემდე“, თბ. 2012 255  
**Eka Avaliani** - MY ANSWER TO THE REVIEW BY MR. JEMAL SHARASHENIDZE: "A FEW UNPLEASNT WORDS CONCERNING THE BOOK BY EKA AVALIANI – "THE HISTORY OF ANCIENT NEAR EAST: THE DEVELOPMENT TRAJECTORIES FROM 3<sup>RD</sup> MILLENIUM BC TO THE 3<sup>RD</sup> CENTURY.

*დავით ახლოური*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*  
*ასოციირებული პროფესორი*

## **გიულდენშტედტის ცნობები ქსნის ხეობის სოფლების შესახებ (სამუხრანბატონო)**

ქართული ისტორიოგრაფია ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა უცხოელ ავტორთა ცნობების მიმართ, რომლებშიც მრავლადაა დაცული ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ისტორიის საკითხები. ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ექსპედიციის მონაწილის, გერმანელი მეცნიერის გიულდენშტედტის საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები და მთელი რიგი დაკვირვებები.

გიულდენშტედტმა საქართველოში მოგზაურობის გარკვეული ნაწილი ქსნის ხეობაში გაატარა დავით ერისთავის მიწვევით და საინტერესო ისტორიული ცნობები დაგვიტოვა სამუხრანბატონოსა და ქსნის საერისთავოს წარსულის შესახებ<sup>1</sup>.

გიულდენშტედტი ახალგორში ყოფნისას, დავით ქსნის ერისთავს მკურნალობდა და პარალელურად აწყობდა „მოკლე და შორ ექსკურსიებს“ მთებისა და ფლორის შესასწავლად.

1772 წლის 2 მაისს ახალგორში სტუმრობიდან 3 კვირის შემდეგ, დავით ქსნის ერისთავისა და 100 მცველის თანხლებით გიულდენშტედტი თბილისისკენ გაემართა. ქსნის ხეობის სამხრეთით ქსოვრისამდე მოგზაური მიგვითითებს

---

<sup>1</sup> ახლოური დ., იოჰან ანტონ გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში, თბ., 2006, 3.

რამდენიმე სოფელზე: ახალგორიდან „კარგი ერთი ვერსის შემდეგ გავიარეთ განადგურებულ სოფელ ძეგლევის ნაშთები და მის გასწვრივ ჩამომდინარე მდ. ძეგლევისხევი, რომელზეც მე ადრე ანანურიდან მოვედი. 6 ვერსის შემდეგ გავცდით ნაოხარ სოფელ ოძისის ოთხკუთხა ვიწრო კედლებს და აქედან 2 ვერსის შემდეგ - ძალიან პატარა მდინარეს. ოძისიდან 4 ვერსის შემდეგ მივედით რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე აღმოსავლეთით მდებარე განადგურებულ სოფელ ილტოზის მიდამოებში და აქედან, 4 ვერსის მოშორებით, ქსოვრისის გალავანთან“<sup>1</sup>.

უშუალოდ ნანახის გარდა, გიულდენშტედტი მოგვითხრობს სოფელ ოძისიდან დანახულ ქსნის ხეობის სხვა სოფლებზეც, „ოძისიდან ჩანს ქსნის დასავლეთით მდებარე, სოფელ ახმაჯის ნანგრევები, ხოლო ილტოზის დასავლეთით - ჯერ კიდევ დასახლებული პატარა ციხე ლამის-ყანა და ამბობენ, რომ ოძისსა და ილტოზას შორის მაღლობზე აღმოსავლეთით უნდა იყოს ასევე აოხრებული სოფელი ჯაშა“<sup>2</sup>.

2 მაისს გიულდენშტედტისათვის მიურთმევიათ ქსანზე დაჭერილი ცოცხალი: „დღეს მომიყვანეს ცოცხალი *Rallus rex*, ქართულად ღაღლა“<sup>3</sup>. მგზავრებს შეხვედრით აგრეთვე კაცი დათვის ტყავით. დათვი მას იქვე ახლოს მოეკლა<sup>4</sup>.

3 მაისს გერმანელი მოგზაური ქსოვრისიდან მუხრანში გაემგზავრა. „ქსოვრისიდან გზა მიდიოდა სამხრეთით ქსნის ახლოს; 1 1/2 საათში ვიყავით მუხრანში. გზა შეიძლება 7 ვერსად ჩავთვალოთ, სამხრეთის მიმართულებით მიმავლად, მცირედი გადახრით აღმოსავლეთით, მთელი გზა მიდიოდა

---

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, 1962, 51.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 53.

<sup>3</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 53.

<sup>4</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 53.



გაშლილ დაბლობ ველზე, რომელიც გამოყენებულია სახ-  
ნავად, ხოლო მორწყვა ხდებოდა ქსნიდან გამოყვანილი არ-  
ხების მეშვეობით. ნიადაგი შედგება მოყვითალო ნაცრისფერი  
თიხისაგან. აქ თითქმის ყველა მცენარე იყო თერგის სტე-  
პების ტიპისა<sup>1</sup>.

4 მაისს გიულდენშტედტმა გაათენა მუხრანში კონ-  
სტანტინე მუხრანბატონის მიერ აგებულ ყველაზე მაღალ  
კოშკში<sup>2</sup>. კოშკის სიმაღლემ მოგზაურს საშუალება მისცა  
აღენუსხა როგორც ქსნის, ისე არაგვისა და მტკვრის ხეო-  
ბებში მდებარე სოფლები.

გარემო სანახაობა ჩემი კოშკიდან იყო შესანიშნავი;  
ჩრდილოეთით ველი ბევრი სოფლებით და ჩრდილოეთის  
თოვლიანი ქედი; შემდეგ ქსანი. სამხრეთით - მტკვარი და  
შემდეგ მკვეთი ქედი და მის ძირთან მდებარე სოფლები და  
ციხეები.

ციხისძირიდან დასავლეთით, ქსნის დასავლეთით მდე-  
ბარე ქელზე ჩანს ძველი ეკლესია, რომელსაც ეძახიან ნინო-  
წმინდას. ის ააშენა მირიან მეფემ წმ. ნინოს საპატივსა-  
ცემოდ<sup>3</sup>.

გიულდენშტედტს მუხრანიდან ციხისძირში ექსკურსია  
მოუწყვა: „5 ვერსზე გზა მიდიოდა ველზე, შემდეგ თანდა-  
თანობით ამაღლებულ მთის კალთებზე. მასზე ჩვენ ვიმგ-  
ზავრეთ თითქმის 2 ვერსი ციხისძირამდე. ამ ადგილს აქვს 3  
პატარა ეკლესია, 2 სომხური და ერთი ქართული წარწე-  
რებით; ირგვლივ ბევრი საფლავის ქვებია და ნასახლა-  
რებისაგან დარჩენილი ორმოები. ხეობა, რომელთანაც მდებარე-  
ობს ციხისძირი, გადაჭიმულია მთის კალთიდან ქსნის მარ-

---

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 53.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 53.

<sup>3</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული  
ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ.  
გელაშვილმა, ტ. II, 1964, 53-55.

ცხენა ნაპირამდე. ამ ხევის სამხრეთ მხარეზე, აქედან დაახლოებით 100 ნაბიჯზე, ამ ადგილის ყველაზე მაღალ პუნქტში დგას მაღალი გალავნით შემოვლებული პატარა ციხე, რომელიც სამხრეთისაკენ ციცაბოდ ეშვება და რომლის ძირიდანაც კარგ ერთ ვერსზე განიერი ველია გადაჭიმული მტკვართან ქსნის შესართავამდე.

აქედან ჩანს მტკვართან ქსნის შესართავი მარცხენა მხრიდან დაბლობზე და შესართავის ახლოს მდებარე სოფელი ნასტაკისი და ოდნავ აღმოსავლეთით, მტკვარზე, განხუნასპარსევი.

უკანასკნელის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ჩანს სიმაგრე ძეგვი და ქსნის შესართავის პირდაპირ მდინარე, რომელიც გამოდის გადამკვეთ ანუ სამხრეთისკენ ამალლებული ქედიდან და ჩადის მტკვარში მარჯვენა მხრიდან, რომელზეც, მის შესართავიდან 2 ვერსით ზევით, არის ნიჩბისის სიმაგრის ნაშთები და, ცოტა ზემოთ, დანგრეული სიმაგრე უტროკისკარი<sup>1</sup>.

გიულდენშტედტის მიერ მოხსენიებული სოფელი ნასტაკისი უძველესი დროიდან ჩანს დასახელებული. ნ. ბერძენიშვილი, ეხება რა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს, შენიშნავს: „ქართული“ გორა ქალაქ „ქართლად“ იქცა (მცხეთა გაიერთა და წიწამური); აგარაების და უბნების პრინციპზე „დიდი ქართლი“ (დიდი მცხეთა) შეიქმნა. ნაქულბაქევიდან - ციხე დიდ - სავანის ხევ - ბარგიყარიამდე, ზემო ავჭალიდან ხერკამდე (ჩათვლით), მუხრან-ნასტაკისით<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 55.

<sup>2</sup> ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, 1975, 208.

ნასტაკისში აღმოჩნდა ადრეელინისტური ხანის მნიშვნელოვანი ქალაქური ტიპის დასახლებები<sup>1</sup>. „ნასტაკის-სამუხრანოს რაიონი უნდა ყოფილიყო ქართლის მეფეთა ძირითადი და უძველესი დომენი“<sup>2</sup>. ნასპარსეკს კი ვახუშტი ბაგრატიონი „მუხრანის სამთავროს“ 56 სოფელს შორის მოიხსენიებს და აღნიშნავს: „ციხის-ძირის სამხრით არს ციხე მტკურისა (ქსნისა - დ.ა.), სარკინეთის მთასავე ზედა, რომელი აღაშენა ოთ მეფის კონსტანტინეს ძემან ბაგრატ. ამ ციხის სამხრით, მტკურამდე თურქთა მოსლვასა სპარსნი, და მოსწყვდნა ალექსანდრე დიდმან, მათ გამო ისახელა. არს უწყლოობით უნაყოფო, არამედ ზამთარ ბალახიანი, და იზრდებიან ცხოვართა და ჯოგთა სიმრავლე“<sup>3</sup>.

ტოპონიმი ნასპარსევი მოგვიანებით აღარ მოიხსენიება, „მაგრამ ვახუშტი - გიულდენშტედტის მიხედვით ლოკალიზდება ნასტაკისის აღმოსავლეთით შიომღვიმემდე“<sup>4</sup>.

რაც შეეხება ძეგვსა და ნიჩბისს, ვახუშტის აღწერაში, აღნიშნული დასახლებები „მუხრანის სამთავროსაგან“ გამოყოფილია და მცხეთის „ქვეყანათა“ რიცხვში მოიხსენიება<sup>5</sup>.

როგორც ჩანს, ნიჩბისის ცოტა ზემოთ ყოფილა დანგრეული სიმაგრე უტროკისკარი.

---

<sup>1</sup> ბოჩოხაძე ა., ნასტაკისი, სარკინე, ძალისი, „ძეგლის მეგობარი“, №33, 1973, 37.

<sup>2</sup> გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), 1983, 52.

<sup>3</sup> ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველო, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, 352.

<sup>4</sup> გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), 97.

<sup>5</sup> ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველო, ქართლის ცხოვრება, IV, 197.

ქსნის ხეობის სამხრეთით მდებარე სოფლებზე საუბრისას, გიულდენშტედტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სოფელ მუხრანზე, სადაც რამდენიმე დღე გაატარა.

მუხრანის ძველი სახელწოდება შიოსუბანი იყო. „მუხრანს საკუთრივ უწოდებენ შიოსუბანს და მუხრანი არის რაიონის (Distrikt) სახელი, რომლის მბრძანებელიც არის მუხრანბატონი, ანდა, რომლის ჩვეულებრივი გვარიც არის ბაგრატიონი“<sup>1</sup>. „ხოლო მუხრანმა მოიგო სახელი ისე მუხრანთან, სადაც არს ადგილთა შიდა ტყე უმეტეს მუხრანი“<sup>2</sup>.

XVIII საუკუნეში „მუხრანის სამთავრო“ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. თვითონ მუხრანის საზღვარი იყო „ძეგვის წყლიდამ დიღმის იწრომდე. არამედ აწ აღმოსავლით მზღვრის არაგვჯ, სამქრით მტკუარი, ჩრდილოთ ციხე. ბოდავისა და ტინის მთა, დასავლით გორა ოკამისა, სამქრითკენ გარდაჭრილი ხაზი შავ-ტყუესა და წლევისა კასპის ბოლომდე“<sup>3</sup>.

სამუხრანბატონო ქართლის სათავადოებთან შედარებით გვიან წარმოიშვა - XVI საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში<sup>4</sup>, ხოლო როგორც ადმინისტრაციულმა ერთეულმა არსებობა შეწყვიტა XIX საუკუნის 40-იან წლებში<sup>5</sup>.

3. ზაქარაიას მიხედვით მუხრანბატონების რეზიდენცია ჯერ მტკვრის, ანუ ქსნის ციხე უნდა ყოფილიყო, შემდეგ - მუხრანი (შიოსუბანი). „მაგრამ თუ როდის მოხდა მათი გადასვლა, მატინანეები არ გვატყობინებენ, XVIII საუკუნეში

---

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 57.

<sup>2</sup> ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველო, ქართლის ცხოვრება, IV, 348.

<sup>3</sup> ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველო, ქართლის ცხოვრება, IV, 348.

<sup>4</sup> ნინიძე დ., მუხრანბატონები, თბ., 1993, 344.

<sup>5</sup> გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), 107.

ისინი რომ მუხრანში იყვნენ, ამას მრავალი მონაცემი ადასტურებს, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს ადრე უნდა მომხდარიყო, დაახლოებით XVII საუკუნის ფარგლებში<sup>1</sup>.

გიულდენშტედტი მუხრანში ჩასვლისთანავე თბილისში მეფეს ატყობინებს ჩასვლის შესახებ და თხოვს გამოუგზავნოს მცველები და უზრუნველყოს ბინით<sup>2</sup>.

მეფემ დააკმაყოფილა გიულდენშტედტის თხოვნა და მოგზაურს, ბინა მუხრანში, გალავნიან მაღალ კოშკში მიუჩინეს, იგი კოშკის აგებას კონსტანტინე მუხრანბატონს მიაწერს: „კონსტანტინე მუხრანბატონმა ააშენა დაახლოებით 20 წლის წინათ ციხადელთან ერთად“<sup>3</sup>.

მუხრანში „ქსნის მარცხენა მხარეს, ვაკეზე დგას ციხე-გალავნის ნანგრევი. აქ იყო მუხრან-ბატონთა უკანასკნელი პერიოდის რეზიდენცია. ციხეს ორი წარწერა აქვს. 1756 წლის წარწერაში სახლთუხუცესი კონსტანტინე მუხრან-ბატონი გვატყობინებს, რომ ეს ადგილი აონრებული ყოფილა მტრებისაგან, ხოლო მცხოვრებნი - „მიმოღაბნეულნი“. მან აქ „მოზღუდა“ გალავანი, ხალხი შეკრიბა და დაამკვიდრა... ისტორიულ ცნობათა მიხედვით, პირველად ამ ადგილზე ციხე XVIII საუკუნის ოცდაათიან წლებში აუგიათ. მისი ნაწილები ჩაქსოვილია ოციოდე წლის შემდეგ აგებულ გალავანში... აქედან თითქმის მთელი სამუხრანო მოჩანდა“<sup>4</sup>. სწორედ ამ კოშკში უნდა გაეთენებინა ღამე მოგზაურს. „4 მაისი. მე გავათენე მუხრანში ყველაზე მაღალ კოშკში“. თუმცა სხვაგვარად ფიქრობს პ. ზაქარაია, მისი მოსაზრებით, გიულდენშტედტი უნდა დაბინავებულიყო არა მუხრანის ცი-

---

<sup>1</sup> ზაქარაია პ., ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, თბ., 2002, 344.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 53.

<sup>3</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 53.

<sup>4</sup> ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988, 146-148.

ნის ყველაზე მაღალ კოშკში, არამედ ქსნის ციხის „დიდ კოშკში“<sup>1</sup>, რაც არამართებულად მიგვაჩნია. ქსნის ციხეზე გიულდენშტედტი ცალკე საუბრობს. როგორც თვითონ ბატონმა პარმენმა შენიშნა, გერმანელი მოგზაური „ქსნის ციხეს, იქვე ქვემოთ მდებარე სოფელ ციხისძირის სახელით იხსენიებს“<sup>2</sup>.

გიულდენშტედტი განსაკუთრებით პატივისცემით მოიხსენიებს კონსტანტინე მუხრანბატონს, რომელსაც, ბუნებრივია, თვითონ არ იცნობდა „უკანასკნელი, საკმაო ძლიერი მუხრანბატონი იყო კონსტანტინე, ბაგრატიონთა გვარიდან. ის მოკლეს ლეკებმა 14 წლის თბილისის გზაზე და მას შემდეგ ყველაფერი განადგურებულია. მის ამჟამად 20 წლის ვაჟს, იოანეს დანიშნული ჰყავს მეფის მეოთხე ქალი. კონსტანტინეს უფროსი ქალი არის ქვრივი ბატონიშვილი ვახტანგისა, ხოლო მეორე - ქვრივია დავით ერისთავის ძმისა“<sup>3</sup>.

ქართლის ცხოვრების ქრონიკებში მითითებულია კონსტანტინეს გარდაცვალების თარიღი: „1756 წ. ღვინობისთვის იე კ~დ ჩასაფრებულმა ლეკებმა მოკლეს მუხრანბატონი კონსტანტინე ღართისკარში მუხთლათ...“<sup>4</sup>. ერეკლე მეფეს ლეკებზე ნაფარეულში უძიებია შური: „დაუხვდა წინ ერეკლე მეფე ლალისტურის ბოლოს (ნაფარეულში), ისე გაჟლიტა, ამბის წამლები აღარ დარჩა“<sup>5</sup>.

კონსტანტინე მუხრანბატონს განუახლებია ბაგრატ კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის (1487-1540 წწ.)<sup>6</sup> მიერ აშე-

<sup>1</sup> ზაქარაია პ., ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, 351.

<sup>2</sup> ზაქარაია პ., ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, 351.

<sup>3</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 57.

<sup>4</sup> საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს. ტექსტები მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980, 472.

<sup>5</sup> საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს., 472.

<sup>6</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ.

ნებული, თუ გადაკეთებულ-გადლიერებული ქსნის ციხე<sup>1</sup>. რასაც გვამცნობს, შემოსასვლელის თავზე სპეციალურად დამზადებულ მოგრძო ქვაზე ამოტვიფრული მხედრული წარწერა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ კონსტანტინეს ციხე განუახლებია 1746 წელს<sup>2</sup>. კონსტანტინე მუხრანბატონის მიერ ქსნის ციხის განახლება 1748 წლით დაათარიღა ირ. ციციშვილმა<sup>3</sup>.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, გიულდენშტედტი ქსნის ციხეს ციხისძირის სახელწოდებით იცნობს და აღნიშნავს: „ციხისძირი განაახლეს 1748 წელს, ქართული ქრონიკონით 436-ს“<sup>4</sup>. ციხის წარწერასა და გიულდენშტედტის ცნობას შორის 2 წელია სხვაობა. გერმანელი მოგზაური მიახლოებით ასახელებს ციხის განახლების თარიღს.

რაც შეეხება ლეკიანობის საკითხს და გიულდენშტედტის სიფრთხილეს (იგი რამდენჯერმე თხოვს მცველთა რაზმის გაზრდას ერეკლეს). უნდა აღინიშნოს, რომ სამუხრანბატონო, შიდა ქართლის სათავადოებიდან, ბუნებრივი მდებარეობის გამო, ყველაზე დაუცველი იყო; „არაგვის, ქსნისა და ამილახორების სათავადოებს გრძელი და ღრმა ხეობები ჰქონდათ, რომელთა დაცვა შედარებით ადვილი იყო, ხეობების ვიწროებში მტრის დიდ ჯარს მცირე ძალაც შეიძლებოდა გასწორებოდა. ვაკეზე კი მტრის ჭარბი ძალებისადმი გამკლავება უფრო ძნელი და რთული იყო. ამ მიდამოებში ვაკე მეტია, ვიდრე ვიწრო ხეობები და მაღალი მთე-

---

კლიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, 1991, 237-238.

<sup>1</sup> ზაქარაია პ., ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, 344; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 101-102.

<sup>2</sup> მაკალათია ს., ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, 1968, 348.

<sup>3</sup> ციციშვილი ირ., ქართული არქიტექტურის ისტორია, 1955, 86.

<sup>4</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 57.

ბი“<sup>1</sup>. გიულდენშტედტის ცნობით, 28 ივნისს ლეკები თავს დასხმიან მუხრანს და გაუძარცვიათ. იგი ამ დროს ახალგორში იმყოფებოდა<sup>2</sup>.

პოლიტიკური თუ ისტორიული ხასიათის ცნობების გარდა, გიულდენშტედტი მუხრანის შესახებ ეკონომიკური ხასიათის ცნობებსაც გვაწვდის: „მუხრანის ყანებში უკვე თავთავი ჰქონდა ჭვავს. მარცვლეულის ამ სახეობას არც თუ იშვიათად თესავენ ხევში, ფშავში, თუშეთში და ასევე ოსეთში“<sup>3</sup>.

გიულდენშტედტს მუხრანში გაუთენებია 5 მაისსაც: „5 მაისი. ეს ღამეც გავატარეთ მუხრანში. დღის 8 საათისათვის გავედით იქიდან. გზა მიდიოდა ხშირად ნახსენებ მინდორზე აღმოსავლეთით-სამხრეთ-აღმოსავლეთით და ორ საათში, ანუ 11-12 ვერსის შემდეგ მოვედით მდინარე ნარეკავის შესართავთან, არაგვის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც არ შედის მთისწინეთში“<sup>4</sup>. აქ დახვედრია ერეკლე მეფის მიერ გამოგზავნილი 300 კაცისაგან შემდგარი მცველთა რაზმი. ამის შემდეგ მოგზაური უკვე არაგვის ხეობის მიდამოებს აღწერს... იგი ამავე დღეს თბილისში ჩასულა: „5 მაისს ქსნის ერისთავის ამალით, მუხრანისა და მცხეთის გავლით, ახალგორიდან თბილისში მოვედი, იმ განზრახვით, რომ შემომეველო პროვინციები, რომლებიც მდებარეობენ თბილისიდან 60 ვერსზე, სამხრეთით“<sup>5</sup>.

გიულდენშტედტს, 1772 წლის მაისამდეც უმოგზაურია მუხრანის გავლით; თბილისიდან სანქტ-პეტერბურგში საიმპერატორო აკადემიისადმი გაგზავნილ XXIV მოხსენებაში (1772 წლის 4 იანვარი) იგი წერს: „9 ნოემბერს გავედი მდ.

---

<sup>1</sup> ზაქარაია პ., ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, 345.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 95.

<sup>3</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 57.

<sup>4</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 57.

<sup>5</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, 145.



მტკვარზე მდებარე ქართულ ქარელიდან. მე გავეყვი მის უმაღლესობას, მეფე ერეკლეს, ქალაქ ქრცხინვალისაკენ და იქიდან კი ხელთუბნის, ჭალის, მუხრანისა და მცხეთის გავლით მთავარ და სატახტო ქალაქ თბილისისაკენ, სადაც მივედი 14 ნოემბერს და ახლაც ივია ჩემი ადგილსამყოფელი“<sup>1</sup>.

1772 წლის ივნისში გიულდენშტედტი კვლავ ეწვია მუხრანს: „24 ივნისს თბილისიდან დაბრუნდა ბატონი გენერალი სუხოტინი; მე მას გავეყვი მუხრანის ბანაკამდე და იქვე დავრჩი მეორე დღესაც“<sup>2</sup>. ამის შემდეგ გერმანელი მოგზაური საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისადმი სხარტალიდან (რაჭა) გაგზავნილ XXVII მოხსენებაშიც იტყობინება (1772 წლის 3 აგვისტო): „მე მქონდა ბედნიერება 24 ივნისს გამომეგზავნა უკანასკნელი მოხსენება ბრწყინვალე საიმპერატორო მუხრანიდან, [რომელიც არის] ქართლში. იქიდან უკვე წინათ ნახსენებ და ნაქებ ქსნის ერისთავის სანდო ამალით აყვევით მდინარე ქსანს 40 ვერსზე ჩრდილოეთისაკენ კავკასიის ალპების შუა ნაწილს სამხრეთ კალთებამდე და მივედით მის კუთვნილ ლარგვისის მონასტერში“<sup>3</sup>.

1772 წლის 24 ივნისს, მუხრანიდან სანკტ-პეტერბურგში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სახელზე გიულდენშტედტი მოხსენებას აგზავნის. საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მკითხველს შევახსენოთ მოხსენების შესავალი ნაწილი: „ბედნიერება მქონდა მარტში კახეთიდან ბრწყინვალე საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისათვის გამომეგზავნა უკანასკნელი მე-25 მოხსენება. ამ დროიდან დღემდე არ მქონია გამოგზავნის შემთხვევა, რათა კვლავ სათანადო ცნობები მომეწოდებინა

---

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, 145.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 95.

<sup>3</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, 151-152.

ჩემსა და ექსპედიციის შესახებ. ამჟამად მე ვიმყოფები რუსეთისაკენ უკან მომავალ კორპუსთან, რომელიც ეს ერთი ხანია საქართველოში იყო და რომელსაც ბატონი გენერალ-მაიორი სუხოტინი მეთაურობს: არ გავუშვებ ამ შემთხვევას, რათა გენერლის მიერ გამოგზავნილ შიკრიკს ეს მოხსენება არ გამოვატანო, რომელშიც მე, ისევე როგორც წინაში, მხოლოდ მოკლედ მოგახსენებთ, რადგან ნაწილობრივ შემდგომი მოგზაურობა არ მამძღვეს საამისო საშუალებას, ნაწილობრივ კი ჩემი ინსტრუქცია მიკრძალავს, რომ სანამ რუსეთის საზღვრებში არ შევალ, რაიმე განსაკუთრებული გაცნობით“<sup>1</sup>.

1768-1774 წლების რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თავდაზნაურულ-ბატონყმური რუსეთის სამეურნეო ინტერესებსა და დაპყრობით მისწრაფებებს ემსახურებოდა<sup>2</sup>, ეს გიულდენტის მოხსენების შესავალშიც ჩანს. ამის შესახებ მიუთითებს რუსი ავტორი მ. პოლიევქტოვიც<sup>3</sup>.

მუხრანზე საუბრისას, კიდევ ერთ საინტერესო საკითხს შეეხო გიულდენტელტი: იგი, 1769 წლის ივნისში საქართველოში ერეკლე II-ის დასახმარებლად გამოგზავნილი რუსული კორპუსის მეთაურის გენერალ-მაიორ ტოტლებენზე საუბრისას აღნიშნავს: „გრაფს გაერთიანებული ჰყავდა მისთვის გამოყოფილი კორპუსი, რაც 300 კაცს შეადგენდა; ზემოდასახელებული შფოთი დაწყნარდა (საუბარია ტოტლებენისა და ერეკლეს დაპირსპირებაზე - დ.ა.). ერეკლე მეფე დაპირდა თურქების წინააღმდეგ ემოქმედა ჯავახეთში; გრაფმა თავის ხელში მყოფ ანანურის, მუხრანის (ხაზგასმა ჩვენია - დ.ა.), ქრცხინვალისა და სურამის ციხეებში პატარა რაზმები

<sup>1</sup> გიულდენტელტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, 143.

<sup>2</sup> გიულდენტელტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 011.

<sup>3</sup> „...“

დასტოვა და კორპუსით ივლისში, აბისსა და ბერეთისაზე გავლით, გადავიდა იმერეთში. აგვისტოს ბოლომდე მან უკვე აიღო თურქების მიერ დაკავებული ციხეები შორაპანი, ბაღდადი და ქუთაისი, გაწმინდა მთელი იმერეთი თურქთაგან და აღუდგინა სოლომონ მეფეს, მთელი ქვეყანა<sup>1</sup>. აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება. პირველი – გიულდენშტედტი მიგვანიშნებს, რომ მუხრანის ციხე ამ დროისათვის (1770 წელი) ტოტლებენის დაქვემდებარებაშია ანანურის, ქრცხინვალისა და სურამის ციხეებთან ერთად, მეორეც - გერმანელი მოგზაური ეხება ერეკლესა და ტოტლებენს შორის დაპირისპირებას, ყურადღებას ამახვილებს საქართველოში ტოტლებენის მოღვაწეობაზე და გარკვეულ სიმპათიებსაც ამჟღავნებს თანამემამულის სამოქმედო გეგმის მიმართ<sup>2</sup>.

ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, თუმცა, გიულდენშტედტს ტოტლებენის შეფასებაში ვერ დავეთანხმებით. ერეკლესა და ტოტლებენის ურთიერთობა, ტოტლებენის მოღვაწეობა საქართველოში - ცალკე საკითხებია და ამჟამად ამ საკითხებზე ვრცლად არ გავამახვილებთ ყურადღებას.

...ასე, რომ XVIII საუკუნის „მუხრანის სამთავროს“, კერძოდ კი სოფელ მუხრანის შესახებ არაერთი საინტერესო ცნობაა დაცული გიულდენშტედტის თხზულებებში, რომლებიც დიდ დახმარებას გაგვიწევენ სამუხრანბატონოს წარსულის შესწავლაში.

### **დამოწმებანი:**

1. ახლოური დ., იოჰან ანტონ გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში, თბ., 2006.
2. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველო, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირი-

---

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, 227.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, 225-226.

- თადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
3. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, 1975.
4. ბოჩოხაძე ა., ნასტაკისი, სარკინე, ძალისი, „ძეგლის მეგობარი“, №33, 1973.
5. გვასალია ვ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), 1983.
6. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, 1962.
7. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, 1964.
8. ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988.
9. ზაქარაია პ., ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, თბ., 2002.
10. მაკალათია ს., ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, 1968.
11. ნინიძე დ., მუხრანბატონები, თბ., 1993.
12. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, 1991.
13. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს. ტექსტები მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980.
14. ციციშვილი ირ., ქართული არქიტექტურის ისტორია, 1955.
15. Полиевтков М.А., Европейские путешественники XIII-XVIII вв. по кавказу, 1935.

*Davit Akhlouri*

*Gori State Teaching University, Associate Professor*

**GIULDENSHTEDT'S STATEMENT ABOUT THE  
KSANI VALLEY VILLAGES (SAMUKHRANBATONO)  
RESUME**

Georgian historiography is rich of reports of foreign authors, in which are protected a number of important issues in the georgian history. Here, it should be noted travel impressions in Georgia of German scientist Guldenstadt. When he was in Georgia, he visited the Ksani Valley and he left us significant statements about the past from Saeristavo ans Samukhranbatono The work focuses on Giuldenshtedt's reports of samukhranbatono Issue of the relevant literature through analyzing specified for each historical fact, about which tells us the German scientist. This paper, together with the historical facts, tells us about Samukhranbatono's toponyms, historical geography, cultural monuments, the life - and the lives of people and all the issues, which draws attention a German scientist!

*ელდარ მამისთვალიშვილი*  
*კორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*  
*პროფესორი*

## **საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება**

ძმები კომნენოსების ბიზანტიის ტერიტორიაზე საქართველოს ჯარით შეჭრის საბაბი, ბასილი ეზოსმოდვარის მიხედვით, გახდა კეისრის მიერ ქართველი ბერების გადარცვა კონსტანტინოპოლში. მაგრამ თამარ მეფის კარის მიერ ბიზანტიის ტერიტორიაზე ორგანიზებული აგრესიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელი საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ინტერესებსა და ბიზანტიის საშინაო ვითარებას. ვფიქრობ, გადამწყვეტი იყო ეს უკანასკნელი მომენტი.

XII საუკუნის მეორე ნახევარი ბიზანტიის იმპერიის დაქვეითების პერიოდია. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1185 წლიდან ანდრონიკე კომნენოსის მოკვლის შემდეგ. ხელისუფლების არამდგრადობით იყო გამოწვეული კარის გადატრიალებები. 1195 წელს ისაკ II ტახტიდან ჩამოაგდო მისივე ძმამ ალექსი მესამემ. ისაკის ვაჟის, ალექსი IV (ანგელოსის) მოკვლის შემდეგ ალექსი V მურზუფლა გააფრთხილებით ებრძოდა კონსტანტინეპოლის წინ მდგარ ჯვაროსნებს. *მაშინ, როდესაც კონსტანტინეპოლის დაცემის ბედი ჯერ არ იყო გადაწყვეტილი, ქართული ჯარი შეიჭრა პათაგონიისა და პონტოს ბიზანტიურ ტერიტორიებში და დაიკავა.* კომნენოსების და საქართველოს მომხრე ძალებმა გამოაცხადეს კომნე-

ნოსების ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, რომელიც ქართველების სამხედრო ძალას ეყრდნობოდა<sup>1</sup>.

პირველმა, ვინც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საქმეში თამარ მეფის საქართველოს მონაწილეობის ისტორია სერიოზულად გამოიკვლია და სამეცნიერო მიმოქცევაში მნიშვნელოვანი წყაროებიც შემოიტანა, იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ზ. ავალიშვილი<sup>2</sup>. იგი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ისტორიის შესწავლას აუცილებლად მიიჩნევდა, რადგან ეს ისტორიული ფაქტი „ცხადყოფს საქართველოს პოლიტიკას მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხანაში – ბიზანტიის პირ-

---

<sup>1</sup> ინტერნეტში განთავსებულ სტატიაში („...“ – ავტორი მითითებული არ არის), ძლიერ განსხვავებულად არის გადმოცემული ტრაპიზონის იმპერიის დაარსება. ჩანს, რომ ავტორი დგას იმ ისტორიკოსთა პოზიციაზე, რომლებიც არ იზიარებენ საქართველოს გადამწყვეტ როლს ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში. პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ Fallmerayer Jakob-Philip, *Geschichte des Kaisertums von Trapezunt*, München, 1827; Finlay G., *The History of Greece from its Conquest by the Crusaders to its Conquest by the Turks and of the Empire of Trebizond 1204-1461*, Edinburgh, London, 1851; Finlay G., *A History of Greece from its Conquest by the Romans to the Present Time*. B. C. 146-to A.D. 1864, Oxford, 1877, t. IV, 307-308; Fischer W., *Trapezunt und seine Bedeutung in der Geschichte*. Zeitschrift für allgemeine Geschichte. 1886, Bd. 3, 25-26; ფალმერაიერსა და ფინლეის ნაშრომების კრიტიკა გვერდების მითითების გარეშე. იხ.: ავალიშვილი, *ჯვაროსანთა დროიდან*, 63-66. არიან შემდეგი დროის მთელი რიგი ისტორიკოსები, რომლებიც ფალმერაიერისა და ფინლეის პოზიციაზე დგანან: ო. ლამსიდისი, დ. ნიკოლი, მ. კურშანსკისი, ე. ბრაიერი, ე. ჟანსანი და სხვები. ბოლოს დასახელებულ ისტორიკოსთა მოსაზრებათა შეფასება იხ. ...

(1204-1215), 9-10; ...

, 95. გასათვალისწინებელია, რომ ყველა ისტორიკოსისათვის ამოსავალი არის XII-XIII საუკუნის ორი მემატეიანის ქართული და ბერძნული ცნობა.

<sup>2</sup> ავალიშვილი, *ჯვაროსანთა დროიდან*, ოთხი საისტორიო ნარკვევი, 52-94.

ველი დანგრევის დროს, ლათინთაგან რომ დაინგრა – და აგრეთვე საქმის ვითარებას საქართველოს ზემოაღწერილი პოლიტიკური ფრონტის უკიდურეს მარჯვენა ფრთაზე, ესე იგი, შავი ზღვის ნაპირზე<sup>1</sup>.

კომუნოსების მიერ ქართულ შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობით ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიის აღმოსავლეთი ნაწილის (იგი ძველად ცნობილი იყო ქალდიის თემის სახელით და ეჭირა პონტოს სანაპიროს ვიწრო ზოლი) დაპყრობის შესახებ, გვაქვს ქართული და ბიზანტიური წყაროები.

ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ქართული ჯარის შეჭრის მიზეზის, მისი იქ მოქმედებისა და სამხედრო კამპანიის შედეგის შესახებ, გადმოცემული აქვს თამარ მეფის ისტორიკოსს ბასილი ეზოსმოდვარს: „მოიწიეს ოდესმე ჩვეულებისაებრ ქველის-მოქმედებათათჳს ამისა მონაზონნი შავისა მთისა, ანტიოქიით და კუპრისა ჭალაკით, ეგრეთვე მთაწმიდით და მრავალთა ადგილთათ. შეიწყნარა თამარ ჩვეულებისაებრ ვითარ ანგელოზნი, და მრავალ დღე არა გაუშენა, მერმე მისცნა ყოველთა დიადდი, და აღავსნა ყოვლითა საკმრითა, უკანასკნელ მათგან უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო, თუთ მათთჳს და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად. წარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწიენეს რა კონსტანტინეპოლედ, ესმა მეფესა ბერძენთასა ალექსისს, ანგარსა, რომელმან ძმასა თჳსსა ისაკს თუალნი დასწუენა და მეფობა წარუღო... იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს და წარუღო მათ მონაზონთა. ცან რა ესე თამარ მეფემან, ნაცვლად სსუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხენა ეშმაკი. ხოლო განრისხნა მეფესა ზელა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი

---

<sup>1</sup> ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, 53-54.



ვინმე ლიხთ-იქითნი<sup>1</sup>, და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიძონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი<sup>2</sup>. ქართ-

---

<sup>1</sup> თამარ მეფის დროს საქართველო შეტევით ბრძოლებს აწარმოებდა სხვადასხვა მიმართულებით. თავდაპირველად ლაშქრობას იწყებდა აგრესიის ობიექტის მეზობელი ქართული მხარე, რომელშიც ძირითადად ჩაბმულნი იყვნენ ადგილობრივი დიდებულები. „ყოველი საქართველოს“ ლაშქარი ომში ებმებოდა მხოლოდ აუცილებელ ეტაპზე. ტუხაშვილი ლ., ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, I, 168.

<sup>2</sup> ალექსი III-ისათვის უცხო რომ არ იყო მგზავრების ძარცვა, ამის შესახებ საინტერესო ცნობა დაგვიტოვა ნიკიტა ხონიატე: „მაგრამ, აი, რა საქმე ჩაიდინა თვითონ მეფემ. ექვსი ტრიერი ჩააბარა ერთ კაცს... და გავზავნა იგი ექვსინის პონტოში თითქოს იმ მიზნით, რომ დაეძებნა ტვირთი ერთი ხომალდისა, რომელიც მოდიოდა ფაზისიდან ბიზანტიონში და კერასუნტის მახლობლად დაიმსხვრა, ნამდვილად კი უნდოდა თავს დასხმოდა სატვირთო ხომალდებს, რომლებიც ქალაქ ამინსოში მისცურავდნენ და მათი ტვირთი დაეტაცნა. მეფის განკარგულებით მან გასცურა ექვსინის პონტოში და არც ერთი ხომალდი არ დაინდო, ყველა ხომალდები გაძარცვა, რომლებიც კი ბიზანტიონში მიდიოდნენ, საქონლით დატვირთულები, და ისინიც, რომლებსაც ჩაებარებინათ თავისი საქონელი და სხვა საქონელი ჩაებარებინათ და უკან ბრუნდებოდნენ... ზოგიერთი ვაჭრები მახვილით გაასამართლა და ქვესენელში გაისტუმრა, და მათი ქონება მიითვისა, სხვები კიდევ როდინის ქვაზე უფრო ტიტვლები გაისტუმრა“ (ნიკიტა ხონიატე, „ისტორია“, 132-133). ვერ გავიზიარებ ა. თვარაძის მტკიცებას, რომლის მიხედვითაც ხონიატეს ნაშრომიდან ციტირებული ფრაგმენტი ადასტურებს თამარის ისტორიკოსის ცნობას, იმპერატორის მიერ ქართველი ბერების გაძარცვას რომ ასახავს. თითქოს ისინი რომელიღაც გაძარცვულ ხომალდზე იქნებოდნენ (თვარაძე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე, 128). თამარის ისტორიკოსის მიხედვით, ქართველები კონსტანტინოპოლში გაძარცვეს, ხონიატე კი გადმოგვცემს ვაჭრების ზღვაში გაძარცვაზე, როდესაც ისინი ამინსოსკენ (სამსუნე) მიცურავდნენ.

ველი მემკვიდრის ეს ცნობა, მცირე კორექტივით, გაზიარებულია საკითხით დაინტერესებული მრავალი ისტორიკოსის მიერ. ქართველი ისტორიკოსებიდან ზ. ავალიშვილი იყო, რომელიც ბასილის ცნობას განსაკუთრებული კრიტიკით მიუღდა.

საკითხისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს შეიცავს ბიზანტიელი ისტორიკოსის, მიქაელ პანარეტოსის (XIV ს. მეორე ნახევარი – XV ს. დასაწყისი) თხზულება: *„მოვიდა დიდი კომნენოსი უფალი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინოპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის, გულმოდგინებითა და ღვაწლით და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი აპრილში, მე-7 ინდიქტიონის 6712 (1204 წელს - ე. მ.). იმეფა 18 წელიწადს, გარდაიცვალა ორმოცი წლისა, 6730 წელს (1222 წ.), 1 თებერვალს, მართლმადიდებლების დღესასწაულის კვირას“<sup>1</sup>.*

როგორც თამარის ისტორიკოსი გადმოგვცემს, ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე იმპერატორმა ალექსიმ. ბასილის პათოსი იმაზე მეტყველებს, რომ ღმერთი ბოროტებას არავის აპატიებს (ბასილი ეზოსმოდვარი, 142-143).

<sup>1</sup> მიქაელ პანარეტოსი, *ტრაპიზონის ქრონიკა*. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ალექსანდრე გამყრელიძემ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 33, თბილისი, 1960, 165-166. შედარებისათვის მოვიყვან ა. ხახანაშვილის მიერ ბერძნულიდან რუსულად თარგმნილ ამონარდს „ტრაპიზონის ქრინიკიდან“. „ (1204 . . . ) . . . ,

VII . 6712 (1204 . X.) 22 , a , 1 6730 (1222),

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, თითქოს ქართველი და ბერძენი მემპტიანენი სხვადასხვა ალექსიზე გადმოგვცემენ<sup>1</sup>, რაც, ჩემი აზრით, სიმართლეს არ შეეფერება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბასილის მიხედვით ალექსი ანდრონიკეს შვილია, პანარეტოსი კი სამართლიანად მას ანდრონიკეს შვილიშვილად ასახელებს. მაგრამ კონტექსტის მიხედვით ორივე ავტორი ერთსა და იმავე პიროვნებას, ანდრონიკეს შვილიშვილს, გულისხმობს.

ბასილი ეზოსმოდღვარი კომნენოსების ჯარში მხოლოდ ქართველი (იმერელი) მეომრების ყოფნას აღნიშნავს. იგი ჩამოთვლილი ქალაქების დაპყრობას ალექსი კომნენოსს მიაწერს, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია ქართული ჯარით. იმავე დროს იგი ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგენს ძმების – ალექსი და დავითი კომნენოსების მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. ბასილი ეზოსმოდღვარის თანა-მედროვე ნიკიტა ხონიატე კი, ლაპარაკობს ალექსი კომნენოსის მიერ უკვე დაარსებული ტრაპიზონის იმპერიის შემდგომ პერიოდზე, როდესაც იგი უკვე იმპერატორად არის გამოცხადებული. ნიკიტა ხონიატე ყურადღებას ამახვილებს დავითის მიერ პაფლაგონიასა და პონტოს ჰერაკლიაში შეგროვილ ჯარზე, რომელშიც ივერიელთა მხოლოდ დაქირავებული რაზმი იყო. მასზე დაყრდნობით დავითმა დაიპყრო საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ლიმინიდან ჰერაკლიამდე.

---

, 1905, 20. ა. ხახანაშვილის ეს ნაშრომი უარყოფითად შეაფასა კარაპოვმა. .  
.. , 19, მაგრამ დადებითი შეფასება მისცა ს. ყაუხჩიშვილისა და ალ. გამყრელიძის თარგმანებს.  
ი. ფ. ფალმერაიერი პანარეტოსის მიერ დასახელებულ ალექსი კომნენოსის მამიდა თამარში კომნენოსების სხვა რომელიღაც ქართველ ნათესავს ხედავდა. Fallmerayer, *Geschichte des Kaisertums von Trapezunt*, 48, 59.

<sup>1</sup> ბატიაშვილი, *ტრაპიზონის იმპერიის დაარსება*, 98-99.

ამ ორი წყაროდან რომელს მივანიჭოთ უპირატესობა, რომელი უფრო სანდოა? ამის გარკვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიქაელ პანარეტოსის „ქრონიკას“, რომელშიც სრულიად გარკვევით ჩანს, რომ ალექსი კომნენოსმა „გამოილაშქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის გულმოდგინებითა და ღვაწლით“, ე. ი. მისი ჯარის ძირითადი კონტიგენტი შედგებოდა ქართველებისაგან, აღჭურვილი და - მომარაგებული თამარ მეფის მიერ. ეს იყო ის ძალა, რომლითაც ალექსიმ დააარსა ტრაპიზონის იმპერია<sup>1</sup>. უცხოელთაგან პირველი იყო ა. ა. კუნიკი, რომელიც პანარეტოსისა და ბასილი ეზოსმოდვარის ცნობების შედარების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ძმები კომნენოსების მიერ მოწყობილი ლაშქრობის ინიციატორი იყო თამარ მეფე, რომ მას სურდა ბოსფორსა და მცირე აზიაში

<sup>1</sup> არსებობს საყურადღებო მინიშნება, რომ ლაშქრობაში იმერლებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს სხვა მხარეების რაზმებიც. ამ მხრივ საყურადღებო მაგალითია ბორჯომის რაიონის ცნობილი ტაძრის, ტიმოთესუბნის (კიმოთესუბანი, ბორჯომიდან 17 კმ) ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია XII-XIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწე შალვა თორელ-ახალციხელი, რომელსაც მიეწერება მონასტრის გაფართოება, დიდი ტაძრის აგება და მოხატვა (*ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 9, თბილისი, 1985, 719). ცნობილი ხელოვნებათმცოდნე დ. პ. გორდეევი ტაძრის დასავლეთის კედელზე მოთავსებული წმ. მეომრის ეგვნი ტრაპიზონელის (ტრაპიზონის მფარველის) გამოსახულების შესწავლისას, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წმინდანის კულტი მხოლოდ ტრაპიზონისათვის იყო მნიშვნელოვანი და იგი შესრულებული უნდა იყოს საქართველო-ტრაპიზონის ყველაზე ინტენსიური ურთიერთობის დროს, 1204-1230-იან წლებში, უფრო ზუსტად კი, თამარის მეფობის უკანასკნელ ან გიორგი-ლამას მეფობის პირველ წლებში. წმ. ეგვნი ტაძარში გამოსახეს ძმები შალვა და ივანე ახალციხელების ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში მონაწილეობის აღსანიშნავად.

„...“, საბჭოთა ხელოვნება, თბილისი, 1940, 48-49;

1980, 121-122, 242.

შეექმნა ისეთი ქრისტიანული სახელმწიფო, რომელიც სელჩუკების წინააღმდეგ იბრძოლებდა<sup>1</sup>. *რაც შეეხება ალექსის ძმის დავითის ბრძოლებს პაფლაგონიასა და პონტოს პერაკლიაში, იგი სცილდებოდა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესებს და მასში ქართველები შეიარაღებული ძალით აღარ მონაწილეობდნენ<sup>2</sup>. დავითის დასაყრდენი იყო ბერძენ-ქართველი მეომრებისაგან შემდგარი ჯარი, რომელშიც ქართველები დაქირავებულნი იყვნენ.*

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ კომნენოსების ჯარი ბიზანტიისაკენ დაიდრა ორი მიმართულებით: ტრაპიზონ-სინოპის სახმელოთო გზით და საზღვაო გზით – პაფლაგონია-ბითონიის მიმართულებით<sup>3</sup>. ჯარის ის ნაწილი, რომელსაც დავით კომნენოსი მეთაურობდა, საზღვაო გზით

1

1204, 723.

<sup>2</sup> მ. გაბაშვილი ბასილი ეზოსმოდვარის ნათქვამზე დაყრდნობით ფიქრობს, რომ „თამარ მეფემ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებისთანავე მიიერთა პაფლაგონია და შავი ზღვის ტერიტორიები, მათ შორის ისინიც, რასაც ქართული წყარო არ აზუსტებს და რომელსაც უკვე ბიზანტიური წყაროები აკონკრეტებენ. ბიზანტიური წყაროებივე (ნიკიტა ზონიატი, გიორგი აკროპოლიტი...) საშუალებას ვკადღევს დავადგინოთ, რომ პაფლაგონია და შავი ზღვის ზოგიერთი ტერიტორია თამარმა მაშინვე დაკარგა. იმავე წყაროების თანახმად, ამ ტერიტორიებისათვის უკვე დავით კომნენოსი იბრძვის“ (გაბაშვილი მ., თამარ მეფის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან, 166). არც ერთი წყარო არ აღნიშნავს თამარ მეფის მიერ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე რომელიმე ტერიტორიის დაპყრობას და საქართველოსათვის შეერთებას, თუნდაც მცირე ხნით. გიორგი აკროპოლიტეს (XIII ს. ბიზანტიელი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი) ცნობას, ჩემი აზრით სწორი განმარტება დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. (გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, VII, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და კომენტარები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1967, 45-46, შენ. 2).

<sup>3</sup> (1204-1261), 77-78; მარვიშვილი ს., *ლევანდები და მითები დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 109.

მისულა პაფლაგონიაში. ფლოტი გავიდა იმერეთიდან და კერასუნტის, კოტირასა და ამასტრის გავლით მივიდა პაფლაგონიაში<sup>1</sup>. ს. მარგიშვილის აზრით, რადგან საქართველოს სამეფოს სამხედრო-სატრანსპორტო ფლოტი არ გააჩნდა, „დესანტირების ერთადერთი შესაძლებლობა იყო ფლოტის დაქირავება გენუელებისაგან“<sup>2</sup>. გენუელებს, გარდა კომერციული ინტერესისა, ამოძრავებდათ ვენეციელებთან კონკურენციაც შავ ზღვაზე ჰეგემონობისათვის. ამის შემდეგ მკვლევარი ლაპარაკობს გენუელების შორს მიმავალ გემებზე, მაგრამ მისი არგუმენტები არ ასახავს ისტორიულ რეალობას. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ბიზანტიის იმპერატორები იტალიელების ხომალდებს უკრძალავდნენ შავ ზღვაში ცურვას, მანამდე ვიდრე ლათინებმა კონსტანტინოპოლი არ დაიპყრეს. ხოლო გენუა-ვენეციის დაპირისპირება შავი ზღვის სანაპიროებზე პირველობისათვის იწყება იმ დროიდან, როდესაც მონღოლების დაპყრობებმა სავაჭრო-საქარავნო გზების ჩრდილოეთით გადანაცვლება გამოიწვია და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთმა სანაპირომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ისიც ცნობილია, რომ საქართველოში, საინტერესო პერიოდში, ზღვაოსნობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული და საკუთარი ფლოტიც გა-

---

<sup>1</sup> Vasiliev Al., *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*, 20; Bryer An., *David Komnenos and Saint Eleutherios. Archeion Pontou*, 1988-1989, v. 29, 179-180; მარგიშვილი ს., *ლეგენდები და მითები დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 109; ბატიაშვილი, *ტრაპიზონის იმპერიის დაარსება*, 99.

<sup>2</sup> მარგიშვილი ს., *ლეგენდები და მითები დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 279-280. დადგენილია, რომ შავი ზღვის სანაპიროს ქართული მოსახლეობა, განსაკუთრებით ლაზები, უხსოვარი დროდან ცნობილი მეზღვაურები იყვნენ. უფრო მეტიც, XI საუკუნეში შავი ზღვა „ლაზთა ზღვათა“ კი იწოდებოდა. გაბაშვილი მ., *ტრაპიზონის დაარსების წინაპირობები. დავით კურაპალატი*, 122.

აჩნდა<sup>1</sup>. მაგრამ ეს სრულებით არ წარმოადგენდა აუცილებელ პირობას, რომ ჯარი მთლიანად, ან თუნდაც მისი ნაწილი, დანიშნულების ადგილამდე გემებით გადაეყვანათ. ქართველი მემკვიდრე (სხვა წყარო, ქართული ჯარის მიერ ბიზანტიის საზღვრის გადაკვეთის ადგილსა და მიმართულებას რომ აღნიშნავდეს, არ გაგვაჩნია) სრულიად გარკვევით ამბობს, რომ ქართულმა ჯარმა ზოფასთან გადაკვეთა ლაზიკის საზღვარი და დაიწყო მოძრაობა დასავლეთის მიმართულებით. ისიც საინტერესოა და უნდა აღინიშნოს, რომ თბილისიდან ტრაპიზონამდე სახმელეთო გზით მისვლას მხოლოდ რვა დღე სჭირდებოდა<sup>2</sup>.

ბასილი ეზოსმოდგარი და მიქაელ პანარეტოსი, ხაზგასმით აღნიშნავენ თამარ მეფის დამსახურებას ალექსი კომნენოსის გამეფებასა და ბიზანტიის იმპერიის დაარსებაში. როგორც ერთ-ერთ ანონიმური ქრონიკაშია ნათქვამი, თამარის წყალობით ტრაპიზონის მფლობელმა დამოუკიდებელი სამფლობელო მიიღო და განაგებდა მტრებისაგან შეწუხების გარეშე<sup>3</sup>. თამარის ისტორიკოსი ცდილობს თავისი მეფის პოლიტიკა გაგვაცნოს, როგორც მიზეზშედეგობრივი. კარის ისტორიკოსის მიზანია, თავისი მეფე წარმოაჩინოს სამართლიანობის დამცველად. მისმა მეფემ ერთდროულად ორო კეთილშობილური საქციელი ჩაიდინა: ქართველ ბერებს იმპერატორისაგან მიყენებული ზარალი გადაჭარბებით აუნახა დაურა და საქართველოში შემოხვეწილ ალექსი კომნენოსს ნაწილობრივ (ტერიტორიული თვალსაზრისით) აღუდგინა დაკარგული ტახტი და სამფლობელოები.

---

<sup>1</sup> კუტალიეშვილი ზ., *ნოსნობა საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)*, თბილისი, 1987, 231.

<sup>2</sup> Tomaschek W., *Zur historischen Topographie von Kleinasien im Mittelalter*. Sitzungberichte der K. Akademie der Wissenschaften in Wien, Philos.-hist. Classe, CXXIV, 1891, 81.

<sup>3</sup> Brosset M. F., *Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIXe siècle*, Saint Petersburg, 1849, I-ère partie, 478.

ქართველი მემატრიანის პოზიციაზე დგას მიქაელ პანარეტოსი. იგი ცდილობს ობიექტურად გადმოგვცეს ალექსი კომნენოსის მიერ ტრაპიზონის დაპყრობისას საქართველოს მეფის „გულმოდგინება და ღვაწლი“, თუმცა იმაზე დუმს, რამაც განაპირობა ბაგრატიონთა და კომნენოსების მიერ დაწყებული სამხედრო აქცია<sup>1</sup>.

ბუნებრივია, დგება კითხვა, შეეძლო კი იმ მცირე ჯარს (*„მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი“*), გაეკონტროლებინა მთელი ის ტერიტორია, სადაც წარმოიშვა ტრაპიზონის იმპერია და შემდეგ დავით კომნენოსიც აწარმოებდა ბრძოლებს? ლაშქრობის მოწყობა ისეთი მცირე ძალით, რომელზეც ქართული ნარატიული წყარო გადმოგვცემს, ალ. გამყრელიძეს და ივ. ლოლაშვილს შეუძლებლად მიაჩნდათ<sup>2</sup>. ამ კითხვაზე, ჩემი აზრით, თითქმის ამომწურავი პასუხი გასცა

---

<sup>1</sup> ლ. ტუხაშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელია საქართველომ შავი ზღვისპირეთში მოაწყო ორი სამხედრო აქცია. პირველად თამარ მეფემ ქართველ ბერების გამარცხისათვის დასაჯა ალექსი III ანგარი და ლაზია დაიკავა. მეორედ კი, ჯვაროსნების კონსტანტინოპოლზე დარტყმების პარალელურად სცადა დაეკავებინა მთელი მცირე აზია და შეექმნა ახალი ტიპის ბიზანტია. ტუხაშვილი ლ. *ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან*, 177-178. ეს ვარაუდი უკვე მტკიცებულების ფორმით გაიმეორა მ. სტეფანაძემ. მისი აზრით, თამარის ისტორიკოსი და მიქელ პანარეტოსი ორი სხვადასხვა ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობენ. პირველი მოაწყო საქართველოს სამეფომ 1202-1203 წლებში და დაპყრობილი მიწები შემოიერთა. მეორე ლაშქრობა ძმებმა კომნენოსებმა მოაწყვეს ქართული ძალით და ტრაპიზონის იმპერიის გამოცხადებით დასრულდა. მ. სტეფანაძე იმავე მოსაზრებას იმეორებს შემდეგშიც, მაგრამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. სტეფანაძე მ., *ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზებისათვის*. ქართული დიპლომატია, წელიწადი, 7, თბილისი, 2000, 161-162, 165.

<sup>2</sup> ლოლაშვილი ი., *შავთელი*, თბილისი, 1964, 112-113; გამყრელიძე ა., *ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის დაარსების ზოგიერთი საკითხი*, წერილები, თბილისი, 1982, 260.



ს. პ. კარპოვა მ. ბროსეს ნაშრომზე დაყრდნობით<sup>1</sup>. მის მიხედვით, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ 1203-1204 წლებში საქართველო ებრძოდა რუმის სასულთნოს, აზერბაიჯანისა და ირანის ათაბეგებს. თამარის ჯარი შეტევით ბრძოლებს აწარმოებდა არარატის დაბლობზე. საქართველომ შეძლო სელჩუკებისათვის გამანადგურებელი მარცხი მიეყენებინა ბასიანის (1202 წ.) ბრძოლაში. დასახელებული ომების წარმოება ითხოვდა სახელმწიფოს მთელი რესურსების მობილიზაციას და კომუნოსების საჭიროებისათვის დიდი არმიის გამოყოფისათვის საშუალებას არ იძლეოდა. მაგრამ იყო კი საჭირო დიდი სამხედრო ძალა? კითხულობს ს. პ. კარპოვი და თითონვე პასუხობს: ბასიანის ბრძოლის შემდეგ რუმის სასულთნო დასუსტებული იყო და იგი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მისი სამფლობელოების ჩრდილოეთით მდებარე იმ ტერიტორიებზე, იქ, სადაც ტრაპიზონის იმპერია წარმოიშვა, ქართულ ძალაზე დაყრდნობილი კომუნოსების მოქმედებას. 1204 წლისათვის თავისი მრავალრიცხოვანი ინფორმატორების საშუალებით თამარ მეფე კარგად ერკვეოდა ბიზანტიის მდგომარეობაში ზოგადად და, კონკრეტულად, ქალდეას პროვინციაში არსებულ ვითარებაში, რომლის იმპერიისაგან მოკვეთა ჰქონდა განზრახული<sup>2</sup>.

ნიკიტა ხონიატე ქართველთა წვლილს კომუნოსების ტრაპიზონში გამეფებაში დაკნინებულად წარმოგვიდგენს. ქართველების მონაწილეობას მხოლოდ დაქირავებული რაზმის სახით განსაზღვრავს.

რადგან ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის მკვლევრები მის დაარსებაში საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობას, ძირითადად, ბასილი ეზოსმოდვრის, ნიკიტა ხონიატეს და

---

<sup>1</sup> Brosset M. F., *Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIXe siècle*, 464-465.

<sup>2</sup>

(1204-1215),

მიქაელ პანარეტოსის ცნობებზე დაყრდნობით განიხილავენ, ჩვენც მათ მიყვებით.

ფრიად მნიშვნელოვანია, დასახელებულ წყაროებზე დაყრდნობით ა. ა. ვასილიევის გამოთქმული მოსაზრებანი, რომლითაც კიდევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა ა. ა. კუნიკის ვარაუდები საქართველოს როლის შესახებ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში. ა. ა. ვასილიევმა პირველმა მოუყარა თავი მისი დროისათვის ცნობილ თითქმის ყველა მასალას<sup>1</sup>.

საქართველოს ლაშქრის მიერ ხუფათთან საზღვრის გადალახვით, რადგან ეს უკანასკნელი ქალდიის თემის შემადგენლობაში იყო და იმავე დროს ბიზანტია – საქართველოს საზღვარს წარმოადგენდა<sup>2</sup>, ფაქტიურად, ომის გამოცხადების გარეშე დაიწყო აგრესია მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ა. ა. ვასილიევი ვარაუდობდა, რომ

---

<sup>1</sup> Vasiliev Al., *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*, 5-29.

<sup>2</sup> *ცხოვრება და მოქალაქობა დმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი*. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I (V-X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963, 344.

როგორც ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე პორფიროგენეტი თავისი თხზულების *De administrando imperio*-ს 42-ე თავში აღნიშნავს, „ვერეთწოდებული ხალდია და მისი დედაქალაქი, რომელსაც ტრაპეზუნტი ეწოდება, ელინთა ახალშენები არიან...“ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952, 300). იმავე ავტორის ცნობით, „ხალდეამ თავის სახელი მიიღო სპარსთა (მიერ) მიცემული სახელწოდებისაგან და მათი პირვანდელი სამშობლოსაგან ხალდიისაგან, საიდანაც ისინი ხალდეველებად იწოდებიან“. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ნაკვ. II, 301.

ქალდიის თემის შემადგენლობაში ხუფათის გარდა შედიოდა: კელძენე, აკამპსისი, ისპირი და მერღულის ტურმები. ნოღია ი., *ქალდიის თემის საზღვართა დადგენისათვის*, 795.

იმერეთიდან ჯარი ტრაპიზონისაკენ უნდა წასულიყო გარინ-თეოდოსიოპოლი-არზრუმის გზით მაშინ, როდესაც არც ერთი წყარო ამგვარ მარშრუტზე არ მიუთითებს<sup>1</sup>, ქართველი მემკვიდრე კი ზუსტად აღნიშნავს იმ დასახლებულ პუნქტს (ხუფათი), სადაც კომნენოსები ქართული ჯარით შეიჭრნენ იმპერიის საზღვრებში.

სავარაუდოა, ლაშქრობა დაიწყო მცირე ხნით ადრე, ვიდრე ვენეციელების ფლოტი ოქროს ყურეში შევიდოდა და კონსტანტინოპოლს დაემუქრებოდა. ქართულ მხარეს ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყება გათვლილი უნდა ჰქონოდა ალექსი III (1195-1203) ანგარის მთელი ყურადღების დასავლეთისკენ გადატანაზე, საიდანაც ჯვაროსნები ემუქრებოდნენ. ბიზანტიისადმი შექმნილი ხიფათის პირობებში საიმპერატორო კარი ჯეროვან ყურადღებას ვეღარ მიაქცევდა დედაქალაქიდან დიდად დაშორებულ ქალაქს თემში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისს. იმპერიაში არსებული ვითარება ქართული სამეფო კარისათვის ცნობილი უნდა გამხდარიყო 1203 წლის ივლისში<sup>2</sup>, როდესაც ვენეციელებმა ოქროს ყურეში

---

<sup>1</sup> Vasiliev Al., *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*, 9-12, 17-18. გარინი ყარსია, ხოლო თეოდოსიოპოლისი კი, არზრუმი.

<sup>2</sup> ქართველთა ლაშქრობის დაწყებას კონსტანტინოპოლის მიმართულებით, ასევე 1203 წლის ზაფხულში ვარაუდობდა თ. ჟორდანიას (ჟორდანიას თ., *ქრონიკები და სხვა მასალა ისტორიისა. შეკრებილი და ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ*, I, ტფილისი, 1892, 291). ყურადღებას იპყრობს ს. მარგიშვილის, ჩემი აზრით, გაუმართლებელი კატეგორიულობა ქართველთა ლაშქრობის დაწყების დროის შესახებ. იგი წერს: „ვერც საქართველოს სამეფო კარი და ვერც ძმები კომნენოსები ვერ ისარგებლებდნენ ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე ლაშქრობის დაწყებისას მათ ეს ფაქტი არ ეცოდინებოდათ. ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს 1204 წლის 12-13 აპრილს...ხოლო ქართულ-ბერძნულმა (გაურკვეველია, საიდან გაჩნდა ბერძნული ჯარი ქართული ჯარის გვერდით – ე. მ.) არმია ტრაპიზონი დაიკავა იმავე წლის 23-25 აპრილს, რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც

ფლოტი შეიყვანეს და დედაქალაქს დაემუქრნენ. ამ დროიდან საბოლოოდ გადაწყდებოდა და დაიწყებოდა კიდეც სამხედრო კამპანიისათვის მზადება. მოვლენების ამგვარ განვითარებაზე უნდა მიგვანიშნებდეს ფრიად საყურადღებო ერთი ცნობა, რომელიც ქართველმა მემატნიანემ შემოგვინახა. **სერიოზულ ჩაფიქრებასა და ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა ბასილი ეზოსმოდვარის ის ფრაზა, რომელშიც აღნიშნულია ჯვაროსნების კონსტანტინოპოლზე პირველი შეტევის დაწყების დრო. ლათინებს (ვენეციელებს) შეტევა დაუწყიათ მას შემდეგ, როდესაც გაუგიათ, რომ იმპერიას აღმოსავლეთიდან თავს დაესხნენ და კონსტანტინოპოლი ამ მხრიდან დახმარებას ვეღარ მიიღებდა.** ბასილი წერს: „ხოლო ესმა ესე (ქართველთა ჯარის შეჭრა ქალდიას თემში - ე. მ.) ფრანგთა, რამეთუ მოელო<sup>1</sup> ბერძენთა შეწევნა აღმოსავლეთით, გამოვიდეს ვენეტიკნი და წარუღეს სამეფო ქალაქი<sup>2</sup>. ეს წინადადება მოსდევს იმავე მემატნიანის გადმოცემას ქართული ჯარის მიერ სამხრეთ შავი ზღვისპირეთის დალაშქვრასა და

---

ჯვაროსნები იწყებდნენ კონსტანტინოპოლის შტურმს, ქართულ-ბერძნული არმია ალექსისა და დავითის მეთაურობით, უკვე მოძრაობდა ბიზანტიის ტერიტორიაზე“. მარგიშვილი ს., მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, 274.

<sup>1</sup> არასწორად გაიგო ბასილის ზმნა „მოელო“ ტ. მაჭარაშვილმა და ფიქრობს, რომ მასში იგულისხმება ბიზანტიელების პოტენციური მოკავშირე აღმოსავლეთიდან – საქართველო, საიდანაც დახმარება ვეღარ მიიღო. მაჭარაშვილი ტ., ნარკვევები საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XIV საუკუნეებში), 92. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ახლოაღმოსავლური პოლიტიკას, ვეჭვობ, ბიზანტიის მთავრობას XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოდან დახმარების მიღების იმედი ჰქონებოდა. დავით კომნენოსი რომ კონსტანტინოპოლში ჯვაროსნების მოკავშირეობას ეძებდა, სავარაუდოა, ესეც საქართველოს მიერ კონსტანტინოპოლის დაცემამდე გატარებული ანტიბიზანტიური პოლიტიკის შედეგი იყო.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, II, 142.

ალექსი კომნენოსის ტრაპიზონში გამეფებას. მაშასადამე, ქართველი მემატიანის მიხედვით, ამ ლაშქრობას ის შედეგი გამოუღია, რომ ქართველთა ჯარის მიერ დაპყრობილი ტერიტორიიდან კონსტანტინოპოლმა დახმარება ვეღარ მიიღო და ამან მოუტანა ჯვაროსნებს წარმატება. ***ბასილი ეზოს-მოდღვარის ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, რადგან მისი გაზიარების შემთხვევაში, ტრაპიზონის ალების დროდ საყოველთაოდ მიღებული 1204 წლის 23 აპრილი საეჭვო ხდება.*** იგი გამოთვლილია თითქმის ორი საუკუნით დაშორებული ბიზანტიელი ისტორიკოსის, მიქაელ პანარეტოსის თხზულებაში მოცემული თარიღის მიხედვით, რომელსაც ზემოთ უკვე გავეცანით. საყურადღებოა, აგრეთვე, ქართველი მემატიანის ინფორმირებულობა ბიზანტიის საწინააღმდეგო კოალიციაში გაერთიანებული ძალების შესახებ. მან იცოდა ჯვაროსნულ კოალიციაში ვენეციის სახელმწიფოს წამყვანი როლის შესახებ<sup>1</sup>. ამიტომ მიაწერს მას „სამეუფო ქალაქის“ დაპყრობას.

---

<sup>1</sup> ქართველების სამხრეთ შავი ზღვისპირეთში წარმატებული საქმიანობა რომ ხელს უწყობდა დასავლეთევროპელი ჯვაროსნების ინტერესების განხორციელებას მცირე აზიაში, თ. ჟორდანიამ შემდეგნაირად შეაფასა: „როგორც როკ-უდინის დამარცხებით ისარგებლეს ფრანგებმა, ისრე აქაც თამარის ჯარისაგან ბერძნების დამარცხება ჩინებულად გამოიყენეს: შევიდნენ კონსტანტინე-ქალაქში და დაიჭირეს 12 აპრილს იმავე 1204 წ. ამაზე თამარი შეწუხდა, მაგრამ გვიანლა იყო“ (ჟორდანია თ., *ქრონიკები და სხვა მასალა ისტორიისა. შეკრებილი და ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ*, I, 291). როგორც ჩანს თ. ჟორდანია წყაროების უქონლობის მიუხედავად, ცდილობდა 1200-იანი წლების დასაწყისში ქართველთა წარმატებები ევროპელებისთვისაც სასიკეთო შედეგით ეჩვენებინა, მაგრამ რაც შეეხება ტრაპიზონის იმპერიის პონტოში წარმატებას, აქ კი ისეთ დასკვნებს აკეთებს, რომლებსაც რეალობასთან კავშირი არ ჰქონდა. ჯერ ერთი, როგორც უკვე აღინიშნა, ქართულმა მხედრობამ ვრცელი მანძილი, ათას კილომეტრზე მეტი, ხოფადან ჰერაკლიამდე, ისე გაიარა, რომ სერიოზულ წინააღმდეგობას

ვფიქრობ, გადასახედია ზ. ავალიშვილის მოსაზრება, რომელიც, ევროპელთა გამოკვლევების გავლენით, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქართველი მემკვიდრე არასწორად გადმოსცემდა მოვლენების თანმიმდევრობას, რომ „ლათინთა „გამოსვლა“ შედეგი კი არ იყო ლაზის და სხვა ქვეყანათა ქართველთა მიერ დაჭერის, როგორც ამას თამარის პანეგირისტი მოგვითხრობს, პირიქით, იმ ადგილთა დაპყრობა „ივერთა“ დახმარებით და ტრაპიზონის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარება უეჭველად ერთი შედეგთაგანი იყო ლათინთა გამარჯვებისა, მათ მიერ კონსტანტინოპოლის ახალი საკეისროს დაარსებისა და ბიზანტიის იმპერიის დაშლისა“<sup>4</sup>.

რადგან ვიცით კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის აღების თარიღები (1204 წლის 12 და 23 აპრილი) და ამ ორ თარიღს შორის განსხვავება მხოლოდ 10-11 დღეა, ა. ა. ვასილიევმა გამოსთქვა ეჭვი, რომ ამ მცირე დროში კონსტანტინოპოლის დაცემის ამბავი საქართველომდე ვერ მიაღწევდა<sup>2</sup>, ვერ მოხერხდებოდა ჯარის შეკრება და ტრაპიზონამდე რამდენიმე ასეული კილომეტრის გავლა. მაშასადამე, უფრო მისაღებია ბასიანის წარმატებული ომის შემდეგ, რომელსაც დიდი გავლენა უნდა მოეხდინა სეპარატისტულად განწყობილი ქალდეას თემის მოსახლეობის ყველა ფენაზე, დაიწყებოდა საქართველოს წარმომადგენლების დიპლომატიური ურთიერთობა მის ლიდერებთან. საქართველოს სამეფო კარისათვის სამხედრო მოქმედების დაწ-

---

არსად შეხვედრია და, რა თქმა უნდა, არც ბერძნები დაუპარცხებია. მეორეც, თამარის იმ პერიოდის საგარეო პოლიტიკას თუ გადავხედავთ, დავით კომნენოსის მოქმედებით, შეიძლება მეფე მართლაც უკმაყოფილო იყო, მაგრამ ამაზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება, წყაროებში არ ჩანს.

<sup>1</sup> ავალიშვილი ზ., *კვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი*, 59-60.

<sup>2</sup> Vasiliev Al., *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*, . 20.

ყებისათვის ბიძგის მიმცემი უნდა გამხდარიყო 1203 წელს ჯვაროსნების მიერ ზარას აღების შემდეგ კონსტანტინოპოლის გართულებული საშინაო და საგარეო მდგომარეობა.

ქართულმა ლაშქარმა პირველად დაიპყრო ლაზია (ჭანეთი), შემდეგ აიღო ტრაპიზონი და ჰერაკლიამდე მიაღწია. ბასილი ეზოსმოდღვრს თუ დაუჯერებთ, გამოდის, რომ ქართველთა ჯარს დაუპყრია საკმაოდ ვრცელი ტერიტორია – ლაზია, ფაბლადონი (პაფლაგონია) და პონტო. ამგვარად, საქართველოს სამეფოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი ტრაპიზონის იმპერიასთან, დაიღო ლაზიის აღმოსავლეთით ხუფათთან (ხოფა).

ქართული ჯარი ბრძოლის გარეშე შევიდა ტრაპიზონში (1204 წ. 23 აპრილი), ქალაქის გამგებელმა (დუკა) ნიკიფორე პალეოლოგმა, კონსტანტინოპოლის მთავრობის წარმომადგენელმა, რომელიც მოსახლეობაში ავტორიტეტით არ სარგებლობდა<sup>1</sup>, ქალაქის ციხე ალექსის უბრძოლველად ჩააბარა<sup>2</sup>. ალექსი კომნენოსი 25 აპრილს გამოცხადდა „რომეების იმპერატორად“, კონსტანტინოპოლი კი ჯვაროსნებს 12 აპრილს (ზოგი ცნობით 13 აპრილს) უკვე აღებული ჰქონდათ. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ქართულ ჯარს უკან მოეტოვებინა ჯერ კიდევ დაუპყრობელი ტრაპიზონი და ლაშქრობა კონსტანტინოპოლის მიმართულებით გაეგრძელებინა, შემდეგ მობრუნებულიყო და ტრაპიზონი აეღო და ჩაეტარებინა ალექსის კურთხევის ცერემონიალი. ვფიქრობ, დასავლეთისაკენ შეტევის გაგრძელებისას ქართველებმა და ძმებმა კომნენოსებმა უკვე იცოდნენ რა ხდებოდა კონსტანტინოპოლში და, ნიკიტა ზონიატეს გადმოცემით, მხოლოდ დავითმა გააგრძელა წინსვლა. ამის შემდეგ (ბასილი ეზოს-

---

1

, 2003, 31.

2 ბატაშვილი ზ., *ტრაპიზონის იმპერიის დაარსება*, 101.

მოძღვრის მიხედვით) კომუნოსებმა დაიპყრეს „ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამსტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლადონისა და პონტოსანი“<sup>1</sup>. რადგან ცნობილი წყაროები არავითარ ცნობას არ გვაწვდიან დასახელებული ქალაქების დაპყრობისათვის სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ, ამდენად ქართულ წყაროს უნდა დაუფჯეროთ, რომ ლაშქრობა შეწყდა ჰერაკლიას აღებით. მაგრამ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ძმების წვლილი ამ ლაშქრობაში. ნიკიტა ზონიატი ტრაპიზონის აღების შემდგომ სამხედრო წარმატებებს, სამართლიანად მიაწერს დავით კომუნოსს. უფრო მეტიც, იმავე ისტორიკოსის თქმით, დავითს ნიკომედიის დაუფლებაც სურდა, მაგრამ ნიკეის იმპერატორის თეოდორე I ლასკარისის (1204-1221) წინააღმდეგობას წააწყდა. პონტოს ჰერაკლია დროებით გადაიქცა ტრაპიზონის იმპერიის უკიდურეს დასავლეთ სამფლობელოდ.

მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს შემოთავაზებული წერილობით წყაროების გარდა სხვა რაიმე ცნობა, მაინც უნდა აღინიშნოს ქართული წყაროს ტენდენცია, რომელიც გამსჭვალულია ეპოქისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი ღირებულებების პატივისცემითა და საქართველოს მეფე თამარის სამართლიანობის დემონსტრირების დიდი სურვილით.

---

<sup>1</sup> დავით კომუნოსს პონტოში მომხრენი ეყოლებოდა, რადგან მისი პაპა ამდრონიკე კეისრის ტახტის დაკავებამდე პონტოს გამგებელი იყო. Vasiliev Al., *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*, 5.



*Eldar Mamistvalishvili*

*Gori State Teaching University, Professor*

**GEORGIAN-CRUSADERS RELATIONS AND  
FORMATION OF THE TREBIZOND EMPIRE  
RESUME**

1. If we take into consideration coincidence of the events which took place in the beginning of the 13<sup>th</sup> century between the west and east of the Byzantine Empire and if we talk over logically, there might appear a supposition that the Crusaders' and Georgians' leaders acted in accord with each other.
2. I cannot agree with the supposition that Georgian royal court was able to play a decisive part, with its small army, in creating the Trebizond Empire, firstly wanting invasion of Constantinople and restoration of the Comnenus dynasty.
3. Such a courageous military campaign should have been prepared after a thorough studying of the existing situation in the east of the Byzantine Empire, as well as potential possibilities of the opponents should have been taken into consideration.
4. The Comnenus, as a pretender dynasty to the Byzantine royal throne, were absolutely taken out from that period international policy's context. They would not be able to get the empirical throne in that period of time.
5. If we take into consideration political situation towards Byzantine and inside the empire in the beginning of the 13<sup>th</sup> country, Georgia at that time might be only a political ally of any force.
6. After April 1204, the events that took place in the south coast of the Black Sea and the role which Alexius and David Comnenus took in them, their political ambitions were not acceptable for the interests of Georgian state. Queen Tamar had not any plan for expansion of the Trebizond Empire.

7. When Alexius Comnenus proclaimed his goal – to restore the empire and when he received the Byzantine titles "basileus" and "Great Comnenus", Georgian government, possibly weakened relations with the Trebizond Empire. In 1205-1208 and 1214 years Alexius' troops were defeated when fighting against Nikean and Iconian states. The Trebizond Empire became a regional state.

8. If we take into consideration coincidence of the events which took place in the beginning of the 13<sup>th</sup> century between the west and east of the Byzantine Empire and if we talk over logically, there might appear a supposition that the Crusaders' and Georgians' leaders acted in accord with each other.

9. I cannot agree with the supposition that Georgian royal court was able to play a decisive part, with its small army, in creating the Trebizond Empire, firstly wanting invasion of Constantinople and restoration of the Comnenus dynasty.

10. Such a courageous military campaign should have been prepared after a thorough studying of the existing situation in the east of the Byzantine Empire, as well as potential possibilities of the opponents should have been taken into consideration.

11. The Comnenus, as a pretender dynasty to the Byzantine royal throne, were absolutely taken out from that period international policy's context. They would not be able to get the empirical throne in that period of time.

12. If we take into consideration political situation towards Byzantine and inside the empire in the beginning of the 13<sup>th</sup> century, Georgia at that time might be only a political ally of any force.

13. After April 1204, the events that took place in the south coast of the Black Sea and the role which Alexius and David Comnenus took in them, their political ambitions were not acceptable for the interests of Georgian state. Queen Tamar had not any plan for expansion of the Trebizond Empire.

14. When Alexius Comnenus proclaimed his goal – to restore the empire and when he received the Byzantine titles "basileus" and "Great Comnenus", Georgian government, possibly weakened relations with the Trebizond Empire. In 1205-1208 and 1214 years Alexius' troops were defeated when fighting against Nikean and Iconian states. The Trebizond Empire became a regional state.

*ალექსანდრე მღებრიშვილი*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*  
*პროფესორი*

## **გორი XIX საუკუნის რუსულ წყაროებში (ქართველ ავტორთა რუსული გამოცემები)<sup>1</sup>**

ჩვენ არაერთხელ გავუსვით ხაზი იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა დროს გორი არაერთხელ გამხდარა უცხოელ მოგზაურთა და მეცნიერთა ინტერესის საგანი. რა თქმა უნდა, ხსენებული ქალაქით დაინტერესება ბუნებრივი გახლდათ ქართველ ავტორთათვისაც, რომელთაც XIX საუკუნეში რუსულ ენაზე გამოცემულ საკუთარ თხზულებებში ბევრი საგულისხმო სტრიქონი დაუთმეს გორს, მის ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს, განათლებას და ა.შ.

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც აღებული პერიოდის გორზე გვაწვდის ინფორმაციას ავთანდილ თუმანოვი (თუმანიშვილი) გახლდათ. იგი მოღვაწეობდა რუსეთში. დაახლოებული იყო იქ მყოფ ქართველ ბატონიშვილებთან<sup>2</sup>. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი<sup>3</sup> იმის შესახებ, რომ მან შუამავლის მისია შეასრულა დავით ბატონიშვილსა და იმერეთის აჯანყების მეთაურებს შორის. რუსეთის საიმპერატორო კარმა არ აპატიო ახალგაზრდა ავთანდილს თავისი სამშობლოსადმი ერთგულება და გრაფ არაკჩევის ბრძანებით 1819 წელს და-

---

<sup>1</sup> შენიშვნა: ნაშრომი წაკითულია 2014 წლის 24 ივლისს ჩატარებულ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე.

<sup>2</sup> ავთ. თუმანოვი (თუმანიშვილი) იყო ბაგრატიონთა ტახტის მემკვიდრის დავით ბატონიშვილის თანამემწე და მდივანი.

<sup>3</sup> პ. რატანი, ცოცხლად დამარხული ტალანტი, თბილისი, 1982;

აპატიმრეს. პატიმრობის დროს მისთვის საგანგებოდ შექმნილ გაუსაძლის პირობებში დიდხანს აღარ უცოცხლია.

ა. თუმანიშვილი საქართველოს რუსეთთან შეერთებით გამოწვეული დიდი იმედგაცრუების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობასა და ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენის ფარულ მცდელობას შეეწირა. ავთანდილ თუმანიშვილი ეკუთვნოდა ქართველ თავადთა იმ ცნობილ ოჯახს, რომლის წევრები მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართველ მეფეებს ერთგულად ემსახურებოდნენ მდივან-მწიგნობრებად და დიპლომატებად. ავთანდილის მამა ჯერ კიდევ ერეკლე მეორის მდივანი ყოფილა, ხოლო შემდეგ – გიორგი მეფისა. ავთანდილმა თავისი წინაპრების საპატიო საქმე განაგრძო...<sup>1</sup>.

ა. თუმანიშვილმა პეტერბურგში მოახერხა გორის ისტორიის წიგნად გამოცემა<sup>2</sup>, სადაც იგი წერდა: "Сей Город лежит при подошве высоких гор, одетых природою в чудесное разнообразие, восхищающее и ум и сердце своею красотою. Желательно, чтоб кисть нового Рафаеля изобразила сие райское место положение. Сама картина говорила бы в чувствах зрителя о красоте природы, веселящейся так сказать при Гории"<sup>3</sup>.

გარდა ზემოხსენებული სტრიქონებისა, ა. თუმანიშვილი შემამკობელ ეპითეტებს არ იშურებს გორის ბუნებაზე საუბრისას. მისი თქმით: "Благодетельствующая природа тому краю, к вящему и изобильнейшему источнику жития человеческого, присовокупила к изящной красоте сего города и превосходное во всем изобилие. Мы уже

---

<sup>1</sup> <http://ciagi.ge>

<sup>2</sup> . . .  
1816;

<sup>3</sup> . . .  
1816;

видели, что он вокруг себя имеет бесчисленное множество виноградных садов, изобилующих почти всякого рода фруктами, сладкими и приятными, украшенными цветами, благовонными и привлекательными, наполненных сладкопением восхитительного и гармонического согласия красивых птичек"<sup>1</sup>.

რაც შეეხება კონკრეტულად ქალაქს, ავტორის თქმით იგი მრგვალი ამფითეატრისებურია. ქუჩები სწორი და თავისუფალი, ლამაზი და მყარი სახლებით ფართო მოედნებითა და დიდებულად შემკული უზარმაზარი ტაძრებით.

"Город имеет вид круглого Амфитеатра, коего окружная линия, начинаясь от западной точки крепости, и подобно правильному кругу обходя оную соединяется с начальною своею точкою, равным образом и крепость, начинаясь от западной своей точки, продолжается к востоку до средоточия города, состоящего почти из одного каменного строения обнесенного высокою каменною стеною. В нем улицы прямы и свободны, дома крепки, красивы и составлены из потребного числа покоев, площади пространны и ровны, церкви огромны и великолепно украшены"<sup>2</sup>.

ა. თუმანიშვილის მიხედვით, გორის მოსახლეობა ორივე სქესის 5000 ადამიანს მოიცავს. ეს მეგობრული, მამაცი, შრომისმოყვარე, ტრადიციების დამცველი და უაღრესად სტუმართმოყვარე ხალხია.

"Они живут между собою согласно и единодушно. Трудолюбивы, поспешны и оборотливы, от лжи и не

---

1 . . . . .  
1816;

2 . . . . .  
1816;

постоянства крайне убегают, снисходительны без подлости, счастливы без гордости, не счастливы без отчаяния, в обществах обходительны, дружелюбны и веселы, на поле брани храбры, грубы и буяны, на конец смелы и неустрашимы, остроумны и красноречивы. То только можно почест в них пороком, что говорить много любят но и при сем случае ни чего без расуднаго не скажут. Имеют на лице некоторой оттенок гордости, станом крупны и крепки, видом важны и величественны. Одеваются по Грузинскому обычаю при том чисто и пристойно. Празднества отправляют общим молебствием и жертвоприношением. Распутных гостей в городе не принимают... На против того, нетолько принимают добрых гостей, но еще и спорят между собою в чьем доме он пожелает остановиться, и дают ему все без денежно..."<sup>1</sup>

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი სტრიქონებით ა. თუმანიშვილი ახასიათებს გორის მკვიდრთ. მოიხსენიებდა მათ საზოგადოებაში თავაზიან, მეგობართმოყვარე, მხიარულ, ბრძოლის ველზე - გულად, შემმართებელ, შმაგ, გაბელულ და უშიშარ ადამიანებად. ნაკლად უთვლის იმას, რომ უყვართ ბევრი ლაპარაკი, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ამ შემთხვევაშიც უგუნურს არას იტყვიან; სახეზე ოდნავ ამპარტაუნობის იერი სდევთ; ტანით - დიდნი და მკვრივნი, სანახაობით - დარბაისელნი და ახოვანი; იცმევენ ქართული ჩვეულებისამებრ, ამასთან სუფთად და საკადრისად.

დასახელებულ ნაშრომში ავტორი არც „ხელოვნებათა და ხელობათა“ საქმეს ივიწყებს და წერს: „ჩემს მიერ აღწე-

---

<sup>1</sup> А. Туманов, Описание грузинского города Гори. Санкт-Петербург 1816;

რილ ქალაქში ბევრი ოსტატია მას რომ აყვავებენ და ამ-  
შვენებენ თავიანთი ხელნაქნარით, როგორცაა: სხვა და სხვა  
აბრეშუმეული და ბამბეულის ქსოვილებისა, ოქრო-ვერცხლის  
ნაკეთობათა, ყოველგვარი იარაღისა, რკინისა, სპილენძისა და  
სხვა ლითონების ნაჭედობათა გამოყვანა, სახლებისა და სხვა  
შენობების აგება, სხვა და სხვა სურათების ხატვა და ძერწვა  
და სხვ. მისთ“<sup>1</sup>.

გარდა ქართულ მწერლობაში და მეცნიერებაში შეტანი-  
ლი თვალსაჩინო წვლილისა ა. თუმანიშვილს გარკვეული  
წვლილი აქვს შეტანილი რუსული მხატვრული ლიტერატუ-  
რის გამოცემის საქმეშიც.

"В издание русской художественной литературы  
первой половины XIX века внесли свой вклад братья А.  
Б. и М. Б. Тумановы (Туманишвили). А. Туманишвили -  
молодой прогрессивный писатель, загубленный царским  
правительством за связи с участниками Императорского  
восстания, был автором книги "Описание грузинского  
города Гори" (1816), в которой в характерном для  
романтических произведений стиле дается история и  
описание родного ему города. В мировоззрении автора  
чувствуется влияние идей просветителей"<sup>2</sup>.

XIX საუკუნის 50-იან წლებზე საუბრისას საგანგებო  
ყურადღებას იმსახურებს ისტორიკოსი და საზოგადო მოღ-  
ვაწე პლატონ იოსელიანი. ღვთისმეტყველების კანდიდატის  
ხარისხით პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დასრულების  
შემდეგ (1835) მოღვაწეობდა თბილისის სემინარიაში პედაგო-  
გის რანგში. რედაქტორობდა თბილისში გამოშვალ ქართულ-

---

<sup>1</sup> გ. ბუხნიკაშვილი, გორის თეატრი, თბილისი, 1965, 4.  
<sup>2</sup>



ენოვან გაზეთს „აკაკასიის მხარეთა უწყებანი“ (1845) და რუსულენოვან პერიოდულ გამოცემას „Закавказскія Ведомости“ (1845-1856), აქვეყნებდა ისტორიულ, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ წერილებს. აქტიურად თანამშრომლობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან. მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა აკადემიკოს მარი ბროსესთან. იყო ათენის არქეოლოგთა საზოგადოების ნამდვილი წევრი.

პლ. იოსელიანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლისა და გამოცემის საქმეში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ფოლკლორულ მასალას. გამოცემული აქვს ქართველოლოგიური პრობლემატიკისადმი მიძღვნილი რამდენიმე ათეული ნაშრომი<sup>1</sup>.

ზემოხსენებულ საქმიანობასთან ერთად პლატონ იოსელიანმა საკუთარი სიტყვა თქვა საქართველოს ქალაქების ისტორიის შესწავლის საკითხში. 1850 წელს თბილისში გამოცემულ ნაშრომში „Города, существовавшие и существующие в Грузии“ გარკვეული ადგილი გორს ეთმობა:

ქართლის ფერწერული ხეობის ცენტრში მდებარე ქალაქი გორი მნიშვნელოვანია, როგორც სიძველით, ასევე ადგილმდებარეობითაც. ქალაქს სამი მხრიდან მდინარეები ესაზღვრება, ხოლო მეოთხე ჩრდილოეთის მხარეზე გადაჭიმული ველები დაფარულია ვენახებით. ქართველი მემატიანეები გორს პირველად VII საუკუნის დამდეგს მოიხსენიებენ. ქალაქი უკანასკნელად გაამაგრა, გარნიზონით და იარაღით აღჭურვა მეფე ერეკლე მეორემ. მოსახლეობის რაოდენობით, ვაჭრობით და ლამაზი ნაგებობებით გორს საქართველოში პირველი ადგილი უკავია თბილისის შემდეგ.

---

<sup>1</sup> დამატებით ინფორმაციისათვის იხ. . . . .

"Гори. Город важный, как по своей древности, так и по местоположенію, в центре живописной долины Карталинской. Время основанія города в точности неизвестна; но глубокая древность его неоспорима. Название Гори произошло от слова "гори" означающаго по Грузински "холм". В самом деле, крепость города, неприступная до изобретенія огнестрельнаго оружія, находится на вершине высокаго утесистаго холма. Город расположен в богатой Карталинской долине, на берегу Кура, принимающаго, тут-же слившіеся два значительные притока, Ліахву и Меджуду. Таким образом с трех сторон окруженный реками, он открыт только с одной северной стороны, где растилаются обшиныя долины, покрытыя виноградниками. Грузинскія летописи в первый раз упоминают о Гори в начале VII века. Крепость на высокой горе, по сказанію летописцев, служила Византійскому Императору Ираклію запасным местом военных снарядов, во время войны с Персією... Теймураз старался усилить оскудевшее в нем населеніе, и украсил его садом с искусно устроенными контанами. Последнее укрепленіе города принадлежит предпоследнему Царю Грузіи Ираклію. И, снабдившему его орудіями и гарнизоном. Он-же возобновил и освятил в нем древнюю церковь. По числу жителей, торговле и красоте домов, Гори занимает в Грузіи первое место после Тифлиса, от котораго отстоит на 87 верст<sup>1</sup>. С самаго

---

<sup>1</sup> ვერსი - სიგრძის ძველებური რუსული ერთეული. უდრის 1,06 კმ-ს. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

присоединения к России, он сделан уездным городом, каким остается и ныне"<sup>1</sup>.

პლატონ იოსელიანის გარდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში არაერთი საინტერესო შრომის ავტორი გახლდათ ნ. ბერძენოვი. მის შესახებ (მაშინაც<sup>2</sup> და მომდევნო<sup>3</sup> პერიოდშიც), როგორც ქართული რეალისტური სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთ პირველ წარმომადგენელზე, არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოთქმულა. იგი გამოირჩეოდა მრავალმხრივი მოღვაწეობით. გაზეთ „Кавказ“-ის რედაქტორობისა და აქტიური ჟურნალისტური მოღვაწეობის გვერდით ეწეოდა საინტერესო ეთნოგრაფიული და ისტორიული ხასიათის შემოქმედებით საქმიანობას.

ნაშრომი „Краткій историческій и географическій указатель“<sup>4</sup> ავტორი ეხება გორში კათოლიკე მისიონერების<sup>5</sup> დამკვიდრების ფაქტს, რაც ერთ-ერთი საინტერესო შტრიხია გორის ისტორიის სრულყოფილად შესწავლისათვის.

---

<sup>1</sup> ი. (ი. ), , i  
i ( i  
i - ) , 1850, 41-43.

<sup>2</sup> , 1874;  
<sup>3</sup> ჯ. ჭუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1974;

<sup>4</sup> Н. Бердзенов, краткій историческій и географическій указатель, Тифлис 1864;

<sup>5</sup> საქართველოში კათოლიკე მისიონერთა შესახებ პლ. იოსელიანი წერდა: „ 1625 i i  
i , , ...“( . i ,

i , i , -  
1843, . 127);

<sup>6</sup> , i i i  
 , 1864, 15;

ზემოთ თქმულის მიუხედავად, გორის ისტორიის შესწავლას საგანგებო ღვაწლი დასდეს ალ. ჯავახოვმა (ჯავახიშვილი) და მოსე ჯანაშვილმა.

თბილისის საგუბერნიო გიმნაზიის სრული კურსის დასრულებისთანავე ალ. ჯავახიშვილი გაემგზავრა თელავის სამაზრო სასწავლებელში სასწავლებლად. საგანგებო გამოცდების ჩაბარების შემდეგ 1873 წელს მიენიჭა საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება. პედაგოგ-ინსპექტორის რანგში ერთხანს მოღვაწეობდა გორში.

ალ. ჯავახიშვილი დაჯილდოებული იყო წმ. სტანისლავის მეორე და მესამე ხარისხის და წმ. ანას მეორე და მესამე ხარისხის ორდენებით. აქტიურად მოღვაწეობდა, როგორც სახალხო განათლების, ასევე ისტორიის და არქეოლოგიის მნიშვნელოვან საკითხთა კვლევის მიმართულებითაც.

XIX საუკუნის 80-იან წლებში გამოქვეყნებულ მის საყურადღებო ნაშრომში „Город гори“ აქცენტი გაკეთებულია რკინიგზის მხრიდან გადაშლილ გორის სასიამოვნო ხედზე. სახლები, ბალები, ტაძრები, ქალაქზე აღმართული ფრიალო კლდე, რომლის წვერიც დაგვირგვინებულია დიდი ძველი ციხესიმაგრით და რომელიც ერთ დროს თამაშობდა წამყვან სტრატეგიულ როლს ქართლის ისტორიაში.

ასეთივე მშვენიერია გორი და მისი მიდამოების ხედი ციხესიმაგრის კოშკების სიმაღლიდან. ბალები, ბოსტნები, ცის სილურჯეში ჩაძირული კავკასიონის მთები, საქართველოს მფარველი წმინდა გიორგის სახელობის გორიჯვრის მონასტერი, იქ დაცული უზარმაზარი ვერცხლის ჯვრით, რომელიც თავყანისსაცემად იზიდავს დიდი რაოდენობით მომლოცველებს ქალაქის და მაზრის სხვადასხვა ადგილებიდან.

„Раскинувшись между горой, на которой возвышается крепость, обнесенная зубчатою стеною, и рекой Курой, г. Гори с виду довольно красивъ, в особенности со стороны линии железной дороги. Отсюда открывается

пріятная панорама домов, садов, церквей и возвышающагося над городом скалистаго утеса, вершина котораго увенчана большою старинною крепостію, игравшею когда-то видную стратегическую роль в исторіи Карталинїи. У подошвы этого утеса живописно группируются городскія постройки, перемешиваясь с садами и как бы утопая в зелени, а на фоне картины видны в далекой синеве величественные ледники Кавказских гор и между ними прячущіе в облаках свои вершины Эльбрус и Казбек. Правее крепости Ліахва и Меджуда шумно вливают свои воды в Куру. Особенно пріятное впечатленіе производит на наблюдателя богатство зелени, которою покрывается весною как самый город, так и поля, его окружающія.

Прекрасен также вид на Гори и его окрестности с высоты крепостных башен: внизу живописно группируются у подножья горы городскія постройки вперемежку с садами и огородами, на севере видны снеговія Кавказскія горы, утопающія в синеве неба, на юге, за Курою, высятся Гориджварскія горы, далее подымается несколько лесистых отрогов хребтов Гуджарети, Арджемни и Цкаро, а по сторонам стелется долина Куры, главный нерв Карталинїи. На другом берегу р. Куры, близ впаденія в нее Ліахвы, на вершине отдельно возвышающейсѣ молассовой горы в 800 фут. вышины над Курою, виднеется обнесенный зубчатою стеною старинный Гориджварскій монастырь, основанный во имя патрона грузїи, св. Георгїя, мощи котораго и огромный серебряный крест, хранящіеся в том монастыре, привлекают сюда на поклоненіе из года в год множество

богомольцев из города и разных мест уезда. Далее, в 2-х верстах от г. Гори виднеется, словно зеленая лента, деревня Хидистави, славящаяся своими прекрасными садами, дающими известное в Карталинии столовое вино<sup>1</sup>.

ა. ჯავახიშვილის ცნობით, იმ პერიოდისათვის (მხედველობაში გვაქვს XIX ს. II ნახევარი-ა.მ.) გორში 14 ეკლესიაა. აქედან მართლმადიდებლური – 6, სომხურ-გრიგორიანული – 7 და ერთიც რომაულ-კათოლიკური. შიგ ქალაქში განლაგებულია შვიდი ტაძარი, დანარჩენები კი ქალაქის სიახლოვეს სასაფლაოებზეა. უფრო მნიშვნელოვნად თავისი სიძველით და აშენების თავისებურებებით ითვლება: 1) მართლმადიდებლური ღვთისმშობლის ეკლესია, ძველი VI საუკუნის ხატით, რომელიც რომან ბიზანტიელმა გამოუგზავნა ბაგრატ კურაპალატს, 2) სომხურ-გრიგორიანული ეკლესია წმ. სტეფანეს სახელობის – მაღალი, ქვის პირმიდული გოთური სახურავით... 3) კათოლიკური აგებული XVII საუკუნეში კაპუცინელთა ორდენის მისიონერების მიერ<sup>2</sup>.

---

1 . . . . . i  
 . II, 1882, . 66-67;

<sup>2</sup> XVII საუკუნეში კათოლიკე მისიონერთა გორში მოღვაწეობის დეტალების გასაცნობად იხ. ა) დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ (ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ), თბილისი, 1976; ბ) ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975; გ) ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1994; დ) A. Mgebrishvili, Educational Aspect of Georgian-italian Relations and Its Development Stages, (International Conference For Academic Disciplines, Conference at the American University of Rome, Certificate issued in Rome, Italy (29 October – 1 november 2012), Journal of

ქალაქში 36 ქუჩაა. მათ შორის სამი საკმაოდ სწორი. გამორჩეულია სამეფო ქუჩა, რომელსაც ეს სახელი დაერქვა განსვენებული იმპერატორის ალექსანდრე მეორის გორში 1871 წლის ვიზიტის საპატივსაცემოდ. დანარჩენი ქუჩები განლაგებულია ყოველგვარი წესრიგისა და დაგეგმარების გარეშე. ამ ქუჩათა განმასხვავებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ წვიმების დროს ისინი განსაკუთრებით ტალახიანია, ხოლო სიმშრალეში კი მტვრით არის სავსე. ამგვარად, გორზეც შეიძლება გავრცელდეს ხარკოვის შესახებ არსებული გამონათქვამი – ავღარში სამელნე და სიმშრალისას სასილე. გორს ოთხი მოედანი აქვს. მათ შორის: არტილერის, საწონე, მტკვრისწინა და სათოფურის წინა.

როგორც დასახელებული ავტორის წყარო მიუთითებს, XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დამდეგისათვის გორი მჭიდროდ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს. 1873 წლის (იმ პერიოდში ბოლო) კამერალური აღწერის შესაბამისად აქ 6000 მოსახლეა. აქედან: რუსი - 254, ქართველი - 2250 და სომეხი - 3495. რაც შეეხება სასულიერო პირებს, მათი საერთო რაოდენობა (მართლმადიდებლური, სომხურ-გრიგორიანული, კათოლიკური) შეადგენს თორმეტს<sup>1</sup>.

რაც შეეხება შენობებს, კერძოდ საცხოვრებელ ნაგებობებს გორში, მათი საერთო რაოდენობაა 1360, საიდანაც 10 სახელმწიფო საკუთრებაა, ხოლო დანარჩენი კერძო სექტორის კუთვნილებას წარმოადგენს. მათი უმრავლესობა ქვის ერთსართულიანი შენობაა. ორსართულიან სახლებს აივ-

---

TEACHING AND EDUCATION, ISSN: 2165-6266, 2012 Volume 01, Number 07) და სხვ.

<sup>1</sup> А. Джавахов, Город Гори, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. II, Тифлис 1882, 69, 70, 71, 95.

ნები და გალერეა აქვთ მიშენებული. მალალ და მდიდრულ ნაგებობებში შესამჩნევია არაბული სტილი და ჩუქურთმები<sup>1</sup>.

თხზულებაში „Город Гори“ გამოკვეთილია მოსახლეობის სამი ფენა-ვაჭრები, ხელოსნები, მოსამსახურე კლასი: „Жители г. Гори слагаются, главным образом, из 3 сословий из коих преобладающей элемент составляют лица торгового сословия, за ними следуют ремесленники и, наконец, служащий класс“<sup>2</sup>.

როგორც ირკვევა, გორელ ვაჭრებს ამ პერიოდში სავაჭრო კონტაქტები ჰქონდათ არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ ნიჟეოროდში, მოსკოვში, ვარშავაში, ოდესაში, როსტოვში და ა.შ.

გორის ბაზარი აღმოსავლური იერისაა და შედგება 318 ფარდულისა და სახელოსნოსაგან. აქვეა 24 სამიკიტნო, 17 ღუქანი, 4 სასტუმრო, 3 საწყობი და 10 ღვინის სარდაფი. ასევე, ბუფეტი, არყის მაღაზია და სპირტის საწყობი. გორის ბაზარში 61 ერთეული კვების ობიექტია ერთი მეორის მიყოლებით განლაგებული, ხოლო სასტუმროები ძირითადად სამეფო ქუჩაზეა<sup>3</sup>.

ა. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს გორში სახალხო განათლების საკითხს. მას ჩამოთვლილი აქვს ის სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც იმჟამად ფუნქციონირებდნენ გორში, კერძოდ: 1) ამიერკავკასიის სამსწავლებლო სემინარია, 2) გორის ოთხწლიანი საქალაქო სასწავლებელი, 3) ოთხწლიანი მართლმადიდებლური სასულიერო სასწავლებელი, 4) ვაჟთა სასულიერო სომხური სას-

---

1	.	,	,	i	i
2	.	,	, . II,	1882, 69.	i
3	.	,	, . II,	1882, 88.	i
			, . II,	1882, . 89, 90.	i



წავლებელი, 5) ანასტასიას ქალთა პროგიმნაზია, 6) სომხური ქალთა დაწესებულები სკოლა.

„Для доставленія воспитанія подростяющему поколенію в Гори существуют слѣдующія учебныя заведенія:

1) Закавказская учительская семинарія<sup>1</sup>. Она открыта была 12 сентября 1876 года<sup>2</sup> по Положенію и штату, Высочайше утвержденному 8 апреля 1875 года, и первоначально имела целью приготовленіе народных учителей исключительно для местностей с христіанским населеніем закавказскаго края; с 23 же сентября 1879 года, в видах образованія учителей для школ в местностях с мусульманским населеніем, открыто при семинарії татарское отдѣленіе, Положеніе и штат котораго Высочайше утверждены 13 мая 1880 года. При семинарії для упражненія воспитанников в практическом преподаваніи существуют еще 4 начальныя училища: грузинское, открытое раньше других, 12 сентября 1876 года; армянское, открытое 1 сентября 1878 года; русское, открытое 8 января 1879 года, и татарское, открытое 1 сентября 1880 года. Семинарія состоит из трех нормальных классов и находящихся с ними в тесной органической связи двух приготовительных или просеминарских классов - старшаго и младшаго; из них послѣдній организован в видах привлеченія в семинарію тех молодых людей из татар 14-16 летняго возраста,

---

<sup>1</sup> სემინარია მოთავსებული იყო ქვით ნაშენ ორ შენობაში საერთო ეზოთი, თათარ მოწაფეთა პანსიონი კი ცალკე შენობაში. ორივე სახლი ეკუთვნოდათ ზუბალოვებს (ზუბალაშვილებს) და მიქირავებული იყო სემინარიისათვის წელიწადში 4000 მანეთად.

<sup>2</sup> სემინარიას ხელმძღვანელობდა ცნობილი რუსი მეცნიერი, მწერალი, პედაგოგი და მოღვაწე დ. სემიონოვი (1835-1903).

которые не в состояніи поступить в старшій приготовительный класс по своему развитію и недостатку знанія русскаго языка. Первый выпуск народных учителей из семинаріи был в 1879 г...

2) Горійское четырехклассное городское училище. Оно по положенію 31 мая 1872 года преобразовано из бывшаго уезднаго училища, существоваващаго с 24 ноября 1830 г. В настоящее время оно состоит пока из 3 классов...

3) Православное духовное училище. Оно состоит из 4 классов;

4) Армянское духовное мужское училище. Оно основано 13 іюля 1858 г., содержится на доходы от 3 армянских церквей.

5) Анастасіинская женская прогимназія. Она открыта 30 августа настоящаго года и состоит под покровительством Великой Княгини Анастасіи Михайловны.

6) Армянская женская начальная школа. Она содержится на доходы армянских церквей<sup>1</sup>.

ზემოთ მოტანილი ფაქტების გარდა, აღ. ჯავახიშვილი დასახელებულ ნაშრომში ეხება გორში არსებულ ფაბრიკა-ქარხნებს, ვაჭართა და ხელოსანთა საკითხს, ქალაქის შემოსავალ-გასავლის, სამედიცინო, კლიმატის, მეზღეობა-მეზოსტნეობის და სხვა საკითხებს. ცალკე ადგილი ეთმობა მსჯელობას უფლისციხისა და ურბნისის შესახებ.

XIX საუკუნის ქართველ ავტორთა შორის, რომლებმაც გორის შესახებ საყურადღებო ცნობები დატოვეს, მოსე ჯანაშვილს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი მიეკუთვნება.

---

<sup>1</sup> . . . , . II, 1882, . 101-108; i i

ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი და პედაგოგი მ. ჯანაშვილი ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთმცოდნეობის დამსახურებული პროფესორი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრი.

მ. ჯანაშვილს მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა ისეთ ქართველ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი, დიმიტრი ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე და სხვები. აქტიურად თანამშრომლობდა იმ პერიოდის ქართულ და რუსულ პერიოდიკაში. 1898 წელს არჩეულ იქნა საეკლესიო მუზეუმის გამგედ. მ. ჯანაშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა ქართულ განმარტებით ლექსიკონზე. 1906 წელს გამოსცა „ქართული გრამატიკა“. სხვადასხვა დროს ნაშრომები მიუძღვნა თბილისს, მცხეთას, არაგვის ხეობას, გორს. სწორედ ამ უკანასკნელს ეხებოდა 1904 წელს გამოქვეყნებული საინტერესო შრომა – „გორი და მისი შემოგარენი“, სადაც ავტორი ბრძანებდა, რომ გორი დღითიდღე შენდება, სწორდება და ფართოვდება ქუჩები, იგება ხიდები, ირგვება ხეები, ეწყობა ახალი საქალაქო ბაღი, ძველი ამორტიზებული შენობების ადგილზე შენდება ახალი, მყარი შენობები. ძველ ნაჭაობარ ადგილებზე შენდება ბოსტნები. გორში ძირითადი ქუჩებია: თბილისის და სამეფო, ამიტომ საუკეთესო სახლები, ბაზარი, დუქნები და სასწავლო დაწესებულებები სწორედ აქ მდებარეობს.

„Гори красивый уездный город. По данным Закавказскаго статистическаго комитета в 1902 году в нем считалось 10810 д. об. пола...

Главными улицами Гори считаются Царская и Тифлисская. Все лучшие дома города, а также базар, лавки и учебныя заведенія находятся на этих улицах.

Город Гори, можно сказать, пока обстраивается: улицы его выравниваются, мостятся, шоссировуются и обсаживаются деревьями; устраивается новый городской сад; дома, оставшіеся с "допотопных" времен, сносятся и на месте их возводятся новыя красивыя зданія; лужи и болота, на окраинах города, высушиваются и там, где вчера раздавалась "музыка" лягушек, сегодня уже цветут сады, зеленеют огороды. Но, несмотря на стараніе горійцев обевропиться, санитарное состояніе города все же не из завидных: в дождливое время улицы покрываются непролазною грязью, а в сухую погоду в городе бывает довольно пыльно<sup>1</sup>.

მითითებულ ნაშრომში საუბარი ეხება გორის სამკაულს – გორის ციხეს, გორს, როგორც განსაკუთრებული ადგილ-მდებარეობის მქონე სავაჭრო ცენტრს ქართლში<sup>2</sup>, მაგრამ მაინც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ოქონის ხატს<sup>3</sup>: „Из

---

<sup>1</sup> . . . , ( . . . i . . . i . . . ),  
<sup>2</sup> . . . 1904, 163-164;  
i . . . i . . . , ( . . . ),  
. . . 1904, 164;

<sup>3</sup> მ. ჯანაშვილის დასახელებულ ტესტში ოქონის ხატის შესახებ მსჯელობა მოცემულია პროფ. ი. ალიმბარაშვილის ნაშრომში: „ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან“, თბილისი 2012; კერძოდ, ი. ალიმბარაშვილი მიუთითებს, რომ გრაფინია უვაროვას მიერ სპილოს-ძვლის ტრიბიკონზე გაკეთებული წარწერის ამოკითხვისას დაშვებული შეცდომა გაასწორა მ. ჯანაშვილმა. გარდა ამ დეტალისა იგი ვახუშტი ბატონიშვილის, პრ. უვაროვას, დ. ფურცელაძისა და ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული ვახტანგ VI მიერ გარსევანიშვილებისადმი გაცემული 1717 (1708) წლის წყალობის სიგელის ირგვლივ საუბრობს და ხატის შესახებ რაიმე განსაკუთრებულ სიხლეს არ გვთავაზობს (ი. ალიმბარაშვილის დასახ. შრ. 31, 34);

других достопримечательностей города Гори заслуживает особенного внимания Оконская икона Богоматери“<sup>1</sup>. აქვე „ოქონას“ ეტიმოლოგიის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი მის გეოგრაფიულ წარმოშობას უნდა უკავშირდებოდეს და კონკრეტული დატვირთვა ამ სიტყვამ საქართველოში მხოლოდ მოგვიანებით შეიძინა.

ნაშრომში „Гори и его окрестности“ მ. ჯანაშვილი დასახელებულთა გვერდით ეხება: უფლისციხის, ატენის, გორიჯვრის და სხვა საკითხებს. ამასთან ეხება და ზოგადი შტრიხებით ახასიათებს ცნობილ გორელებს: გ. ჯანაშვილს<sup>2</sup>, გენერალ ი. ამილახვარს<sup>3</sup> [33], ვრცელ ადგილს უთმობს ბატონიშვილ ვახუშტისეული გორის დახასიათებას და მრ. სხვ.

ამრიგად, XIX საუკუნის რუსულ წყაროთა შორის, რომლებიც გარკვეულ ცნობებს გვაწვდიან გორის და მისი

---

<sup>1</sup> . . . , ( . . . i . . . ), . . . 1904, 166.

<sup>2</sup> გიორგი ჯანაშვილი - გორელი ისტორიკოსი, მეფეების როსტომის, ვახტანგ V და ვახტანგ VI თანამედროვე;

<sup>3</sup> ივანე ამილახვარი, მიეკუთვნებოდა საქართველოში ცნობილი არისტოკრატიულ გვარს. მოიწყო წარმატებული სამხედრო კარიერა. ფლობდა ერთ-ერთ ყველაზე მაღალ სამხედრო წოდებას, იყო - ინფანტერიის გენერალი. ი. გ. ამილახვარის მეუღლე 1804 წლის ანტირუსული ამბოხების ერთ-ერთი ხელმძღვანელის თავად ელიზბარ გიორგის ძე ერისთავის შვილთაშვილი - ანნა ალექსანდრეს ასული ერისთავი (1848-1934) გახლდათ. ანას ძმა შალვა (ვლადიმერ) (1863-1923) დაქორწინებული იყო თავადის ასულ ეკატერინე გიორგის ას. აბაშიძეზე (1872-1930). ეკატერინე აბაშიძე გახლდათ და სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერის - ივანე (კიტა) აბაშიძისა.

„По данным Тифлисского охранного отделения, особую роль среди грузинских националистов играли князя Иван Гивич Амилахвари и Георгий Александрович Багратион - Давидов“ (А. Островский, Кто стоял за спиной Сталина?), М., 2002, 551).

მიდამოების შესახებ, საგანგებო და გამორჩეული ადგილი უკავიათ ქართველ ავტორთა თხზულებებს. ამ შრომებში ბევრი საინტერესო ცნობაა დაცული გორის ისტორიის, კულტურის, განათლების და სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შესახებ.

#### **დამოწმებანი:**

1. ი. აღიშარაშვილი, „ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან“, თბილისი, 2012;
2. გ. ბუხნიკაშვილი, გორის თეატრი, თბილისი, 1965;
3. ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1994;
4. პ. რატიანი, ცოცხლად დამარხული ტალანტი, თბილისი, 1982;
5. ვ. ჭუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1974;
6. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ (ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ), თბილისი, 1976;
7. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მაგლობლიშვილმა, თბილისი, 1975;
8. А. Туманов, Описание грузинского города Гори. Санкт-Петербург, 1816;
9. Р. Ахвердян, Из истории русско-грузинских литературных взаимосвязей (Художественные произведения грузинских авторов, изданные на русском языке в дореформенной России), автореферат диссертации по филологии, Тбилиси, 1984;

10. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, П.И. Иоселиани. Очерк жизни и научно-общественной деятельности, Тбилиси, 1978;
11. П. Иоселіани, Города, существовавшие и существующие в Грузии (сочинение Действительного Члена Одесского Общества Истории и Древностей и Члена-Корреспондента С.-Петербургского Археологическо-Нумизматического Общества), Тифлис, 1850;
12. П. Иосселіани, краткая история Грузинской церкви, Издание второе, Санкт-Петербург, 1843;
13. Д. Бакрадзе, Бердzenов и его литературная деятельность, Тифлис, 1874;
14. Н. Бердzenов, краткий исторический и географический указатель, Тифлис, 1864;
15. А. Джавахов, Город Гори, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. II, Тифлис, 1882;
16. А. Островский, Кто стоял за спиной Сталина?, М., 2002.
17. М. Джанашвили, Гори и его окрестности, (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа), выпуск тридцать четвертый, Тифлис, 1904;
18. А. Mgebrishvili, Educational Aspect of Georgian-italian Relations and Its Development Stages, (International Conference For Academic Disciplines, Conference at the American University of Rome, Certificate issued in Rome, Italy (29 October – 1 november 2012), Journal of TEACHING AND EDUCATION, ISSN: 2165-6266, 2012 Volume 01, Number 07.
19. <http://ciagi.ge>

*Aleksandre Mghebrishvili*  
*Gori State Teaching University, Professor*  
**GORI ACCORDING TO THE 19<sup>TH</sup>-CENTURY RUSSIAN  
SOURCES (THE RUSSIAN EDITIONS BY THE  
GEORGIAN AUTHORS)**  
**RESUME**

Time after time we have been highlighting those circumstances that Gori have continually been particular line of foreign travellers and scientists. Obviously, Georgian authors as well were interested in the city of Gori describing its history, culture, education and traditions in their own works published in the Russian language in XIX century.

One of the first person giving us information about captured Gori is Avtandil Tumanovi (Tumanishvili).

In the late XIX c. N. Berdzenovi was the author of several interesting works. A lot of considerable ideas have been mentioned (in that period and afterwards as well) about him as being one of the first representatives of Georgian realistic literary criticism. He was distinguished by his all-round activities. While being the editor of the newspaper „Kavkaz“and doing some active journalistic activities, at the same time he was conducting quite interesting ethnographic and historic works.

Monumental contribution in studying of the history of Gori has been done by A. Javakhovi (Javakhishvili) and Platon Ioseliani.

Mose Janashvili has one of the distinguished places among XIX c. Georgian authors who collected a lot of interesting information about Gori. M. Janashvili who was a historian, a linguist, an ethnographer and a pedagogue was actively engaged in pedagogic activities. He was also the honoured professor of the Department of Antiquities at Tbilisi State University and the honoured member of Georgian



Historic and Ethnographic and Georgian Linguistic Associations.

M. Janashvili had friendly relationships with Georgian figures such as Akaki Tsereteli, Sergei Meskhi, Ivane Machabeli, Dimitri Bakradze, Iliia Chavchavadze and others. He also actively collaborated with Georgian and Russian periodicals of that time. In 1898 M. Janashvili was elected as the Head of Church Museum and for years he had been working over Georgian Explanatory Dictionary. In 1906 he published “Georgian Grammar”. At different times he dedicated his works to Tbilisi, Mtskheta, Aragvi Gorge, Gori. His very interesting article “Gori and its Environs” published in 1904 was just about Gori.

Thus, among XIX c. Russian sources giving us some references about Gori and its districts, there are distinguished works of Georgian authors as well. A lot of interesting information is given in these works about history, culture and education of Gori.

**ვირმას მონასტერი და ვირშელთა საგვარეულო**  
**(საკითხის შესწავლისათვის)**

1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში არსებული არაერთი სოფელი იხსენიება. დოკუმენტში ვკითხულობთ: „გორს რაც მცხეთის მამულნი და ვაჭარნი არიან, კუალად სოფელი ზერტი, თვისთა მამულით, ნასოფლარი სათიბი, სოფელი ქვეში, სოფელი დისევი, ფლავი, სოფელი ჩხრიკეთი, სოფელი სათიხარი და ვანათს ცხრა კომლი კაცი, სოფელი ქუაბნი, სოფელი ქორდი და პატარა მელვრეკისი, ერედს გილაძენი, ვირმას მონასტერი მთავარანგელოზისა-თვისთა შესავლითა; ქრცხინვალს ელიოზიძე ურია, მამულითა.“<sup>1</sup> დოკუმენტში მოხსენიებული სოფლებიდან დღესაც არაერთი არსებობს, ზოგიერთი მათგანი კი უკვე ნასოფლარია.\* დოკუმენტში მოხსენიებული ზოგიერთი სოფლის მდებარეობა დაზუსტებას საჭიროებს. საკათალიკოსო მამულების ნუსხაში იხსენიება სოფელი „ქვაბნი“. აღნიშნული

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, 177.

\* საკათალიკოსო მამულების ნუსხაში მოხსენიებული სოფლების ერთი ნაწილი დღეის მდგომარეობით უკუპირებულია 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად. ასეთია მაგ. პატარა ლიახვის ხეობაში არსებული რამდენიმე სოფელი: დისევი, სათიხარი, ვანათი, ერედვი, ეს უკანასკნელი დოკუმენტში იხსენიება ერედვის სახელწოდებით. იხ. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, 109; შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. I, თბ., 2002, 94.

სოფელი ჩვენი აზრით მდებარეობდა პატარა ლიახვის ზეობის ზემო წელზე. იგი სავარაუდოდ სოფელ ვანათს ესაზღვრებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი ვანათის აღწერისას წერს: „ვანათის ციხე შემუსვრილი განაახლა შანშემ. შემუსვრეს კუალად ყიზილბაშთა. ციხის უკან, ჩრდილოთ არს კლდე მაღალი, ქარაფოვანი, მჭურეტი ლიახვსა, და მას შინა ქუაბნი გამოკვეთილნი მრავალნი.“<sup>1</sup> არ არის გამორიცხული რომ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ საკათალიკოსო მამულების ნუსხაში მოხსენიებული „ქუაბნი“ თავდაპირველად ამ გამოქვაბულების გარშემო არსებულ დასახლებასაც ერქვა. ტოპონიმი „ქვაბთა“ რაც, ჩვენი აზრით, „ქუაბნის“ შეცვლილი ფორმა უნდა იყოს, გვხვდება უფრო მოგვიანებითაც. აღნიშნული ტოპონიმი იხსენიება 1894 წელს გაზეთ ივერიაში“ გამოქვეყნებულ ვ. მძინარაშვილის კორექსონდენციაში. წერილიდან ირკვევა, რომ ქვაფთა (ქვაფთის ჭალა) მდებარეობდა მდინარე დიცურის სათავესთან, სოფელ დიციდან ხუთი კერსის მანძილზე, რაც, ჩვენი აზრით, სწორედ ვანათთან ახლოს უნდა ყოფილიყო.<sup>2</sup> საკათალიკოსო მამულების ნუსხაში ყურადღებას იპყრობს დოკუმენტში მოხსენიებული „ვირშას მთავარანგელოზის მონასტერი თვისითა შესავლითა“. აღსანიშნავია, რომ ვირშის მონასტერი თავისი შესავალი მამულებით XV საუკუნის I ნახევრის დოკუმენტშიც გვხვდება. საქართველოს მეფემ ალექსანდრე I დიდმა ვირშის მთა და მონასტერი თავისი კუთვნილი სოფლებით განაახლებულ სვეტიცხოველს უწყალობა. 1431 წლით დათარიღებულ სიგელში კვითხულობთ: „და ვითარ გუმართებს, და ჩუენგან სათანადო არის, ეგრეთ კუალადვე ვინებეთ შემატება და გაზე-

---

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, 369.

<sup>2</sup> გაზ. ივერია 1894, № 226, 26 ოქტომბერი, გვ. 2; იხ. გ. სოსიაშვილი, დიციის ისტორია, თბ., 2010, 12.

დავება და შევსწირეთ და მოვასხენეთ ძუელითგან მეფეთაგან შემკობილი და აღშენებული და გადიდებული მთა ვირშისა, მონასტერი და მისნი შესავალნი ბადასშვილნი და ქორდი; და მას აქათ, ანუ მზღვარი ჰქონებიან მისითა მიმდგამითა, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქულითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მითთა და ბარიითა, მზღურითა, სამხრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა სამართლიანითა ყუალათა ერთობ უნაკლულოდ, მოგუიხსენებია თქვენ, დიდისა და ცათა მომბაძავისა მცხეთისა საყდრისათუის და თქუენისა მპყრობელისა ჩუენისა სულისა მოძღურისა და მეოხისა კათალიკოზისა თეოდორესათუის: მოგუიხსენებია ძუელითგან ჩუენითა მომავალთა მეფეთაგან გადიდებული და შემკობილი ვირშა მთა და მონასტერი და მისნი შესავალნი, ქორდი და ბადასშვილნი და მას აქათ რაცა ძუელითგან მთას და ანუ მამულნი, ანუ გლეხნი და ზღვარნი, და პარტახტნი ჰქონებიან, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქულითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მითთა და ბარიითა, სახმრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა მიმდგამითა, სამართლიანითა ყუალათა, ყ(ოვლა)დვე უნაკლულოდ... არას ჟამისა შემოსრულობისა და გამოცვალებისათვის არ მოგეშალოს და ვერვინ იკადროს ამისად სარჩლად და ცილებად, ვითა ჩუენითა მომავალთა მეფეთაგან აღშენებულისა და გადიდებულისა და პატივცემულისა და აწ ჩუენგან ახლად შემოწირულისა და სამკუიდროდ მოხსენებულისა დაცილება არავის მართებს აგრე. და ვინცა დაგეცილოს, პირნი და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ. და ვირშისა მთისა და მონასტრისა და მისთა შესავალთა, ვითა არვინ ღირსა, ყოვლისაგან კაცისაგან უაჯო არის. და დალათუ ვისმე შემოტყუვილითა ანუ მამული ანუ გლეხნი და ანუ ზღუარი და ყანა და ვენახნი დიდი, გინდა მცირე გამოეაჯოს, იგი ყუალა ამა დაწერილითა გაგუიციუდებია და მტკიცე ესეოდენ არის. ამა *ვირშისა სახლისა* ულუფა

ძუელითგანვე ჩუენთა მეფეთაგან ამოკუეთილი და გაშუებული არის და მას აქეთ, როგორცა სხუანი მცხეთისა მამულნი შუევალნი არიან, აგრეთვე ესე შუევალად და თარხნად მოგუიხსენებია და არასთანა სათხოვარი არაოდეს ეთხოვბოდეს.“<sup>1</sup> ზუსტად ძნელია ვირშას მთის და მონასტრის ლოკალიზება, თუმცა, ჩვენი აზრით, იგი პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობდა, სოფელ ქორდთან ახლოს, რადგან ვირშის „შესავალნი“ იყვნენ სოფელი ქორდი და ბადას-შვილნი, რომლებიც ვირშასთან ერთად სამეფო ხელისუფლებას კათალიკოს თეოდორესთვის გადაუცია. საკათალიკოს მამულების 1392 წელის სითარხნის გუჯარიდან ჩანს, სოფელი ქორდი საკათალიკოსო მამულებში შედიოდა. სავარაუდოა, რომ იგი ცოტა უფრო გვიან სამეფო ხელისუფლებისაგან ვირშის მონასტერს გადაეცა. აღნიშნული მონასტერი, როგორც ჩანს, სამეფო კარისაგან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო, სწორედ ამაზე მეტყველებს ალექსანდრე I მიერ გაცემულ სიგელში არსებული ჩანაწერი „ძუელითგან მეფეთაგან შემკობილი აღშენებული და გადიდებული მთა ვირშისა, მონასტერი“. სავარაუდოდ ვირშის მთაზე ძველი დროიდანვე სამონასტრო ცხოვრება წარმოებდა და სამეფო ხელისუფლება ვირშის მთას და იქ არსებულ მონასტერს დახმარებას უწევდა. აღნიშნული საბუთის გარდა, ვირშის მონასტერი სხვა დოკუმენტებშიც იხსენიება, მაგ., 1447 წლის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯრის მიხედვით ალექსანდრე I ძემ გიორგიმ სხვა მამულებთან ერთად საპატრიარქოს ხელახლა დაუმტკიცა მამულები, ამ მამულებში მოხსენიებულია ვირშის მონასტერი: „ვირშა მისითა შესავლითა“. დოკუმენტში აღნიშნულია: „ესე სულკურთხეულსა მამასა ჩუენსა მეფეთა მეფე-

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო ტარხნიშვილმა და ბაბილინა ლომინაძემ, თბ., 2013, 171-172.

სა ალექსანდრეს შე[ე]წირნეს თარხნად თავისუფლად და შეუვლად დაემტკიცნეს. აწ ჩუენ ახლად გუჯრითა ამით ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ ყოვლისა სათხოვარისა და გამოსალებისაგან.“<sup>1</sup> ვირშის მონასტერი საკათალიკოსო მამულებში შედიოდა ასევე 1559 წლის მონაცემებით. ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში ჩამოთვლილია საპატრიარქოს კუთვნილი სოფლები, მათ შორის პატარა ლიახვის ხეობაში: „კულობის სამი საგლეხო: გეგელიშივილი, ლიპარიტაშივილი და მიქლუტაური, ვირშა მისი შესავლითა...“<sup>2</sup> 1574 წლის 14 მარტით დათარიღებული წყალობის წიგნის თანახმად, ქართლის კათალიკოსმა ნიკოლოზმა სოფელ ყურისუბნის სანაცვლოდ ვახტანგ ბატონიშვილს რამდენიმე სოფელი გადასცა, მათ შორის ვირშაც. დოკუმენტში კვითხულობთ: „ქ. ნებიტა და შეწეგნითა ღმრთისათა, კითხვითა, მოწმობითა და ბრძანებითა მეფისა პატრონისა სუიმონისითა და დედოფლისა პატრონისა ნესტანდარეჯანისითა ჩუენ, ქართლის კათალიკოზ-პატრიაქმან ნიკოლოზ და ყოველთავე მცხეთისშივილთა მოგახსენეთ და მოგეცით თქუენ, პატრონიშივილსა პატრონსა ვახტანგს ყურისუბნის სანაცვლოდ: მონასტერი და სოფელი ვირშა მისითა შესავლითა რარიგადცა სუეტიცხოველს შემოსწირვია... ყელქცეულს ვირშის შეწირულნი მიწანი რარიგადცა აქამდი ჩუენ გუქონებია; ესე მოგუიბარებია და დაგუინებებია ყურისუბნის სანაცვლოდ.“<sup>3</sup> როგორც ამ დოკუ-

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ, III, 191.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ, III, 265.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ, III, 277-278.

\* აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი ოდნავ განსხვავებული სახით აქვს გამოქვეყნებული თ. ჟორდანიას. საბუთს თან ახლავს მკვლევრის მინაწერი: 1574 წ. ნუსხა მცხეთისა № :მ სვიმონ მეფე სწერს: „...მონასტერი და სოფელი ვირშა მისითა შესავლითა რა გვარადაც სუეტი-ცხოველს შემოსწირვია წასწყალს(?) არჩვაძეები ერისთავს რომ შამოუწირავს მითვე წესითა, ერეთს გ-ლაშქლი (sic) მისითა მამულითა,

მენტიდან ჩანს, ვირშას სახელით არსებობდა როგორც მონასტერი, ისე სოფელი. ხოლო ალექსანდრე I მიერ სვეტიცხოვლისადმი მიცემულ სიგელში იხსენიება „მთა ვირშისა, მონასტერი და მისი შესავალნი ბადასშვილნი და ქორდი“. ჩვენი აზრით, ვირშის მთა, ასევე სოფელი ვირშა და აქ არსებული ვირშის მონასტერი, ერთ ტერიტორიულ ერთეულში მდებარეობდა. ვირშის მონასტერს თვითონაც გააჩნდა თავისი მამულები. მათ შორის, სოფელ ყელქცეულში „შეწირულნი მიწანი“. როგორც აღვნიშნეთ ყელქცეულში არსებული ვირშისათვის შეწირული მამულები ფიქსირდება ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებულ ნიკოლოზ კათალიკოსის სიგელში, ასევე ამ სიგელის თ. ჟორდანიასეულ ვარიანტშიც. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ სვეტიცხოვლის კუთვნილი მამულები, მათ შორის სოფელი ვირშა და ვირშის მონასტერი, საპატრიარქომ სამეფო კარისაგან რამდენიმე წლის შემდეგ ხელახლა გამოითხოვა. კათალიკოსმა დომენტიმ მუხრანთან ახლოს არსებული სოფელი ყურისუბანი ვახტანგ ბატონიშვილს გადასცა და სანაცვლოდ სვეტიცხოვლის მამულები უკან დაიბრუნა. 1595 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „მას ჟამსა, ოდეს თქუენის ძმის მეფის პატრონის სუიმეონისგან მუხრანს სოფელი ყურისუბანი სამამულოდ და სამკუიდროდ მოგცემოდა. ამას წინათ კურ-

---

ზაკვ მისითა ზღურითა, სათახი... ქორდს... ხომატე, ლუკერისი. ..მელუკერის ვენახი... ახალდაბას... საგლეხოები, რაც ვარდანს შემოუწირავს, ყელქცეულს ვირშის შეწირულნი... ესე მოგვბარებია და დაგვნებებია ყურის უბანის სანაცვლოდ.. ქ-კ:სიბ:თუესა მარტსა:ილ:“ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, 1897, 415. ჩვენი აზრით, ეს დოკუმენტი უნდა წარმოადგენდეს პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებულ ზემოთ დამოწმებული ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის სიგელის ასლს. იმ სიგელის, რომელიც მან ვახტანგ ბატონიშვილს უბოძა და სვეტიცხოვლის მამულების სანაცვლოდ ყურისუბანი გამოართვა. თ. ჟორდანიამ, ჩვენი აზრით, ამ დოკუმენტის დაზიანებული ასლი ამოიკითხა და სიგელი სიმონ I მიაწერა.

თხეულს კათალიკოსს პატრონს ნიკოლოზს ზემო ქართლს ქორდი და რაცა სხუა მის გარშემო საყდრის მამული იყო, თქუენთვის ყურისუბანზედ გაეცვალა; ამისთვის, ვითა ყურისუბანი საყდარსა უფრო ახლო ახლდა. აწე არცა თქუენ მოგზდომოდა კარგად და არცა სუეტმან ცხოველმა იპრიანა. აწე თქუენივე ყურისუბანი თქუენვე დაგიდევით და საყდრისა მამული საყდარსავე დაანებეთ.<sup>1</sup> თუ დაუუკვირდებით ამ დოკუმენტში არსებულ ჩანაწერს: „ზემო ქართლს ქორდი და რაცა სხუა მის გარშემო საყდრის მამული იყო“. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქორდის გარშემო არსებულ საყდრის მამულებში სოფელი ვირშა და ვირშის მონასტერიც იგულისხმება, ჩვენი აზრით, ვირშა ქორდთან ახლოს მდებარეობდა. ზემოთ წარმოდგენილ 1431 წლის ალექსანდრე I სიგელში კიდევ ერთი საინტერესო დეტალი გვხვდება: „ამა ვირშისა სახლისა ულუფა ძუელითგანვე ჩუენთა მომავალთა მეფეთაგან ამოუკუეთილი და გაშუებულ არის“. რას ნიშნავს „ვირშისა სახლისა ულუფა.“ ხომ არ არსებობდა ვირშელთა სახლი, ვირშელთა საგვარეულო, რომელიც უკავშირდებოდა ვირშის მთას, ან სოფელ ვირშას. რაკი წყაროებში ამ საგვარეულოს შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება, ძნელია ვარაუდის გარეშე ვისაუბროთ. საინტერესოა, რომ ქართულ ონომასტიკონში გავრცელებული საკუთარი სახელი იყო ვირშელი. ვირშელი, როგორც საკუთარი სახელი გვხვდება ქსნის საერისთავოში. XIII-XIV საუკუნეში ქსნის ერისთავთა საგვარეულოში რამდენიმე ვირშელია ცნობილი.<sup>2</sup> ვირშელი, როგორც საკუთარი სახელი გვხვდება ასევე თიერის მონასტრის 1432 წლის სიგელში, სადაც დაფიქ-

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 348.

<sup>2</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, 26-27.



სირებულია ვირშელ იალღუზისშვილი.<sup>1</sup> ვირშელი გავრცელებული სახელი იყო ჯავახიშვილთა საგვარეულოში, 1504-1516 წ.წ. მცხეთის სიგელში იხსენიებიან ჯავახიშვილთა საგვარეულოს წევრები, მათ შორის: ვირშელი, გამრეკელი, ქვეშელი, ეს სახელები სადაურობის აღმნიშველი სახელებიდან არის ნაწარმოები. ასეთივე ნაწარმოები საკუთარი სახელია მაჩაბელი, რომელიც საკუთარი სახელის ფორმით გვხვდება თირის მონასტრის სამრეკლოს წარწერაში.<sup>2</sup> საკუთარი სახელის ვირშელის გავლენით შემდგომში გაჩნდა გვარი – ვირშელიშვილი.<sup>3</sup> ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან ვირშელაშვილი იხსენიება 1473 წლის სიგელში. ვირშელაშვილები, როგორც ჯავახიშვილთა ყმები მოხსენიებულნი არიან 1527-1558 წ.წ დათარიღებულ ჯავახიშვილთა გაყრის დოკუმენტში, ისინი ამ დროს ხანდაკეში ცხოვრობდნენ.<sup>4</sup> ვირშელაშვილის გარდა ქართულ დოკუმენტურ წყაროებში გვხვდება ვირშელიშვილის გვარი. ვირშელაშვილებისაგან განსხვავებით ვირშელიშვილების საგვარეულო ქვემო ქართლში, კერძოდ საბარათიანოს სიახლოვეს ცხოვრობდა და ის ფეოდალურ სახლს წარმოადგენდა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს 1670 წლით დათარიღებული დოკუმენტი: „განჩინება შაჰნავაზ მეფისა ბარათაშვილებისა და ვირშელიშვილების სასისხლო საქმეზე“. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ბარათაშვილები და ვირშელიშვილები ერთმანეთს მამულებს ედავებოდნენ. საბოლოოდ ქართლის მეფემ პაპუნა და შანშე ვირშელიშვილების

---

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ, ტ. II, თბ., 2013, 180.

<sup>2</sup> ნ. ანდლულაძე, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976, 36.

<sup>3</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II, 194.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. IV, თბ., 1972, 40.

მაძულებიდან რამდენიმე სოფელი, მათ შორის: სოფელი აბანო, ასევე სოფელი სენების თოფრაცაღა, ნასოფლარი ბაღჩალარი ყაფლან ბარათაშვილს და მის შვილებს გადასცა.<sup>1</sup> შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ვირშელი“ ძველ ფეოდალურ გვარს წარმოადგენდა, საიდანაც წარმოიქმნა საკუთარი სახელი ვირშელი, ხოლო შემდეგ გაჩნდა გვარი ვირშელაშვილი. აღსანიშნავია, რომ ასეთი პრაქტიკა სხვა ქართულ გვარსახელებშიც გვხვდება. მაგ. მაჩაბელი მომდინარეობს აჩაბეთიდან. აღნიშნული გვარიდან გაჩნდა საკუთარი სახელი მაჩაბელი, ხოლო შემდეგ წარმოიქმნა გვარი მაჩაბელაშვილი.<sup>2</sup> საფიქრებელია, რომ ვირშელთა გვარი შიდა ქართლში ისეთივე ძველი იყო, როგორც ფხუენელნი, ყანჩაელნი და სხვ. ასეთ საგვარეულოებს იცნობს „მატიანე ქართლისა“, სადაც X საუკუნის ამბების გადმოცემისას აღნიშნულია: „აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვილოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი.“<sup>3</sup> ჩვენი აზრით ვირშელთა საგვარეულოს მიუთითებდეს ალექსანდრე I მიერ მცხეთისადმი ბოძებულ სიგელში არსებული ჩანაწერი? „ამა ვირშისა სახლისა ულუფა ძუელითგანვე ჩუენთა მეფეთაგან ამოკუეითლი და გაშუებული არის“. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეში „ძეგლი ერისთავთა“, მოხსენიებული „ვირშელი“, აკად. ექვთიმე თაყაიშვილს ქსნის ერისთავთა ერთ-ერთ განშტოებად მიაჩნდა, ისევე როგორც ლარგველი და ქვენიფხველი. მისი თვალსაზრისით, ვირშელი ქსნის ერისთავთა მესამე განშტოება იყო, რომელიც ვირშას უკავშირდებოდა, ვირშაში, მეცნიერის აზრით, ციხე-სიმაგრე და მონასტერი არსებობდა,

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 125-126.

<sup>2</sup> ვ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005, 41.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, 268.

ოღონდ როგორც მიუთითებდა, მისი ადგილმდებარეობა უცნობი იყო.<sup>1</sup> ქსნის ერისთავთა წინაპრებს რამდენიმე საგვარეულოს უკავშირებდა პლატონ იოსელიანი. მისი აზრით, ეს საგვარეულოები იყო: ბიბილურები, ბურსელები, ქვენიფნეველები და ვირშელები.<sup>2</sup> დ. გვრიტიშვილი არ იზიარებდა არც ე. თაყაიშვილის და არც პ. იოსელიანის მოსაზრებებს და „ძეგლი ერისთავთაში“ მოხსენიებულ ლარგველს და ქვენიფნეველს ქსნის ერისთავთა სხვადასხვა შტოებად კი არა, არამედ ერთი და იგივე პირად მიიჩნევდა.<sup>3</sup> ჩვენი აზრდავოა, რომ ვირშელთა ფეოდალური სახლი, მერმინდელ ქსნის ერისთავთა კუთვნილ ტერიტორიაზე არსებობდა. რაკი ალექსანდრე I სიგელში ვირშის შესავალნი ქორდი და ბადაშვილნი იყო, როგორც აღვნიშნეთ, სავარაუდოდ, იგი ქორდის სიახლოვეს მდებარეობდა. არ არის გამორიცხული, რომ ტერიტორიაზე, სადაც მოგვიანებით ქსნის საერისთავო ჩამოყალიბდა, პირველობისთვის რამდენიმე ფეოდალური სახლი ერთმანეთს ებრძოდა და ვირშელთა სახლი ამ ბრძოლებს შეეწირა, ისინი სავარაუდოდ ქვენიფნეველებმა დაამარცხეს და პირველობა ჩამოართვეს. ალექსანდრე I კათალიკოს თეოდორეს არამარტო ვირშას მთა და მონასტერი უბოძა არამედ „მისნი შესავალნი ბადაშვილნი და ქორდი“. როგორც აღვნიშნეთ, ქორდი მდებარეობს პატარა ლიახვის ხეობის შუა წელზე.<sup>4</sup> ქორდში დღემდე

---

1

, . V, „. 1915. . 77-80; ე. თაყაიშვილი, ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, 1951, 4.

2

, საქართველოს სასულიერო მასხარებელი, ნომერი, 1865, 69.

<sup>3</sup> დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, 56.

<sup>4</sup> გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან (სოფელი ქორდი), თბ., 2007, 7.

ცხოვრობენ სიგელში მოხსენიებული ბადაშვილები. ბადაშვილთა საგვარეულო ჯინჯიხისძეთა საგვარეულოდან მომდინარეობს და როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, ჯინჯიხისძე - ბადაშვილები ვირშის მთავარანგელოზის ტაძრის საგანძურის მცველები ყოფილან. ამას ადასტურებს 1453 წლის მცხეთის სიგელი, სადაც ვკითხულობთ: „...ესე სიგელი მოგახსენეთ თქვენ ვირშის წ-თა მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელს, ქართლისა პატრიარქს დავითს და თქვენთა მკუიდრთა მეგანძურთა სახლისა თქვენისა უხუცესთა ჯინჯიხისძეთა ბადაშვილთა გრიგოლს და შენტა შვილთა ბადასა და ბევროზს და შენტა ძმისწულთა შალვას და ივანეს. .. მე უჯარმელმან(ფავნელმან?), ჩემმა შვილმან შალვამ მას ჟამსა, ოდეს გაგიცვალეთ ჰჯიკას ძესა (უჯიკასძისა) ოქროთა ნასყიდსა და მიქაურსა მამულსა ზედა მოგუახსენეთ (მოგახსენეთ) ქუბემური (ქუბებური) მამული ჩარეხელას შვილითა გერასიმისძისეული მამული... სახლითა, კარითა.. ჭურითა... მოგუიხსენებია ჩუენ უჯარმელსა ფავანელსა... თქვენ ვირშის თავს წ-თა მთავარანგელოზთათუის ესე მამული და გლეხნი... არა მოგეშალოს“.<sup>1</sup> აქ ნახსენები „მკუიდრთა მეგანძურთა“, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ჯინჯიხისძე-ბადაშვილებს ვირშის მთავარანგელოზის საგანძური ძველი დროიდან ჰქონდათ ჩაბარებული. ბადაშვილები შედარებით გვიანდელ დოკუმენტურ წყაროებში კათალიკოსის ყმები იყვნენ. 1694 წლის დოკუმენტის თანახმად ნიკოლოზ კათალიკოსმა გიორგი გელევანიშვილს ქორდში მცხოვრები ბადაშვილების მამული გადასცა.<sup>2</sup> უფრო გვიანდელი პერიოდის დოკუმენტით დასტურდება ადგილის სახელწოდება „ბადაანი.“ ანტონ I კათალიკოსმა გიორგი გელევანიშვილს უბოძა „ჩვენის ეკლესიის ყმების მოურავობა,

---

<sup>1</sup> თ. ჟორდანი, ქრონიკები, ტ. II, 272.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 603-604.

ბადანიისა და ხოდელისა.“<sup>1</sup> ნიკოლოზ კათალიკოზის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ სიგელში, რომელიც 1687 წლით არის დათარიღებული, ჩამოთვლილია კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისადმი გაწეული ღვაწლი, სადაც აღნიშნულია, რომ „კიდევ ნასოფლარი ბადანი ავაშენე“.<sup>2</sup> როგორც ჩანს, ვირშის მონასტერს ეკუთვნოდა „შესავალნი ქორდი და ბადასშვილნი“, ანუ ბადასშვილების მამული (მცირე სოფელი),\* სწორედ აქ ცხოვრობდნენ ვირშის მთავარანგელოზის „მეგანძურნი“ ჯინჯიხასძე-ბადასშვილნი, რომლებიც მათი სოფლის განადგურების შემდეგ ქორდში გადმოსახლდნენ. მოგვიანებით ნიკოლოზ კათალიკოსმა „ბადანი“ იგივე ბადანი ხელახლა მოაშენა და სვეტიცხოველს გადასცა. უფრო გვიან, XVIII საუკუნეში აქ ჩრდილოეთიდან ჩამოსული ოსები დაასახლეს, რომლებიც საეკლესიო ყმები გახდნენ. ანტონ კათალიკოსმა მათი მოურაობა გიორგი გედევანიშვილს უბოძა. სწორედ ამას უნდა ასახავდეს სიტყვები: „ჩვენის ეკლესიის ყმების ოსების მოურაობა ბადანიისა და ხოდელისა“. ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ:

1. ქართლში, კერძოდ, პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ ქორდის სიახლოვეს ვირშას სახელით არსებობდა: მთა, მონასტერი და სოფელი.

2. 1431 წლის მცხეთისადმი დაწერილ ალექსანდრე I სიგელში მოხსენიებულია „ვირშისა სახლი“, რომლის „ულუფა“ მეფეთაგან „ამოკუეთილი“ და „გამუებული“, ანუ დაუ-

---

<sup>1</sup> გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, 78.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 592.

\* შესაძლოა ბადასშვილებს სწორედ ვირშის მთავარანგელოზის ტაძრის წინაშე არსებული დამსახურების გამო გადაეცათ მამული მონასტერთან ახლოს. საგანძურის მცველები მონასტრიდან შორს ვერ იცხოვრებდნენ.

ბეგრავი და ხელშეუხებელი იყო. ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ შიდა ქართლში ადრეფეოდალურ პერიოდში შესაძლებელია არსებობდა აზნაურ ვირშელთა სახლი (როგორც ფხუენელები, ტბელები, კორინთელები, ყანჩაელეზი), სავარაუდოდ ისინი სოფელ ვირშის მკვიდრნი იყვნენ და აქედან მომდინარეობს მათი გვარი, რომლის ამოგარდნის შემდეგ ვირშელთა მამული სამეფო ხელისუფლებისაგან ეკლესიას გადაეცა. სადაურობის აღმნიშვნელი სახელი — ვირშელი საკუთარ სახელად იქცა. ეს სახელი განსაკუთრებით გავრცელდა ქსნის საერისთავოში. ვირშელთა სახლის მამულები (პატარა ლიახვის შუა წელი) ემიჯნებოდა ერისთავთა მამულს და მოგვიანებით ეს ტერიტორია ქსნის ერისთავთა ფეოდალური სახლის საკუთრება გახდა. საკუთარი სახელი ვირშელი ერისთავთა გვარში გავრცელებულ სახელად იქცა.

3. ვირშას მონასტერი (მთავარანგელოზების-მიქაელის და გაბრიელის სახელობის), სოფელი ვირშა და ვირშას მთა სავარაუდოდ ქორდის სიახლოვეს, მდ. პატარა ლიახვის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა, რადგან მონასტრის საგანძურის მცველები ჯინჯიხისძე-ბადაშვილები ჯერ ბადაანში ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ ქორდში დამკვიდრდნენ. აღსანიშნავია, რომ ბადაშვილების გვარი დღესაც ცხოვრობს სოფელ ქორდში.

***Giorgi Sosiashvili***  
*Gori State Teaching University, Professor*  
**VIRSHA MONASTERY AND VIRSHA FAMILY**  
**(FOR STUDYING THE ISSUE)**  
**RESUME**

In Kartli, namely, in Patara Liakhvi Valley, near the village of Kord there was a mountain, a monastery, and a village named Virsha. In 1431 charter written by Alexander I addressed to Mtskheta is mentioned Virsha House, income of which was untaxed and untouched from Kings. This is a reason to suppose that in early feudal period in Shida Kartli there could be a house belonging to Virsha noblemen (just like inhabitants of Pkhuensi, Tbeti, Korinthos, Kancheti). Supposedly, they were inhabitants of the village of Virsha and hence their surname, after disappearance of which Royal state transferred their estate to church. The name – Virsheli, denoting a birth place, turned into a proper name. The name became particularly popular in Ksani area. Estate of Virsha inhabitants' house (middle part of Patara Liakhvi) was bounded to Eristavi estate, and later that territory became the property of Eristavi feudal house. A proper name Virsheli became popular among Eristavi family. Virsha monastery (named after Archangels – Michael and Gabrielle), the village of Virsha and the Mountain of Virsha likely was situated near Kordi, on the left bank of Patara Liakhvi, because guardians of monastery treasure – Jinjikhadze – Badashvilis first lived in Badaani, and then moved to Kordi. It is notable, that people with surname Badashvili still live in the village of Kordi.

**ერეკლე II-ის ურთიერთობების რამდენიმე საკითხი  
იმერეთთან და ახალციხის საფაშოსთან (ხოჯავანთ იოვანეს  
„მისიონარული დღიური-წერილების“ მიხედვით)**

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული წარსულის შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი წყარო არსებობს. ესენია: ბექა-ალბუღას „სამართლის წიგნი“ (XIV ს); „მესხური დავითნის ქრონიკები“ (XVI ს); „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (XVI ს); ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (XVIII ს); ივ. გვარამაძის მიერ 1892 წელს ახალციხეში გადაწერილი „საისტორიო მისიონარული დღიური წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი“ (XVIII-XIX სს) და სხვ.

ეს უკანასკნელი საქართველოს გვიანი ფეოდალური ხანის ეპოქალური მოვლენების ამსახველი ნარატიული თხზულებაა. მისი ავტორი იოვანე, ქრონიკების დამწერი ხოჯავანთი ანუ ხოჯაშვილი ახალციხელი ქართველი კათოლიკე ყოფილა (იდგა სომხურ-კათოლიკურ რიტზე). იგი თავის თავს ხუცესობით იხსენიებს. ხოჯევანი ანუ ხოჯასშვილი საქმიანობის აღმნიშვნელი ტერმინია. ხოჯა ქართულად მწერალს, მასწავლებელს ნიშნავს. იოვანე დაბადებულია ქალაქ ახალციხეში, რაბათში. სავარაუდოა, რომ 1763 წლისთვის 30-ოდე წლის უნდა ყოფილიყო. ... რომიდან დაბრუნებული, მღვდლად ნაკურთხი სოფელ უდეს ეკლესიის წინამძღვრად მუშაობდა”.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი, ახალციხე, 2011, 850.



გარკვეული დროით იოვანეს ქუთაისში უხდება მღვდელმსახურება. ხუცესი ქუთაისში 1777 წლამდე ცხოვრობდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იოვანე იმერეთში შესაძლოა უფლისწულთა და საერთოდ, სამეფო ოჯახის შვილთა აღმზრდელადაც ყოფილიყო მიწვეული. ასეთი საქმიანობით, იგი დაახლოებული ჩანს ახალციხის საფაშო სახლთან.<sup>1</sup>

იოვანეს დასავლეთ საქართველოშიც მოღვაწეობის გამო მისი „ღლიურ-წერილების“ გეოგრაფიული არეალი ფართოვდება, ქრონიკის ავტორის თვალთახედვის ორბიტაში იმერეთიც მოექცა. რაც მთავარია, სოლომონ I-ის კარზე განვითარებულ ამბებს ხუცესი თვითმხილველის სიზუსტით აღწერს, ეს გარემოება კი თავის მხრივ წყაროს სანდოობის ხარისხს ამაღლებს და მას მეტ დამაჯერებლობას სძენს.

1783 წლიდან ხოჯავანა ახალციხეს დაუბრუნდა. იოვანე მრავალმხრივ საინტერესო ადამიანია და შინაარსიანი ცხოვრება აქვს. ცალკე განხილვის თემაა მისი პედაგოგიური საქმიანობა ახალციხის კათოლიკეთა ქვემო ეკლესიის სკოლაში. სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია მის მიერ მომზადებული გაკვეთილების გეგმა-კონსპექტები, ნახაზები, მოსწავლეთა გვარები. „იოანე ხუცესის მემკვიდრეობას ამდიდრებს: თეოლოგიური ხასიათის ვარჯიშობანი, კათოლიკური ლექციონარის თარგმანები, სოლომონ I-ის კარზე გამოცემული წყალობის სიგელები, მისი ქცევითი ხასიათის ჩანაწერები, გაკვეთილის შედგენილობა, ტექსტოლოგიური საწყისების შესწავლის ცდა“.<sup>2</sup>

მამა იოვანეს ქრონიკებში ვეცნობით მესხეთში 1763-1809-1842 წლებში არსებულ რთულ და მრავალფეროვან ცხოვრებას; დროთა განმავლობაში ტრანსფორმირებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას; ზემო ქართლში არსებულ

<sup>1</sup> ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი, 498-499.

<sup>2</sup> ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი, 493-499.

კონფესიურ დაპირისპირებებს; ახალციხის საფაშოს, როგორც საქართველოს ერთიანი პოლიტიკური სხეულისაგან ცალკე მყოფი ადმინისტრაციული ერთეულის ტრაგიკულ ბელს; საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებულ ოსმალეთისა და ირანის ბატონობას დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში; მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების მიჯნაზე საერთაშორისო ასპარეზზე შეცვლილ პოლიტიკურ ველს, რომელიც კავკასიაში გამორჩეულად ძლიერმა მოთამაშემ - მეფის რუსეთმა დაიკავა; ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის ურთიერთთანამშრომლობას, პოლიტიკურ დაპირისპირებებს, რუსეთთან მათ მკვეთრ დაახლოებას, დაკარგული მესხეთის მიწა-წყლის დაბრუნების უშედეგო მცდელობას; იმერეთის მეფის სოლომონ პირველისა და დასავლეთი საქართველოს სამთავროების დაძაბულ, სისხლიან ურთიერთობებს, კათალიკოსების პასუხისმგებლობას შექმნილ რთულ ვითარებაში; ლეკების აგრესიული თავდასხმების ქრონიკას; ხუცესის ჩანაწერები ბუნებრივად ასახავენ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მენტალური მახასიათებლების სიჭრელეს, მესხეთის მკვიდრი მოსახლეობისა და ჩასახლებულთა დემოგრაფიულ სურათს; „საისტორიო მისიონარული დღიური წერილები“, იგივე „ხოჯა ჰავანას დღიური“ მესხეთის კვლევისათვის, ვფიქრობთ, ერთ-ერთი საინტერესო მატიანეა.

ამჯერად, ხუცესის ქრონიკების მიხედვით, განვიხილავთ ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის კავშირს იმერეთის სამეფოსთან და ახალციხის საფაშოსთან.

ცნობილია, რომ 1758 წელს სოლომონ I-მა, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ გორში მეგობრობისა და ურთიერთდანიშნულების ხელშეკრულება გააფორმეს. აქედან მოყოლებული ერეკლე მეორის ურთიერთობა იმერეთის სამეფოსთან უფრო აქტიური ხდება.

ერეკლე II-ის და ელისაბედი ცოლად ჰყავდა კაცია დადიანს, ქალიშვილი ელენე კი ქართლ-კახეთის მეფემ სო-

ლომონ პირველის ძმას, არჩილს მიათხოვა: „20. არჩილმან ცოლი - მეფე ერეკლეს ქალი მოიყვანა თავის ალაგსა,“ წერს იოვანე.<sup>1</sup> მოხერხებული მეფე ყველა მეთოდს მიმართავდა დასავლეთ საქართველოსთან დაახლოებისა და მის შიდა საქმეებში მშვიდობიანი ჩარევისთვის. ოჯახური ქორწინებებითაც ამზადებდა ნიადაგს: „ქვეყნის გამთლიანების საკითხში პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორების გარდა, თავისი როლი უნდა შეესრულებინა პოლიტიკური შინაარსით გაჯერებულ ქორწინებებს“.<sup>2</sup>

ხსენებული ქორწინებების შემდეგ ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილები“ 1769 წლის ქრონიკაში გვამცნობს: „4. აპრილს დადიანის დედოფალი ერეკლის და ელისაბედი მიიცვალა“.<sup>3</sup>

ხუცესის „მისიონარული დღიური-წერილების“ 1773 წლის ჩანაწერები არაერთ ცნობას გვაწვდის ერეკლე II-ისა და სოლომონ პირველის ურთიერთთანამშრომლობაზე. მაგალითად: „1773. 18. გვარდიის კაპიტნის და დავით ერსითავიშვილის მოსვლა თქვეს ერეკლე მეფისგან კვანშირისმეფე სოლომონთან. 1773. 14. ერეკლე მეფის კაცები და წიგნი მოვიდა მეფესთან, რუსის მოსვლა თქვეს. 1773. 22. ირაკლი მეფისგან ლეკის და თათრის დახოცვა თქვეს. 1773 წ. 7. ერეკლე მეფის ჯარის დახოცვა თქვეს. ერეკლე მეფის გამარჯვების ამბავი მოვიდა. 1773. 30. მეფე ქართლითგან მობრძანდა. 1773. 4. ერეკლე მეფის კაცმან გამოიარა დადიანითგან. მეფე ქართლს, სურამს გადავიდა. მეფის შეყრა

---

<sup>1</sup> გვარამაძე გ., 1892, საისტორიო მისიონარული დღიურ წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი H 2782, 36.

<sup>2</sup> ჯანელიძე ო. ქართველთა ერთობის საკითხი ქართულ-რუსული ურთიერთობის კონტექსტში, წიგნში - ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 2014, 10.

<sup>3</sup> გვარამაძე გ., 1892, საისტორიო მისიონარული დღიური, 5.

თქვეს სურამს. 1773. 10. ირაკლი მეფე და სოლომონ მეფე ჯავახეთს მოვიდნენ, ჯავახეთს გარიგება თქვეს”.<sup>1</sup>

ქართლ-კახეთისა და იმერეთის კავშირი ხელს უწყობდა სოლომონ პირველის წარმატებულ ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ. „ერეკლე, ოსმალნი რომ იმერეთში მოვიდნენ, (სოლომონს) საიღუმლოდ მიეხმარა ორჯელ“.<sup>2</sup> ცნობილია ისიც, რომ ერეკლე მეორე მოძრიგებლის როლში გამოვიდა ოსმალეთ-იმერეთს შორის და მიღწეული საზავო ხელშეკრულება იმერეთს არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ აღიარებდა (3, 645). 1773 წელს ერეკლემ და სოლომონმა გაერთიანებული ჯარით ჯავახეთს გაილაშქრეს და არტაანამდეც კი მიაღწიეს, მაგრამ სოლომონის ავად გახდომის გამო, ლაშქრობა შეწყდა: ხუცესის სიტყვით: „10.1773 ირაკლი ნეფე და სოლომონ მეფე ჯავახეთს შეიყარნენ; 18. ჯავახეთს გარიგება თქვეს“.<sup>3</sup>

ხოჯავანას ქრონიკის 1774 წლის ამბებში აღნიშნულია: „1774. 1. მეფე სოლომონმა თათრის და ლეკის ჯარი დახოცა და გააფუჭა სრულად. 1774. 7. რაჯაბ ლეკი მეფემ ერეკლე მეფეს გაუგზვნა. 1774. 24. ერეკლის გოგია ბინბაში ქუთაისს მოვიდა მეფესთან.” ქრონიკის ამ ძუნწი ჩანაწერის ისტორია ასეთია: „ჯავახეთის ლაშქრობის საპასუხოდ ახალციხის ფაშამ სოლომონ მეფის წინააღმდეგ 1774 წლის იანვარში 4 000-იანი ლეკ-ოსმალთა ჯარი გამოაგზავნა იმერეთში. იგი წინასწარ შეუთანხმდა სამეგრელოს მთავარს. ვახანის ციხის მფლობელებმა, აბაშიძეებმა მეფეს უღალატეს და მტერს გზა გაუხსნეს. სოლომონმა შველა ერეკლეს სთხოვა. ერეკლემ სწრაფად გააგზავნა ქართლ-კახეთიდან 2

<sup>1</sup> გვარამაძე გ., 1892, საისტორიო მისიონარული დღიური. 23.

<sup>2</sup> ჩხატარაიშვილი ქ., დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, 643.

<sup>3</sup> გვარამაძე გ., 1892, საისტორიო მისიონარული დღიური. 11.

000-იანი ლაშქარი. სოლომონმა გაიმარჯვა, ხოლო დატყვევებული ლეკთა ბელადი - რაჯაბა, ქართლ-კახეთის მრავალგზის დამრბევი, ერეკლეს გაუგზავნა საჩუქრად”.<sup>1</sup>

როგორც აღინიშნა, ერეკლემ და სოლომონმა 1758-1773 წლებში ორჯერ დადეს ურთირთდახმარების ხელშეკრულება, რომელთაც გარკვეული წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც ასრულებდნენ. ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელ შიდადაპირისპირებების ფონზე, ეს კავშირი მრავლისმთქმელი და შინაარსიანია. ივანე გვარამაძის მიერ გადაწერილი ხუცესის ქრონიკების მომდევნო ერთ-ერთ ჩანაწერში ვხვდებით (როგორც გვარამაძე ამბობს) „სამესხეთოში შეკრებილ ლექსს“:

„რაჯაბ ბელადი ჩიოდა, ნახეთ რა ვუყავ თავსაო  
არ მამკლა სოლომონ მეფემ, მიმცა ერეკლე ხანსაო,  
ერეკლეს ხელზედ ვაკოცე, ნუ მამკლავ შენსა მზესაო,  
რაჯაბავ! როგორ არ მოგკლა, შენ ხომ მითხრიდი  
თემსაო!”<sup>2</sup>

მართლაც, ერეკლეს დიდი ძალისხმევის ფასად უხდებოდა მოძალებული მტრის შეკავება და ქვეყნის მართვა: „მისი ენერგია, რაღაც არაადამიანურ ზომას აღწევდა. ძილისთვის ოთხი-ხუთი საათი ყოფნიდა. დანარჩენ დროს სახელმწიფო საქმეებს ანდომებდა. მას ხშირად საუზმის შეწყვეტა უხდებოდა, რათა, მაგ. მარტყოფსა ან ავჭალიდან გაერეკა ლეკების მოთარეშე რაზმები, რომელნიც სადილობის დროს დიღომში ჩნდებოდნენ, ხოლო ვახშმის დროს ტაბახ-მელაში”.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> რეხვიაშვილი მ., იმერეთი XVIII საუკუნეში, თბ., 1982, 138.

<sup>2</sup> გვარამაძე გ., 1892, საისტორიო მისიონარული დღიური. 65.

<sup>3</sup> ქიქოძე გ., ერეკლე მეორე, თბ., 1958, 90.

<sup>3</sup> იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელაის რედაქციით, თბ., 1936, 17.

XVIII საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იმერეთის თავადაზნაურებისა და მღვდელმთავრებისაგან შემდგარი დელეგაცია ერეკლე მეორეს ეახლა და იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთება ითხოვა. დესპანები არწმუნებდნენ მეფეს, რომ „ყოველი სამეფო იმერეთისა მოელის სიქადულით და მხიარულებით საქმისა ამის დასასრულსა; თვით მთავართა გურიისას და ოდიშისას სურთ და სწყურიანთ ესე. მცხოვრებთა გლეხთაცა იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა, მტერთაგან ჯარისა გაოხრებულსა“.

ერეკლე II-მ დარბაზის რჩევა არ გაითვალისწინა და იმერეთის წარმომადგენლებს ასეთი პასუხი გასცა: „დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილისშვილისა ჩემსა და ესრეთისა კავშირითა თვით თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა“.<sup>1</sup> ერეკლემ თავის შვილიშვილი დავით არჩილის ძე მართლაც გაამეფა იმერეთში სოლომონ მეორის სახელით. ამ ფაქტთან დაკავშირებით ხუცესის „მისიონარულ დღიურ-წერილებში“ აღნიშნულია: „14.1789. დავით მეფის გაქცევის და არჩილ მეფის შვილის გამეფების ამბავი ითქვა“.<sup>2</sup> აქვე შევნიშნავთ, რომ ხუცესის ჩანაწერების გაგრძელებულ, ნავროზაშვილისეულ ქრონიკებში დაცულია დავით არჩილის ძის, იგივე სოლომონ მეორის მეფობის ბოლო პერიოდის ტრაგიკული ისტორიები.

იოვანეს ქრონიკაში ვერ ვხვდებით ინფორმაციას 1790 წელს დადებული ქართველი მეფე-მთავრების ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ისტორიაში ცნობილია, როგორც „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თბილისს“.

---

<sup>1</sup> გვარამაძე გ., 1892, საისტორიო მისიონარული დღიური. 148.

სამაგიეროდ, განსახილველ საისტორიო წყაროში საგულისხმო მასალაა დაცული ქართლ-კახეთისა და იმერეთის ურთიერთობის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორც იყო სამცხის სამთავროს საკითხი. ერეკლე II-ესაც და სოლომონ I-საც ეს კუთხე თავისთვის უნდოდა. პრობლემას ოსმალეთის, ირანისა და მეფის რუსეთის ფაქტორიც ამწვავებდა. ეს ის დროა, როდესაც „ოსმალეთის ხელში მყოფი მესხეთი საბოლოოდ ჰკარგავდა ქრისტიანობას და ამასთანავე შორდებოდა დანარჩენ საქართველოს კულტურულად. ამიტომ სამცხე-საათაბაგოს შემოერთების საკითხი გადაიქცა ერეკლე II-ის პოლიტიკის მთავარი მნიშვნელობის საკითხად”.<sup>1</sup>

სამცხე, ჯაყელების დინასტიით სათავეში, XVI-XVIII საუკუნეებში ცილობის საგნად იყო ქცეული უცხო ძალებსა და ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის. 1535 წელს იმერეთის მეფემ, ბაგრატ III-ემ დადიან-გურიელთან ერთად მოაწყო ლაშქრობა საათაბაგოს დასაპყრობად. ბრძოლა მოხდა ახალქალაქის ახლოს, მურჯახეთთან. ბაგრატმა გაიმარჯვა. როსტომ გურიელის რაზმმა ათაბაგი ყვარყვარე III მეფეს მიჰკვარა. მაღლიერმა ბაგრატ III-ემ კი გურიელს უბოძა ჭანეთი და აჭარა. ამავე დროს ლუარსაბ I-მა ჯვავახეთი დაიმორჩილა. როგორც ჩანს, ლუარსაბი და ბაგრატ III შეთანხმებულად მოქმედებდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ ოსმალეთის მხრივ მთავარი საფრთხე მთელ საქართველოს სამცხე-საათაბაგოს გზით ემუქრებოდა. ეს ისტორიული მონაკვეთი მრავლისმთქმელია: 1. ახლადდაშლილმა „საქართველოებმა”, იმერეთისა და ქართლის თაოსნობით, სამცხე გაინაწილეს. ჯვავახეთი, როგორც ქვემო ქართლთან მოსახლვრე კუთხე, ლუარსაბს (ქართლს) დაემორჩილა, ჭანეთი და აჭარა, როგორც უახლესი მომიჯნავე მხარე - გურიელს მიეკუთვნა, თუმცა იმერეთის მეფის გადაწყვეტილებით და

---

<sup>1</sup> კაკაბაძე ს., საქართველოს მოკლე ისტორია, თბ., 1920, 108.

იმერეთისვე გავლენის ქვეშ. 2. აღნიშნული გარემოება იმერეთის მომდევნო მეფეებისა და გურიელ-დადიანის ურთიერთობაში უწყვეტ ბრძოლას განაპირობებს. 3. იგივე ფაქტორი ამოქმედდება ამასიის დაზავებისას (1555 წ.) ირანსა და ოსმალეთს შორის. 4. XVIII საუკუნეში ერეკლე II და სოლომონ I პრეტენზიებს სამცხე-საათაბაგოსთან მიმართებაში კვლავაც XVI საუკუნის სიბრტყიდან განიხილავდნენ და როგორც ითქვა, სამცხეს ორივე თავისად მიიჩნევდა.

ბაგრატ III-ისა და ლურსაბ I-ის დაულალავი ხმლის ქნევანი წყალში ჩაიყარა, თუმცა ამ მეფეთა ტანდემი მნიშვნელოვანი ხდია მომავალში სოლომონ I-ისა და ერეკლე II-ის მეგობრობის გზაზე.

ქართველი მეფეები გარკვეულ იმედს ამყარებდნენ რუსეთის ერთმორწმუნე სახელმწიფოზე. მათ, საიმპერატორო კართან ალიანსით, ოსმალეთისა და ირანის დამარცხება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხად ესახებოდათ. მაგრამ, ისტორიული რეალობა შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში სხვა იყო: „მებრძოლი ქართველი ხალხი ირანს ფოცხვერს უწოდებდა, ხოლო თურქეთს ბაბრს (ბაბრ-ჯიქი), ამ ორი სიტყვით გამოსთქვამდა ერეკლე მეორე ქართველი ხალხის მიზანს უცხო დამპყრობელის წინააღმდეგ საუკუნოებრივ ბრძოლაში. მაგრამ საქართველოს გამოსნა და აღდგომა ცარიზმის მიზნებში არ შედიოდა. ცარიზმის მოხელეები და ოსმალური ბნელეთის აგენტები, ქართველი ერის გამთლიანების წინააღმდეგ შეთანხმებულნი იყვნენ“.<sup>1</sup>

„ერეკლე II ერთ-ერთი ის უკანასკნელი ქართველი მეფე იყო, რომელიც ამ ფაქტს არ აღიარებდა და მთელი შვენებით იბრძოდა სამცხის გამოსახსნელად. მას 1768 წლის რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებიდანვე, ჰქონდა გეგმები სამცხე-საათაბაგოს გათავისუფლებისა. რეალურად მესხეთის

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილის აღწერილობა, №-1227. „სამცხის მივიღების დღიური“, ახალციხე, 1942. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 5-6.



კულტურის, ენის, საწმუნოების ნამდვილ დამცველად და ერთადერთ მემკვიდრედ ქართლ-კახეთის სამეფო, ამ შემთხვევაში, ერეკლე გამოდიოდა და ამ თვალსაზრისით ქვეყანა, მისი იყო”.<sup>1</sup>

სამცხის „გამოხსნის“ შემდეგ დღის წესრიგში ჭარბელაქნის გათავისუფლება და ლეკთა საკითხის გადაჭრა უნდა დამდგარიყო. „ერეკლეს რუსეთ-თურქეთის (1768-1774 წწ.) ომში, ტერიტორიული თვალსაზრისით ორნაირი პროექტი უნდა ჰქონოდა შედგენილი - მცირე და დიდი. მცირე თემას, რომელიც ისტორიული საქართველოს (ფართო გაგებით) შემადგენლობაში შედიოდა. „საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქუსთ“-ო და რომელიც ამჟამად ირანს და ოსმალეთს ჰქონდა დაპყრობილი. ასეთ ისტორიულ ქართულ ტერიტორიებად ერეკლე თვლიდა სამცხე-საათაბაგოს (ქართლის ნაწილს, ზემო საქართველოს) და ჭარბელაქანს, რომელიც კახეთის მამული იყო. 1769 წელს ერეკლეს დავალებით შედგენილ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნების მოკლე აღწერაში ნათქვამია: ახალციხის ქვეყანა არის ქართლის ქვეყნისა ნაწილი ერთი, რომელიც უჭირავს ახლა ხონთქარსა ძალით, რომელიც სინამდვილეში „საქართველოს მიწა არის“ და „ჩვენი სამეფოს ნაწილს“ წარმოადგენსო - უხსნიდა რუსეთის სახელმწიფო კარს მეფე”.<sup>2</sup>

კავკასიის რეგიონში რუსეთის სახით მესამე ძალის აქტიურმა გამოჩენამ ქართველი ერის გაერთიანების გზაზე ახალი იმედები წარმოშვა. საქართველოს ერთიანობის იდეის გაცხოველება ამ დროისათვის ქვეყნის ცალკეული ნაწილების მეტნაკლები თავისუფლებითა და დამპყრობლებზე დამოკიდებულების შესუსტებით იყო განპირობებული.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, 78.

<sup>2</sup> ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, 66.

<sup>3</sup> ჯანელიძე ო., ქართველთა ერთობის საკითხი ქართულ-რუსული ურთიერთობის კონტექსტში, 7.

ერეკლე მეფეც თავის პოლიტიკურ აქტივობას ამ მხრივ ახალ რეალობას უკავშირებს, რასაც ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილებიც“ ადასტურებს: „1771 წელს: -2-ერეკლე II-ეს თავადი ციციშვილი მოვიდა. იაკობი მიუყვანე. გივი ციციშვილი წავიდა. 1772. 5. მარტს მეფე ერეკლესგან ცხენი მოუვიდა ჯენერალს ქუთაისში. 1772. 4-მაკათავე. რუსის და ერეკლე მეფის ჯარის შეყრის ამბავი ითქვა“.<sup>1</sup>

ერეკლე მეორემ გაიმარჯვა ბრძოლებში შაქი-შარვანის მფლობელ აჯი-ჩალაბთან, თავრიზის გამგებელ აზატ ხანთან, ავარების ბელად ნურსალ ბეგთან. ქართლ-კახეთის მეფე სამხრეთ კავკასიაში ძლიერი, პატივდებული, ანგარიშგასაწევი ფიგურა იყო. „ერეკლე II-ის სამხედრო წარმატებებს იმდენად დიდი რეზონანსი ჰქონდა ამ წლებში, რომ მან აღმოსავლეთის ხალხებს (სომხები, ასირილები, იეზიდები, ბერძნები და ა.შ) საქართველოსთან დაახლოების სურვილი გაუჩინა. ქართველი მეფე კავკასიასა და წინა აზიის ქრისტიანი მოსახლეობის განმათავისუფლებელის როლში გამოდიოდა“.<sup>2</sup>

ხუცესის ქრონიკების მიხედვით, იკვეთება ჩვენს ისტორიაში ცნობილი, ქართლ-კახეთის მეფის მიზანდასახული ჩართულობა სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკაში, რომელიც რუსეთ-თურქეთის პირველ ომთანაა კავშირში და მოიცავს 1769-1774 წლებს. 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში სოლომონ I და ერეკლე II ეკატერინე II-ის წინადადებით რუსეთის მოკავშირედ გამოვიდნენ, მაგრამ საკუთარ მიზნებსაც ისახავდნენ. ქართლ-კახეთის მეფე ახალციხის საფაშოდ ქცეული ისტორიული მესხეთის შემოერთებას ესწრაფვოდა.

---

<sup>1</sup> გვარამაძე გ., 1892, საისტორიო მისიონარული დღიური. 5.

<sup>2</sup> ტუხაშვილი ლ., რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1983, 80.

1774-1778 წლების ზოჯავანას ქრონიკები ერეკლე მეორეზე ინფორმაციას აღარ გვაწვდის, თუმცა 1779 წლიდან ცნობები ისევ ჩნდება. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ ამ დროიდან ქართლ-კახეთის მეფე კვლავ თანამშრომლობს ახალციხის ფაშასთან: „1779. 2. მარიობ. მეფე ერეკლის ელჩი თარხნისშვილი მოვიდა ფაშასთან. ბუჭუა მდივანიც თან ახლდა. 1784. 18-19. რუსის ელჩი მოვიდა თბილისითგან, რუსის ელჩი წავიდა”.<sup>1</sup>

1779 წელს ახალციხის საფაშოში ელჩ თარხნისშვილის გაგზვნა, ემთხვევა იაკობ რაინეგის ჩამოსვლას ერეკლეს სამეფო კარზე და გარკვეულ იმედებს აღძრავს. ერეკლემ ორჯერ სთხოვა ავსტრიის იმპერატორ იოსებ მეორეს ფულადი სესხი ლაშქრის გასადიდებლად, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ იგი იძულებული იყო ისევ ოსმალეთისათვის მიემართა. „ერეკლეს ელჩის გამოჩენის შესახებ ხონთქრის კარზე რუსეთის სტამბოლელმა ელჩმა პეტერბურგს აცნობა და თან შეატყობინა, რომ სულთანმა მას წყალობის თვალით შეხედა და რომ ერეკლესა და მას შორის სამეგობრო და სამოკავშირეო ტრაქტატი დაიდო”.<sup>2</sup> თვალნათლივ ჩანს, რომ რუსეთი შეშფოთებულია ერეკლე მეფის მრავალწახნაგოვანი, აშკარა თუ ფარული, ხან სრულიად დამოუკიდებელი, ზოგჯერ კი რუსეთის საიმპერატორო კართან შეთანხმებული საგარეო პოლიტიკით. საბოლოოდ ერეკლემ 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის ციხესიმაგრე გეორგიევსკში დადო ტრაქტატი ეკატერინე II-ის რუსეთთან, თუმცა ამით ხელი არ ეშლება, რომ იმავე 1784 წელს, როგორც „მისიონარული დღიური-წერილებიდან” ვგებულობთ, სულეიმან ფაშასაც აახლოს ელჩი: „1784. 22.

---

<sup>1</sup> გვარამაძე გ., 1892, საისტორიო მისიონარული დღიური. 30.

<sup>2</sup> რეხვიაშვილი მ., იმერეთი XVIII საუკუნეში, თბ., 1982, 158.

თბილი ქალაქიდან რუსის ელჩი მოვიდა სულეიმან ფაშასთან. ფაშა ჯარით მიეგება, ციხეში დააყენეს”.<sup>1</sup>

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარული დღიური-წერილებში” ნათქვამია: „1784 წ. 27. ენკენისა. მეფე ერეკლე და ფაშა გარიგდნენ. 1789. 5. გიორგობ. მეფე ერეკლეს მოსვლა ითქვა. 1792 წ. 7. მეფე ერეკლეს თარაქამის ჯარი მოვიდა მოსახმარებლად ისახ ფაშისა. 1792.10. ლეკები მოშლილან ქართლში. 1793. 16. თბილისითგან ელჩი მდივანი მოვიდა, რომ სტამბოლსაც აპირებს წასვლას. 1794. 1. მარტს. მეფე ერეკლეს ელჩი გაბრიელთან, პოლოსთან და ჩილაშვილთან სტამბოლს წავიდა. კორხის არაჩნორდი მოვიდა”.<sup>2</sup>

ომარ ხანის ლაშქრობისაგან იმედგადაწურული მეფე ახალციხის საფაშოსთან სამშვიდობო ხელშეკრულებას აფორმებს. მოკავშირეები ამიერიდან ხელს იღებდნენ ერთიმეორის მტრობაზე. ახალციხის ფაშასთან ასეთი დაზავებით ერეკლემ ერთმანეთთან შეათავსა რუსთა ჯარის ყოფნა თავის სამეფოში და სამშვიდობო ურთიერთობის დამყარება ოსმალეთის საფაშოსთან.<sup>3</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, ერეკლე მეორე 1793-1794 წლებში ელჩს სტამბულში აგზავნის და ისახ ფაშასაც გაურიგდება: „16. თბილისიდან ელჩი მდივანი მოვიდა, რომ სტამბოლსაც აპირებს წასვლას”.<sup>4</sup> ამ დროს, ოსმალეთი თვითონ აქეზებდა ალა-მაჰმად-ხანს ქართლ-კახეთში ირანის ძველი ბატონობის აღდგენისათვის. ოსმალეთს აღმოსავლეთ საქართველოში სუსტი ირანის გავლენა ერჩია, ვიდრე ძლიერი რუსეთის გაბატონება.<sup>5</sup>

<sup>1</sup> გვარამაძე გ., 1892, საისტორიო მისიონარული დღიური. 30.

<sup>2</sup> გვარამაძე გ., 1892, საისტორიო მისიონარული დღიური. 38-

<sup>3</sup> ღუმბაძე მ., პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973, 709.

<sup>4</sup> გვარამაძე გ., 1892, საისტორიო მისიონარული დღიური. 78.

<sup>5</sup> ღუმბაძე მ., პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი, 755.

ჩვენი წყაროს მიხედვით, ერეკლე ახალციხესთან ურთიერთობას არც კრწანისის ტრაგედიის შემდეგ წყვეტს: „1795.12 ენკენისთვ. მეფე ერეკლეს მოშლა თქვეს და შვილების დახოცვა. 1795. 3. ღვინობის. მეფე ერეკლეს გამოჩენა და გორს მოსვლა თქვეს. 1795. 23. ერეკლეს ელჩი მოვიდა ფაშასთან. 1796. 18. რუსის და ერეკლე მეფის ელჩები მოვიდნენ. რუსმან ფაშა ნახა. 31. რუსის ელჩი წავიდა. 6. თებ. ქართლის ელჩი არზრუმს წავიდა. 31. ქართველი ელჩის დახვდომა თქვეს. 1797.15. რუს ხელმწიფის ეკატერინეს სიკვდილი ითქვა. 1797. 8 ელჩი მოვიდა ქართლითგან. გურიელი, ერისთავიც მოვიდა. გადმოვარდნილი”.<sup>1</sup>

1795 წლის მოვლენებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს ქართლ-კახეთის სამეფოს ნამდვილი მდგომარეობა. ახალციხის სულეიმან ფაშამ, რომელიც საქართველოზე ლაშქრობის დროს სურსათით ესხმარებოდა ალა-მაჰმად ხანს, გამარჯვებული მაჰმად ყაჯარისაგან საჩუქრად ქართველი ტყვეები მიიღო. რუსეთის გულგრილი ქცევით შეფიქრიანებული ერეკლე II, როგორც ხუცესის „მისიონარული დღიური-წერილებიც” ადასტურებს, საჭიროდ მიიჩნევს, სერასკირთან გამართოს მიწერ-მოწერა. „ერთხნას იგი იძულებულიც გამხდარა დათანხმებოდა ოსმალეთს მის მფარველობაში შესვლასა და მისგან სესხის მიღებაზე”.<sup>2</sup>

ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიურ-წერილებში” ერეკლე II-ის შესახებ დაცული ქრონიკები 1771-1795 წლებშია მოქცეული. პირველწყაროებიდან ცნობილია და ნაწილობრივ „მისიონარული დღიურ-წერილებიდანაც” ჩანს, რომ 1780-1783 წლებში მეფე ერეკლე მეორე, ერთდროულად, აშკარა თუ ფარული დიპლომატიის გზით თანამშრომლობს:

---

<sup>1</sup> გვარამაძე გ., 1892, საისტორიო მისიონარული დღიური, 65.

<sup>2</sup> ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, 101.

ავსტრია-უნგრეთთან, ყაბარდოსთან, ახალციხის ფაშასთან, მეფის რუსეთთან. ვერაფრით ვიტყვი, რომ ქართლ-კახეთის მეფე სწორხაზოვნად მოქმედებდა, მხოლოდ რუსეთზე იყო ორიენტირებული ან მის ცბიერ პოლიტიკას ვერ ამჩნევდა. მაგრამ შედეგი ერთია: 1783 წლიდან, მრავალნაცადმა პოლიტიკოსმა, ერეკლე მეორემ, საბოლოო არჩევანი მეფის რუსეთზე შეაჩერა.

„საქართველო მიენდო რუსეთს, როგორც სულიერად მონათესავე ქვეყანას, თორემ იგი არასოდეს შემოუშვებდა რუსებს ამიერკავკასიის მთებში, რუსებისთვის არ დაღვრიდა თავისი შვილების სისხლს“.<sup>1</sup> მართლმადიდებლობის ნიშნით, ქართველ მეფეთაგან დაფასებული რუსეთი, ისეთივე დამპყრობლური პოლიტიკის გამტარებელი აღმოჩნდა, როგორც ყველა ჩვენი ისტორიული მეტოქე წარსულში.

საქართველომ XVIII საუკუნეში, რაზედაც გვიამბობს „საისტორიო მისიონარული დღიური-წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი“, სოლომონ პირველისა და ერეკლე მეორის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, საკუთარი ძალებით ვერ შეძლო სანუკვარი მიზნის მიღწევა - მესხეთის ისტორიული ტერიტორიების შემოერთება.

ერეკლეს სიკვდილის შემდეგ სამცხე-საათაბაგოს „გამოხსნის“ საკითხი ისე აქტიურად ვეღარ იდგა. გიორგი XII-ს საამისოდ რეალურ ძალა აღარ გააჩნდა.

XIX საუკუნის დამდეგიდან ვითარება კარდინალურად იცვლება, რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და თავის გუბერნიად გარდაქმნა. ხოჯავანთ იოვანეს „მისიონარულ დღიური წერილებიდან“ კარგად ჩანს, როგორ გააქტიურდნენ თბილისიდან ჩასული რუსეთის ელჩები ახალციხის საფაშოს კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ „1801. 25. რუსის ელჩი მოვიდა ფაშასთან. ეფრი-

---

<sup>1</sup> დურნოვ ნ., ქართული ეკლესიის ბედი, გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917 წ. № 54, გამოქვეყნებული ტ. ჯაფარიძის მიერ, 2.

კაშვილთან დადგა. 1800. 1. რუსის ელჩი წავიდა და ქეჭა თან გაჰყვა. 1803. 1. რუსის ჯარი გადმოვიდა კოთელიას. 1803. 4. რუსის ჯარის მოსვლა თქვეს ასპინძას. თათრის ელჩები წავიდნენ რუსთან ასპინძას. 1807. 9. სულეიმან ფაშა უქეიფოდ შეიქმნა. რუსის ელჩი და ხენინაშვილი გაბრუნდნენ. 1807. მარტი. ჩვენი სტეფანე ქუთაისს წავიდა. რუსის ელჩი მოვიდა. რუსის ელჩი წავიდა. რუსის გამარჯვების ამბავი მოვიდა თათრებზედ განძას”.<sup>1</sup>

ხოჯავანას ქრონიკების 1800-1809 წლის ჩანაწერების მიღმა ქართლ-კახეთისა და დასავლეთ საქართველოს უფერული პოლიტიკური ისტორია იწერებოდა. მფარველად შერჩეული ერთმორწმუნე რუსეთის ძალადობით ქართულ სახელმწიფოებრიობას ბოლო ეღებოდა, ახალციხის საფაშოზე ზეგავლენას ოსმალეთიც ყოველდღიურად კარგავდა, ხოლო მეფის რუსეთი თავს იმკვიდრებდა.

დასასრულს, გვინდა დავიმოწმოთ გიორგი ლეონიძის განსაზღვრება ქართველთა ხასიათის შესახებ, რომელიც მან 1922 წელს გამოაქვეყნა თავის მიერვე დაარსებულ გაზეთში, შთამბეჭდავი დასახელებით - „ბახტრიონი“: „კავკასიაში ჩვენ უკვე მოვედით საფლავში ჩასაწოლად... არტახებში დავიწყეთ რწევა, რადგან ჩვენ კიდევ მოვიგონეთ ჩვენი დემონური ორბის სიჭაბუკე; აქედან იწყება ჩვენი მეტაფიზიკური გენეალოგია... მაგრამ ამ ქვეყანაში სამუდამოთ დაშინდა რასის ხერხემალი და შეიქმნა ფსიქოლოგია გადარჩენის. შემდეგში საქართველოს ერთი პოლიტიკა ჰქონდა - პოლიტიკა გადარჩენისა... მაგრამ უკანასკნელი მესსიანისტური ხმალი იყო ირაკლი მეორე, რომლის მეფური სახელიც იმპერატორმა ფრიდრიხს თავის ფულზე მოაჭრევინა. ეს იყო უკანასკნელი ლომი, ს ა დ ა ვ ი თ ო სისხლიდან მყვირალი. მისი

---

<sup>1</sup> გვარამაძე გ., 1892, საისტორიო მისიონარული დღიური, 97.

აზატხანის დამმარცხებელი ბაირახი, იყო დროშა ქართული მესსიანიზმისა”.<sup>1</sup>

ალბათ, ჩვენი მეფეების მთავარი მისია, ფსიქოლოგიურად დაშინებული რასის პოლიტიკური ხერხემლის გადარჩენა იყო, მართლაც, როგორც გიორგი ლეონიძე შენიშნავს. მიგვაჩნია, ჩვენნაირი პატარა ქვეყნისათვის, ესეც წარმატებაა. ზესახელმწიფოთა შორის დაპირისპირებათა კატაკლიზმებში საქართველო გამუდმებით ბეწვის ხიდზე გადიოდა. ყოველი ახალი პოლიტიკური არჩევანი, ასევე ახალ სირთულეებს ახვედრებდა ქართველ მეფეებს. ცალსახად გამართლებული გზა და პოლიტიკური ორიენტაცია არსად ჩანდა! ეს იყო ჩვენი სამშობლოს ბედისწერა - არჩევანი ცუდსა და არჩევანი უარესს შორის.

ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავალი მეფის რუსეთს დაუკავშირდა და არა მარტო სამცხის, საქართველოს ბედიც XIX საუკუნემ გადაწყვიტა.

### **დამოწმებანი:**

1. გვარამაძე გ., 1892, „საისტორიო მისიონარული დღიურ წერილები ხოჯავანთ მღვდლის მამა იოვანესი“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი H 2782.
2. ჯანელიძე ო., ქართველთა ერთობის საკითხი ქართულ-რუსული ურთიერთობის კონტექსტში, წიგნში - ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 2014.
3. ჩხატარაიშვილი ქ., დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.

---

<sup>1</sup> ლეონიძე გ., ქართული მესსიანიზმი, გაზ. „ბასტრიონი“, 1922 წ., №18.



4. რეზვიაშვილი მ., იმერეთი XVIII საუკუნეში, თბ., 1982.
5. ქიქოძე გ., ერეკლე მეორე, თბ., 1958.
6. იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელის რედაქციით, თბ., 1936.
7. კაკაბაძე ს., საქართველოს მოკლე ისტორია, თბ., 1920.
8. ნ. ბერძენიშვილის აღწერილობა, №-1227. „სამცხის მივლინების დღიური“, ახალციხე, 1942. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
9. ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, ახალციხე, 2011.
10. ტუხაშვილი ლ., რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1983.
11. დუმბაძე მ., პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.
12. დურნოვო ნ., ქართული ეკლესიის ბედი, გაზ. „ჩვენი ქვეყანა,“ 1917 წ. №54, გამოქვეყნებული ტ. ჯაფარიძის მიერ.
13. ლეონიძე გ., ქართული მესსიანიზმი, გაზ. „ბახტრიონი“, 1922 წ., №18.

*Lia Kitiashvili*

*Georgian National Museum, Doctor*

**SEVERAL TOPICS ABOUT THE RELATIONS OF  
EREKLE (HERACLIUS) II WITH IMERETI AND  
AKHALTSIKHE PASHADOM (ACCORDING TO THE  
MISSIONARY DAILY LETTERS BY KHOJAVANT  
IOVANE)  
SUMMARY**

‘The Historical Missionary Daily Letters by Khojavant Priest, Father Iovane’ re-written by Iv. Gvaramadze in 1892 in Akhaltsikhe represents a historical source containing many interesting details for studying the history of Kartli of the late feudal period. The work, in the form of daily records, combines those uneasy and warlike situations in the South West of Georgia at the crossroads of the 18<sup>th</sup> and 19<sup>th</sup> centuries in which Erekle II was actively involved. By reviewing the chronicles of the Priest and the general history, we hereby present a period of the state activity of Erekle II, King of Kartli-Kakheti, and the policy he followed for joining Meskheta, his relations with Akhaltsikhe Pashadom and Solomon I, King of Imereti.

*ოთარ ჯანელიძე*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*  
*მოწვეული დოქტორი*

## **ლიბერალური შეხედულებანი თერგდალეულთა ნაზრევში**

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების კვალდაკვალ XIX საუკუნის ევროპაში ახალი იდეოლოგია წარმოშვა, რომელიც ლიბერალიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. თავდაპირველად, ვიდრე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობად ან კიდევ, სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკად იქცეოდა, ლიბერალიზმი პოლიტიკური დოქტრინა იყო. იგი უპირისპირდებოდა ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკურ და რელიგიურ ლეგიტიმაციას, უარყოფდა თეორიას მონარქის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ, ამხელდა ფეოდალიზმის მანკიერ მხარეებს და იდეალად სახავდა იმგვარ საზოგადოებას, რომელიც ინდივიდის თავისუფლებას და კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

ლიბერალური პოლიტიკური შეხედულებები შემდეგში ეკონომიკური (თავისუფალი ბაზარი, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა), სოციალური (თავისუფლება, თანასწორობა) თუ კულტურული (პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობა) ასპექტებით შეივსო, და მიუხედავად იმისა, რომ მწყობრი თეორიული სისტემის სახე არასოდეს მიუღია, ფართოდ გავრცელდა, მათ შორის საქართველოშიც.

რა ნიადაგი, რა საზოგადოებრივი განწყობა ხვდებოდა ამ ახალ იდეურ მიმდინარეობას ქართულ რეალობაში?

Liberty თავისუფლებაა, ხოლო ლიბერალი ყველაზე ზოგადი განმარტებით, თავისუფლებისმოყვარეს ნიშნავს. საქართველოს მთელი ისტორია თავისუფლებისა და საკუ-

თარი თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის, ამდენად, თავისუფლებისმოყვარეობის ისტორიაა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში, სადაც იმ დროისათვის დიდი თუ პატარა საკითხი ეროვნული თვალსაზრისით განიზომებოდა, ეროვნულობისაგან ერთგვარად დისტანცირებულ ხსენებულ იდეოლოგიას დამკვიდრება უნდა გაჭირვებოდა. გაუჭირდა კიდეც. უფროსმა თაობამ, რომელიც არსებულ სინამდვილეს შეჩვეული და მორგებულიც იყო, ლიბერალიზმი მიუღებლად მიიჩნია, დაიწუნა, აითვალწუნა და მისი ქართველი მიმდევარი ახალგაზრდების აბუჩად აგდება სცადა (გრ. ორბელიანი: „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“ და სხვ. ...). ეს, როგორც აკაკი წერეთელი იტყოდა, „ნათლის მჭირველი“ ახალგაზრდები კი, არც მეტი, არც ნაკლები, საუნივერსიტეტო ცოდნა-განათლებით აღჭურვილი, საქართველოსათვის გულანთებული და რუსეთიდან სამშობლოში „მამულის მსახურებისათვის“ დაბრუნებული თერგდალეულები იყვნენ.

ის გარემოება, რომ მამათა თაობის თვალში ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა ლიბერალობა დაცინვის საგანი და თავისებური სტიგმა იყო, სრულიადაც არ არის გასაკვირი. ამგვარი ფაქტები სხვა ქვეყნების სინამდვილეშიც დასტურდება. როგორც კემბრიჯის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი რემონდ ჰოისი შენიშნავს: XIX საუკუნეში არსებობდა ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც მათი მოწინააღმდეგენი „ლიბერალებს“ უწოდებდნენ.<sup>1</sup>

ნებისმიერი იდეოლოგია, რომელიც გარე სამყაროდან საქართველოში შემოაღწევდა, ტრანსფორმაციას განიცდიდა. „ევროპიდან შემოსული თეორიები ჯერ რუსეთში იცვლიდა სახეს, შემდეგ კი საქართველოში, და საბოლოოდ, დამახინჯებულ ფორმას იღებდა. მით უმეტეს რომ, იდეოლოგიების შინაარსში გაუცნობიერებელი ბევრი პიროვნება, ამ

---

<sup>1</sup> <http://magazines.russ.ru/nz/2010/5/go1.html>

მოდური მიმდინარეობებით სპეკულიანტობდა“. ამის გამო იყო, რომ ილია ჭავჭავაძე ლიბერალიზმის არსის დახასიათებისას იყენებდა გამოთქმას „ჭეშმარიტი ლიბერალობა“. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძნელი საქმეა, როცა კაცი ლიბერალობს და არ იცის-კი ცნობა აზრისა, თუ ქვეშ არ უწერია, ეს აზრი ამა და ამ ფერისააო“.<sup>1</sup>

„ლიბერალიზმი თავისი არსით კოსმოპოლიტური იდეოლოგიაა. ხოლო ლიბერალი - მსოფლიო მოქალაქე, კოსმოპოლიტი“.<sup>2</sup> მიუხედავად ამ მართებული თვალსაზრისისა, იყო დრო, როდესაც ლიბერალობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის, პატრიოტიზმისა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობის იდეის უარყოფას. პირიქით, ლიბერალიზმი და ნაციონალიზმი ერთმანეთს კი არ უპირისპირდებოდნენ, არამედ თანაარსებობდნენ, ურთიერთს ავსებდნენ და ამდიდრებდნენ.

პოლიტიკური იდეოლოგიების ცნობილი მკვლევრის, ენდრიუ ჰეივუდის სიტყვით, XIX საუკუნის შუა ხანების კონტინენტურ ევროპაში ნაციონალისტობა თავისთავად ნიშნავდა ლიბერალობას და პირიქით.<sup>3</sup> ამერიკელი მეცნიერის ამ დასკვნას ქართული სინამდვილეც ადასტურებს. ასე იყო ჩვენშიც. თერგდალეულები ეროვნული იდეოლოგიის პარალელურად, საქართველოში თვითონ ამკვიდრებდნენ ლიბერალიზმის იმ პოსტულატებს, რომლებიც, მათი აზრით, ხელს შეუწყობდა ერის წინსვლას და რომელთა განხორციელებაც შესაძლებელი იყო ლეგალური გზით.

როდესაც ამ საკითხზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას უკვდავი ტექსტი „პატრიოტიზმი

---

<sup>1</sup> გოგიაშვილი ო., ილია დღეს, თბ., 2008, 113.

<sup>2</sup> ჟვანია ნ., საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია. სალექციო კურსი სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრატურისათვის, თბ., 2006.

<sup>3</sup> ჰეივუდი ენდრიუ, პოლიტიკა = Politics, თარგმ. ვია ჭუმბურიძე, ზაზა ჭელიძე, თბ., 2008, 161-162.

და კოსმოპოლიტიზმი“, შექმნილი ჯერ კიდევ 1905 წელს, რომელიც ქართველ მწერალს მსოფლიოს დიდ მოაზროვნეთა გვერდით უმკვიდრებს ადგილს. „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია“, წერდა ვაჟა-ფშაველა და დასძინდა: „ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მაზინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო“.<sup>1</sup>

„ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“, ხაზს უსვამდა ვაჟა-ფშაველა.<sup>2</sup> ამავე თვალსაზრისს გაცილებით გვიან ენდრიუ ჰეიუდი ასე გამოთქვამს: „ლიბერალური ნაციონალიზმი უმთავრესად იმ გარემოებას ეყრდნობა, რომ კაცობრიობა ბუნებრივად დაყოფილი მრავალ ერად და ყოველ მათგანს საკუთარი მეობა გააჩნია“.<sup>3</sup>

ლიბერალურ ღირებულებათა საქართველოში შემოტანა და დამკვიდრება მნიშვნელოვანწილად ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის სახელებთანაა დაკავშირებული. მათი ძალისხმევა ქართული აზროვნებისა და პოლიტიკური კულტურის ევროპეიზაციისაკენ იყო მიმართული. თერგდალეულები გზას უკაფავდნენ დასავლურ მოწი-

---

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, ვაჟა-ფშაველა, პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი, გაზ. „ივერია“, 1905 წ., №172.

<sup>2</sup> ვაჟა-ფშაველა, ვაჟა-ფშაველა, პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი

<sup>3</sup> ჰეიუდი ენდრიუ, პოლიტიკა = Politics, 163.

ნაკვე შეხედულებებს, ცდილობდნენ შეემზადებინათ მათთვის ქართული ნიადაგი და ქართველი ერი თვითიზოლაციიდან პროგრესის ფართო ასპარეზზე გაეყვანათ.

მკვლევრათა აზრით, ნიკო ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ევროპული პრაგმატიზმისა და საქმიანობის, ევროპული პოლიტიკური რეალიზმის, ევროპული განათლების, ტექნიკისა და კულტურის საქართველოში დანერგვა ჯერ კიდევ 1870-იან წლებში დაიწყო.<sup>1</sup>

ჟურნალი „კლდე“ ნიკო ნიკოლაძის შესახებ მიუთითებდა: „ნ. ნიკოლაძე სულით და გულით ევროპელია, ევროპაში ნასწავლი, ევროპის იდეებით გამსჭვალული, ევროპის ტექნიკა-ინდუსტრიის მცოდნე, ინიციატივის კაცი, პრაქტიკული და საქმიანი. ... ნიკოლაძე... უწინარეს ყოვლისა, მუშაკია დაკაპიწებული ხელებით, ცხოვრების ტექნიკი და ლაბორანტი. იგი რეალისტია, რეალური პოლიტიკის მწარმოებელი, ცხოვრების მცოდნე, მის ქარტეხილში ჩავარდნილი“.<sup>2</sup>

„არც ერთ მაშინდელ ჩვენს მოღვაწეს არ უგრძენია ეპოქის სული ისე, როგორც ნ. ნიკოლაძემ იგრძნო, არავის ... მოუტანია ჩვენში იმდენი პროგრესიული და ევროპული აზრი (ამ სიტყვის კულტურული მნიშვნელობით), რამდენიც შემოიტანა ნ. ნიკოლაძემ“, წერდა სიმონ ხუნდაძე.<sup>3</sup>

ლიბერალიზმს რამდენიმე ფუნდამენტალური ღირებულება აქვს, რომელთაგან უმთავრესია თავისუფლება და კერძო საკუთრება. თავისუფლება მრავალგვარი შეიძლება იყოს: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული, პიროვნული და სხვა, ხოლო კერძო საკუთრება ერთია და იგი

---

<sup>1</sup> შუბითიძე ვ., ევროინტეგრაცია და საქართველო. [http://www.for.ge/view.php?for\\_id=10582&cat=12](http://www.for.ge/view.php?for_id=10582&cat=12)

<sup>2</sup> ნიკო ნიკოლაძე - 150. საიუბილეო კრებული, თბ.; 1996, 10.

<sup>3</sup> ხუნდაძე ს., სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტომი I, თბ., 1927, 182.

წარმოადგენს როგორც ყოველგვარი თავისუფლების საფუძველს, ისე მათი დაცვის ეფექტურ გარანტს. ინგლისელი სწავლულის მორის კრენსტონის თანახმად, ლიბერალი ესაა ადამიანი, რომელსაც სწამს თავისუფლების.<sup>1</sup>

თავისუფლების თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ნააზრევში. მათთვის, როგორც სახელმწიფოებრიობამოშლილი და კოლონიური ქვეყნის შვილებისათვის, წინა პლანზე ეროვნული თავისუფლების საკითხი იდგა. კარგადაა ცნობილი, რომ ქართველმა სამოციანელებმა შეცვალეს დამპყრობელთან შეთქმულება-აჯანყებებით დაპირისპირების მეთოდი და რუსეთის კოლონიური უღლისაგან თავდაღწევის ტაქტიკად მშვიდობიანი ბრძოლის გზა აირჩიეს. ეს არჩევანი შექმნილი რეალობის გონივრულ ანალიზს ეფუძნებოდა. XIX საუკუნის პირველი მესამედის დაუსრულებელ აჯანყებებში განცდილმა მარცხმა ქართველი ერის სასიცოცხლო ენერგია შეასუსტა. გაღებული მასშტაბური მსხვერპლი ისედაც მცირერიცხოვან ქვეყანას უმძიმეს შედეგებს უქადდა. საჭირო იყო იმგვარი საშუალების გამოძებნა, რომელიც სანუკვარ მიზანს შეღარებით უსაფრთხოდ და ერისათვის ნაკლები ზიანით მიგვაღწევინებდა. ილია ჭავჭავაძეს შესანიშნავად ესმოდა, რომ თავისუფლება, როგორც ეროვნული ბედნიერების წინაპირობა, მსხვერპლის გარეშე წარმოუდგენელია („თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მხოლოდ თოფია“), მაგრამ ბრძენკაცი იმასაც ითვალისწინებდა, რომ გაშუღებული აჯანყებები ერს ღონეს აცლიდა და მის მომავალს უნუგეშოს ხდიდა. ამიტომაც ილიამ და თერგდალეულებმა უარი თქვეს კოლონიურ რეჟიმთან ძალით დაპირისპირებაზე, გეზი მშვიდობიანი ბრძოლაზე აიღეს, რომლის იარაღად ცოდნა და განათლება დაიგულებს. ეს მკაფიოდ ჩანს აკაკი წერეთლის ლექსში „დედა

---

<sup>1</sup> Stanford Encyclopedia of Philosophy.  
<http://plato.stanford.edu/entries/liberalism/>



და შვილი“. როდესაც ეროვნული თავისუფლებისათვის გულანთებული შვილი დედას მიმართავს: „დედილო, მომეც ფარ-ხმალი, რომ ავასრულო ვალიო!“ - დედა პასუხობს:

„ადრეა შვილო ჯერ კიდევ, წიგნია შენი ხმალიო!“<sup>1</sup>

ასეთივე აზრს გამოთქვამდა ნიკო ნიკოლაძე რუს ნაროდნიკებზე მსჯელობისა და მათი კრიტიკული შეფასებისას: ვიდრე ახალგაზრდებს ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ, წერდა ქართველი სამოციანელი, მათ უნდა შთააგონო „იმ გზების შეგნება, რომლებითაც უნდა იარონ, მიზანი, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მიუახლოვდნენ; და როდესაც საკმარისი რაოდენობით მომზადდება ასეთი მზადმყოფი, მცოდნე და ძლიერი ადამიანები, მხოლოდ მაშინ შეიძლება იფიქრო, როგორ და სად დაიწყო ბრძოლა და როგორ მოუწოდო ბრძოლისაკენ ყველას, ვისაც შეუძლია მასში მონაწილეობა მიიღოს“.<sup>2</sup>

თერგდალეულებს ერისათვის იმაზე მეტი პრაქტიკული ამოცანა არ დაუსახავთ, რისი მიღწევაც კონკრეტულ ვითარებაში უმსხვერპლოდ და უზიანოდ იყო შესაძლებელი. დამპყრობლის მიმართ ამგვარი ფრთხილი, აუჩქარებელი და წინდახედული დამოკიდებულება სპეციალურ ლიტერატურაში „აქტიური ლოდინის ტაქტიკადაა“ სახელდებული. სხვაგვარად, „შესაძლებლის მაქსიმუმი“ ანუ მიღწეულით დროებითი დაკმაყოფილება და პარალელურად, მზადება უფრო მეტისთვის, საღი და რეალისტური პოლიტიკის გამოვლინებაა, რაც ნამდვილად დამახასიათებელი იყო ქართველ სამოციანელთათვის.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> სურგულაძე ა., ქართული საზოგადოებრივი აზრის XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973, 277.

<sup>2</sup> რატიანი პ., რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. III, თბ., 1985, 402.

<sup>3</sup> ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, 32.

საინტერესოა, რა მიმართებაში იყო ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად თერგდალეულთა მიერ არჩეული ამგვარი ტაქტიკა ლიბერალიზმის იდეოლოგიასთან.

ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობა და მშვიდობის ომზე პრიმატი ლიბერალიზმის საგულისხმო თვალთახედვაა. ცნობილია, რომ იმანუელ კანტი, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტი, იერემია ბენტამი და რიჩარდ კობდენი განადიდებდნენ „მუდმივ მშვიდობას“ და საერთოდ, ლიბერალ მოაზროვნეთა უმრავლესობა იზიარებდა აზრს, რომ წარმატებული ომი გამარჯვებულისათვისაც კი ბოროტებაა და მშვიდობა ყოველთვის უმჯობესია ომზე.<sup>1</sup>

ლიბერალებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ნებისმიერი უთანხმოება შეიძლება არა ძალადობითა და ომით, არამედ მშვიდობიანი გზით, დისკუსიებითა და მოლაპარაკებებით მოგვარდეს.<sup>2</sup>

ილია ჭავჭავაძეც მიიჩნევდა, რომ „ომი უბედურებაა, ომი დამთქმელია ადამიანის სიცოცხლისა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგარისა“ და რომ: „მორიგებით, მშვიდობიანობით საქმის გათავება, რასაკვირველია, ყოველთვის კარგია“.<sup>3</sup>

ამდენად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თერგდალეულთა მშვიდობიანი ბრძოლის ტაქტიკა სრულად პასუხობს ლიბერალიზმის თეორიულ პოსტულატებს და თავსდება მის კონცეფციაში.

ლიბერალურ აზროვნებას შეესაბამება ასევე წოდებათა შერიგებისა და თანხმობის, ყველა საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანების ილია ჭავჭავაძისეული შეხედულება, რომელიც

---

<sup>1</sup> . . . ( . . . ), „ 2001.

[http://www.sotsium.ru/books/13/141/mises\\_lib06\\_ch1.html](http://www.sotsium.ru/books/13/141/mises_lib06_ch1.html)

<sup>2</sup> ჰეივუდი ენდრიუ, პოლიტიკა = Politics, 22-23; 71.

<sup>3</sup> ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვლადებ, ქუთაისი, 1997, 43.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში „საერთო ნიადაგის“ თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი.

აზრი იმის შესახებ, რომ „საერთო ნიადაგის“ თეორია არსობრივად „ლიბერალ-რადიკალურია“ ჯერ კიდევ არჩილ ჯორჯაძემ გამოთქვა 1901 წელს ჟურნალ „მომამბეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე“. განიხილავს რა ამ საკითხს, მკვლევარი ომარ გოგიაშვილი წერს: „ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია და ლიბერალიზმის პრინციპები საერთო კონცეპტუალურ იდეას ეფუძნებოდა. ... ეს თეორია, ძირითადი მახასიათებლებით, ლიბერალიზმის სულისკვეთებისაა, თუმცა მისი საფუძველი და საყრდენი ქართველი ერის ისტორიული მემკვიდრეობა, მისი ტრადიციული ღირებულებებია“. ... „საერთო ნიადაგის“ თეორია კონსერვატიულ-ტრადიციონალისტურ საფუძველზე დგას, შენობა კი მთლიანად ლიბერალურია“.<sup>1</sup>

თერგდალეულებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ადამიანის უფლებები, რაც ლიბერალიზმის მოძღვრების პრიმატს შეადგენს. თერგდალეულთა აზრით, ადამიანის უფლებები საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან მუდმივი ზრუნვისა და დაცვის საგანი უნდა იყოს. ილია ჭავჭავაძე ამ საკითხს სულაც კაცობრიობის პროგრესს უკავშირებდა. მისი სიტყვით: „რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არა ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინდისი, ყოფა-ცხოვრება, - უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისაგან ხელშეხებული არ იყოს, არავისაგან შემწიკვლულ, შევიწროებულ“.<sup>2</sup>

თერგდალეულთა ნააზრევში განსაკუთრებით ხაზგასმულია ადამიანის ღირსების საკითხი, რომელიც „ჭეშმარიტ ლიბერალობას ... დიდი ასოებითაა აქვს დაწერილი თავის

---

<sup>1</sup> გოგიაშვილი ო., ილია დღეს, 113; 132.

<sup>2</sup> ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვღალატობ, 45.

დროშაზედ“<sup>1</sup> ილია „კაცებურის ღირსების გრძნობას“ „ღვთაებრივ გრძნობას“, „ადამიანთათვის მომადლებულ საუნჯეს“ უწოდებდა, მასვე ადამიანის ღირსება „ზნეობით კუთვნილებად“ მიაჩნდა და მოითხოვდა, რომ იგი „ღრმად პატივცემული“ ყოფილიყო.<sup>2</sup> არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ თერგდალეულები ადამიანის უფლებებს ყოველთვის მოვალეობასთან კავშირში განიხილავდნენ, რაც ასევე ლიბერალური თვალთახედვაა. ნათქვამის საილუსტრაციოდ არაერთი ციტატის მოხმობა შეიძლება მათი პუბლიცისტური ნაწერებიდან, მაგრამ დაკვირვებით ილია ჭავჭავაძის გამონათქვამებით, რომლებიც ასე ჟღერს: „ადამიანის შვილი ერთის მხრით უფალია, მეორეს მხრით მოვალე“<sup>3</sup> და „მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდევ სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი“.<sup>4</sup>

ცნობილია, რომ ლიბერალიზმს თავისუფლების ზოგადი კონცეფცია ეკონომიკური თავისუფლებიდან გამოჰყავს, რომელიც მხოლოდ კერძო საკუთრებას შეიძლება ეფუძნებოდეს.<sup>5</sup> კერძო საკუთრება უნივერსალური ღირებულებაა. ლიბერალური თვალსაზრისით იგი არ დაიყვანება მხოლოდ მატერიალურ ფასეულობებზე (მიწა, ბინა, ფული) და მოიცავს ადამიანის საკუთრების ისეთ ფორმებს, როგორცაა აზროვნება, რწმენა, აღმსარებლობა, მათი გამოხატვის საშუალებები და სხვ.

თერგდალეულებს მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულება ჰქონდათ კერძო საკუთრების რაობისა და მისი მნიშვნე-

---

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. V, თბ., 1955, 168.

<sup>2</sup> ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვლადადებ, 288.

<sup>3</sup> ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვლადადებ, 15.

<sup>4</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. X, თბ., 1961, 81.

<sup>5</sup> გოგიაშვილი ო., ილია დღეს, 137.

ნელობის შესახებ საზოგადოების განვითარებაში. „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უღევს ... მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე. ... კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბილზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდა იყოს, იაფად არ დაუჯდება“ წერდა ილია ჭავჭავაძე.<sup>1</sup> ილიასავე სიტყვით, „ხელშეუხებლობა პირადის საკუთრებისა ... მერმისის ქვაკუთხედად არის აღიარებული, და ყოველს, რაც ჰზღუდავს და ჰხუთავს ამ ხელშეუხებლობას, რჯული ძნელად იშენვეს, ძნელად იწყნარებს“.<sup>2</sup>

ლიბერალურ თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალიზმს, რომელიც პიროვნების პირად დამოუკიდებლობას, თვითდამკვიდრებას გულისხმობს და ნებისმიერი სოციალური ჯგუფის ან კოლექტივის წინაშე მის უზენაესობას აღიარებს. ინდივიდუალიზმი ადამიანთა საყოველთაო თანასწორობას ემყარება,<sup>3</sup> ხოლო პიროვნული თავისუფლება ადამიანური ღირსების გარანტიაა.

ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თერგდალეულთა პუბლიცისტიკაში. ილია ჭავჭავაძეს თანასწორობა იმ საჯარო უფლებად მიაჩნდა, რომელიც ყველას კუთვნილი და ყველასათვის ერთნაირად ძვირფასია. „თანასწორობა ...სულია და გული ყოველის წყობისა“, წერდა იგი.<sup>4</sup> ძმობას, ერთობასა და თანასწორობას შეტრფოდა აკაკი წერეთელი, რომლის „მსოფლმხედველობა რადიკალურ იდეებთან ერთად ჭარბად

---

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვღალატებ, 222.

<sup>2</sup> ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვღალატებ, 233.

<sup>3</sup> ჰეივუდი ენდრიუ, პოლიტიკა = Politics, 22-23; 70.

<sup>4</sup> ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვღალატებ, 38.

შეიცავს ზომიერ-ლიბერალურ ნაკადსაც“.<sup>1</sup> ასევე, თანასწორობის უფლებას იცავდა ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ბევრს წერდა და ქადაგებდა „ლიბერალურ პრინციპთა ფარგლებში“.<sup>2</sup>

ლიბერალური კონცეფციით, თანასწორობაში არა სოციალური, არამედ უფლებრივი და სამართლებრივი თანასწორობა მოიაზრება. სხვაგვარად, ესაა თანაბარი შესაძლებლობები, ასევე კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის და პოლიტიკური თანასწორობის პრინციპის აღიარება, რომელიც გულისხმობს, რომ თითოეული ამომრჩევლის ხმას თანაბარი წონა აქვს („ერთი პიროვნება - ერთი ხმა“).

თერგდალეულთა სხვა ნაზრევიდან, რომელიც ასევე „ლიბერალიზმის საკვებით საზრდოობს“, გამოვყოფდით საკუთარი შესაძლებლობების რწმენას ანუ, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყობა: „საკუთარი თავის მოიძელობას“. ამ უალრესად საგულისხმო პრინციპს თერგდალეულები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ პირად ინიციატივას, საკუთარი უნარის, ნიჭისა და თვითმოქმედების გამოვლენას ქვეყნის წინსვლა-განვითარების პირობად სახავდნენ და არა ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მთელ ერს მოქალაქეობრივი აქტივობისაკენ მოუწოდებდნენ. „ჩვენი ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“, „ჩვენს გარეშე ჩვენი ხსნა სიზმარია“ – მოძღვრავდა ქართველ ერს ილია ჭავჭავაძე.<sup>3</sup> „ხალხი უნდა გამოიხილდეს, წელში გამაგრდეს, გონებრივად და ქონებრივად

---

<sup>1</sup> გაფრინდაშვილი მ., ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1988, 157.

<sup>2</sup> ჯორჯაძე ა., წერილები, თბ., 1989, 281.

<sup>3</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. IV, თბ., 1955, 321; 323.

მოლონიერდეს და თვითონ გახდეს თავის ბატონ-პატრონი“, ასეთი იყო აკაკის შეხედულება.<sup>1</sup>

როგორც ვნახეთ, თერგდალეულებს არ შეუქმნიათ თეორიული ტრაქტატები, მათ ცალკე კონკრეტული წერილიც კი არ მიუძღვნიათ ლიბერალიზმის იდეოლოგიისადმი, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ისინი კარგად გაერკვნენ ამ იდეოლოგიის არსში, ჩაწვდნენ მის სულს და ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპები საქართველოს სპეციფიკას მიუსადაგეს.

დასასრულს ისევ არჩილ ჯორჯაძე მოვიშველიოთ, რომლის სიტყვით, „მესამოციანობა არის ახალი ერა ჩვენს კულტურაში, მან შემოიტანა ჩვენში მეცხრამეტე საუკუნეში ევროპაში მთავარი სოციალ-პოლიტიკური თეორიები და ფორმულები“. ... მესამოციანებიდან იწყება გაევროპელება ქართულ აზროვნებისა. და თუ მაინც და მაინც საჭიროა დეფინიცია, ამ ეპოქის მთავარი დამახასიათებელი თვისება - ლიბერლიზმ-დემოკრატიზმშია“.<sup>2</sup>

### **დამოწმებანი:**

1. გაფრინდაშვილი მ., ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1988.
2. გოგიაშვილი ო., ილია დღეს, თბ., 2008.
3. გომართელი ი., ქართული ლიტერატურა. მე-19 საუკუნე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1966.
4. ვაჟა-ფშაველა, პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი, გაზ. „ივერია“, 1905 წ., №172.
5. ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვლადადებ, ქუთაისი, 1997.
7. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. IV, თბ., 1955.

---

<sup>1</sup> გომართელი ი., ქართული ლიტერატურა. მე-19 საუკუნე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1966, 227.

<sup>2</sup> ჯორჯაძე ა., წერილები, გვ. 282.

8. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. V, თბ., 1955.
9. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. X, თბ., 1961.
10. ნიკო ნიკოლაძე - 150. საიუბილეო კრებული, თბ; 1996.
11. ჟვანია ნ., საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია. სალექციო კურსი სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრატურისათვის, თბ., 2006.
12. რატიანი პ., რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. III, თბ., 1985.
13. სურგულაძე ა., ქართული საზოგადოებრივი აზრის XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973.
14. შუბითიძე ვ., ევროინტეგრაცია და საქართველო.  
[http://www.for.ge/view.php?for\\_id=10582&cat=12](http://www.for.ge/view.php?for_id=10582&cat=12)
15. ხუნდაძე ს., სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტომი I, თბ., 1927.
16. ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.
17. ჯორჯაძე ა., წერილები, თბ., 1989.
18. ჰეივუდი ენდრიუ, პოლიტიკა = Politics, თარგმ. გია ჭუმბურიძე, ზაზა ჭელიძე, თბ., 2008.
19. . . . ( . . . . . ),  
., 2001.  
[http://www.sotsium.ru/books/13/141/mises\\_lib06\\_ch1.html](http://www.sotsium.ru/books/13/141/mises_lib06_ch1.html)
20. ,  
<http://magazines.russ.ru/nz/2010/5/go1.html>
21. Stanford Encyclopedia of Philosophy.  
<http://plato.stanford.edu/entries/liberalism/>



*Otar Janelidze*  
*Gori State Teaching University, Doctor by Contract*  
**LIBERAL VIEWS IN THE THOUGHTS OF THE**  
**TERGDALEULI**  
**RESUME**

Establishment of liberal values in Georgia and “Europisation of Georgian Thinking” is linked with the names of Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Niko Nikoladze and other Tergdaleuli. They had deep understanding of the spirit of liberalism adjusting its basic principles to Georgian specifics. Their efforts served the emergence of the nation from self-isolation to the arena of progress.

The second half of the 19th century, when Georgia imported liberal postulates, liberalism and nationalism did not oppose each other. On the contrary, they coexisted, filled and enriched each other.

The article covers the the opinions of the thinkers of the 60s of the XIX century about such liberal values as freedom, equality, individualism, human rights, individual dignity, private property, self-confidence and other.

*მერაბ კალანდაძე*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*  
*სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი*

## კოტე ანთაძე და საფრანგეთის დიდი რევოლუცია

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის გარკვეული ტრადიცია არსებობს, რომელიც აღნიშნული პრობლემის მეცნიერული კვლევისა და პოპულარიზაციის სინთეზს წარმოადენს. ამ მემკვიდრეობის არც გაზვიადება და არც შეუფასებლობა არ ივარგებდა. უნდა ვიყოთ რეალისტები. ყველაფერი ის, რაც ამ სფეროში ქართულმა ისტორიოგრაფიამ შეძლო გაეკეთებინა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია და ისეთ პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, უეჭველად, დიდი წარმატებაა.<sup>1</sup>

საფრანგეთის დიდ რევოლუციის ქართველ მკვლევართა შორის პროფ. კოტე ანთაძე, უდავოდ, ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა და გამორჩეული პიროვნება იყო. მან ღირსეულად გააგრძელა თავისი დიდი წინამორბედების, პირველ რიგში კი, პროფ. გრიგოლ ნათაძის და პროფ. ალექსანდრე ნამორაძის მიერ დაწყებული საქმე. იგი გვერდში ამოუდგა ცნობილ ქართველ ისტორიკოსს პროფ. გივი კილურაძეს

---

<sup>1</sup> მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006; მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში – საქართველოს კომუნისტი, 7, 1989; მ. კალანდაძე, საქართველო და საფრანგეთის დიდ რევოლუციის 200 წლისთავი - ვალერიან მაჭარაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომების კრებული, თბ., 2001; მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში – წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები (რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია), თბ., 2013.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე პროფ. კოტე ანთაძის ერთ-ერთი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში მდგომარეობდა.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პრობლემებით პროფ. კოტე ანთაძის დაინტერესება, ცხადია, შემთხვევით არ ყოფილა და მასში, უპირველეს ყოვლისა, მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის პროფ. ალექსანდრე ნამორაძის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკური შედეგი უნდა დავინახოთ.

\* \* \*

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის თემატიკით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მის მიერ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული ორი საინტერესო მოხსენება. 1951 წელს სტუდენტთა XIII კონფერენციაზე მან წაიკითხა მოხსენება თემაზე: „რობესპიერისტების ბრძოლა დანტონისტებთან“<sup>1</sup>, ხოლო მომდევნო 1952 წელს სტუდენტთა XIV სამეცნიერო კონფერენციაზე მან წაიკითხა მოხსენება „ჟან-პოლ მარატი 1792 წელს“<sup>2</sup>. მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო პროფ. ალექსანდრე ნამორაძე. ამ თვალსაზრისით ფასეულია პროფ. ალექსანდრე ნამორაძის შეფასება, რომელსაც წავაწყდით არქივში, პროფ. კოტე ანთაძის ასპირანტურის საქმეში და პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში. „ორივე მოხსენება ემყარება ფრანგულ ენაზე არსებულ დო-

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, რობესპიერისტების ბრძოლა დანტონისტებთან - სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. 13. თბ., 1951, 89.

<sup>2</sup> კ. ანთაძე, ჟან-პოლ მარატი 1792 წელს - სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, 14. თბ., 1952, 152-153.

კუმენტურ მასალებს და, უდაოდ, ამჟღავნებდა მომხსენებლის კვლევით უნარს. ამის გამო ორივე მოხსენებამ მაღალი შეფასება მიიღო ფრიად სამართლიანად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მისი მეორე მოხსენება გატანილი იქნა საქალაქო კონფერენციაზე<sup>1</sup>. ეს, ცხადია, ისტორიკოსი – სტუდენტის პირველი წარმატება იყო.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მისი მეორე ნაშრომი: კ. ანთაძის მოხსენება „ჟან-პოლ მარატი 1792 წელს“ ისტორიკოსი სტუდენტის საუკეთესო ნაშრომად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს პროფ. ალ. ნამორაძის რეცენზია სტუდენტ კ. ანთაძის ამ ნაშრომზე. აი, რა წერია მასში: „კ. ანთაძის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი „ჟან-პოლ მარატი 1792 წელს“ უმთავრესად ემყარება პირველწყაროებს და კვლევით ნაშრომს წარმოადგენს. ნაშრომში მოცემულია მარატის წერილების და პამფლეტების ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე მოცემულია მარატის რევოლუციური მოღვაწეობა და მისი პოლიტიკური კრედიო. ნაშრომში სათანადოდ გამოყენებულია საისტორიო ლიტერატურაში არსებული სპეციალური მონოგრაფიები. წარმოდგენილი ნაშრომიდან ჩანს, რომ მის ავტორს აუთვისებია მეცნიერული - კვლევითი ჩვევები, რომ მას შესწევს მეცნიერული კვლევის უნარი“<sup>2</sup> ღვაწლმოსილი მეცნიერის ზეაწეული ტონი ადვილად გასაგებია და უმთავრესად ისტორიკოსი - სტუდენტის ნაშრომის დადებითად შეფასებით უნდა იყოს განპირობებული, რასაც ის სავსებით იმსახურებდა.

იაკობინთა დიქტატურაზე აქცენტირება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და მასში, უპირველეს ყოვლისა, იმ

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, ასპირანტურის საქმე, უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, შესანახი ერთეული 1152.

<sup>2</sup> კ. ანთაძე, ასპირანტურის საქმე, უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, შესანახი ერთეული 1152, 31.

პერიოდის პოლიტიკური და იდეოლოგიური ყოფის ანარეკლი უნდა დავინახოთ. აქ მან ხარკი მოუხადა ერთი გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატს, მონოპოლიას. ამგვარი დამოკიდებულება გამოკვეთილად „იაკობინოცენტრისტული“ იყო და ძალიან კარგად შეესაბამებოდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის საერთო მოთხოვნებს. მისთვის დამახასიათებელი იყო რობესპიერის და მარატის მოღვაწეობის მეტად მაღალი შეფასება

ამ დაინტერესების ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ მან თავისი სადიპლომი ნაშრომის თემად აირჩია საკითხის საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიიდან. ეს იყო თემა „1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება“, ეს იყო სერიოზული ნაშრომი, რომელიც „რეცენზენტის სიტყვით, უფრო საკანდიდატო დისერტაციას წააგავდა თავისი შინაარსით და მოცულობით, ვიდრე ჩვეულებრივ სადიპლომო ნაშრომს“<sup>1</sup> / ამიტომ, როგორც ჩანს, სავსებით მართლზომიერი იყო, რომ მან თავის მეცნიერ-ხელმძღვანელთან ერთად გადაწყვიტა ამ თემაზე მუშაობის გაგრძელება და საკანდიდატო დისერტაციის დაცვა. ეს იყო სავსებით სწორი ნაბიჯი. ეს პრობლემატიკა 50-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ იყო ჯეროვნად დამუშავებული და მისი შესწავლა დისერტანტს წარმატებას უქადდა. კათედრამ დისერტაციის თემად დაუმტკიცა „1792 წლის 10 აგვისტოს რევოლუცია საფრანგეთში“. ასპირანტურაში სწავლის დროს ბ-ნმა კოტემ წაიკითხა კიდევ ერთი საინტერესო მოხსენება „ანტუან სანტერი და ფრანსუა მუასონი 1792 წლის 10 აგვისტოს შესახებ“<sup>2</sup>. ეს მოხსენება წყაროთმცოდნეობითი ხასიათისაა.

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, ასპირანტურის საქმე, უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, შესანახი ერთეული 1152.

<sup>2</sup> კ. ანთაძე, ანტუან სანტერი და ფრანსუა მუასონი 1792 წლის 10 აგვისტოს შესახებ - ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია, 7. თბ., 1954, 24-25.

მან ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნები, დათქმულ ვადებში ჩაეტია და 1955 წლის ზაფხულში წარმოადგინა დასაცავად საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „1792 წლის 10 აგვისტოს რევოლუცია საფრანგეთში“. ეს არ იყო ადვილი საქმე. წმინდა მსოფლიო ისტორიაში დისერტაციის დაცვა, სწორედ, ასეთი იყო მისი ნაშრომი, იოლი არ გახლავთ და საკმაო ძალისხმევას მოითხოვს. ყველა მასალა ასეთი ადვილი ხელმისაწვდომი არ იყო და მის მოძიებას საკმაო დრო ესაჭიროებოდა. ამ სირთულეებს, უნდა ითქვას, მან წარმატებით გაართვა თავი და დათქმულ ვადებში წარმოადგინა სადისერტაციო ნაშრომი. ეს მის გულმოდგინეობაზე, მუყაითობაზე მეტყველებს. შრომისმოყვარეობა მისი, როგორც ისტორიკოსის, დამახასიათებელი თვისება გახლდათ. სადისერტაციო ნაშრომი სამწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის ლოგიკური შედეგი იყო, რაც დისერტანტის და მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის პროფ. ალ. ნამორაძის, წარმატებაა.

არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ვთქვათ პროფ. ალ. ნამორაძეზე, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მას, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელს კ. ანთაძის დისერტაციის წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის მიმოწერა, რომელიც იყო ასპირანტსა და მის მეცნიერ-ხელმძღვანელს შორის. (სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ის წმინდა მსოფლიო ისტორიას ეხებოდა, ბნ კოტეს ხანგრძლივი ვადით უხდებოდა მოსკოვის წინგოსაცავებში მივლინება და მეცნიერ-ხელმძღვანელთან უშუალო კონტაქტი არ ჰქონდა. ასე გაჩნდა მიმოწერის აუცილებლობა.) ამ მიმოწერას წავაწყდით პროფ. კ. ანთაძის პირად არქივში და პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში ჩვენს მონოგრაფიაში „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში<sup>1</sup>. ეს მიმოწერა კარგად ახასიათებს პროფ. ალ. ნამორაძეს, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელს. ამ ვრცელი მიმოწერიდან გამოვყოფთ მხოლოდ ორს, რომელიც შეეხება სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დასკვნით ფაზას. პირველში საუბარია სადისერტაციო ნაშრომზე მთლიანობაში და თარიღდება 1955 წლის 27 მარტით. მეორე შეეხება სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატს და დათარიღებულია იმავე 1955 წლის დეკემბრით. „კოტე! კვლავ გულდასმით გადავითვალიერე თქვენი საკანდიდატო ნაშრომი და დავრწმუნდი, რომ თქვენ შეგისწორებით ისე, როგორც მე ამას მოვითხოვდი. მე კმაყოფილი ვარ და თანახმა მივცე თქვენს სადისერტაციო ნაშრომს მსვლელობა. 1. ნაშრომის გეგმა მოწესრიგებულია და ჩემთვის სავსებით მისაღებია. წყაროები და ლიტერატურა შეტანილია როგორც პირველი თავი. ნაშრომის დაყოფა ორ ნაწილად თავიდანაა აცილებული. ზოგიერთი თავი ქვეთავებად არის გადაქცეული. პირველი თავი გაყოფილია ორ ქვეთავად და სხვ. ე. ი. შესრულებულია ყველა ის, რასაც მე მოვითხოვდი. 2. შესავალი მისაღებია, ხოლო იხილე შენიშვნები თვით ტექსტში. 3. დასკვნა არ მომეწონა. ა) იგი ძალიან შემცირებულია. ბ) არ არის შეტანილი ზოგიერთი საინტერესო დებულება, რომელიც თვით ნაშრომში მოგვეპოვება. გ) დასკვნებს მოთხრობითი და აღწერილობითი ხასიათი აქვს, რაც მიუღებლად მიმაჩნია. 4. თავიდანა ასაცილებელი განმეორებათა დიდი ნაწილი. 5. თვით ნაშრომში მასალა გადაჯგუფებულია ისე, როგორც მე ამას გირჩევდით, ერთი სიტყვით შესრულებულია, რასაც მოვითხოვდი, ხოლო საჭიროა: 6. კრიტიკული სამეცნიერო აპარატის მოწესრიგება. 7. დასკვნების გადახალისება. დასკვნები ხელახლა უნდა

---

<sup>1</sup> მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999, 138-139.

დამიწერო ჩემი მითითებების მიხედვით, რომ იყოს იგი შნონიანი, ლაზათიანი, შინაარსიანი და თქვენი ნაშრომისათვის შესაფერისი. გიბრუნებთ ჩემს მიერ მოწონებულ ნაშრომს სასწრაფოდ, თუმცა ამის პირობა მე თქვენთვის არ მომიცია ჩემი უაღრესი დატვირთულობის გამო. თქვენ ღირსი ხართ ამგვარი ყურადღების“<sup>1</sup>. მეორე წერილი უკვე სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატს ეხება და მსჯელობა მის ირგვლივ მიმდინარეობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ პერიოდის მანძილზე მუშაობა წინ წაწეულა. აი, რას ვკითხულობთ ამ წერილში: „ჩემო ძვირფასო კოტე! არ არის სასიამოვნო, რომ ავტორეფერატს გადამუშავება დასჭირდება, მაგრამ უნდა გადავახალისოთ. 1. ისტორიოგრაფიული ნაწილი შეიძლება შემცირდეს. მას უჭირავს ავტორეფერატის მეოთხედი. 2. მეორე თავს „რეკოლუციური კრიზისის“ შესახებ დაკავებული აქვს ავტორეფერატის ნახევარი (გვ. 10-30) 20 გვერდი. ეს ზოგადი ხასიათის თავია და იგი უფრო ფართოდაა გაშლილი, ვიდრე მესამე თავი, რომელიც კვლევითი ხასიათისაა და რომელსაც თქვენთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს. უნდა შემცირდეს მეორე თავი და გაფართოვდეს მესამე თავი. 3. ავტორეფერატს არ მოეპოვება დასკვნები. საჭიროა სულ ცოტა ერთი ან ორი აბზაცი - 15 სტრიქონი. 4. ყურადღება მიაქციე ჩემს შენიშვნას: 18, 23, 29, 40. 5. სჯობია გარკვეული ჩანდეს, თუ საიდან იწყება ყოველი თავის განხილვა და სად მთავრდება. 6. ენა საერთოდ წესიერია, ხოლო შიგადაშიგ მოგვეპოვება შეცდომები, რომელიც თვით ტექსტში აღვნიშნე. 7. რა დანიშნულება აქვს აბზაცის წინ დასმულ ციფრებს? 8. საჭირო არ არის ხელმძღვანელის ვინაობა, ამოიშალოს. 9. გადამუშავების შემდეგ უნდა დამიბრუნოთ შესამოწმებლად“. როგორც ვხედავთ, პროფ. ალ. ნამორაძე საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნი ხელმ-

---

<sup>1</sup> პროფ. კოტე ანთაძის პირადი არქივი.



ძღვანელია. ეს ასეც უნდა იყოს. ის ახერხებს შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას, რაც სადისერტაციო შრომების წარმატების ერთ-ერთ საიმედო საწინდრად გვევლინება. კ. ანთაძის სადისერტაციო ნაშრომი ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ასეთი შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა ძალიან კარგად ხელეწიფებოდა თავად ბ-ნ კოტეს. ის შესანიშნავი მეცნიერხელმძღვანელი იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ მან ძალიან ბევრი რამ შეიძინა თავისი მეცნიერხელმძღვანელის პროფ. ალ. ნამორაძისაგან.

\* \* \*

1955 წლის ივნისში მან ფაქტობრივად დაასრულა დისერტაციაზე მუშაობა და წარმოადგინა დასაცავად. 1955 წლის 24 ივნისს კათედრის სხდომაზე განიხილეს კ. ანთაძის სადისერტაციო ნაშრომი „1792 წლის 10 აგვისტოს რევოლუცია საფრანგეთში“. მოისმინეს დოც. გივი კილურაძის დასკვნა. მისი შეხედულებით „ნაშრომი სავსებით აკმაყოფილებს საკანდიდატო დისერტაციისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. იგი ეყრდნობა მრავალ დოკუმენტს, წყაროს და გამოკვლევას რუსულ და უცხო ენებზე. დისერტანტი ამჟღავნებს დამოუკიდებელი კვლევა-ძიების უნარს და იჩენს ერუდიციას“, დაადგინეს, რომ აღიძრას შუამდგომლობა ისტორიის ფაკულტეტის დეკანატის წინაშე, რათა კ. ანთაძის მიერ წარმოდგენილ ნაშრომს მიეცეს მსვლელობა. რეცენზენტებად რეკომენდირებული იქნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ტივაძე და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გივი კილურაძე. ამ გადაწყვეტილებას 1955 წლის 29 ივნისის სხდომაზე მხარი დაუჭირა ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ. ოფიციალურ ოპონენტებად დასახელდნენ პროფ. გიორგი ტივაძე

და დოც. გივი კილურაძე.<sup>1</sup> საქმე ადგილიდან სწრაფად დაიძრა, მაგრამ შემდგომში ცოტათი გაჭიანურდა, რაც, ეტყობა, რეფერატის გადამუშავებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. 1956 წლის 15 თებერვლის სხდომაზე ისტორიის ფაკულტეტის საბჭომ დანიშნა დაცვის დღე 1956 წლის 4 აპრილი, 3 საათი, 93-ე აუდიტორია.<sup>2</sup>

მეცნიერებაში პირველი სერიოზულ ბარიერს საკანდიდატო დისერტაციის დაცვა წარმოადგენდა. ამ სირთულეს შეიძლება ითქვას, რომ მან ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს მისი, როგორც მკვლევარი მეცნიერის, პირველი დიდი წარმატება იყო. სადისერტაციო ნაშრომი მრავალი წლის მუხლჩაუხრელი შრომის ლოგიკური დაგვირგვინება იყო. მისი წარმატების გასაღებიც, სწორედ, აქ ძვეს. უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ მან აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მოგვცა მისი მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაცია. იმდროინდელი რთული პოლიტიკური და იდეოლოგიურ ვითარებაში ეს იყო ერთ-ერთი სწორი გამოსავალი. მარქსიზმთან კომპრომისის გამო მისი მკაცრად განსჯა მართებული არ იქნებოდა. მაშინ ის მწირი ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რაც მშობლიურ ენაზე გაგვანჩია დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახალ ისტორიაში. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. თუ ამ ნაშრომს ძალად თავსმობხვეულ მარქსისტულ გარესამოსს შემოვაცლით, მასში ღირებული მაინც რჩება. პირველ რიგში, ესაა მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა, გამოვლენილი ახალი წყაროები. ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯი აშკარად თვალშისაცემია და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, სწორი არ უნდა იყოს. ამ საინტერესო

---

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 10-11

<sup>2</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 11.

მასალას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. აქ წამოიჭრება ერთი პრინციპული საკითხი. როგორი იყო მისი დამოკიდებულება მარქსიზმისადმი? რა თქმა უნდა, აბსურდული იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ის ანტიმარქსისტი იყო, მაგრამ ბ-ნი კოტე არც არასოდეს არ ყოფილა თავგამოდებული მარქსისტი. ალბათ, ყველაზე უფრო სწორი იქნებოდა მარქსიზმისადმი მისი დამოკიდებულება ამ ეტაპზე ლოიალურად მივიჩნიოთ.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. ბ-ნი კოტე იგონებდა, რომ მას კინალამ თემა არ შეუცვალეს. საქმე ის იყო, რომ ზემდგომმა ორგანოებმა კათედრას უსაყვედურეს, რომ ის ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა უახლესი ისტორიის შესწავლას. ბ-ნი ალ. ნამორაძემ და ბ-ნმა გივი კილურაძემ ითათბირეს და გადაწყვიტეს, ბ-ნი კოტესათვის თემა შეეცვალათ. რადგან მან კარგად იცოდა ფრანგული ენა, ყურადღება საფრანგეთის უახლეს ისტორიას მიაპყრეს და არჩევანი გენერალ შარლ-დე გოლის კოლორიტულ ფიგურაზე შეაჩერეს. საჭირო იყო ბ-ნი კოტეს თანხმობა. ფრიად დელიკატური ვითარება შეიქმნა. მიუხედავად ბ-ნი ალექსანდრეს და ბ-ნი გივის დიდი პატივისცემისა, მან თემის შეცვლაზე ცივი უარი განაცხადა. ეს იყო სავსებით სწორი ნაბიჯი. აქ კარგად გამოძულავნდა მისი მეცნიერული შეუვალობა, პრინციპულობა. დაწყებული სამუშაოსთვის თავის დანებება დაენანა. ეს არ იყო უბრალო უმნიშვნელო ეპიზოდი, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მას ძირფესვიანად შეიძლება შეეცვალა მისი ცხოვრება. არჩეულ თემაზე მუშაობა მიატოვა, რა გამოუვიდოდა ახალი თემიდან, წინასწარ არავინ იცოდა. ახალგაზრდას შეიძლებოდა გული აცრუებოდა და სულ სხვა გზების ძიება დაეწყო. საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა.

სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ გამართული მეცნიერული პაექრობა საინტერესოა და აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში კ. ანთაძის წვლილის შეფასების პირველ მცდელობად გვევლინება. მას ისტორიო-გრაფიული დატვირთვა გააჩნია. ამ მასალის კვალს არქივში წავაწყდით და მიზანშეწონილად ვცანით მისი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. ამ თემის განხილვის დროს ჩვენ უშუალო წინამორბედებად, სწორედ, ამ დისკუსიის მონაწილეები გვევლინებიან და ამ საინტერესო მასალის წაყრუება, გვერდის ავლა, გამართლებული არ იქნებოდა.

ეს მოსაზრებები, აზრთა სხვადასხვაობა, უეჭველად შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს. თუმცა დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. თუ ამ მსჯელობას გავათავისუფლებთ ძალად თავსმოხვეული, მარქსისტული დებულებებისაგან, ხელში აუცილებლად დაგვრჩება რაღაც ღირებული და, სწორედ, ეს ღირებული უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. ამ მეცნიერული დავის მნიშვნელობას, სწორედ, ამ კრიტერიუმით უნდა მივუდგეთ.

კ. ანთაძის ნაშრომის დადებითი შეფასება სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, მაგრამ აქცენტის დასმა შეიძლება ყოფილიყო ცოტათი სხვაგვარი. მას ამჟამად ეტყობა იმ დროის კვალი და ვერ აცდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის რადაციას. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ოფიციალურმა ოპონენტმა პროფ. გიორგი ტივაძემ და დოც. გივი კილურაძემ სადისერტაციო ნაშრომს დადებითი შეფასება მისცეს. ეს დისერტაცია იმ პერიოდის ქართული ისტორიო-გრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო.

უწინარესად ყურადღებას იპყრობს სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა. ის საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება

და 700 გვერდს მოიცავს. შედგება შესავლის, სამი თავის და დასკვნისაგან. პირველი თავი მიზნად ისახავს წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვას. ის წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. მეორე თავი შეეხება ფრიად აქტუალურ საკითხს „რევოლუციური კრიზისის შექმნა 1792 წლის 10 აგვისტოს წინ“. აქ ის უკვე სულ სხვა ამპლუაში წარმოგვიდგება და საფუძვლიან ჩახედულებას ამჟღავნებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ემპირიულ ისტორიაში. ამ ხაზს აგრძელებს ის სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში. იგი ეხება კონკრეტულად 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებას და მისი გამოკვლევის გულს წარმოადგენს.

თავდაპირველად უნდა შევეხოთ ერთ აქტუალურ და საინტერესო საკითხს, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს და მისი გვერდის ავლა უმართებულო იქნებოდა. 1792 წლის 10 აგვისტო ახალი რევოლუცია იყო თუ გადატრიალება? რა პოზიცია უკავია ამ პრინციპულ საკითხთან დაკავშირებით დისერტანტს? ქართველი ისტორიკოსი ხან 10 აგვისტოს რევოლუციაზე, ხან კი 10 აგვისტოს გადატრიალებაზე საუბრობს, თუმცა ამ დისერტაციის სათაურად მას და მის მეცნიერხელმძღვანელს მაინც 1792 წლის 10 აგვისტოს რევოლუცია შეურჩევია. ორივე ტერმინი გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში. ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ალფონს ოლარი თავის დიდტანიან წიგნში „საფრანგეთის რევოლუციის პოლიტიკური ისტორია“ საუბრობს 1792 წლის 10 აგვისტოს რევოლუციაზე.<sup>1</sup> სხვა ისტორიკოსები მას 10 აგვისტოს გადატრიალებას უწოდებენ. საკითხი მხოლოდ ტერმინოლოგიას რომ ეხებოდეს, მას არც კი წამოვჭრიდით, მაგრამ მას ამავე დროს დიდი შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება.

---

<sup>1</sup> . . . , 1938, 154.

რევოლუციის განვითარება, სხვადასხვა საფეხურზე გადასვლა ხდებოდა ახალი რევოლუციის თუ გადატრიალების გზით. საფრანგეთის დიდი რევოლუცია ერთიანი რევოლუციური პროცესია, თუ მის შიგნით ადგილი ჰქონდა კიდევ რამდენიმე დამოუკიდებელ, ავტონომიურ რევოლუციას. მე-20 საუკუნის ფრანგულ ისტორიოგრაფიაში ადგილი აქვს ერთიანი რევოლუციური პროცესის გახლეჩის, დანაწევრების მცდელობას. გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, ჟორჟ ლეფევერი თავის პოპულარულ წიგნში საფრანგეთის რევოლუციაზე საუბრობს რამდენიმე რევოლუციის თაობაზე. ესაა „არისტოკრატიული რევოლუცია“, „ბურჟუაზიული რევოლუცია“, „გლეხების რევოლუცია“. მონარქიის დამხობას 1792 წლის 10 აგვისტოს ის პირდაპირ უწოდებს „მეორე რევოლუციას“.<sup>1</sup> საფრანგეთის დიდი რევოლუციის შიგნით კიდევ სამ რევოლუციას ხედავენ ცნობილი ფრანგი ისტორიკოსები ერნსტ ლაბრიუსი და მარკ ბულუაზო. ისინი აქცენტს აკეთებენ სხვადასხვა იურიდიულ წესწყობილებაზე.<sup>2</sup> საფრანგეთის დიდი რევოლუციის შიგნით არსებულ რამდენიმე რევოლუციაზე საუბრობენ ფრანგი ისტორიკოსები ფრანსუა ფიურე და დენი რიშე თავის გახმაურებულ წიგნში საფრანგეთის რევოლუციაზე. ეს არის „ელიტის რევოლუცია“, „პლებსების რევოლუცია“ თუ პირველისადმი მათი დამოკიდებულება მაინც კეთილგანწყობილი ჩანს, მეორესადმი ამას ვერ ვიტყვით. ის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია.<sup>3</sup>

ჩვენ მეტად ფრთხილად უფრო იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია იყო ერთიანი რევოლუციური პროცესი და მისი დანაწევრება, პარცელიზაცია,

---

<sup>1</sup> G. Lefebvre, La revolution Francaise, Paris, 1952.

<sup>2</sup> R. Mousnier et E. Labrousse (avec La collaboration de M. Bouloiseau) Le XVIII sciecle. L'epoque des Lumiers, Paris, 1963.

<sup>3</sup> Furet et Rushet, La Revolution Francaise, Paris, 1965.

მთლად დამაჯერებელი როდია და, ალბათ, მაინც სიფრთხილეს მოითხოვს. 10 აგვისტოს გადატრიალება იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნა და არა ცალკე რევოლუცია. ამიტომ, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა ვილაპარაკოთ 10 აგვისტოს გადატრიალებაზე. რევოლუცია უკვე დაწყებულია, მიმდინარეობს. ეს არ ყოფილა ცალკე რევოლუცია, რევოლუცია რევოლუციის შიგნით. ჟორჟ კლემანსის თქმით „საფრანგეთის რევოლუცია იყო ერთიანი მონოლითი“.

პირველ რიგში ხაზი უნდა გაეუსვათ იმას, რომ ოპონენტები ერთსულოვნად აღნიშნავენ თემის აქტუალობას. აი, რას წერდა პროფ. გიორგი ტივაძე. „დისერტანტს თავისი კვლევის საგნად საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია გაუხდია. ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი, როგორცაა 10 აგვისტოს გადატრიალება. ამ თემის აქტუალობა, ჩვენი თვალსაზრისით, იზრდება იმითაც, რომ მასზე დღემდე არსებული სპეციალური გამოკვლევები თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ უპასუხებენ, ვერც თავიანთი იდეოლოგიური გამართულობით და ვერც საკითხის სრული ამომწურავობით. ჩანს, ამ გარემოებამ დისერტანტს მისცა შესაძლებლობა იმისა, რომ მას თავისი შრომით შეეტანა ერთგვარი წვლილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში.“<sup>1</sup>

მეორე ოპონენტი დოც. გივი კილურაძე დასძენდა: „საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიაში 10 აგვისტოს გადატრიალებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ესაა ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეტაპი იმ ეპოპეისა, რომელსაც საფრანგეთის 1789-1794 წლების რევოლუცია ეწოდება.

---

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 15.

ცნობილია, რომ საფრანგეთის რევოლუციის ისტორია, ისტორიოგრაფიის ერთი ყველაზე უფრო პოპულარული თემაა, ამ საკითხის ირგვლივ ათასობით გამოკვლევა არსებობს. ისტორიკოსთა მრავალრიცხოვანი არმია ამუშავებდა და ამუშავებს ამ ფრიად საინტერესო თემას. ასევე ბევრი დაიწერა 10 აგვისტოს გადატრიალების შესახებ, მათ შორის მონოგრაფიებიც. მაგრამ, სამწუხაროდ, 10 აგვისტოს გადატრიალების შესახებ არსებული მონოგრაფიები ამკარად რეაქციული ან უკეთეს შემთხვევაში ლიბერალურ-ბურჟუაზიული პოზიციებიდანაა დაწერილი (მაგალითად, მორტიმერ – ტერნო, სანიაკი და სხვა.) საბჭოთა ისტორიკოსებმა მრავალი საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნეს საფრანგეთის 1789-1794 წწ. რევოლუციის ისტორიას, ცხადია, 10 აგვისტოს გადატრიალება მათი ყურადღების ცენტრში იყო მუდამ, მაგრამ 10 აგვისტოს რევოლუციის შესახებ მონოგრაფია ან სპეციალური ნაშრომი არ დაწერილა. სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხარვეზის გამოსწორებას ჩვენი უნივერსიტეტის მიერ აღზრდილი, ახალგაზრდა ნიჭიერი ასპირანტი კ. ანთაძე შეეცადა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. მისი ნაშრომი, შეიძლება ითქვას, 10 აგვისტოს გადატრიალების მონოგრაფიულად დამუშავების პირველი ცდაა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და ამდენად, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანი მხარეებისა, სასარგებლო შენაძენია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის“.<sup>1</sup>

პროფ. გ. ტივაძე ხაზს უსვამს კ. ანთაძის გამოკვლევის კიდევ ერთ დადებით მხარეს. ის აღნიშნავს: „კ. ანთაძეს მაქსიმალურად გამოუყენებია ოფიციალური დოკუმენტების კრებული ფრანგულ ენაზე, საფრანგეთის პერიოდული პრესა, მემუარები, სხვადასხვა მიმოწერები, თანამედროვეთა შრომები, საერთო და სპეციალური ხასიათის შემდგომდროინდელი

---

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 49-50



ისტორიული ნარკვევები, როგორც რუსულ, ისე ფრანგულ ენებზე და სხვა. ამგვარად, სადისერტაციო ნაშრომის ავტორი მდიდარ ლიტერატურაზე და პირველწყაროებზე დაყრდნობით ავლენს საღ მსჯელობას და მთელ რიგ შემთხვევებში ისტორიულ მოვლენათა სწორი ანალიზით, ის იძლევა დამაჯერებელ დასკვნებს“.<sup>1</sup>

მეორე ოპონენტი დოც. გივი კილურაძე დასძენდა: „დისერტანტმა ბევრითი, თავდადებული შრომა გასწია, დაამუშავა თემის ირგვლივ არსებული კოლოსალური მასალა, კრიტიკულად შეისწავლა ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა მრავალი ნაშრომი, ყოველმხრივ გამოიყენა საბჭოთა ისტორიოგრაფიის ყველა მიღწევა და ამ საფუძველზე აგებული საინტერესო ნარკვევი წარმოგვიდგინა“.<sup>2</sup>

დისერტაცია არ წარმოადგენს ფაქტების უბრალო გროვას. დისერტანტი არ შემოიფარგლება მათი სქემატურად, მშრალად გადმოცემით. ეს საინტერესო არ იქნებოდა. მისი მსჯელობა ანალიტიკური მუხტითაა გაჯერებული. ის ცდილობს წყაროების მონაცემების კრიტიკულ ფილტრში გატარებას. ეს მისი ნაშრომის კიდევ ერთი პლუსია. „ამასთან დისერტანტის სასახელოდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული წყაროების გამოყენებას იგი ახდენდა კრიტიკული მიდგომის საფუძველზე. ცალკეულ წყაროთა მონაცემების დაპირისპირებით და სხვა ცნობებთან მათი შეჯერებით ავტორი ადგენს მოვლენათა ობიექტურ სურათს. კ. ანთაძე აწარმოებს გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ფართო მიმოხილვას, საიდანაც თვალსაჩინო ხდება მისი უნარი სიფრთხილის გამოჩენისა ბურჟუაზიული მკვლევარების

---

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 15-16.

<sup>2</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 50.

მონაცემთა გამოყენების საქმეში“, - აღნიშნავს პროფ. გიორგი ტივაძე.<sup>1</sup>

დისერტანტი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ამაჯავნებს 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების წანამძღვრების, გამომწვევი მიზეზებისადმი. ის დიდ ადგილს უთმობს ფედერატების ფართო მოძრაობას, 1792 წლის 20 ივნისის მოვლენებს, პარიზის სექციების თავგამოდებულ რევოლუციურ საქმიანობას. პარიზის ახალი რევოლუციური კომუნის მათგანიზებულ ძალას. „რევოლუციური სიტუაციის შექმნამ იმდროინდელ საფრანგეთში შესაძლებლობა მისცა ავტორს, უფრო ღრმად და ამომწურავად გაეგო 10 აგვისტოს რევოლუციის წინაპერიოდის ნამდვილი არსი“ - დასძენს პროფ. გიორგი ტივაძე.<sup>2</sup>

„მართალია, სადისერტაციო ნაშრომი რიგ ადგილებში ღებულობს კომპილაციურ ხასიათს, მაგრამ ამასთან ერთად, კ. ანთაძე ანალიზს აწარმოებს პირველწყაროებზე დაყრდნობით და იძლევა მთელ რიგ საკუთარ შეხედულებებს, როცა ის ეხება გაბატონებული კლასების ინტერესთა სხვადასხვაობის გარკვევას, საფრანგეთის არმიის უმწეო მდგომარეობას, საომარი ოპერაციების მსვლელობას პირველ კვირეებში, რომელნიც ინტერვენტთა სასარგებლოდ წარიმართა და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ყოველივე ამას მოჰყვა გაბატონებული კლასების აბნეულობა და მმართველობის კრიზისი, რომელიც დაიწყო მაისის ბოლოს და უფრო მეტი სიციხადით გამოვლინდა 20 ივნისის დემონსტრაციის დროს“<sup>3</sup>. ომმა დროებით შეაჩერა კრიზისი, მაგრამ მის თავიდან აცილება ვერ შეძლო.

---

<sup>1</sup> პროფ. კოტე ანთაძის პირადი არქივი, 16.

<sup>2</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 17.

<sup>3</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 17.

სადისერტაციო ნაშრომის გულდასმით გაცნობის შემდეგ ოპონენტები ასეთ დასკვნამდე მივიდნენ: „კ. ანთაძის სახით ახალგაზრდა ქართველ ისტორიკოსთა ჯგუფს შეემატა, უდაოდ, ნიჭიერი, განათლებული, შრომისმოყვარე, კარგი მომავლის მქონე წევრი. მას, უდაოდ, გააჩნია ისტორიკოსისათვის საჭირო ყველა თვისება: იგი ოსტატურად ფლობს მეცნიერული კვლევის მეთოდებს, ავლენს დამოუკიდებელი კვლევის მომწიფებულ ჩვევებს, ანალიზის და სინთეზის უნარს, მას ძალუძს კრიტიკულად აითვისოს მასალა. ოსტატურად განაზოგადოს იგი. დისერტანტი კარგად ფლობს როგორც რუსულ, ისე უცხოურ ენებს (განსაკუთრებით ფრანგულს). დისერტაცია კარგი ქართული ენითაა დაწერილი“ - აღნიშნავს დოც. გივი კილურაძე.<sup>1</sup> საქართველოში საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის ისეთი კომპეტენტური მკვლევარის, როგორიც გივი კილურიძე იყო, დადებითი შეფასება განსაკუთრებით ფასეულია და სადისერტაციო ნაშრომის წარმატებად მიგვაჩნია.

კ. ანთაძე არ იყო მხოლოდ ჩინებული ფაქტოლოგი, ეპიკრიკოსი, ისტორიკოსი. მას კარგად ხელეწიფებოდა ისტორიული მოვლენების შეფასება, ანალიზი. თხრობა, აღწერა ერწყმის ანალიზს. ოპონენტები ერთსულოვნად მიუთითებენ დისერტანტის ანალიტიკურ უნარზე. ისტორიული ფაქტების საფუძვლიანი ცოდნა მას შეხამებული აქვს ანალიტიკურ ნიჭთან. ანალიტიკური აზროვნება მისი, როგორც ისტორიკოსის პლუსია. ეს მის მსჯელობას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის, მაგრამ იყო ერთი გარემოება, რომელზეც კრინტის დაძვრას მაშინ, ბუნებრივია, ვერავინ გაბედავდა. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ის, რომ ანალიზში იგი შეზღუდული იყო და ერთი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩარჩოებშია მოქცეული. ოპონენტები,

---

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 50.

ცხადია, მაშინ, ამის ხმამალა თქმას ვერ გაბედავდნენ, თუმცა, უეჭველად, ძალიან კარგად ხვდებოდნენ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, კ. ანთაძის საკანდიდატო დისერტაციის „1792 წლის 10 აგვისტოს რევოლუცია საფრანგეთში“ ღირსებად შეიძლება მივიჩნიოთ: 1. თემის აქტუალობა. 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება მნიშვნელოვან მიჯნას წარმოადგენდა საფრანგეთის რევოლუციის მსვლელობაში, რომლის შედეგად საფრანგეთში კონსტიტუციური მონარქია ჩაანაცვლა რესპუბლიკამ. ეს იყო გრანდიოზული მნიშვნელობის თვისებრივი ცვლილება. 2. ეს თემა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შეუსწავლელი იყო და ქართველმა ისტორიკოსმა სცადა თავისი წვლილი შეეტანა ამ ხარვეზის გამოსწორების საქმეში. ეს უკვე სიახლე იყო. ამდენად თემა იყო აქტუალური და შეუსწავლელი. ამიტომ, დისერტანტის და მისი მეცნიერხელმძღვანელის პროფ. ალექსანდრე ნამორაძის გადაწყვეტილება საგანგებოდ გამოეკვლიათ 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება, სავსებით გამართლებულად ჩანდა. 3. დისერტანტი საკმაოდ კარგად იცნობს საკითხის შესახებ არსებულ პირველწყაროებს და მდიდარ საკვლევ ლიტერატურას, როგორც რუსულ, ისე ფრანგულ ენებზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამით აიხსნება, რომ მან თავის ნაშრომში თავი მოუყარა უზარმაზარ მეცნიერულ ინფორმაციას, მრავალფეროვან პირველწყაროებს, მდიდარ ფაქტობრივ მასალას. მათ დიდ ნაწილს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ. შეძლებისდაგვარად ცადა ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ფრანგული და საბჭოთა ისტორიოგრაფიის ყველა თვალსაჩინო მიღწევის გათვალისწინება. ამაზე დაყრდნობით, მან შექმნა სერიოზული გამოკვლევა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მნიშვნელოვან საკითხზე 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებაზე. ეს დისერტანტის წარმატება იყო. ფაქტობრივად, ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა,

რომელიც მარქსისტულ აპკში გახლდათ გახვეული. მან აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მოგვცა მისი მარქსისტული გადაწყვეტა. 4. მხოლოდ ფაქტოგრაფია, ემპირიზმი, არ წარმოადგენს კ. ანთაძის სადისერტაციო ნაშრომის ძლიერ მხარეს, თუმცა, რა თქმა უნდა, არც ესაა ცოტა. კ. ანთაძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასოდეს არ ყოფილა ვიწრო ემპირიკოსი, ისტორიკოსი. მას ძალიან კარგად ხელეწიფებოდა არა მარტო თხრობა, აღწერა, არამედ განზოგადება, შეფასება, ანალიზი. მისი დისერტაცია ანალიტიკური მუხტითაა გაჯერებული. ეს მისი დისერტაციის კიდევ ერთი ძლიერი მხარეა. ის კარგად ფლობს წყაროების კრიტიკული ანალიზის მეთოდს. დისერტანტი გულმოდგინედ, გამოწვლილვით, შეისწავლის ისტორიულ წყაროებს და ამ მონაცემების კრიტიკულ ფილტრში გატარების შემდეგ ცდილობს მიუახლოვდეს ისტორიულ რეალობას. საკითხისადმი მიდგომა მეცნიერულია, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში მოექცა. ტოტალიტარულ-ბოლშევიკური იდეოლოგიის მონოპოლიის პირობებში მისი მდიდარი ანალიტიკური უნარის ბოლომდე გამოყენება ვერ მოხერხდა. დღევანდელი გადასახედიდან მისი განსჯა მართებული არ იქნებოდა. სხვა არჩევანი არ არსებობდა. განსხვავებული აზრი სასტიკად იღვევებოდა, ითრგუნებოდა, თვით ისტორიკოსის ფიზიკური განადგურების ჩათვლით. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს.

5. კ. ანთაძის სადისერტაციო ნაშრომი იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის შესწავლის და პოპულარიზაციის საქმეში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს ამ საკითხის შესახებ არსებული უზვი პირველწყაროების და მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას.<sup>1</sup> ეს მონაკვეთი ნაშრომში ერთ-ერთი საინტერესოა და საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსობრივად. ის 106 გვერდს მოიცავს და ცალკე საინტერესო ისტორიოგრაფიულ ნარკვევად გვევლინება. უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ის ძალიან კარგად ფლობს ისტორიოგრაფიული ნაშრომის დაწერის ხელოვნებას. ის არ კმაყოფილდება ევროპელი ისტორიკოსების შეხედულებების უბრალოდ გადმოცემით და ცდილობს გამოარკვიოს მათი ნააზრევის ძლიერი და სუსტი მხარეები, ახსნას მისი გამომწვევი მიზეზები. მას სურს თავიდან აიცილოს ორივე უკიდურესობა. ამ ისტორიკოსების შემოქმედების როგორც აპოლოგეტური, ისე განმაქიქებელ კრიტიკული შეფასება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი მსჯელობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. საკითხისადმი მიდგომა მეცნიერულია, ის ანალიტიკური მუხტითაა გაჯერებული. დოც. გივი კილურაძე, რომელიც ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებში საკმაოდ ჩახედული ჩანდა და განსაკუთრებით კარგად იცნობდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიოგრაფიას, მიუთითებდა: „ნაშრომის პირველი თავი „საგნის წყაროების და ლიტერატურა“ ოსტატურადაა დაწერილი. ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს საკითხის ირგვლივ არსებულ წყაროებსა და ლიტერატურას. ავტორი ავლენს წყაროთმცოდნეობის ძირითადი პრინციპების კარგ ცოდნას. ავტორი იძლევა ბურჟუაზიული ისტორიოგრა-

---

<sup>1</sup> . , 10 1792  
(  
) , ., 1956, 3-7.

ფიის დამაჯერებელ მეცნიერულ კრიტიკას. ამ მხრივ დისერტანტი მა მოლოდინსაც კი გადააჭარბა. მკითხველს იტაცებს მის მიერ ზოგიერთი ცნობილი ბურჟუაზიული ისტორიკოსის მოსაზრებების ჭეშმარიტად მეცნიერული, დამაჯერებელი, აკადემიური მეთოდებით გაბათილება“.<sup>1</sup> ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს პროფ. გ. ტივაძე. იგი დასძენს. „ყველა ზემოთხამოთვლილი დადებითი მხარეების გარდა, სადისერტაციო ნაშრომს მეტ ღირსებას აძლევს ისიც, რომ ავტორს მასში მოუხდენია საგნის წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა“.<sup>2</sup> დღეს, შესაძლოა, ეს შეფასება ცოტა გადაჭარბებული გვეჩვენოს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ის სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მკაცრ მოთხოვნებს. მისი ღირებულების შეფასებისას, სწორედ, ამ კრიტერიუმიდან უნდა გამოვიდეთ. ეს იქნებოდა მეცნიერული მიდგომა. იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე როდესაც მიმდინარეობდა ევროპული ისტორიოგრაფიის განქიქება, ხშირად უბრალოდ ლანძღვა-გინებაც კი, კ. ანთაძის აკადემიური ტონი უფრო დაბალანსებული ჩანს, და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მონაკვეთი ნაშრომში ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესოა და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩანს, დისერტანტი გაიტაცა საკითხის ისტორიოგრაფიამ და ძალიან შორს შეტოვა. აღსანიშნავია, რომ ამის თაობაზე პირველად ოფოციალური ოპონენტები ალაპარაკდნენ. სავსებით ვიზიარებთ ოპონენტების მოსაზრებას, რომ „ისტორიოგრაფიული ნაწილი გადატვირთული არ უნდა იყოს, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ დისერტანტი ფართოდ მიმოიხილავს არა მხოლოდ იმ ისტორიკოსების შრო-

---

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 51.

<sup>2</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 18.

მებს, რომლებიც წერდნენ 1792 წლის 10 აგვისტოს გადატ-  
რიალებაზე, არამედ არჩევს ამ ისტორიკოსთა შრომებსაც,  
რომლებიც შეეხნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტო-  
რიას, მაგრამ კონკრეტულად 10 აგვისტოს მოვლენებს, მხო-  
ლოდ გაკვრით თუ მოიხსენიებენ.<sup>1</sup> ამიტომ, მათ შეხედულე-  
ბებზე დაწვრილებით შეჩერება, ალბათ, მართლაც ზედმეტი  
იყო.

ვფიქრობთ, სავსებით სწორია დოც. გივი კილურაძე,  
როდესაც დასძენს, რომ „ავტორი მიმოიხილავს დასავლეთ  
ევროპის ისტორიოგრაფიას მეორე მსოფლიო ომამდე, თანა-  
მედროვე ისტორიოგრაფიის შესახებ კი არაფერს ლაპარა-  
კობს. მას ქონდა უნარი და ნაწილობრივ შესაძლებლობა მო-  
ეცა ასეთ მიმოხილვა. ეს საჭირო იყო“.<sup>2</sup> ეს სერიოზული  
მოსაზრებაა. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მას. ძალიან კარგი  
იქნებოდა დისერტანტს ეს თემა, მოკლედ, სულ ორიოდე  
სიტყვით, მიმოეხილა. ეს მას, ცხადია, თავისუფლად ხელე-  
წიფებოდა. ეს შინაარსობრივად, კიდევ უფრო გაამდიდრებდა  
მის ისედაც საინტერესო ისტორიოგრაფიულ ნარკვევს და  
მომგებიან ქულებსაც შესძენდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა.  
რატომ ძნელი სათქმელია. უნდა დავეთანხმეთ პროფ. გივი  
კილურაძის მოსაზრებას, რომ ალბათ, გაცილებით უფრო  
უპრიანი იქნებოდა „საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიმოხილვას  
შედარებით მეტი ყურადღება დათმობოდა და საფუძვლიანად  
განხილულიყო. ეს არ უნდა გაკეთებულიყო გაკვრით, მხო-  
ლოდ დასახელების დონეზე“<sup>3</sup>. აღნიშნული თემისადმი ასეთი  
გულგრილი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყო-

---

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო  
არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 18, 51.

<sup>2</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო  
არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 52.

<sup>3</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო  
არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 52.



ფილა და უმთავრესად იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მას არ სურდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლოგია, რასაც მისგან მოითხოვდნენ, ხოლო დაეწერა ისე, როგორც ეს მას უნდოდა, იცოდა, რომ ამის უფლებას არ მისცემდნენ. კონფრონტაციაზე არ წავიდა და ამ საკითხის მშრალად გადმოცემას დაჯერდა, ზერელობა მისი სტილი არ იყო. დასასრულს აუცილებლად უნდა დაეძინოთ, რომ დისერტანტის და ოფიციალური ოპონენტების თვალსაწიერს მიღმა დარჩა კიდევ ერთი საინტერესო თემა. აღნიშნული პრობლემის შესწავლა რევოლუციამდე რუსულ ისტორიოგრაფიაში. აქ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ცნობილი რუსი ისტორიკოსის პროფ. ნიკოლოზ კარაევის საინტერესო ნაშრომი „პარიზის სექციები, საფრანგეთის რევოლუციის დროს“ (1789-1795—<sup>1</sup>. ვფიქრობთ, საინტერესო იყო მას შეფასება მიეცა ამ ნაშრომისათვის. ეს თემა კადრს მიღმა რჩება. რატომ? სახელგანთქმული რუსი ისტორიკოსის ეს ნაშრომი დამოწმებული ლიტერატურის ნუსხაში მითითებული არაა. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ეს გამოკვლევა მას, ეტყობა, მხედველობიდან გამორჩა და შესაძლოა, გაცნობილი არ იყო. ამ თემის დამუშავების საქმეში „რუსული სკოლის და პირველ რიგში ნ. კარაევის წვლილის გვერდის ავლა გამართლებული არ უნდა ჩანდეს და დამაჯერებლად არ მიგვაჩნია.

ამრიგად, კ. ანთაძემ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. ამ პრობლემის დამუშავების დროს მის ერთ-ერთ დამსახურებას, სწორედ, ეს წარმოადგენს. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს იყო წინ-

---

1  
(1789-1795), , 1911.

გადაღმებული ნაბიჯი. ვინაიდან არც მანამდე და არც მას შემდეგ ამ დარგში მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურით განებივრებული არ ვიყავით. საკითხისადმი მიდგომამ მეცნიერული ელფერი მიიღო, მაგრამ ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. მან აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მოგვცა მისი მარქსისტული გაშუქება. რა თქმა უნდა, ეს არ იყო საუკეთესო გამოსავალი. დიდი არჩევანი არ არსებობდა. უნდა აგერჩია უარესა და ცუდს შორის. მან უპირატესობა ამ უკანასკნელს მიანიჭა. იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ეს იყო სწორი ნაბიჯი. დღევანდელი გადასახედიდან მისი განსჯა სწორი არ იქნებოდა და სუპერკრიტიულად მიგვაჩნია. მაშინ ამ დარგში დღეს სრული ვაკუუმი გვექნებოდა და ეს კიდევ უფრო ცუდი იყო. კ. ანთაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ჩახელულებას ამჟღავნებს. ეს მისი ნაშრომის პლუსია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და მტკიცე საძირკველს უყრის მის გამოკვლევას. ეს მისი ნაშრომის წარმატების მთავარ საწინდრად გვევლინება. ისტორიოგრაფიული თემატიკისადმი კ. ანთაძის გულგრილ დამოკიდებულებაზე აქცენტირება კიდევ ერთ ინსინუაციადა მიგვაჩნია.

ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა ეს ისტორიოგრაფიული ნარკვევი მას ცალკე სტატიების სახით გამოექვეყნებინა, მაგრამ ის ასე არ მოიქცა, რაც უმთავრესად მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის, დიქტატისადმი, მისი სექტური დამოკიდებულებით აიხსნება. ჩვენი აზრით, მან სულ ტყუილად შეიკავა თავი ამ შრომების პუბლიკაციისაგან. ეს შრომები კიდევ უფრო გაამდიდრებდა იმ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას და მისი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი იქნებოდა. როგორც უკვე ითქვა, თუ მის მსჯელობას ძალად თავსმობვეულ მარქსისტულ-ლენინურ გარესამოსს ჩამოვაშორებთ, მასში რაციონ-

ნალური მარცვალი, უეჭველად, რჩება და, სწორედ, ეს ფასეული უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. ეს იქნებოდა საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. ეს ისტორიოგრაფიული შრომები მისი წყაროთმცოდნეობითი პუბლიკაციების ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა და ამ დარგში პროფ. კოტე ანთაძის წვლილზე კიდევ უფრო ადეკვატურ წარმოდგენას შეგვიქმნიდა, მაგრამ ის სულ სხვაგვარად მოიქცა. ხელსაყრელი შანსი დაიკარგა, ხელიდან იქნა გაშვებული.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი ეხება ფრიად აქტუალურ და საინტერესო საკითხს. 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების წანამძღვრებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის შესახებ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და ერთსულოვნება არასოდეს ყოფილა. ერთნი, უპირატესად მემარჯვენე – კონსერვატიული და ლიბერალური ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება სპონტანურ, შემთხვევით, ხასიათს ატარებდა. მეორენი, უმთავრესად რადიკალურ-დემოკრატიული ბანაკის ისტორიკოსები არ იზიარებდნენ ამ მოსაზრებას და უფრო იმ აზრისაკენ იხრებიან, რომ 10 აგვისტოს გადატრიალება ღრმად ჰქონდა გადატრიალებული ფესვები 10 აგვისტოს გადატრიალებამდე საფრანგეთში არსებულ პოლიტიკურ ყოფაში და მის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება.

მეორე თავი სამ ნაწილადაა გაყოფილი და მას საფუძვლად უდევს ვ.ი. ლენინის მოძღვრება რევოლუციური სიტუაციის შესახებ. რა თქმა უნდა, საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ეს მონაკვეთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიისათვის ხარკის მოხდის კულმინაციად მიგვაჩნია. ალბათ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ამ შემთხვევაში ის გულ-

წრფელი არ ყოფილა. ჩვენ არ ვაპირებთ მასთან მეცნიერულ პოლემიკაში შესვლას. ეს ადვილი გზით სიარული იქნებოდა. ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო საინტერესოა ამ საკითხის სულ სხვა კუთხით შევხედოთ. აი, რა გვაქვს მხედველობაში. ეს არის კიდევ ერთი კარგი ნიმუში იმისა, თუ რა დღეში შეიძლება ჩააყენოს მეცნიერი ტოტალიტარულმა რეჟიმმა. როდესაც მას არ გააჩნია საკუთარი შეხედულებების თავისუფლად გამოთქმის საშუალება. სახელმწიფო ძალად ახვევს თავს მეცნიერს მისთვის სასურველ იდეოლოგიას. ამ შემთხვევაში ბრალს ვდებთ არა კონკრეტულად რომელიმე ისტორიკოსს, არამედ იმ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც აიძულებს მეცნიერს გარკვეულ შეზღუდულ ჩარჩოებში მოექცეს.

მისი მსჯელობა უმთავრესად ემყარება პირველწყაროებს და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ცდილობს დაადგინოს მომხდარი ფაქტი. მან დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება არ იყო შემთხვევითი მოვლენა და იგი ლოგიკურად გამომდინარეობდა რევოლუციის მსვლელობის საერთო პროცესიდან. „ამრიგად, საფრანგეთში 10 აგვისტოს წინა პერიოდისათვის სახეზე იყო როგორც ყველა ობიექტური, ისე ყველა სუბიექტური ფაქტორი, რომელიც იყო აუცილებელი წინაპირობა ახალი რევოლუციისა.“<sup>1</sup> ნაშრომში კარგად იგრძნობა „იაკობინოცენტრისტული“ მიდგომა, რომელიც ფრიალ ნიშანდობლივი იყო იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის „სექციების და ფედერატების მოძრაობას სათავეში იაკობინები ედგნენ. იაკობინთა კრებების ქსელმა მთელი საფრანგეთის მოიცვა. იაკობინები იყვნენ ის ცენტრალური ორგანიზაციული ძალა, რომელიც სათავეში ედგა ხალხის მზარდა რევოლუციურ

---

<sup>1</sup> . . . 10 1792  
(  
) . . . 1956, 14.

აქტივობას.<sup>1</sup> იაკობინთა მაღალი შეფასება პერიოდის ისტორიოგრაფიისათვის ნიშანდობლივი. მიუხედავად გაბატონებული იდეოლოგიისადმი რევერანსებისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ თუ ამ მსჯელობას მარქსისტულ გარესამოსს შემოვაცლით, რაღაც რაციონალური მარცვალი მაინც გვრჩება ხელში. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ესაა ის ზუსტი ფაქტობრივი მასალა, რომელიც დისერტაციაშია თავმოყრილი და რომელიც უამრავი პირველწყაროებისა და საკვლევი ლიტერატურის გულმოდგინე შესწავლის და კრიტიკულ ფილტრში გატარების ლოგიკურ შედეგად გვევლინება. ის ცდილობს თვალი გაადევნოს რევოლუციური სიტუაციის მომწიფებას დროის საკმაოდ ხანგრძლივ მანძილზე. 1792 წლის მაისიდან 10 აგვისტოს გადატრიალებამდე. იგი ამ მონაკვეთს ეტაპებად ყოფს და განსაკუთრებით უსვამს ხაზს 20 ივნისის მოვლენების ისტორიულ მნიშვნელობას. ეს მონაკვეთი მოიცავს 362 გვერდს და ცალკე საინტერესო გამოკვლევას წარმოადგენს. აქ, ბუნებრივია, ისმის კითხვა. ეს მონაკვეთი ცოტა დიდი ხომ არ არის? შეიძლება დავეთანხმოთ ოპონენტებს, რომ დისერტანტის მსჯელობა ცოტა გაწელილია და მეორეხარისხოვანი დეტალებითაა გადატვირთული. წვრილმანი დეტალები ამდენ ყურადღებას არ იმსახურებს და მის გადმოცემას დიდი ადგილი არ უნდა დაეთმოს. მეორე თავი განტვირთვას მოითხოვს.

და ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი. ომი ევროპასთან. 1792 წლის 20 აპრილს რევოლუციურმა საფრანგეთმა ომი გამოუცხადა ევროპას. რა გავლენა მოახდინა ამ ფაქტმა რევოლუციური პროცესის მსვლელობაზე? ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საფრანგეთში კონსტიტუციური მონარქია კიდევ დიდხანს იქნებოდა თუ არა საგარეო

---

<sup>1</sup> . . . 10 1792  
( . . . ), . . ., 1956, 14.

პოლიტიკური გართულებები, ომის დაწყება 1792 წლის 20 აპრილს. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ომმა დროებით გამოიღო შედეგი და შეაჩერა ხალხი მღელვარება, რაც მნიშვნელოვანწილად იმით იყო გამოწვეული, რომ მათი ყურადღება გადატანილი იქნა საგარეო პრობლემებზე, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტეხილი უნდა ჩანდეს 20 ივნისის მოვლენები. ხალხის ყურადღების ცენტრში კვლავ აღმოჩნდა საშინაო პოლიტიკის საკითხები. აი, რას წერდა დისერტანტი „ერის წიაღში შინაგანი ყრუ დუღილი არ შეჩერებულა. გაბატონებული კლასების უთანხმოებამ ომის საკითხების ირგვლივ მისცა შესაძლებლობა იმას, რომ თავისუფლად ამოხეთქილიყო ფართო მასების ეს უკმაყოფილება და აღმოფოთება, რაც მოხდა 20 ივნისს გრანდიოზული შეიარაღებული დემონსტრაციის სახით“ ამ თემაზე მისი მსჯელობის ძლიერ მხარეებთან ერთად გააჩნია თავისი მინუსები და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. პროფ. გივი კილურაძის აზრით „საკმაო დამაჯერებლობითა და სიღრმით ვერაა წარმოდგენილი საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დამოკიდებულებას იჩენდნენ ომის საკითხისადმი საფრანგეთის სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ჯგუფები... ჟირონდისტთა ომისადმი დამოკიდებულების საკითხი ტრაფარეტულადაა წარმოდგენილი. იაკობინების პოზიციები კი თითქმის სავსებით გვერდავლილია.“<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ დისერტანტის მიმართ ანალოგიური პრეტენზიები გააჩნია მეორე ოპონენტსაც პროფ. გიორგი ტივაძეს. ეს, ალბათ, იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ეს მოსაზრება გასათვალისწინებელია.

---

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 54. გ. კილურაძე, ჟირონდისტები და „პროვანდისტული ომის“ ლოზუნგი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 85, (148), თბ., 1972.

სადისერტაციო ნაშრომის ყველაზე უფრო წონად ნაწილს, გულს, ცხადია, წარმოადგენს მესამე თავი „1792 წლის აგვისტოს გადატრიალება“. ეს უშუალოდ შეეხება მთავარ თემას და შედგება სამი ქვეთავისაგან. სულ მოიცავს 283 გვერდს.<sup>1</sup> ის მკვეთრად გამოკვეთილ კვლევით ხასიათს ატარებს. „აქ მდიდარი ფაქტიური მასალის მომარჯვებით ავტორი მიმოიხილავს ბრძოლისათვის მზადების, ტიულერის ალების და ხალხის გამარჯვების უახლოეს შედეგებს. „ავტორმა აქ მრავალი საინტერესო საკითხი გააშუქა, მეტად ოსტატურად და მომზადებულად, დამაჯერებლადაა წარმოდგენილი 10 აგვისტოს რევოლუციის მთელი მსვლელობა. მისი მნიშვნელობა, მისი ადგილი საერთოდ რევოლუციის ისტორიის გადატრიალების შედეგებისა და პერსპექტივების, რომელიც რევოლუციის განვითარებას დაუსახა 10 აგვისტოს სახალხო გამარჯვების შედეგად. ნაშრომის ეს თავი, ისევე, როგორც მთლიანად მთელი ნაშრომი, დაწერილია ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის გაბედული, დამაჯერებელი კრიტიკის საფუძველზე, წინა პლანზეა წამოწეული მასების როლი 10 აგვისტოს გადატრიალების გამარჯვებით დაგვირგვინების საქმეში. პარიზის რევოლუციური კომუნის, რევოლუციური სექციების როლი, ბრძოლის ხელმძღვანელობის საქმეში და სხვა.“<sup>2</sup>

დისერტაციის დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ ავტორის მცდელობა დაადგინოს სახელგანთქმული ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს რომანის „ოცდაცხრამეტის“ მთავარი გმირის სიმურდენის პროტოტიპი. მან გამოთქვა მეტად ფრთხილი ვარაუდი, რომ შესაძლოა, ის ყოფილიყო ქსავიე -

---

<sup>1</sup> . . . 10 1792

(

), ., 1956, 14-20.

<sup>2</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 55-56.

ფრანსუა ოდუენი - ყოფილი აბატი, იაკობინი, შემდგომში კონვენტის პოლიტიკური კომისარი ვანდეაში<sup>1</sup> რატომღაც პირველი ოპონენტი პროფ. გიორგი ტივაძე ამ სიახლეზე კრინტს არ ძრავს და ღუმილით უკლის გვერდს. ნუთუ მას მხედველობიდან გამორჩა ეს საინტერესო ნიუანსი? მეორე ოპონენტი დოც. გივი კილურაძე ყურადღებას ამახვილებს ამ საკითხზე და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „უუსურველდით ავტორს ამ მიმართულებით დამატებითი კვლევა-ძიების ჩატარებას, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია სიმურდენის პროტოტიპის ძიება ლიტერატორებს ჯერ არ უწარმოებიათ“<sup>2</sup>

ოპონენტების აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა დისერტანტს დამაჯერებლად ეჩვენებინა 10 აგვისტოს გადატრიალების დროს დანტონის, რობესპიერის და მარატის როლი. შეიძლებოდა ზოგიერთი წვრილმანის შეკვება ანდაც ამოღება და ამ თემის ფართოდ გაშლა. ალბათ, ეს უფრო სწორი იქნებოდა. ოპონენტების თვალსაზრისით, წვრილმანებით, მეორეხარისხოვანი სიუჟეტებით, დისერტანტის ზედმეტი გატაცება მესამე თავშიც შეინიშნება.<sup>3</sup>

რა თქმა უნდა, ოფიციალური ოპონენტები შორს არიან სადისერტაციო ნაშრომის აპოლეგეტური შეფასებისაგან. მათი რეცენზიები არ წარმოადგენს პანეგირიკს და დისერტანტის მიმართ გამოთქმული აქვთ შენიშვნები. მათი ერთი ნაწილი ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო მეორე ნაწილი განსხვავებულია და საინტერესო, მაგრამ როგორც ერთხმად აღნიშნავენ ოპონენტები, ეს მოსაზრებები პრინციპულ ხასიათს არ ატა-

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, 125; მ. კალანდაძე, ნ. ნამორაძე, მეცნიერი და მასწავლებელი - კრებული, მიძღვნილი მიხეილ მამფორიას და გერმან სიმონიძის ხსოვნისადმი. თბ., 2005, 222.

<sup>2</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 58.

<sup>3</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 27-28, 57.



რებს და არ არღვევს დისერტაციის ძირითად დებულებებს და უფრო მის შემდგომ დახვეწას, სრულყოფას, ისახავს მიზნად. დოც. გ. კილურაძის აზრით „ნაშრომი, უეჭველად იმსახურებს დაბეჭდვას“<sup>1</sup>. ეს სადისერტაციო ნაშრომის დადგენილი შეფასების მწვერვალად მიგვაჩნია. დისერტაციის ძირითადი დებულებების ირგვლივ ამტყდარი კამათი მეცნიერულ ხასიათს ატარებდა და სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების განვითარების დონეს. მისი მნიშვნელობის შეფასებისას, სწორედ, ამ კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

დისერტაციის მიმართ ოპონენტების მიერ გამოთქმული შენიშვნები, ჩვენი აზრით, ოთხ ჯგუფად შეიძლება დალაგდეს: 1. რა თქმა უნდა, ეს არის წმინდა მეცნიერული კამათი. ნაშრომში თხრობა ძალიან გაწელილია, გაჭიანურებულია. ძალიან დიდი ადგილი ეთმობა მეორეხარისხოვან ამბებს. ავტორს ახასიათებს წვრილმანით გატაცება. მეორე, სადისერტაციო ნაშრომში გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა დანტონის, რობესპიერის და მარატის როლს 10 აგვისტოს გადატრიალების დროს. ამ მოსაზრებას, უეჭველად, დაკრავს „იაკობინოცენტრისტული“ ელფერი, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც საკმაოდ ანგარიშგასაწვევი ჩანს და ამის წაყრუება სწორი არ იქნებოდა. მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა იაკობინები, მათი ლიდერების როლი 10 აგვისტოს მოვლენებში მკაფიოდ გამოკვეთილი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ამ მოსაზრებას მაინც მეცნიერული შენიშვნების რიგს მივაკუთვნებდით. 2. შენიშვნების დიდი ნაწილი მკაფიოდ გამოკვეთილ მარქსისტულ ხასიათს ატარებდა და იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის კონტექსტიდან ამოვარდნილი არ ჩანს. უწინარესად, ასეთად მიგვაჩნია დავა ჟოროდო-

---

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 51.

ნდისტების პარტიის გარშემო. აქ საქმე გვაქვს საკითხისადმი ვიწრო კლასობრივ მიდგომასთან, რომელიც ნიშანდობლივი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ეს მოსაზრებები დღეს უკვე ღიმილის მომგვრელია, მოძველდა, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. ამიტომ მათზე დეტალურად შეჩერებას არ ვაპირებთ. 3. დისერტანტი იძლევა საკითხის საკუთარ გადაწყვეტას, ხოლო ოპონენტები ფიქრობენ, რომ გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა. აქ დავა. დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს. ჰოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰელის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. 4. შენიშვნები უმთავრესად ლიტერატურის სფეროს შეეხება და ძირითადად სტილისტურ ხასიათს ატარებს. გაპარულია კორექტული შეცდომები. ეს გასწორებადია.

სადისერტაციო ნაშრომის ყველაზე სერიოზულ ნაკლად წვრილმანებით ზედმეტი გატაცება შეიძლება მივიჩნიოთ. ამაში ოპონენტები, ვფიქრობთ, ცამდის მართალი იყვნენ. რით იყო გამოწვეული ეს? ასეთი გატაცება, ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ იყო და ძირითადად იმით აიხსნებოდა, რომ იმხანად სადისერტაციო ნაშრომის მოცულობის მკაცრი რეგლამენტი არ არსებობდა. ამას ჰქონდა თავისი პლუსები და მინუსები. ისტორიული ფაქტების ზედმიწევნით კარგად ცოდნა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია და ამ თემაზე კ. ანთაძის მსჯელობის დადებით მხარეს წარმოადგენს. მაგრამ ამის მეტისმეტი დეტალიზაცია, წვრილმანებით გატაცება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. მეორეხარისხოვანი საკითხები მკაფიოდ უნდა გავმიჯნოთ ძირითადისაგან, მთავარისაგან, პირველხარისხოვანისაგან. მთავარი სათქმელი დეტალებში არ უნდა ჩაიკარგოს. აი, სწორედ ამაზე ამახვილებდნენ ყურადღებას ოპონენტებიც.

სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ გამართული მეცნიერული პაექრობის კულმინაციას, პიკს, წარმოადგენს ოპო-

ნენტების შენიშვნებზე დისერტანტის პასუხები, რომლის დროს კიდევ ერთხელ გამოძიდა მისი განსწავლულობა, საკითხში ჩახედულობა, ღრმა ერუდიცია, ცოდნა და მეცნიერული ტაქტი. ოპონენტების შენიშვნებს მან დამაჯერებელი პასუხი გასცა. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე მომენტზე: ა. ოპონენტების მთელ რიგ შენიშვნებს მან დამაჯერებელი პასუხი გასცა და საბჭოს წევრები დაარწმუნა, თუ ვის მხარეზე იყო სიმართლე. ბ. ოპონენტების შენიშვნებთან დაკავშირებით ასეთი სურათი გამოიკვეთა. დისერტანტს თავისი არგუმენტები გააჩნია, ოპონენტებს თავისი. ისინი საკუთარ პოზიციებზე დარჩნენ. მეცნიერული კამათი ამით არ მთავრდება. ის შემდგომში შეიძლება გაგრძელდეს. გ. ოპონენტების შენიშვნების ერთი ნაწილი დისერტანტმა მიიღო და მათი გათვალისწინება მიზანშეწონილად ცნო. ეს იყო სავსებით სწორი პოზიცია. ზედმეტი პატივმოყვარეობა მისთვის სრულიად მიუღებელი იყო. მეცნიერულ ინტერესებს ყველაზე უფრო მაღლა აყენებდა<sup>1</sup>.

დადგა კენჭისყრის მომენტი. ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობაში აირჩიეს: დოც. გ. კიკნაძე, (თავმჯდომარე), დოც. კ. წერეთელი, დოც. ო. ჯაფარიძე. ხმის მიცემის შედეგები ასეთი იყო. საბჭოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 22 წევრი. კ. ანთაძისათვის ძიებული სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას ხმა მისცა 22 წევრმა. მას ერთხმად მიენიჭა ძიებული სამეცნიერო ხარისხი.<sup>2</sup>

ამრიგად, კ. ანთაძემ კოლოსალური მეცნიერული შრომა გასწია და დაწერა საინტერესო გამოკვლევა საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე, სახელდობრ 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებაზე, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუ-

---

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 76-86. 86-92.

<sup>2</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410, 92.

ციის ისტორიაში მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება. ეს რა თქმა უნდა, ახალგაზრდა, დამწყები მკვლევარი ისტორიკოსის დიდი წარმატება იყო. შეიძლება ითქვას, რომ გადაიდგა კიდევ ერთი თვისებრივად სერიოზული ნაბიჯი მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების ათვისების საქმეში. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეცნიერული კვლევის და პოპულარიზაციის საქმეში. ის გვერდში ამოუდგა თავის უფროს კოლეგებს პროფ. ალექსანდრე ნამორაძეს და დოც. გივი კილურაძეს და ამიერიდან ისინი ერთად ემსახურებოდნენ ამ საქმეს. ეს იყო საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში დაცული ერთ-ერთი საუკეთესო საკანდიდატო დისერტაცია. ჩვენი ღრმა რწმენით, ის სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და საბჭოთა ხანის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს. საკითხისადმი მიდგომა მეცნიერული იყო, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში მოექცა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით ფასეულია კ. ანთაძის სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასება, რომელიც ეკუთვნის ორ გამოჩენილ რუს ისტორიკოსს, პროფ. ალბერტ მანფრედს და პროფ. ანატოლი ადოს. მათზე ძალიან ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია დისერტაციის სამეცნიერო აპარატს, სადაც შეძლებისდაგვარადაა გათვალისწინებული ამ თემის ირგვლივ არსებული თითქმის ყველა პირველწყარო და საკვლევი ლიტერატურა. ეს ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების დიდი აღიარება იყო.<sup>1</sup> დაწყებული კამპანია, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდებში დასავლეთ ევროპის ახალი ისტო-

---

<sup>1</sup> პროფ. კოტე ანთაძის პირადი არქივი.

რიის კვლევა სერიოზულ ხასიათს არ ატარებდა, წარუმატებლად დასრულდა. ბ-ნ კოტეს დისერტაცია ამის საილუსტრაციოდ აშკარად არ გამოდგა. მავანმა სასტიკი მარცხი იწვნია. „სამართალმა პური ჭამა“.

\* \* \*

1978 წელს კ. ანთაძემ თავისი საინტერესო სადისერტაციო ნაშრომი შევსებული და შესწორებული სახით წიგნად გამოსცა. მან თავის წიგნში სათანადოდ გაითვალისწინა ის პირველწყაროები და საკვლევი ლიტერატურა, რომელიც ბოლო წლებში გამოვიდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

თვითკრიტიკული დამოკიდებულება ბ-ნ კოტეს, როგორც ისტორიკოსის კიდევ ერთი პლუსი იყო. ის თავის შემოქმედებას აპოლოგეტურად არ უყურებდა. მან გაითვალისწინა ოპონენტების მოსაზრებები. უწინარესად ასეთად მიგვაჩნია წვრილმანებით, მეორეხარისხოვანი ამბებით, მეტისმეტი გატაცება. წიგნი გადატვირთული არ გახლავთ ზედმეტი დეტალებით. საემარისია აღინიშნოს, რომ წიგნი სულ მოიცავს 185 გვერდს და ეს მაშინ, როდესაც სადისერტაციო შრომა 700 გვერდამდე იყო. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე გახლდათ. ფაქტობრივად, ეს სულ სხვა ნაშრომია.

თუ სადისერტაციო ნაშრომი სამეცნიერო საზოგადოებისათვის იყო გათვლილი, წიგნს სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა და ფართო საზოგადოებაზე გახლდათ ორიენტირებული. ეს ბ-ნ კოტეს ძალიან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. ის ცდილობს, რომ არც ერთმა მხარემ მეორე არ დააზარალოს. უნდა ითქვას, რომ იგი ამას საკმაოდ ოსტატურად აკეთებს, რაც წიგნის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად გვევლინება.

მისი წიგნი „ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან“ აღნიშნული პრობლემის პოპულარიზაციის და მეცნიერული კვლევის შერწყმის, სინთეზის, ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიგვაჩნია. აღსანიშ-

ნავია, რომ ორივე ამ თვისებას ის ერთნაირი ოსტატობითაა დაუფლებული. მას შესანიშნავად ხელეწიფება რთული მეცნიერული პრობლემების სადად, გასაგები ენით გადმოცემა. ამ მხრივ ის ნამდვილად მისაბაძი გახლდათ.

ტერმინი ბურჟუაზიული რევოლუცია ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა დაამკვიდრეს და ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ეს იყო საკითხისადმი ვიწრო კლასობრივი მიდგომის ლოგიკური შედეგი. ის აკნინებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას და ფრანგი ისტორიკოსების სამართლიან გულისწყრომას იწვევს. აქ, რა თქმა უნდა, კოტე ანთაძე ხარკს უხდის ერთი გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატს, მონოპოლიას. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ შემთხვევაში ის გულწრფელი არ იყო და როგორც კი ხელსაყრელი შანსი მიეცა ეს შეუსაბამობა უმალ გაასწორა. პოსტსაბჭოთა პერიოდში დაწერილი უმაღლესი და საშუალო სკოლის სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

სადისერტაციო ნაშრომში ერთ-ერთი საუკეთესო იყო წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ნაწილი, წყაროების და ისტორიული ლიტერატურის მიმოხილვა. წიგნში ეს მონაკვეთი შეტანილი არ ყოფილა რაც, ვფიქრობთ, წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით შეიძლება ყოფილიყო მოტივირებული. ის, რაც საინტერესოა და ღირებულია სამეცნიერო საზოგადოებისათვის, ფართო მკითხველისათვის გადამღლელი და უინტერესო შეიძლება ყოფილიყო. ეს წიგნს დაამძიმებდა. ასეთ მიდგომას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და აქვს მოქალაქეობის უფლება.

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ ერთ გარემოებას. წიგნის ავტორის დამოკიდებულებას მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისადმი. წიგნის სამეცნიერო აპარატში, რომელიც იმ დროისათვის ერთ-ერთი საუკეთესო იყო და რომელმაც

მიიპყრო საფრანგეთის რევოლუციის ისეთი კომპეტენტური მკვლევარის ყურადღება, როგორც გახლდათ პროფ. ა. მანფრედი. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომები მხოლოდ ერთხელაა მოხსენიებული. ესაა ვ. ი. ლენინის „მეორე ინტერნაციონალის კრაზი“. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნაშრომი ანტიმარქსისტულ ხასიათს ატარებდა. ამის მტკიცება აბსურდული იქნებოდა. პირიქით, წიგნი მარქსისტულია. ამაში ავტორს ვერავინ შეედავებოდა. გარეგნულად ეს მართლაც ასეა. მაგრამ შინაგანად არა. ამ თვალსაზრისით აღნიშნული ფაქტი საყურადღებოა და მასში, პირველ ყოვლისა, მისი შინაგანი სულიერი სამყაროს გამოძახილს ვხედავთ. მარქსიზმის კლასიკოსების შრომებზე აპელირებამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს და სწორედ უნდა გავიგოთ. მარქსიზმისადმი ეს მცირე რევერანსი, ვფიქრობთ, თვალის ახვევის მიზნითაა გამოწვეული და იძულებით ხასიათს ატარებს. ამ შემთხვევაში ის გულწრფელი არ ყოფილა. მარქსიზმისადმი თავისი დამოკიდებულება მან მკაფიოდ გამოხატა პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოსულ ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში. ამ შემთხვევაში ის სრულიად გულწრფელი და თავისუფალი იყო. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც საფრანგეთის დიდი რევოლუციაზე არსებული შრომები აჭრელებული იყო მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებებიდან ციტატებით, კ. ანთაძის წიგნი „ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან“ ერთ-ერთ ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ. მარქსიზმისადმი ასეთი ზომიერი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, ფრიად სიმპტომური უნდა იყოს და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რომ საბჭოთა პერიოდის ქართული ინტელიგენციის ერთმა დიდმა ნაწილმა მარქსისტული მოძღვრება მიიღო მხოლოდ გარეგნულად და არა შინაგანად. პროფ. კ. ანთაძის მეცნიერული

მემკვიდრეობა, შემოქმედება, ამის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიგვაჩნია.

წიგნის შინაარსი განსხვავდება დისერტაციისაგან და გათვლილია არა ვიწრო სამეცნიერო წრეზე, არამედ ფართო მკითხველზე. ეს იყო სწორი ნაბიჯი. ბ-ნ კოტეს კარგად გამოდიოდა რთული სამეცნიერო პრობლემების პოპულარულ ენაზე გადმოცემა. ეს არ იყო ადვილი საქმე და შეიძლება ითქვას, რომ ამ სირთულეს მან ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ყველას როდი ხელეწიფება. ასეთი სადად გადმოცემა მისი წიგნის კიდევ ერთი ღირსებაა. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ აკნინებს წიგნის მეცნიერულ მნიშვნელობას. თუ კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს ამ წიგნს ამაში უმაღლეს დავრწმუნდებით. ეს ნიჭი ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა და გენეტიკურ ხასიათს ატარებდა. ის დედის შესანიშნავი ფილოლოგის და მთარგმნელის ქ-ნ ფატი გოკიელის გავლენის ლოგიკური შედეგი უნდა ყოფილიყო.

პირველ ყოვლისა, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ყურადღებას იპყრობს წიგნის შესავალი. ალბათ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი საინტერესო ნარკვევი, სადაც ძალიან სადად, ლაკონურად, მაგრამ შინაარსიანად, მაღალ მეცნიერულ დონეზე არის საუბარი საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინაპერიოდზე და პირველ წლებზე - კონსტიტუციური მონარქიის დაარსებაზე, დამფუძნებელი კრების საქმიანობაზე, საკანონმდებლო კრებაზე. ყველაფერი ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მშვენიერ ისტორიულ ფონს ქმნის ძირითად თემაზე გადასასვლელად. მისი დანიშნულებაც, სწორედ, ამაში მდგომარეობს. ის სავსებით ამართლებს თავისი დანიშნულებას. ეს მონაკვეთი იმდენად კარგადაა დაწერილი, რომ გვეჩვენება მისი შესავალ ნაწილში განხილვა. ხომ არ აჯობებდა ის ყოფილიყო პირველ თავი,



ხოლო შესავალ გაგვეკეთებინა პატარა, სულ ერთი გვერდი? ვფიქრობთ, ასე უფრო უმჯობესი იქნებოდა<sup>1</sup>.

ამის შემდეგ ავტორი განიხილავს 10 აგვისტოს გადატრიალების წანამძღვრებს, მის გამომწვევ მიზეზებს. საკითხი არის პრინციპული და აქტუალური. წიგნის ეს მონაკვეთი მისი დისერტაციის მეორე თავის გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს და განიხილავს თემებს: უთანხმოებანი ჟირონდისტებსა და სამეფო კარს შორის, სექციები და ფედერატები, „სამშობლო საფრთხეშია“. ავტორი ცდილობს გვიჩვენოს, თუ როგორ მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია 1792 წლის მაისიდან აგვისტომდე. ამ მონაკვეთის შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნა არის 20 ივნისის სახალხო დემონსტრაცია. ამიერიდან ხალხის მღელვარებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ავტორის აზრით, ის სხვადასხვა ფორმით პოულობდა გამოხატულებას. უმაღლესი ორგანოებისადმი პეტიციების გადაცემა. რევოლუციური გამოსვლები, რომელიც მიზნად ისახავდა უმაღლეს ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენას. ინტერვენტების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა და ფედერატების მოძრაობა. დიდი ყურადღება ექცევა სექციების მოძრაობას. მღელვარებას დედაქალაქში გამოძახილი ჰქონდა პროვინციებში. ფედერატების მოძრაობა ამის ლოგიკური შედეგი იყო.<sup>2</sup> ამგვარი მიდგომა საინტერესოა და იმდროინდელი ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ფრანგული ისტორიოგრაფია ამ საკითხს თავისებურად მიუდგა. ისინი (ასე მაგალითად, პროფ. ფილიპ სანიაკი) ფედერატების მოძრაობას განიხილავენ იზოლირებულად და მასში ვერ ხედავენ მასების აქტივობის გამოვლენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას. ამას ძალზე დიდი

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, 3-21.

<sup>2</sup> კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, 45-74.

მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად, მათ თვალსაწიერს მიღმა რჩებათ პროვინციებში რევოლუციური ბრძოლის სხვა ფორმები, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფედერატების მოძრაობას. როდესაც საუბარია ომისადმი ჟირონდისტების დამოუკიდებლობაზე, ვფიქრობთ, ძალიან კარგი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო პროფ. გივი კილურაძის ნაშრომი „ჟირონდისტები და პროვანდისტული ომის ლოზუნგი“, რომელიც დაიბეჭდა 1972 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში<sup>1</sup>. ეტყობა, გამოცდილი მკვლევარის უნებლიეთ გამორჩა თავისი უფროსი კოლეგის ეს ნაშრომი, რომელსაც ის ძალიან კარგად იცნობს.

პოლიტიკურ ცხოვრებაში პასიური მოქალაქეების ჩაბმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (მოქალაქეების დაყოფა პასიურებად და აქტიურებად არსებობდა 1791 წლის კონსტიტუციის შემდეგ და საფუძვლად ედო ქონებრივი ცენზი). ეროვნული გვარდიის დემოკრატიზაცია ამის ლოგიკური შედეგი იყო. პარიზში სერიოზულ შეიარაღებულ ძალას ფედერატები წარმოადგენდნენ. მათი დაახლოება იაკობინებთან ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და პოლიტიკურ ცხოვრებაში პასიური მოქალაქის გამოჩენით იყო განპირობებული. საინტერესოა, ვითარება სექციების შიგნით. მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა გადატრიალების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. მათი დიდი ნაწილის რევოლუციური და ანტიმონარქისტული განწყობა პასიური მოქალაქეების პოლიტიკურ აქტიურობას უკავშირდებოდა<sup>2</sup>.

და ბოლოს, განიხილავს უშუალოდ მთავარ თემას 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებას. ის მრავალრიცხოვან

---

<sup>1</sup> გ. კილურაძე, ჟირონდისტები და „პროვანდისტული ომის“ ლოზუნგი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 85, (148), თბ., 1972.

<sup>2</sup> კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, 74-107.

წყაროებზე და მდიდარ საკვლევ ლიტერატურაზე დაყრდნობით ცდილობს დეტალურად გააშუქოს ეს ისტორიული მოვლენა. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის ძლიერი მხარეა. ის ყურადღებას ამახვილებს სამ საკითხზე: 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების მომზადება, 10 აგვისტოს გადატრიალება. მისი შედეგები.

ავტორი ეხება გადატრიალების მომზადების ყველაზე უფრო დრამატულ მონაკვეთს და დაწვრილებით განიხილავს მოვლენათა მსვლელობას გადატრიალების წინ. წყაროებზე და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ავტორი ცდილობს გააშუქოს 10 აგვისტოს გადატრიალების დასკვნითი აკორდი. მოვლენათა მსვლელობა 5 აგვისტოდან 9 აგვისტომდე.<sup>1</sup>

10 აგვისტოს გადატრიალების მომზადების საქმეში სექციებს გვერდში ამოუდგა პარიზის კომუნა. კომუნის შემადგენლობაში შევიდა სექციების რიგებიდან არჩეული სამი კომისარი. მათ 9 აგვისტოს ღამით შექმნეს პარიზის რევოლუციური კომუნა. სწორედ, მან ითავა 10 აგვისტოს გადატრიალების ხელმძღვანელობა. დანტონის, რობესპიერის და მარატის როლი 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების დროს გაშუქებულია შედარებით მკრთალად, სუსტად, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ავტორის მოსაზრებით, გადატრიალების მომზადება არ უნდა მივაწეროთ ერთ რომელიმე პიროვნებას ან ორგანიზაციას. ის განხორციელდა პარიზის სექციების, ფედერატების, პარიზის კომუნისა და ხალხის ძალისხმევით.<sup>2</sup> ამგვარი მიდგომა სავსებით გამართლებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იაკობინთა ბელადების

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, 107-123.

<sup>2</sup> კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, 136.

როლს 10 აგვისტოს გადატრიალების დროს, ალბათ, გაცილებით უფრო მეტი ადგილი უნდა დათმობოდა.<sup>1</sup>

წიგნის დასკვნით ნაწილში უშუალოდ 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებაზე და ტიულერის აღიარებაზეა საუბარი. ის ამ ბობოქარი მონაკვეთის დაგვირგვინება იყო. აქ დაწვრილებით, დეტალურად, მრავალრიცხოვან პირველწყაროებზე და მდიდარ საკვლევ ლიტერატურაზე დაყრდნობით, არის აღწერილი და განხილული ეს მოვლენა. ეს მსჯელობა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ისტორიკოსი ვ. რეუზენკოვი თავის წიგნში „პარიზის კომუნა 1792-1794“<sup>2</sup> ღუმილით გვერდს უვლის ქართველი ისტორიკოსის ნაშრომს. მისი სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი რუსულ ენაზე არსებობდა და მისთვის ადვილად ხელმისაწვდომი გახლდათ. ეტყობა, მან არ იცის ამ ნაშრომის არსებობის შესახებ. ეს მის წიგნს, რა თქმა უნდა, არავითარ ჩრდილს არ აყენებს, მაგრამ, ალბათ, სასურველი იქნებოდა, რომ მას გაეთვალისწინებინა ქართველი ისტორიკოსის გამოკვლევა.

მან დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება არ წარმოადგენდა სპონტანურ, სტიქიურ მოვლენას. ის იყო რევოლუციური პროცესის განვითარების ლოგიკური შედეგი<sup>3</sup>. თუ ამას ჩამოვაშორებთ მარქსისტულ კლიშეებს, რომელიც ძალად თავსმობვეული იყო, ხელში აუცილებლად დაგვრჩება ღირებული. ესაა მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც მრავალრიცხოვანი პირველწყაროების და უზარმაზარი სამეცნიერო ლიტერატურის სა-

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, 134-137.

<sup>2</sup> ვ. რეუზენკოვი, 1792-1794 .., , 1976.

<sup>3</sup> კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, 137-164.

ფუძვლიან ცოდნას ემყარება. მათი კრიტიკული გააზრების უნარი და ისტორიული მოვლენების ზედმიწევნით ზუსტად დადგენა და შემდეგ მისი გადმოცემა. ასეთი მარქსისტული სტერეოტიპების რიცხვს მიეკუთვნება რევოლუციური სიტუაციის ვ. ი. ლენინისეულ განმარტებაზე აპელირება, ისტორიაში ხალხთა მასების გადამწყვეტი როლი. ხალხთა მასების მდგომარეობის გაუარესება, უკიდურესი გაჭირვება, სიღატაკე, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ტრადიციულად გამუქებული იყო.

მე-19 საუკუნის გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა გრაფ ალექსის დე ტოკვილმა თავის შესანიშნავ წიგნში „ძველი რეჟიმი და რევოლუცია“<sup>1</sup> აღნიშნა, რომ მე-18 საუკუნის მიწურულს, საფრანგეთის რევოლუციის წინ გლეხობის მდგომარეობა შედარებით უფრო უკეთესი იყო, ვიდრე გერმანიაში ან თუნდაც რუსეთში ან ევროპის რომელიმე ქვეყანაში, მაგრამ რევოლუცია მოხდა, სწორედ, საფრანგეთში და არა მშრომელი მასების სასტიკი ექსპლუატაციის გამო. კლასობრივ ბრძოლას და რევოლუციას განაპირობებს არა მატერიალური წინააღმდეგობების გამწვავება, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, არამედ სულ სხვა რამე. ადამიანის შეგნება, იდეოლოგია, მენტალიტეტი. ადამიანები, რომლებიც ერთ შემთხვევაში ებმებიან, ხოლო მეორე შემთხვევაში არ ებმებიან რევოლუციაში. ამ მხრივ კი საფრანგეთი საკმაოდ უსწრებდა რუსეთსაც, გერმანიასაც და კონტინენტური ევროპის დანარჩენ ქვეყნებს. სწორედ, ამიტომ მოხდა რევოლუცია საფრანგეთში და არა სხვა ქვეყანაში.

წიგნის დასასრულს ავტორი მიმოიხილავს 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების უახლოეს შედეგებს. ფაქტობრივად, ეს მონაკვეთი დასკვნად გვევლინება.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> . . . , 1906.

<sup>2</sup> კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, 164-179.

ის ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში საუბარია 10 აგვისტოს გადატრიალების შემდეგ მეფის ბელზე. საზგასმულია ამ რთული საკითხისადმი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება. საუბარია აღმასრულებელი ხელისუფლების შექმნაზე. საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელმაც სერიოზული კორექტივები შეიტანა 1791 წლის კონსტიტუციაში, პირველ რიგში გააუქმა მოქალაქეების, პასიურებად და აქტიურებად დაყოფა. მეორე ნაწილში ავტორი განიხილავს სამ საინტერესო თემას. რა გამოძახილი ჰქონდა 10 აგვისტოს გადატრიალებას საფრანგეთის არმიამ. როგორი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა 10 აგვისტოს გადატრიალებას ევროპაში და როგორ აღიქვეს ის ევროპის მოწინავე ქვეყნებში და ბოლოს, ლაკონურად, მაგრამ შინაარსიანად არის განხილული 1792 წლის აგვისტოს აგრარული კანონმდებლობა<sup>1</sup>.

განსაკუთრებით აქტუალური და მწვავე იყო აგრარული საკითხი. მისი გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ამ თემაზე შედარებით ვრცლად ვისაუბრებთ. ეს საკითხი საგანგებოდაა განხილული ჩვენს წიგნში „საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში“. მაპატიეთ სენტიმენტალური გადახვევისათვის, მაგრამ ეს რომ არ მეთქვა არ შემძლო. საქმე ისაა, რომ ეს წიგნი სევდიან ფიქრებს წამომიშლის. ეს იყო უკანასკნელი ჩემი წიგნი, რომლის რედაქტორი ბ-ნ კოტე ბრძანდებოდა. ის ამ ამპლუაში შეუდარებელი იყო, მაგრამ ამაზე მოდით სხვა დროს ვისაუბროთ.

ქართველმა ისტორიკოსებმა გულდასმით შეისწავლეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის პირველი ტალღა. მეორე ტალღას საკანონმდებლო კრების აგვისტოს დეკრეტებს, 1792 წლის 10 აგვისტოს გა-

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, 164-170.

დატრიალების განხილვის დროს შეეხო ბატონი კოტე ანთაძე, თუმცა ის არ განიხილავს ამ თემაზე სხვა ავტორების აზრებს და არ განიხილავს როგორ ხორციელდებოდა ცხოვრებაში 1792 წლის აგვისტოს დეკრეტები.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ აგვისტოს კანონმდებლობა იყო საკანონმდებლო კრების გამოხმაურება 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალებაზე. მან მკვეთრად შეიცვალა პოზიცია. შეეშვა ყოყმანს და ასე განსაჯეთ, ისეთი რადიკალური შინაარსი მისცა აგრარულ კანონებს, რომ მკვეთრად გასცილდა ამ სფეროში ჟირონდისტების სურვილებს.

1792 წლის 14 აგვისტოს დეპუტატი ფრანსუა ნეშატო საკანონმდებლო კრებაში შევიდა წინადადებით, რომ ეროვნული ქონების წვრილი ნაკვეთები, სულ 2-4 არპანი, წლიური რენტის ფასად გადაეცათ გლეხისათვის უვადო მფლობელობაში. ეს იყო სერიოზული წინადადებული ნაბიჯი. თუ ადრე ეროვნული ქონების, ძირითადად, კონფისკაცია ქმნილი მიწების გაყიდვა ხდებოდა, დიდ ნაკვეთების საჯაროდ გაყიდვით და უმთავრესად მოგება მოჰქონდა შეძლებული, ბობოლა გლეხებისათვის, ახლა ამ საქმეში ჩაბმული იქნებოდა საშუალო და ღარიბი გლეხობა. ამიტომ 1792 წლის 14 აგვისტოს დეკრეტებისადმი პ. კროპოტკინის სეკუტიკური დამოკიდებულება საკამათო ჩანს. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა ავტორის პოლემიკა გაემართა პ. კროპოტკინთან. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გამძლიდრებდა ამ თემაზე მის მსჯელობას და მას პოლემისტურ მუხტს შესძენდა, თუმცა, შესაძლოა, ასეთ მიზანს ავტორი არ ისახავდა.

20 აგვისტოს დეკრეტების თანახმად, საფრანგეთის გლეხობა უფლებამოსილი შეიქმნა თანდათანობით ნელ-ნელა დაეხსნა თავი ჯერ ისევ შემორჩენილი ფეოდალური ვალ-

დებულებებისაგან. ახლა გლექს უფლება ჰქონდა ინდივიდუალურად განთავისუფლებულიყო.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 25 აგვისტოს ღეკრეტს. მან არსებითად წერტილი დაუსვა ყველზე მთავარ სენიორულ პრეროგატივას, რომლის მიხედვით „არ არსებობს მიწა უსენიოროდ“, საფრანგეთში ფეოდალურ ვალდებულებათა უმრავლესობა პრაქტიკულად უსასყიდლოდ იქნა გაუქმებული. ამიერიდან მხოლოდ იმ სენიორებს ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ გამოსასყიდი გლექსობისაგან რომელიმე ვალდებულების გაუქმებისათვის, რომლებიც დაამტკიცებდნენ, რომ ეს უფლებები მათი კუთვნილება იყო. ამის დამტკიცება, ცხადია, ადვილი საქმე არ იქნებოდა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა იჯარა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საკანონმდებლო კრება გამოექომაგა მესაკუთრე ბურჟუაზიის და ბობოლო გლექსობის ინტერესებს, რომლებიც იჯარით აძლევდნენ მიწას გლექსს.

28 აგვისტოს ღეკრეტი აუქმებდა ტრიაჟს. გლექსობის საკუთრებაში გადავიდა სენიორთა მიერ მიტაცებული სათემო მიწები, თუ სენიორი ვერ მოახერხებდა დოკუმენტურად, ან 40 წლის ხანდაზმულობით დაემტკიცებინა თავისი უფლება ამ მიწაზე.

და ბოლოს, 2 სექტემბრის საკანონმდებლო კრებამ ფრანსუა ნევეატოს წინადადების საფუძველზე მიიღო ღეკრეტი, რომელიც მკვეთრად ზრდიდა წვრილ მესაკუთრეთა რიცხვს. საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო კრების ეს ნაბიჯი იმდენად რადიკალური აღმოჩნდა, რომ აშკარად სცილდებოდა ჟირონდისტების აგრარული პოლიტიკის ჩარჩოებს და როგორც კი დაძაბული პოლიტიკური ატმოსფერო ცოტათი ჩაცხრა, ეს კანონები შეჩერებულ იქნა.

აგვისტოს ღეკრეტების მიღება უმთავრესად ორი გარემოებით იყო განპირობებული: საგარეო მტერზე გამარჯვების იმედით. ჟირონდისტები ფიქრობდნენ, რომ თუ ისინი აგრა-



რულ რეფორმას გაატარებდნენ გლეხობას კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირებდა რევოლუციის ბელთან. მეორე ფაქტორი, რომელიც საკანონმდებლო კრებას ამ ნაბიჯისაკენ უბიძგებდა, იყო იაკობინური პარიზის კომუნა, რომელიც გამოხატავდა დემოკრატიული წრეების ინტერესებს.<sup>1</sup>

ამ თემაზე საუბარი გვინდა დავასრულოთ მცირე მოგონებით, რომელიც კარგად ახასიათებს ბ-ნ კოტეს, როგორც პიროვნებას, მეცნიერს, მეცნიერ-ხელმძღვანელს და რედაქტორს. როდესაც ამ წიგნს ვწერდით, ბუნებრივია, შევეხეთ მის ნაშრომს, სადაც ეს საკითხი განხილული იყო მოკლედ, ძალიან ლაკონურად. ვიცოდით რა მისი ხასიათი, ამ პატარა მიმოხილვას ორიოდე შენიშვნა დავურთეთ. მან, როგორც რედაქტორმა, ბუნებრივია, წაიკითხა ეს მონაკვეთი. მისი პირველი რეაქცია ასეთი იყო. რა საჭიროა ამ თემაზე საუბარი. მე მას ხომ გაკვრით შევეხეო. შევეწინააღმდეგე, ვუთხარი, ეს რომ გამოვტოვო, მისაყვედურებენ-მეთქი. იტყვიან, ნახე, რა უმაღურია, მასწავლებლის წვლილი გამოტოვაო. დავარწმუნე. მან ყურადღებით მომისმინა და მცირე პაუზის შემდეგ მითხრა, აპოლოგეტურიაო. მე შევეწინააღმდეგე. ბ-ნ კოტე შენიშვნები ხომ მაქვს-მეთქი. მან კიდევ ორი საინტერესო იდეა მომაწოდა. მე მომეწონა ეს აზრი, მაგრამ მომერიდა. ახლა მე გავეჯიქდი, მაგრამ მან დამარწმუნა. სხვა რა გზა იყო, დავმორჩილდი. თავისი შემოქმედებისადმი ასეთი თვითკრიტიკული დამოკიდებულება მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსება იყო. ასეთი შემთხვევები ძალზე იშვიათია, მაგრამ ბედნიერი გამონაკლისები ხომ არსებობენ? ბ-ნ კოტე ანთაძე, სწორედ, მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ.

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978, 174-176; მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006, 164-167.

ჩვენთან საუბარში მას არაერთხელ გამოუთქვამს ამ წიგნისადმი თვითკრიტიკული დამოკიდებულება. და აღინიშნავდა მისი გადამუშავების საჭიროებას. რა თქმა უნდა, ასეთი თვითკრიტიკული ტონი შეიცავდა ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და უწინარესად მისი მარქსიზმისაგან გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. ეს სწორი ნაბიჯი იყო, მაგრამ მაშინაც გვეჩვენებოდა და დღესაც, რომ მისი თვითკრიტიკული პათოსი მკაცრი იყო. მან ვერ შეძლო ამ წიგნის გადამუშავება, რაც ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული: ერთი ეს იყო, მისი, როგორც მეცნიერების ორგანიზატორის, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მეცნიერხელმძღვანელის, რედაქტორი, გადატვირთულობა. მეორე - ასაკი, როდესაც ამ ნაშრომის გადამუშავების ფიზიკური რესურსები, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ცოტა იყო.

ამრიგად, კ. ანთაძის წიგნი „ნარკვევი საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან“ მეოცე საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვეკვლინება. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეცნიერული კვლევის და პოპულარიზაციის საქმეში. ეს საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე ქართულ ენაზე დაწერილი ერთ-ერთი საინტერესო ნაშრომია. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე თვისებრივად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის, კონკრეტულად საფრანგეთის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების დამუშავების საქმეში მისი მთავარი დამსახურება, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. მან ხელი მოკიდა სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და ის მარქსისტული პოზიციიდან გააშუქა. „ეს იყო ჩვენი უბედურება არა დანაშაული“.

\*\*\*

საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ მან კიდევ სამი ნაშრომი გამოაქვეყნა, რომელიც მისი წიგნის წინმსწ-

რებად გვევლინებოდა: „ლუი XVI მიერ საკანონმდებლო კრების 1792 წლის 27 მაისისა და 8 ივნისის დეკრეტებზე „ვეტო“-ს დადების ისტორიისათვის“, „ისტორიული წყაროები საფრანგეთში პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბების წანამძღვრების შესახებ“, „რევოლუციური სიტუაციის საკითხისათვის (საფრანგეთის დიდი რევოლუციის მაგალითზე“), ცოტათი ცალკე დგას და საფრანგეთის დიდი რევოლუციის ორას წლისათვის ეძღვნება მის ერთობლივი ნაშრომი პროფ. ნაირა მამუკელაშვილთან ერთად. „მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი თარიღი“.

პირველი ნაშრომის ყურადღების ცენტრში დგას სამი საკითხი: სამეფო გვარდიის დაშლა, ფიცდაუდებელი მღვდლების გადასახლება და პარიზის მახლობლად ფედერატების ბანაკის შექმნა.<sup>1</sup> პირველი საკითხი არ ჩანდა რთული და მეფე ფორმალურად დათანხმდა ეროვნული გვარდიის დაშლას. ავტორის აზრით, მეფე იმედოვნებდა, რომ შეინარჩუნებდა მოსახლეობის ნდობას და შიგნიდან დაეხმარებოდა საგარეო კონტრრევოლუციას<sup>2</sup> გაცილებით პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მეორე და მესამე საკითხს. მეფის ყოყმანს პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. მას არ შეძლო ფორმალურად მიდგომოდა საკითხს და ცხოვრებაში არ გაეტარებინა. მეფემ დროის მოგების ტაქტიკა აირჩია. ჟირონდისტებთან განხეთქილების გამოაშკარავებამ დააჩქარა მოვლენები. 19 ივნისს მეფემ ვეტო დაადო ამ ორ დეკრეტს. „სამეფო პრეროგატივის გამოყენებამ ნათელყო 1791 წლის

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, ლუი XVI-ის მიერ საკანონმდებლო კრების 1792 წლის 27 მაისის და 8 ივნისის დეკრეტებზე “veto“-ს დადება – სამეცნიერო სესია, 1. 1961, 14.

<sup>2</sup> კ. ანთაძე, ლუი XVI-ის მიერ საკანონმდებლო კრების 1792 წლის 27 მაისის და 8 ივნისის დეკრეტებზე “veto“-ს დადება – სამეცნიერო სესია, 1. 1961, 14.

კონსტიტუციის შინაგანი სისუსტე და ომის ვითარებაში მისი გამოყენების შეუძლებლობა“<sup>1</sup>.

მეორე ნაშრომში ავტორი განიხილავს საკმაოდ აქტუალურ თემას რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბებას საფრანგეთის დიდი რევოლუციის მაგალითზე. რა თქმა უნდა, მისი მსჯელობის მთავარ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ვ. ი. ლენინის მოძღვრება რევოლუციური სიტუაციის შესახებ. იმ დროის ისტორიოგრაფიის ფონზე ამგვარი მიდგომა სავსებით ბუნებრივი ჩანს და ძალიან კარგად ჯდება საბჭოთა ისტორიოგრაფიის კონტექსტში. ამგვარი მიდგომის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასება სწორხაზოვნად მიგვაჩნია და მიუღებელია. კ. ანთაძემ ისტორიოგრაფიაში პირველად გამოიყენა ვ. ი. ლენინის მოძღვრება რევოლუციური სიტუაციის შესახებ, კონკრეტულად 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების წინაპირობების განხილვის დროს. ამგვარი მიდგომა საინტერესოა, მეცნიერული ელფერი დაკრავს, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. იმდროინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფონზე ეს იყო სწორი ნაბიჯი. დღევანდელი გადასახედიდან მისი მკაცრად განსჯა ადვილი იქნებოდა და არ ღირს, ზედმეტია.

აღნიშნული პრობლემებისადმი ვ.ი. ლენინის დამოკიდებულება ცალმხრივი იყო, რაც უპირატესად იმით გამოიხატებოდა, რომ გამუქებულად წარმოაჩინდა რევოლუციამდელ სოციალ-ეკონომიკურ ყოფას, რომელიც, მისი ღრმა რწმენით, განაპირობებდა რევოლუციას. რა თქმა უნდა, ამგვარი ხედვა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და საკითხისადმი მონისტური მიდგომის საუკეთესო ნიმუშია, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ეკონომიკური ფაქტორის პრიმატობა, დომი-

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, ლუი XVI-ის მიერ საკანონმდებლო კრების 1792 წლის 27 მაისის და 8 ივნისის დეკრეტებზე “veto”-ს დადება - სამეცნიერო სესია, 1. 1961, 15.

ნანტი. უმთავრესად აქცენტი კეთდება რევოლუციური სიტუაციის დროს ხალხის შეჭირვებულ მდგომარეობაზე, გაუსაძლის ყოფაზე. ამ ვითარებიდან გამოსავალს ვ. ი. ლენინი რევოლუციაში ხედავდა, რომლის შემდეგაც თურმე ხალხის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდებოდა.<sup>1</sup> ამრიგად, ვ. ი. ლენინი რევოლუციური სიტუაციის გასაღებს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესებაში ხედავდა, რომელსაც, მისი აზრით, ადგილი უნდა ჰქონოდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში. აი, ასეთი იყო მარქსისტული თვალსაზრისი. სინამდვილე არის გაცილებით უფრო რთული და მრავალწახნაგოვანი. ადამიანი, მისი შეგნება, იდეოლოგია, მენტალიტეტი კადრს მიღმა რჩება.

რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა ვიფიქროთ, რომ თითქოს კ. ანთაძე ვერ ხედავდა ამას. ყველაფერს ხვდებოდა და ძალიან კარგადაც. ის სულაც არ იყო ასეთი მიაბიტი, მაგრამ ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს მაშინ საბჭოთა კავშირში არსებულ რეალურ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ვითარებას, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის მონოპოლიას, დიქტატს. ამიტომ ის ტრაფარეტულად უდგება საკითხს და კვალში მიჰყვება საბჭოთა ისტორიოგრაფიას. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება ხალხის გაუსაძლის ყოფაზე, საშინელ გაჭირვებაზე, მასების აქტივობაზე, აპელირება. მუქი ფერები აშკარად ჭარბობს და ამ მძიმე სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი რევოლუციაა.

საბჭოთა პერიოდში ვ. ი. ლენინის შეხედულებების მეცნიერულ გარჩევაზე, მის ავკარგიანობაზე ფიქრი, ოცნებაც კი, მკრეხელობად აღიქმებოდა და დაუშვებელი იყო. თორემ ეს კ. ანთაძე ძალიან კარგად ხელეწიფებოდა და დარწმუნებული

---

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, მეორე ინტერნაციონალის კრახი, თხზულებები, მეოთხე გამომცემა, ტ. 21.

ვართ სულ სხვა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ვითარებაში ის ასევე მოიქცეოდა და ამას წარმატებითაც გააკეთებდა. ეს არაა ლიტონი სიტყვები. სხვათა შორის, ეს ასეც მოხდა მის მიერ პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოცემულ სახელმძღვანელოებში. აქ ის ნამდვილად გულწრფელი იყო და ამაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გაგვანია. რევოლუციურ სიტუაციაზე ვ. ი. ლენინის შეხედულებების დადებითი ტონით გადმოცემა სავსებით კანონზომიერი იყო და ძალიან კარგად თავსდება საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში. აი, ასეთ მძიმე მდგომარეობაში აყენებს ისტორიკოსს ტოტალიტარული სახელმწიფო. როდესაც მთავრობა ძალით ახვევს თავს ისტორიკოსს მისთვის სასურველ იდეოლოგიას და მას არ გააჩნია საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება. მთავარი, სწორედ, ეს არის.

კ. ანთაძის ნაშრომში თავმოყრილი კონკრეტული ფაქტობრივი მასალა, მეცნიერული ინფორმაცია, საინტერესოა და იმდროინდელი ისტორიოგრაფიის ფონზე გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ის ემყარება საკითხის შესახებ არსებული პირველწყაროების და საკვლევი ლიტერატურის, როგორც რუსულ, ისე ფრანგულ ენაზე, ზედმიწევნით კარგ ცოდნას და საფუძვლიან მეცნიერულ ანალიზს. აი, ასეთი მკაცრი კრიტიკული გაცხრილვის შემდეგ გამოაქვს მას ისტორიული ფაქტი სამსჯავროზე.

თავის ნაშრომში კ. ანთაძე განიხილავს ორ საკითხს. თავდაპირველად ის ძალიან მოკლედ, ზოგადად მიმოიხილავს 1789 წლის რევოლუციურ სიტუაციას, ხოლო შემდეგ უფრო ვრცლად განიხილავს ამ თემას 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების წინ.<sup>1</sup> ავტორი მრავალფეროვან წყაროებსა და საკვლევ ლიტერატურაზე დაყრდნობით ხაზგასმით აღ-

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, რევოლუციური სიტუაციის საკითხისათვის (საფრანგეთის დიდ რევოლუციის მაგალითზე) - თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 165. თბ., 1975, 139-149.

ნიშნავს, რომ რევოლუციური სიტუაციის წანამძღვრები თავს იჩენს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ყოველი ახალი ეტაპის წინ.<sup>1</sup>

საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე მისი მესამე ნაშრომი წყაროთმცოდნეობით ხასიათს ატარებს და განიხილავს ისტორიულ წყაროებს საფრანგეთში პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბების წანამძღვრების შესახებ<sup>2</sup>. ამ მიმართულებით გადადგმული პირველ ნაბიჯს კი, ჯერ კიდევ 50-იანი წლების შუა ხანებში, ასპირანტურაში სწავლის პერიოდში წაკითხული საინტერესო მოხსენება „ანტუან სანტერი და ფრანსუა მუასონი 1792 წლის 10 აგვისტოს შესახებ“<sup>3</sup> წარმოადგენს. ასეთი სახის წყაროთმცოდნეობითი ხასიათის შრომები დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში არა თუ მაშინ, არამედ დღესაც არ ვართ განებივრებული. იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს გარკვეული სიახლე იყო და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამით მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, რევოლუციური სიტუაციის საკითხისათვის (საფრანგეთის დიდ რევოლუციის მაგალითზე) - თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 165. თბ., 1975, 149.

<sup>2</sup> კ. ანთაძე ისტორიული წყაროები საფრანგეთში პირველი რესპუბლიკის წანამძღვრების შესახებ - თბილისის უნივერსიტეტის შრომები, . 184, თბ., 1977.

<sup>3</sup> კ. ანთაძე, ანტუან სანტერი და ფრანსუა მუასონი 1792 წლის 10 აგვისტოს შესახებ - ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია, 7. თბ., 1954.

<sup>4</sup> მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში - წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები (რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია), თბ., 2013.

მისი მეოთხე ნაშრომი, რომელიც უმთავრესად პოპულარულ ხასიათს ატარებს და ეძღვნება საფრანგეთის დიდი რევოლუციის 200 წლისთავს, საბჭოთა პერიოდში ამ თემით დაინტერესების დასკვნით აკორდად შეიძლება მივიჩნიოთ. იგი ისტორიოგრაფიულ გზასაყარზე დგას. ერთი მხრივ, ისევე გაისმის საბჭოთა ისტორიოგრაფიის ექო, ხოლო მეორე მხრივ, საკმაოდ ძალუმად დაბერა ახალმა სიომ. ამ თვალსაზრისით საგულისხმო ჩანს სტატიის დასკვნითი ნაწილი. „გარდაქმნის ეპოქაში კვლავ შეინიშნება საფრანგეთის რევოლუციისადმი დიდი დაინტერესება. ხდება საბჭოთა ისტორიოგრაფიის მონაპოვრების გააზრება და კიდევ ერთხელ გადამოწმება. ახალი ძალით დგება საკითხი რევოლუციების მსგავსებათა და განსხვავებათა შესახებ. თავიდან იწყება კვლევა და გააზრება ისეთი ცნებებისა, როგორცაა მაგალითად, ტერორი საფრანგეთში და ჩვენში (ე. ი. საბჭოთა კავშირში - მ. კ.). მისი მასშტაბები და ხასიათი, მისი აუცილებლობა თუ შემთხვევითობა, მისი განმსაზღვრელი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორები; ხალხთა მასების, ცალკეული ჯგუფების, სხვადასხვა რეგიონის, სოფლების თუ ქალაქების მცხოვრებთა როლი რევოლუციაში, ბელადების დამსახურება და დანაშაული, მათი ძალა და გავლენა უმნიშვნელოვანესი მოვლენების მსვლელობაზე, დიქტატურის პრობლემა, რა ხასიათი მიიღო საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის დიქტატორთა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ, როგორი იყო დიქტატორთა წარმოშობის მექანიზმი, მათი როლი ახალი წეს-წყობილების ჩამოყალიბებაში. როგორ და რანაირად ხდებოდა გადასვლა მმართველობის დემოკრატიულ ფორმებზე, როგორ წყდებოდა ეროვნული საკითხი და რა ევოლუციას განიცდიდა იგი: იდეოლოგიური წანამძღვრების - განმანათლებლობისა და მარქსიზმ-ლენინიზმის მნიშვნელობა რევოლუციური აზროვნების მომზადების საქმეში, როგორ ხდებოდა ცხოვრებაში იდეოლოგიის ტრანსფორმირება, რო-



გორ ამოწმებდა მის ძლიერ და სუსტ მხარეებს რევოლუციური პროცესები, პრაქტიკა.<sup>1</sup> ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ ეს რევოლუციების შესწავლის მთელი პროგრამაა.

\* \* \*

ამრიგად, პროფ. კოტე ანთაძის დაინტერესებამ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიით გარკვეული სახეცვლილება განიცადა და რამდენიმე ეტაპად იყოფა: 1. ამ დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს იჩინა თავი. გადაიდგა პირველი ნაბიჯები ამ თემის დამუშავების გზაზე. ის ცდილობს გააცნობიეროს, ჩაიხედოს, ამ საკითხებში. ამ შრომებმა საფრანგეთის დიდი რევოლუციის საკითხებით დაინტერესების უპერტიურად გაიჟღერა. ამ პირველი შრომების მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. 2. ამ დაინტერესების პიკს, კულმინაციას, ცხადია, წარმოადგენს მისი საკანდიდატო დისერტაციის დაცვა. პირველი სერიოზული ბარიერი დაძლეული იქნა. ეს ახალგაზრდა, დამწყები, ისტორიკოსის წარმატება იყო. 3. ხანგრძლივი, მუხლჩაუხრელი შრომის ლოგიკური დაგვირგვინებას წარმოადგენს მისი წიგნი „ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან“, რომელიც მისი დისერტაციის შემოკლებული ვარიანტი იყო და ფაქტობრივად ახალ ნაშრომს წარმოადგენდა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის საკითხებზე მან გამოაქვეყნა რამდენიმე საინტერესო ნაშრომი, რომელიც მისი საკანდიდატო დისერტაციის ფრაგმენტებს წარმოადგენდა და წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, მის ერთ-ერთ წონად ნაწილად მოგვევლინა. შესაძლოა, ეს რაოდენობრივად ცოტა იყო. რა თქმა უნდა, გაცილებით მეტის გაკეთება ხელეწიფებოდა და რომ არა პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეწოლა, ის ამ

---

<sup>1</sup> კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი. მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი თარიღი - საქართველოს კომუნისტი, №7, 1989, 91.

სფეროში, უეჭველად, გაცილებით მეტის გაკეთება შეძლებდა. რაოდენობრივად, ეს არაა ბევრი, მაგრამ, ხარისხობრივად, ეს შრომები მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული და მეოცე საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება. საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე კ. ანთაძის შრომების მთავარ პლუსად რევოლუციის ისტორიის კომპლექსური გაშუქების მცდელობა მიგვაჩნია. მან თავისი წვლილი შეიტანა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყარო-მცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის, მეცნიერული კვლევის და პოპულარიზაციის საქმეში. ამით მან ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთი კარგი და საჭირო საქმე გააკეთა. ის გვერდში ამოუდგა მის უფროს კოლეგას პროფ. გივი კილურაძეს და საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ კომპეტენტურ მკვლევარად ჩამოყალიბდა. ამ პრობლემისადმი მიძღვნილ მის შრომებს აღნიშნული თემატიკით დაინტერესებული ვერცერთი ქართველი მკვლევარი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. ეს იყო ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი ერთ-ერთი დიდი დამსახურება. მან ხელი მოკიდა სერიოზული მეცნიერული პრობლემის დამუშავებას და იგი მარქსისტულ აპკში გაახვია. დღევანდელი გადასახედიდან მისი შრომების განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და სუპერკრიტიკულად მიგვაჩნია. მას არჩევანი უნდა გაეკეთებინა ცუდსა და უარესს შორის. მან სწორი არჩევანი გააკეთა და ფსონი ცუდზე დადო. ამ კომპრომისის გამო მისი განსჯა სწორი არ იქნება. თუ არა ეს კომპრომისი, საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე ის მწირი ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რაც მშობლიურ ენაზე გაგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ასე უფრო ადეკვატური უნდა იყოს. პროფ. კოტე ანთაძის შრომები საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების

განვითარების საერთო დონეს და გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

**დამოწმებანი:**

მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.

მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში - საქართველოს კომუნისტი, №7, 1989.

მ. კალანდაძე, საქართველო და საფრანგეთის დიდ რევოლუციის 200 წლისთავი - ვალერიან მაჭარაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომების კრებული, თბ., 2001.

მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყროთმცოდნეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში - წყროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევები (რევაზ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია), თბ., 2013.

კ. ანთაძე, რობესპიერისტების ბრძოლა დანტონისტებთან - სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. 13. თბ., 1951.

კ. ანთაძე, ჟან-პოლ მარატი 1792 წელს - სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, 14. თბ., 1952.

კ. ანთაძე, ასპირანტურის საქმე, უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, შესანახი ერთეული 1152.

კ. ანთაძე, ანტუან სანტერი და ფრანსუა მუასონი 1792 წლის 10 აგვისტოს შესახებ - ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია, 7. თბ., 1954.

მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.

პროფ. კოტე ანთაძის პირადი არქივი.

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი - ფონდი 471. აღწერა 19. საქმე 2410.

1789-1804 . ., 1938.

G. Lefebvre, La revolution Francaise, Paris, 1952.

R. Mousnier et E. Labrousse (avec La collaboration de M. Bouloiseau) Le XVIII sciecle. L'epoque des Lumiers, Paris, 1963.

Furet et Rushet, La Revolution Francaise, Paris, 1965.

10 1792

(

), ., 1956.

(1789-1795), , 1911.

კ. ანთაძე, ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978.

მ. კალანდაძე, ნ. ნამორაძე, მეცნიერი და მასწავლებელი - კრებული, მიძღვნილი მიხეილ მამფორიას და გერმან სიმონიძის ხსოვნისადმი. თბ., 2005.

გ. კილურაძე, ჟირონდისტები და „პროვანდისტული ომის“ ლოზუნგი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 85, (148), თბ., 1972.

1792-1794 .,

, 1976.

, , 1906.

კ. ანთაძე, ლუი XVI-ის მიერ საკანონმდებლო კრების 1792 წლის 27 მაისის და 8 ივნისის დეკრეტებზე “veto”-ს დადება - სამეცნიერო სესია, 1. 1961/

ვ. ი. ლენინი, მეორე ინტერნაციონალის კრახი, თხზუ-  
ლებები, მეოთხე გამოცემა, ტ. 21.

კ. ანთაძე, რევოლუციური სიტუაციის საკითხისათვის  
(საფრანგეთის დიდ რევოლუციის მაგალითზე) - თბილისის  
უნივერსიტეტის შრომები, ტ. 165. თბ., 1975.

კ. ანთაძე ისტორიული წყაროები საფრანგეთში პირ-  
ველი რესპუბლიკის წანამძღვრების შესახებ - თბილისის  
უნივერსიტეტის შრომები, . 184, თბ., 1977.

კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი. მსოფლიო ისტორიის  
უმნიშვნელოვანესი თარიღი - საქართველოს კომუნისტი, №7,  
1989.

*გურამ კუტალია*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*  
*მოწვეული დოქტორი*

**კარლოს დიდის დიპლომატიური ურთიერთობა  
აღმოსავლეთთან**

კარლოს დიდი (768-814) თავისი დროის უბადლო დიპლომატი იყო, სულ იმას ცდილობდა, რომ “თავისი სამეფო დიდება” არამარტო ბრძოლებით, არამედ დიპლომატიის გზითაც გაეზარდა, მეგობრობასა და კავშირს ეძებდა არა მარტო ევროპის სახელმწიფოებთან, არამედ “ზღვისიქითა“ ქვეყნებთანაც, ეხმარებოდა სირიაში, ეგვიპტეში, ალექსანდრიაში, კართაგენში და სხვაგან მაცხოვრებელ ქრისტიანულ მოსახლეობას. კარლოსის განსაკუთრებული ზრუნვის საგანს მანც იერუსალიმი და “წმინდა ადგილები” წარმოადგენდა და ეს არ იყო შემთხვევითი. საქმე ის არის, რომ მოყოლებული კონსტანტინე დიდიდან (306-337) ყველა ბერძენი იმპერატორი რომის იმპერატორის გვირგვინთან ერთად იერუსალიმსა და მაცხოვრის საფლავზე მფარველობის პრეტენზიას აცხადებდა. მის მფარველობაზე პრეტენზია ფრანკთა მეფესაც გაუჩნდა და იწყო იერუსალიმის პატრიარქთან დიპლომატიური გზების ძებნა, უგზავნიდა მას ელჩებსა და მდიდრულ საჩუქრებს, რამაც სულ მალე გამოიღო შედეგი. 799 წელს, როგორც ერთი ფრანკი მემპტიანე გადმოგვცემს, იერუსალიმის პატრიარქმა გიორგიმ ვინმე ბერის ხელით კარლოსს აახენში გამოუგზავნა “თავისი კურთხევა და რელიქიები” (reliquias).<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> Annales Laurissenses, A. 799, A.800, A. 801, A. 802, A. 807. – Monumenta Germaniae Historica (MGH). Edidit G.H. Pertz, t. I, hannoverae, MDCCC – XXVIII, 186.

მადლიერი მეფე პატრიარქის მიერ გამოგზავნილ ბერს დიდი პატივით მოეპყრო, მისი თანდასწრებით “შობა უფლისა” გადაიხადა და მრავალი საჩუქრით უკან გაისტუმრა, თან გააყოლა თავისი წარმომადგენელიც, ვინმე მღვდელი ზაქარია, რომელსაც დიპლომატიური მისია ეკისრებოდა. მას პატრიარქი უნდა დაერწმუნებინა, რომ კარლოსთან ურთიერთობას და მხარდაჭერას სასურველი შედეგი ექნებოდა ორივე მხარისთვის. ზაქარიას ჩაგონებამ მალე გამოიღო ნაყოფი, პატრიარქმა ზაქარიას სპეციალურად თავისი ორი ბერიც გააყოლა და ისინი ჩავიდნენ რომში 800 წელს, მას შემდეგ, რაც პაპმა ლეო III-მ კარლოს დიდი აკურთხა იმპერატორად. იმპერატორს მათ მიართვეს “უფლის საფლავის” და გოლგოთის გასაღები იერუსალიმის დროშასა და გასაღებთან ერთად, რომელიც პატრიარქმა გამოუგზავნა მას. იმპერატორმა პატრიარქის ელჩები ამჯერადაც დიდი პატივით მიიღო, რამდენიმე დღე თავისთან დაიტოვა ისინი და შემდეგ დასაჩუქრებული უკან გაისტუმრა<sup>1</sup>.

კარლოსთან იმპერატორად კურთხევას პატრიარქი სხვა დროსაც გამოეხმაურა, 806 წელს, ელჩის პირით კარლოსი ასე მოიხსენია: კარლოსი, იმპერატორი და ცეზარი, ჭემმარიტად მეფე ფრანკთა, რომის იმპერიის მმართველი, ღვთის მოშიში და კურთხეული, მძლეველი და გამარჯვებული, როგორც მუდმივი აუგუსტუსი<sup>2</sup>.

კარლოსისადმი თავისი დამოკიდებულება პატრიარქმა იმითაც გამოხატა, რომ მას მიანიჭა რიგი პრივილეგიები იერუსალიმსა და პალესტინაში, უპირველესად მის ხელში გადავიდა “წმ. ადგილების” მფარველობა, რომელიც ადრე ბიზანტიის იმპერატორის ხელში იყო. ბუნებრივია, ამ დრო-

---

<sup>1</sup> Annales Laurissenses, 187-189; Chronicon Moissiacense, A. 778, A. 801. –MGH, t. I, 305.

<sup>2</sup> Die Geschichte des Christentums –Mittelalter, I, Freiburg – Wien, 2007, 708; ჯავახია ბ., მარადიული რომი, თბ., 2009, 47.

იდან იერუსალიმსა და პალესტინაში მასობრივად იწყეს ჩამოსვლა კარლოსის ქვეშემდროებმა, როგორც პილიგრიმებმა, ისე ვაჭრებმა: პილიგრიმები მოდიოდნენ სალოცავად, ვაჭრები კი – სავაჭროდ. კარლოსი დიდ მზრუნველობას იჩენდა პილიგრიმების მიმართ, სწორედ მისი ინიციატივით აშენდა იერუსალიმში პირველი სახლები, სასტუმრო და წიგნსაცავი, რომლითაც სარგებლობდნენ აქ ჩამოსული “რომანულ” ენაზე მოსაუბრე მლოცველები. ბიბლიოთეკას ეკუთვნოდა 12 სახლი, სახნავეები, ბაღები და ვენახები იოსაფატის დაბლობში. სასტუმროში ჩერდებოდნენ ვაჭრებიც, რომლებიც სასტუმროს მეპატრონეს წელიწადში უხდიდნენ ორ-ორ დინარს (ოქროს ფულს). სასტუმროს გვერდით იყო სავაჭრო მოედანი, სადაც ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. მრავლად იყვნენ ღვთისმსახურებიც, მარტო “უფლის საფლავს”, როგორც ერთ-ერთი “ჩანაწერიდან” (შესრულებულია უცნობი ავტორის მიერ IX ს. დასაწყისში) ვიგებთ, ემსახურებოდა 17 ქალი კარლოს დიდის იმპერიიდან, მათ შორის, ერთი იყო ესპანეთიდან. იმავე “ჩანაწერებიდან” იმასაც ვიგებთ, რომ იქვე იყო ზეთისხილის მთა, რომელზეც აშენებული იყო ბერების რამდენიმე სენაკი, სადაც ცხოვრობდა 11 ბერძენი, 6 სირიელი, 5 ლათინი, 4 ქართველი და 2 სომეხი<sup>1</sup>.

ჩამოსულთა შორის, რომლებსაც კარლოსი აგზავნიდა აღმოსავლეთში, ბევრი იყო ებრაელი ვაჭარი, ისინი დიდ მოგებასთან ერთად მეფის მნიშვნელოვანი პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ. მათ საქმიანობას ენების კარგი ცოდნაც უწყობდა ხელს, ფრანკულის გარდა ისინი შესანიშნავად ფლობდნენ არაბულ, სპარსულ, ბერძნულ, ესპანურ, სლავურ ენებს. ისინი ფრანკთა სახელმწიფოდან ზღვით ჩადიოდნენ ეგვიპტეში, მექა-მედინაში, ინდოეთში, ჩინეთში და აქედან ჩა-

---

<sup>1</sup> Dopsch A. Die Wirtschaftsentwicklung, der Karolinger zeit. Weimar, 1921, 342;

. . Co . T. VI, M., 1966, 345.



მოყვადათ მონები (ქალები და კაცები), ჩამოჰქონდათ ფარჩა, აბრეშუმი, ბეწვეული, ძვირფასი თვლები, სანელებლები<sup>1</sup>, ნელსაცხებელი, მალამოები, ალოე, დარიჩინი, ქაფური<sup>2</sup>, საღებავები, წამლები<sup>3</sup>. იმავე გზით ბრუნდებოდნენ უკან. ვაჭრებს განსაკუთრებული გულუხვობით ფრანკთა იმპერატორის კარზე უმასპინძლებოდნენ. მათგან იძენდნენ საქონელს, როგორც რიგითი მოსამსახურეები, ისე ფრანკი ეპისკოპოსები და დიდებულები.

ამგვარად, როგორც ნათქვამიდან ჩანს, “წმ. ადგილებთან” და, საერთოდ, აღმოსავლეთთან დაახლოება წმინდა რელიგიური მნიშვნელობის მოვლენა არ ყოფილა, მას მატერიალური და სულიერი სიკეთეც მოჰქონდა, ზრდიდა ევროპელთა თვალსაწიერს.

ვერ ვიტყვით იმასაც, რომ კარლოს დიდის დიპლომატიური ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან მხოლოდ “წმ. ადგილების” მფარველობის მოპოვების სურვილით ამოიწურებოდა. მისი ლტოლვა ბევრად უფრო შორს მიდიოდა. შესაძლებელია მას კიდევაც ჰქონდა აღმოსავლეთის ქვეყნების ტერიტორიებისა და სიმდიდრის დაუფლების სურვილი, აკი, როგორც სენგალელი ბერი ამბობს, მას ჯერ კიდევ გვირგვინკურთხევამდე ბიზანტიელი ელჩებისთვის უთქვამს: “ოჰ, თუ არ იქნებოდა ზღვის ეს უფსკრული”, გამყოფი ევროპისა და აზიისა, “მაშინ ეგების ჩვენ (ე.ი. ფრანკთა სამეფო და ბიზანტია – გ.კ.) გავინაწილებდით აღმოსავლეთის სიმდიდრეს, ანდა საერთოდ თანასწორად გავიყოფდით და დავეუფლებოდით მას<sup>4</sup>. მაგრამ ეს შეიძლება მისი შორეული ოც-

---

<sup>1</sup> . . . , 346.

<sup>2</sup> Dopsch A. Die Wirtschaftsentwicklung, der Karolinger zeit, 116,199.

<sup>3</sup> Monachi Sangallensis. De gestis Karoli Magni. – MGH, t.II (SemdegSi: De gestis Karoli Magni), 755.

<sup>4</sup> Monachi Sangallensis. De gestis Karoli Magni, 749.

ნება უფრო იყო ან ბიზანტიელთა გულის მოსაგებად ნათქვამი სიტყვები; სხვაგვარად რითი ავხსნათ ის, რომ მოცემული დროისათვის ბიზანტიაზე არანაკლებ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა კარლოს დიდს ბაღდადის სახალიფოსთან. ეს ურთიერთობა დასაბამს იღებს VIII საუკუნის შუა ხანებიდან, იმ დროიდან, როცა ომაიდების ხელისუფლება ახალი დინასტიის, აბასიდების მმართველობით შეიცვალა.

დინასტიების შეცვლას თან ახლდა სისხლიანი ანგარიშსწორება, ომაიდების წარმომადგენლები ერთიანად ამოხოცეს. ამ დინასტიიდან ერთადერთი, ვინც გადარჩა, აბდერაზმანი იყო. იგი ესპანეთში გაიქცა და ადგილობრივ ემიგრებთან ბრძოლაში იმას მიაღწია, რომ მთელი ესპანეთი დაიპყრო და თავისი ხელისუფლება განამტკიცა.

ასეთ ვითარებაში ბაღდადის ხალიფამ ალ-მაჰდმა, რომელიც უშუალოდ ვერ ჩაერეოდა ესპანეთის საქმეებში, დახმარებისათვის მიმართა კარლოს დიდს. მართალია, ამ დროს ფრანკთა მეფე დაკავებული იყო საქსებთან ბრძოლით და თავისი სამფლობელოების გაფართოებით, მაგრამ ელჩების მიერ ჩამოტანილი თხოვნა უპასუხოდ არ დატოვა, ფიქრობდა რა, რომ აქედან მიეღო სარგებლობა თავისი სამეფოსთვის. 778 წლის ზაფხულში მან გადალახა პირინეის მთები თავის ჯართან ერთად და სულ რამდენიმე ხნის შემდეგ აღმოჩნდა სარაგოსას კედლებთან. თუ რა მოხდა აქ, ჩვენ ზუსტად არ ვიცით, მაგრამ ის კი არის ცნობილი, რომ როგორც კი კარლოსმა მიიღო საგანგაშო ცნობა საქსების ახალი აჯანყების შესახებ, ის თავის ჯართან ერთად სასწრაფოდ უკან გამოემართა. ფაქტიურად იგი ვერ დაეხმარა ალ მაჰდის.

ბევრად უფრო წარმატებული იყო კარლოსის ურთიერთობა მომდევნო ხალიფასთან ჰარუნ-ალ-რაშიდთან (786-809). ჭკვრეტდა რა, რომ “წმ. ადგილების” მფარველობის შენარჩუნება ადვილი არ იქნებოდა ისეთ პირობებში,

როცა ქალაქ იერუსალიმს არაბები ფლობდნენ, მან იწყო საერთო ენის გამონახვა ჰარუნთან და დიდ წარმატებასაც მიაღწია. კარლოსის მეისტორიე ეინჰარდი უსაფუძვლოდ რო-  
დი ამბობს: “სპარსთა მეფე” ჰარუნ-ალ-რაშიდი, რომელიც  
“ინდოეთის გამოკლებით” მთელ აღმოსავლეთს ფლობდა, იმ-  
დენად მეგობრულად იყო განწყობილი კარლოსის მიმართ,  
რომ მისი სიყვარული ერჩივნა სხვა ქვეყნების მეფეებისა და  
მთავრების ერთგულებასა და ახლობლობას და მხოლოდ მას  
თვლიდა პატივისცემის ღირსად<sup>1</sup>, როდესაც კარლოსის მიერ  
ძღვენით გაგზავნილი ელჩები “წმ. უფლისა და მაცხოვრის  
დაკრძალვისა და აღდგომის ადგილზე მივიდნენ” და ჰარუნს  
“აუწყეს თავიანთი ხელმწიფის სურვილი”, ამ უკანასკნელმა  
“არათუ ნება დართო იმაზე, რასაც სთხოვდნენ, არამედ და-  
უთმო კიდევ კარლოსს ეს წმინდა ადგილი.”<sup>2</sup> ცხადია, კარ-  
ლოსმა აისრულა გულის წადილი, თუმცა ჰარუნ ალ-რაშიდს  
ერთიანად უარი არ უთქვია იერუსალიმზე, იგი კვლავ რჩე-  
ბოდა მისი გამგებლობის ქვეშ, მაგრამ, რაც ასე მნიშვნე-  
ლოვანი იყო კარლოსისთვის, მან მიიღო თანხმობა, რომ მომ-  
ლოცველები და წმ. ადგილები გადასულიყო ფრანკი მეფის  
მფარველობის ქვეშ<sup>3</sup>. ამით ისლამის და ქრისტიანობის მიმ-  
დეკარმა მონარქებმა ერთმანეთს დაუდასტურეს თავიანთი კე-  
თილმოსურნეობა და რელიგიური შემწყნარებლობა.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ “წმინდა ადგილების”  
მფარველობის მოპოვება, რასაც კარლოსმა მიაღწია, ერთ-  
პიროვნულად იერუსალიმის პატრიარქის დამსახურება არ  
ყოფილა, ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰარუნის თან-  
ხმობას, თუმცა, როგორც მართებულად შენიშნავს ბარტოლ-

---

<sup>1</sup> ეინჰარდი, კარლოს დიდის ცხოვრება. – გ. კუტალია, ეინჰარდის  
„კარლოს დიდის ცხოვრება“, თბ., 2005, 16.

<sup>2</sup> ეინჰარდი, კარლოს დიდის ცხოვრება, 16.

<sup>3</sup>

დი, ამით ის არ დასტურდება, თითქოსდა ეს თანხმობა კარლოსისადმი ჰარუნის მხოლოდ დიდი სიყვარულით აიხსნებოდეს<sup>1</sup>, რაშიც ეინჰარდი გვარწმუნებს. ჰარუნი საკმაოდ გონიერი მმართველი იყო და მარტო ემოციებით ვერ იხელმძღვანელებდა. წყალობა, რომელიც მან გაიღო, იგი უკავშირებდა შორს გამიზნულ განზრახვას. ებრძოდა რა ბიზანტიას, მას ალბათ კარლოსის თანაგრძნობისა და მხარდაჭერის მოპოვებაც სურდა. ბიზანტიის დასუსტება და მისი შეერთება თავის სახელმწიფოსთან (ყოველ შემთხვევაში მასზე გავლენის მოპოვება მაინც კარლოსის გეგმაში შედიოდა)<sup>2</sup>. შემთხვევითი არ იყო, რომ სასანლის გადატრიალებას, რომელიც მოხდა ბიზანტიაში 802 წელს, წინ უსწრებდა კარლოსის ელჩების ჩასვლა კონსტანტინოპოლში. მათ ალბათ გარკვეული როლი შეასრულეს ამ გადატრიალებაში, რომელმაც ქვეყანას ქაოსი და უბედურება მოუტანა. ამით ისარგებლა ჰარუნმა და ბიზანტიასთან განაახლა ომი<sup>3</sup>. კარლოსსა და ჰარუნს შორის დიპლომატიური ურთიერთობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ომაიდური ესპანეთისადმი მათი საერთო სიძულვილიც იყო<sup>4</sup>. ყველაფერი ეს შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვდა.

ამით უნდა აიხსნას ის, რომ კარლოსი და ჰარუნი ერთმანეთს ხშირად უგზავნიდნენ ელჩებს და მათი მეშვეობით ათანხმებდნენ საერთო მოქმედების გეგმებს.

ამ ელჩობებს ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ ცალკეულ შემთხვევაში მათ თან ახლდათ მოგზაურები, რომლებიც მოიპოვებდნენ მათი ქვეყნებისათვის საჭირო ინფორმაციას. ასე, მაგალითად, ერთ არაბ მოგზაურს, რომელსაც შემო-

---

<sup>1</sup> . . . - , 350.

<sup>2</sup> Viollet P. Histoire des Institutions politiques de France, P., 1890, 265.

<sup>3</sup> . . . - , 358.

<sup>4</sup> Chronicon Moissiacense, 296.

უვლია ფრანკთა სამეფო, აღნიშნული აქვს, რომ ამ ქვეყანაში 150-მდე ქალაქია, მათ შორის, მთავარია პარიზი (კარლოსის დროს იგი საგრაფოს ცენტრი იყო – გ.კ.). აქ მიწა არც თუ ისე ნოყიერია, ცოტაა დამუშავებული მიწები, ცოტა ვენახები და ხეები. მაცხოვრებელთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც არამართო მიწათმოქმედებას მისდევს, არამედ აქვს გარკვეული ხელობაც, მისდევს ვაჭრობას<sup>1</sup>. მეტად შტამბეჭდავია ის ცნობაც, რომელიც მოგვითხრობს 801 წელს ჰარუნის ელჩების ჩამოსვლას ფრანკთა სამეფოში. ელჩებმა პიემონტში მყოფ კარლოსს ის აცნობეს, რომ აფრიკის სანაპიროდან გადმოსაყვანია თქვენს მიერ ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ (797წ.) სახალიფოში გაგზავნილი ებრაელი ელჩი ისაკი, რომელსაც თან მოაქვს მრავალრიცხოვანი საჩუქრები, მათ შორისაა სპილოც (სახელად აბულ-აბასი), ჰარუნს რომ გამოუტანებია<sup>2</sup>. გემების მომზადებასა და გაგზავნას მოითხოვდნენ ისინი.

ფრანკთა მემკვიდრეები ვიგებთ, რომ კარლოსს ცდა არ დაუკლია, მან სასწრაფოდ მოამზადებინა და გაგზავნა გემები აფრიკის სანაპიროზე იმ ადგილას, სადაც ფრანკთა ელჩი ისაკი თავის მრავალრიცხოვან საჩუქრებთან ერთად იდგა. იგი გემებმა ლიგურიის სანაპიროზე გადასვეს, მაგრამ ვინაიდან ზამთარი იდგა, დიდი თოვლი მოსულიყო და ალპების გადალახვა ვერ მოახერხა, ვერჩელში (Vercell) დაიზამთრა<sup>3</sup>. მხოლოდ მას შემდეგ გააგრძელა გზა, როცა თოვლი დადნა და ჩააღწია აბენში, სადაც მისი (ჰარუნის ელჩებთან ერთად) შეხვედრა მეფესთან მხოლოდ 802 წლის 13 ივლისს შედგა<sup>4</sup>. სხვათა შორის, სენგალელი ბერიც ადასტურებს, რომ ჰარუნის ელჩებმა, ისაკთან ერთად რომ

---

1

, 355.

<sup>2</sup> Annales Laurissenses, 189-190.

<sup>3</sup> Annales Laurissenses, 189-190.

<sup>4</sup> Annales Laurissenses, 189-190.

მივიდნენ, კარლოსს მიუყვანეს სპილო, მიაართვეს მას სანელებლები, მალამოები, საღებავები და სხვადასხვაგვარი წამლები<sup>1</sup>. ეს ფაქტი არც კარლოსის მეისტორიეს ეინჰარდსაც დარჩა შეუმჩნეველი. ისიც წერს, რომ ელჩებმა მეფეს ჩამოუტანეს ჰარუნის მიერ გამოგზავნილი სხვადასხვაგვარი ტანსაცმელი, სანელებლები და ის სპილო, რომელიც თვით კარლოსმა სთხოვა მას, თუმცა იმ დროისათვის ჰარუნს მხოლოდ ერთი სპილო ჰყავდა<sup>2</sup>. სხვათა შორის, ეს სპილო დაიღუპა 810 წელს, როცა კარლოსი დანიელებზე სალაშქროდ მიემართებოდა<sup>3</sup>.

აქვე ვიტყვით, რომ ცნობა, თითქოს ჰარუნს ერთადერთი სპილო ჰყავდა და ისიც კარლოსს გამოუგზავნა, როგორც ამას ეინჰარდი გადმოგვცემს, მეტად საეჭვო ჩანს. სხვა წყაროებში ასეთი რამ არ დასტურდება. პირიქით კი არის, როგორც ამას ბარტოლდი ამტკიცებს, ჰარუნს სხვა არაერთი სპილოც ჰყავდა, რომლებსაც ბრძოლების დროს იყენებდა<sup>4</sup>. მაშინ რისი თქმა სურდა ეინჰარდს, როცა მკითხველს ასეთ ცნობას აწვდიდა? მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ კარლოსისადმი ჰარუნს განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებდა.

როგორადაც არ უნდა ავხსნათ ეინჰარდის ეს საქციელი, ერთი რამ მაინც ცხადია: კარლოსსა და ჰარუნს შორის არასოდეს არ გამწყდარა დიპლომატიური ურთიერთობა, არასოდეს არ შეუწყვეტიათ საჩუქრების გაგზავნა. ასე იყო 807 წელსაც, როცა, როგორც ფრანკი მემამულიანი მოგვითხრობს, ჰარუნის ელჩები კვლავ წარსდგნენ კარლოსის წინაშე და მას მიაართვეს ხალიფას მიერ გამოგზავნილი “საკვირველი სიდიდისა და ამავე დროს მშვენიერი საჩრდილობელი და

<sup>1</sup> Monachi Sangallensis. De gestis Karoli Magni, 737.

<sup>2</sup> ეინჰარდი, კარლოს დიდის ცხოვრება, 17.

<sup>3</sup> . . . - , 349.

<sup>4</sup> . . . - , 349.

კარგები”, “ძვირფასი სირიული აბრეშუმის ლაბადები, მალამოები, სანელებლები”. საჩუქრებს შორის იყო აგრეთვე “თითბერისაგან დამზადებული მექანიკური საათი”, რომლის ციფერბლატზე ტრიალებდა ისარი 12 ბურთულასთან ერთად. ყოველი საათის შესრულების შემდეგ ეს ბურთულები სარკმლიდან ამოდიოდნენ და ზარის ხმას გამოსცემდნენ. მოწონება დაიმსახურა ორმა საკმაოდ დიდმა თითბერის მანდალმაც<sup>1</sup>, რომლებიც ელჩებმა წარმოადგინეს. ერთი სიტყვით, ჰარუნის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები ამჯერადაც მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. იმპერატორმა, რა თქმა უნდა, დიდი მაღლიერებით მიიღო საჩუქრები და მათი ჩამომტანი ელჩები, რომლებიც ერთხანს თავისთან დაიტოვა და შემდეგ იტალიაში გაისტუმრა, თანაც უბრძანა, რომ დალოდებოდნენ ნაოსნობისათვის ხელსაყრელ დროს, რათა უსაფრთხოდ წასულიყვნენ თავიანთ ქვეყანაში<sup>2</sup>.

ელჩების მიმართ გამოჩენილი ეს ყურადღება კარლოსს წარმოაჩენს როგორც დიდ პიროვნებას, ასევე ღირსეულ პიროვნებად წარმოჩინდება ჰარუნ ალ-რაშიდიც, რომელიც ყოველთვის თვით ბიზანტიასთან ომის დროსაც კი იმის სურვილს ავლენდა, რომ კარლოსთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდა. ჰარუნს ორი დიდი მტერი ჰყავდა: ომაიდების ესპანეთი და ბიზანტიის იმპერატორი. კარლოსსაც იგივე მტრები ჰყავდა. ამდენად, მათ შორის დაახლოება ორივე მხარისათვის სასარგებლო იყო.

### **დამოწმებანი:**

1. ეინჰარდი, კარლოს დიდის ცხოვრება. – გ. კუტალია, ეინჰარდის „კარლოს დიდის ცხოვრება“, თბ., 2005.
2. დილი შ., ბიზანტიის იმპერიის ისტორია, თარგ. ბ. ბრეკვაძესი, თბ., 1998.

---

<sup>1</sup> Annales Laurissenses, 194.

<sup>2</sup> Annales Laurissenses, 194.

3. ჟან ბატისტ დიუროზელი, ევროპა, მისი ხალხების ისტორია, თარგ. ფრანგულიდან, თბ., 2008.
4. ჯავახია ბ., მარადიული რომი, თბ., 2009.
5. . . . . – . . . . .
6. . . . . Co . T. VI, M., 1966.
7. Annales Laurissenses, A. 799, A.800, A. 801, A. 802, A. 807. – Monumenta Germaniae Historica (MGH). Edidit G.H. Pertz, t. I, hannoverae, MDCCC – XXVIII.
8. Chronicon Moissiacense, A. 778, A. 801. –MGH, t. I.
9. Monachi Sangallensis. De gestis Karoli Magni. –MGH, t.II (SemdegSi: De gestis Karoli Magni).
10. Die Geschichte des Christentums –Mittelalter, I, Freiburg – Wien, 2007.
11. Dopsch A. Die Wirtschaftsentwicklung, der Karolinger zeit. Weimar, 1921.
12. Viollet P. Historie des Institutiones politiques de France, P., 1890

***Guram Kutalia***

*Gori State Teaching University, Invited Doctor*

**THE DIPLOMATIC RELATIONSHIP OF CARLOS THE GREAT WITH THE EAST  
SUMMARY**

Diplomatic work of Carlos the Great in the East was displayed in two trends: one of them was the relationship with the Patriarch of Jerusalem and the second – with the Khalifat of Baghdad. Relationship with the first one, brought to him protection of the “Saint places”, and as to the relationship to Baghdad is concern, it mostly proved defending these places.



These relationship had one more significant mean, that the Imperia of Carlos became related to the East economically as well and the trade deals became more visible.

*ვაჟა ჩოჩია*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*  
*პროფესორი*

## ფაშოდის კრიზისი XIX საუკუნის ბოლოს

1898 წლის მეორე ნახევარში მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო კონფლიქტურმა სიტუაციამ აფრიკაში. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ინგლისი და საფრანგეთი ნილოსის ზემო წელის დაპატრონებისათვის ბრძოლაში. პრაქტიკულად, საკითხი ეხებოდა მთელ სუდანზე ბატონობას. ინგლისს განზრახული ჰქონდა გზის მშენებლობა ქაიროდან კაპშტატამდე - რაც კიდევ უფრო განამტკიცებდა ინგლისის ბატონობას ეგვიპტესა და სუეცის არხზე. ინგლისს ამ მიზნების განხორციელებაში სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა საფრანგეთის სახით. გადალახა რა ცენტრალური აფრიკის ჯუნგლები და ჭაობები, ფრანგი კაპიტნის მარშანის ექსპედიციამ ორწლიანი მძიმე ლაშქრობის შემდეგ მდინარე ნილოსს მიაღწია. მდინარის მარცხენა ნაპირზე 1898 წლის 10 ივლისს, სუდანში მან დაიკავა პატარა პუნქტი ფაშოლა. იქ მარშანმა, მიტოვებული ძველი ეგვიპტური სიმაგრის კოშკზე ფრანგული დროშა აღმართა. შილუკების ტომის ბელადს მარშანმა თავს მოახვია შეთანხმება პროტექტორატის შესახებ.

საფრანგეთის რაზმის შესახვედრად, ზემო ნილოსიდან მოემართებოდა ინგლისელი გენერლის კიტჩენერის საექსპედიციო კორპუსი, რომელიც შედგებოდა ინგლისური და ეგვიპტური ნაწილებისაგან. 1898 წლის 2 სექტემბერს კიტჩენერის ჯარებმა დაამარცხეს არაბები ომღურმანთან - ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, სუდანის დედაქალაქ ხართუმის მახლობლად. ხართუმი გამარჯვებულებმა დაიკავეს. ამ ბრძოლაში მონაწილეობდა ახალგაზრდა ბრიტანელი ოფიცერი

უინსტონ ჩერჩილი<sup>1</sup>. სუდანის დერვიშთა სახელმწიფოს მეთაური ხალიფა აბდალაჰი გაიქცა. ხართუმში ინგლისელმა კოლონიზატორებმა, დამარცხებულთა მიმართ, მხეცური სისასტიკე გამოიჩინეს. ომდურმანთან ბრძოლიდან ოთხი დღის შემდეგ, კიტჩენერმა ცნობა მიიღო, რომ ფაშოლაში ფრანგების რაზმი იმყოფებოდა. კიტჩენერი დაუყოვნებლივ გაემართა ფაშოლასკენ, მდინარით და თან გაიყოლია ზუთი ჯავშნოსანი. ფაშოლას რომ მიუახლოვდნენ კიტჩენერმა ნავით გააგზავნა ოფიცერი, რომელმაც მარშანს გადასცა კიტჩენერის წერილი, რითაც აცნობებდა მას დერვიშებზე ინგლისელთა გამარჯვების შესახებ და თავის მომავალ ვიზიტზე ფაშოლაში.

კიტჩენერის ფლოტილია 19 სექტემბერს მიაღწა ფაშოლას. მარშანი გაემართა კიტჩენერის ჯავშნოსანზე და განუცხადა მას, რომ საფრანგეთის მთავრობამ დაავალა მას შილუკების ქვეყნის და ბახრ-ალ-გაზალის ოლქის ოკუპაცია თეთრი ნილოსის მარცხენა ნაპირზე ფაშოლამდე. კიტჩენერმა პასუხად განუცხადა მარშანს, რომ არ ცნობდა ნილოსის ხეობაში ნებისმიერი რაიონის ოკუპაციას ფრანგების მხრივ, რომ ეს იყო ინგლისისა და ეგვიპტის მთავრობათა უფლებების ღარღვევა და მოთხოვა მარშანს დაეტოვებინა ფაშოლა. მარშანი არ შეუშინდა ასეთ განცხადებას და უპასუხა კიტჩენერს, რომ ფაშოლას მხოლოდ საფრანგეთის მთავრობის ბრძანებით დატოვებდა. ამასთანავე, მარშანმა სთხოვა კიტჩენერს მისი გემით წაეყვანა ფრანგი ოფიცერი ქაირომდე, რომ იქიდან ტელეგრაფით დაკავშირებოდა პარიზს და მიეღო ინსტრუქციები. კიტჩენერმა ყურადღება არ მიაქცია მარშანის განცხადებას და ფაშოდის დატოვებისას მისი ბრძანებით ინგლისის ღროშა აღმართეს ფრანგულისგან ნახევარი კილომეტრის დაშორებით. იქ დატოვეს გარნიზონი ეგვიპ-

---

<sup>1</sup> „...“, 2006, 172.

ტური ჯარების ბატალიონის და ერთი ჯავშნოსნის შემადგენლობით. მეორე დღეს კიტჩენერმა გააგრძელა გზა სამხრეთისკენ. ამ მდინარეზე აიკრძალა ყოველგვარი სამხედრო მასალების გადაზიდვა, რაც მარშანის რაზმის ბლოკადას ნიშნავდა. 9 ოქტომბერს ფაშოდაში ჩავიდა ინგლისის ჯავშნოსანი, რომელსაც მარშანის ერთ-ერთი ოფიცერი უნდა ჩაეყვანა ქაიროში, რათა მას კონტაქტი დაემყარებინა საფრანგეთის დიპლომატიურ აგენტთან ადგილზე და პარიზთან. ინგლისისა და საფრანგეთის ძალები ამჟამად უთანაბრო იყო. სუდანში ინგლისელებს გააჩნდათ საექსპედიციო კორპუსი 20 ათასზე მეტი ადამიანით. ისინი კარგად იყვნენ შეიარაღებული და ჰქონდათ აუცილებელი კომუნიკაციები და მომარაგების მყარი ბაზა ეგვიპტეში. ფრანგებს ყავდათ 100-ზე ცოტა მეტი ადამიანი და ჰქონდათ ერთი სამდინარო გემი და რამდენიმე შალანდა (მცირე მოცულობის ბარჟა ტვირთის გადასატანად). ფაშოდის დაკავების შემდეგ, მარშანს არ გააჩნდა არც სატელეგრაფო, არც სხვა კავშირი თავის მთავრობასთან. ის ელოდებოდა დახმარებას ეთიოპიიდან, მაგრამ ვერ მიიღო.

ამ პერიოდისათვის ინგლისმა გააუმჯობესა თავისი ურთიერთობები გერმანიასთან - მართალია დროებით, მაგრამ საჭირო. ზღვებზე ინგლისს დიდი უპირატესობა გააჩნდა ფრანგულ ფლოტთან შედარებით. 1898 წლისთვის ინგლისს ჰქონდა 34 ჯავშნოსანი 16 კვანძის სიჩქარით. საფრანგეთს ასეთი მხოლოდ 10 ხომალდი ჰქონდა, რუსეთს კი-17, თუმცა მათი ნაწილი ჩაკეტილი იყო შავ ზღვაში. ითვლებოდა, რომ ინგლისი ზღვებზე უფრო ძლიერი იყო, ვიდრე რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია ერთად აღებული. ინგლისს ადვილად შეეძლო ხელში ჩაეგდო საფრანგეთის კოლონიების მნიშვნელოვანი ნაწილი, სავაჭრო ფლოტი და საზღვაო ვაჭრობა. ამასთანავე, ინგლისის კონფლიქტი საფრანგეთთან ადვილად შეეძლო გამოეყენებინა გერმანიას, რომელთანაც

საფრანგეთს დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა ფრანკ-ფურტის ზავის შემდეგ<sup>1</sup>.

ინგლისის ბურჟუაზია ერთსულოვანი იყო მისწრაფებაში საკუთარ ხელში ჰქონოდა ზემო ნილოსის კონტროლი. ის ამაში ხელავედა საშუალებას განემტკიცებინა ბატონობა ეგვიპტეზე. ეს თავისთავად უზრუნველყოფდა ბატონობას სუეცის არხზე, ე. ი. ინდოეთისკენ, აღმოსავლეთ აფრიკისკენ, ავსტრალიისკენ და შორეული აღმოსავლეთისკენ მიმავალ გზებზე. სუეცი, თითქმის მთელი ბრიტანული კოლონიური სისტემის ღერძი გახდა. თუმცა, სუდანში წყდებოდა არა მარტო საკითხი სუეცის არხის შესახებ. სუდანისთვის ბრძოლის შედეგზე იყო დამოკიდებული, როგორც ტერიტორიული კავშირის დამყარება აფრიკის კონტინენტზე გადაჭიმულ ბრიტანეთის კოლონიებს შორის, ისე რკინიგზის მშენებლობის შესაძლებლობა ქაიროდან კაპშტატამდე (სამხრეთი აფრიკა). როდესაც პარიზმა გადაწყვიტა მარშანის რაზმის გაგზავნა ფაშოლაში, იმედი ჰქონდა, რომ ამ აქციით ის ზეწოლას მოახდენდა ინგლისზე, ეგვიპტის საკითხში, რომელიც ყველაზე დიდი კოლონიური დავის საგანი იყო.

1898 წლის ივნისის ბოლოს საფრანგეთში მთავრობა შეიცვალა. ახალ კაბინეტს სათავეში ჩაუდგა რადიკალი ბრისონი, საგარეო საქმეთა მინისტრი კი გახდა თეოფილ დელკასე<sup>2</sup>, რომელმაც ეს პოსტი რვა წელს შეინარჩუნა - 1906 წლამდე. საფრანგეთის კოლონიების სამინისტრო მიიჩნევდა, რომ მარშანს მხოლოდ ფაშოლა უნდა დაეკავებინა და წინსვლა შეეჩერებინა მისი რაზმის სიმცირის გამო. მაგრამ, ვიდრე ინსტრუქციას მოამზადებდნენ მარშანისთვის, კოლონიების მინისტრმა საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრი ჰკითხა. სამინისტროს მოხელეთა დასკვნიდან გამომ-

---

<sup>1</sup> ჩოჩია ვ., ბისმარკი და გერმანიის პრობლემა. 1862-1882. თბ., 2011, 150-152.

<sup>2</sup>

, . II. ., 1963, 426.

დინარეობდა, რომ საფრანგეთს უნდა დაეპყრო ტერიტორია ზემო ნილოსის აუზში, მდინარის მარცხენა ნაპირზე სამხრეთით, კონგოს სახელმწიფოს საზღვრიდან და მე-10 პარალელამდე ჩრდილოეთით, ფაშოდისა და ბახრ-ალ-გაზალის ოლქის და მდინარე შარის მთელი აუზის ჩათვლით. სამინისტრო მზად იყო ეცნო ინგლისის სამფლობელოდ სუდანი მე-10 პარალელიდან ჩრდილოეთით. ამის სანაცვლოდ, მას იმედი ჰქონდა, მიეღო მისი თანხმობა ევაკუაციაზე და ეგვიპტისა და სუეცის არხის ნეიტრალიზებაზე. ყოველივე ამის გაკეთებას პარიზი ფიქრობდა მარშანის მცირერიცხოვანი რაზმით. დელკასემ არ მიიღო თავისი აპარატის ეს რჩევა, ამიტომ ვერც პასუხს აძლევდა კოლონიების მინისტრს. მას არ სურდა კონფლიქტი დიდ სახელმწიფოსთან და ვერც გამოსავალი ეპოვნა.

1 სექტემბერს დელკასე პეტერბურგში შეკითხვას აგზავნის. მან დაავალა ელჩს, გრაფ მონტებელოს, გაეგო რუსეთის მთავრობის აზრი შექმნილ სიტუაციაზე<sup>1</sup>. ვიდრე დელკასე პასუხს ელოდა, მოვიდა კოლონიების სამინისტროს მეორე შეხსენება. საქმის გაჭიანურება აღარ გამოდიოდა და დელკასე იძულებული გახდა, თავისი აზრი გამოეთქვა. მან აღნიშნა მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომ უკანასკნელ ხანს საერთაშორისო სიტუაცია შეიცვალა საფრანგეთისათვის არახელსაყრელად, რადგან გერმანია დაუახლოვდა თურქეთს - ეგვიპტის სიუზერენს და ინგლისს (გერმანიამ შეძლო თურქეთთან დაახლოება, როდესაც მან შეცვალა საფრანგეთი და ინგლისი თურქეთის არმიის რეორგანიზაციის საქმეში. 1885-1895 წლებში გერმანელი ინსტრუქტორების ჯგუფს ხელმძღვანელობდა გერმანელი გენერალი ფონ დერ გოლცი, რომელმაც შეძლო თურქეთის არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება. კრუპის და მაუზერის ქარხნები კი იარაღს

---

<sup>1</sup> Documents Diplomatiques Français (1871-1914). T. 1-41. Paris, 1929-1959. -1-ère série, t. XIV, №315, 496.

აწვდიდნენ თურქეთს. გერმანელი ინსტრუქტორები შემდგომ წლებშიც იმყოფებოდნენ თურქეთში). შექმნილ სიტუაციაში, საჭირო იყო რჩევა მიეცათ მარშანისთვის, კეთილგონიერება გამოეჩინა და წინ აღარ წაწეულიყო. მინისტრთა საბჭომ მხარი დაუჭირა დელკასეს. 1898 წლის 9 სექტემბერს კოლონიების მინისტრმა დეპეშა გაავზავნა ლიბრევილში, საფრანგეთის კონგოს გენერალურ კომისართან დავალებით, რაც შეიძლება სწრაფად მიეწოდებინათ მარშანისთვის მთავრობის ინსტრუქცია დელკასეს წინადადებათა გათვალისწინებით, მაგრამ ინსტრუქციამ მარშანამდე ვერ მიაღწია<sup>1</sup>.

7 სექტემბერს დელკასემ მიიღო ინგლისის ელჩი მონსონი. მინისტრი ყოველმხრივ ცდილობდა, შეერბილებინა სიტუაცია. მან გამოთქვა სურვილი, თავიდან აეცილებინათ კონფლიქტი და მთავრობებს გადაეწყვიტათ შექმნილი სიტუაცია. დელკასემ გამოხატა იმედი, რომ ლონდონი მიაწვდიდა კიტჩენერს დირექტივებს, რომელიც თავიდან ააცილებდა ორ ქვეყანას შეჯახებას. ელჩმა დაუყოვნებლივ გადასცა ლონდონში დელკასეს განცხადება. იქ კარგად დაინახეს, რომ საფრანგეთს არ სურდა ვითარების გამწვავება. 9 სექტემბერს სოლსბერი (მარკიზი სოლსბერი 1895 წლის ივნისში მესამედ გახდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი. 1900 წლამდე მან შეინარჩუნა აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. 1902 წელს სოლსბერი გადადგა) დეპეშით ატყობინებს მონსონს დირექტივას, რომელიც განსაზღვრავდა ინგლისის პოზიციას ფაშოდის კონფლიქტში. ლონდონს არ სურდა უკან დახვევა საკითხში, რომელიც შეეხებოდა ნილოსის აუზს, ფაშოდის ჩათვლით. მას მიიჩნევდნენ ინგლისისა და ეგვიპტის კუთვნილებად. ლონდონი თანახმა იყო ეწარმოებინა მოლაპარაკებანი ტერიტორიულ საკითხზე მხოლოდ ნილოსის აუზის გარეთ. ეს ნიშნავდა, რომ ლონდონმა გადაწყვიტა

---

<sup>1</sup>

გაეძევიან ფრანგი კონკურენტი და განემტკიცებინა თავისი ბატონობა ეგვიპტეზე, ნილოსის ზემო წელის ხელში ჩაგდებით, რომელიც კვებავდა ეგვიპტეს. სოლსბერის, როგორც ჩანს, იმედი ჰქონდა, რომ საფრანგეთი დათმობდა და უკიდურესობამდე არ მიიყვანდა საქმეს.

1898 წლის 10 სექტემბერს მონსონმა გადასცა დელკასეს სოლსბერის დეპეშის ტექსტი. 13 სექტემბერს კი პარიზში მიიღეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მურავიოვის პასუხი პარიზის შეკითხვაზე, რომელიც დელკასემ გააგზავნა პეტერბურგში. პასუხი გამამხნეველი იყო. მურავიოვი წერდა, რომ ყველა საკითხში, რომელიც ეხებოდა ეგვიპტეს, რუსეთის მთავრობა მზად იყო, საფრანგეთისათვის მხარი დაეჭირა<sup>1</sup>. 27 სექტემბერს ლონდონმა მემორანდუმით აცნობა პარიზს, რომ არ ცნობდა ნილოსის ხეობაში ნებისმიერი ნაწილის ოკუპაციას საფრანგეთის მიერ. იმავე დღეს, დელკასემ ლონდონის მემორანდუმის შესახებ მოახსენა მინისტრთა საბჭოს. საღამოს დელკასე შეხვდა მონსონს და აცნობა, რომ საფრანგეთის მთავრობა მზად იყო წასულიყო დიდ დათმობებზე, მაგრამ ამას გააკეთებდა არა ზეწოლის გამო, არამედ მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით. 28 სექტემბერს მონსონმა პარიზს გადასცა სოლსბერის დეპეშის ტექსტი. მასში ნათქვამი იყო, რომ სოლსბერი თანახმა იყო გადაეცათ დელკასეს შეტყობინება მარშანისთვის, მაგრამ ინგლისი პასუხს არ ავებდა მარშანის უსაფრთხოებაზე, თუ ის სწრაფად არ დატოვებდა მის მიერ დაკავებულ ტერიტორიას<sup>2</sup>. რა თქმა უნდა, ეს შეუნიღბავი მუქარა იყო. შემდგომ დღეებში მოლაპარაკებანი განაგრძო საფრანგეთის ელჩმა ლონდონში დე კურსელმა. ის ატარებდა დელკასესთან შეთანხმებულ კურსს - საფრანგეთი დატოვებს ფაშოდას,

---

<sup>1</sup> , 430.

<sup>2</sup> British Documents on the Origins of the War. 1898-1914. Vol. 1-11. London, 1927-1936. - Vol. I, №197, 170-171.



მაგრამ შეინარჩუნებს ნილოსზე მისასვლელს, ე. ი. მისი მარცხენა ნაპირის ნაწილს ფაშოდის სამხრეთით, კონგოს საზღვრებამდე.

1898 წლის 15 ოქტომბერს ფაშოდის კონფლიქტის გამწვავების პერიოდში, მურავიოვი ვიზიტით ჩავიდა პარიზში და დელკასეს შეხვდა, რომელმაც დაარწმუნა მურავიოვი, რომ ის ერთგული იყო საფრანგეთ-რუსეთის კავშირისა. შემდეგ მან მურავიოვს გააცნო ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკებათა მსვლელობა ფაშოდის თაობაზე და გამოხატა რწმენა, რომ სადავო საკითხი მალე მოგვარდებოდა. საფრანგეთი ფაშოდის საკითხში დათმობით მიიღებდა დაკმაყოფილებას თეთრი ნილოსის მარცხენა სანაპიროზე თავისუფალი მისასვლელის სახით<sup>1</sup>. პრეზიდენტი ფელიქს ფორი, რომელიც ასევე შეხვდა მურავიოვს, არ შეხებია ფაშოდის ინციდენტს და მხოლოდ საფრანგეთის მიმართ ინგლისის მტრობაზე ლაპარაკობდა.

20 ოქტომბერს ინგლისის ხაზინის კანცლერმა ჰიკს-ბიჩმა, რომელიც მთავრობაში მეორე პირად ითვლებოდა, საჯარო სიტყვაში განაცხადა, რომ ფაშოდის საკითხში ინგლისი არ დათმობდა<sup>2</sup>. ამასთანავე, ლონდონში იცოდნენ, რომ რუსეთი საფრანგეთს უჭერდა მხარს, რის შესახებაც დელკასემ დაუფარავად განაცხადა<sup>3</sup>. 1898 წლის 23 ოქტომბერს დელკასემ გარკვევით გაუმეორა მონსონს, რომ თუ ლონდონი პარიზს პრინციპულ თანხმობას მისცემდა ნილოსზე გასვლის შესახებ, მაშინ საფრანგეთის მთავრობა დაუყოვნებლივ მისცემდა მითითებას მარშანს ფაშოდა გაეთავისუფლებინა. ამ წინადადებას ინგლისის მთავრობა იხილავდა 1898 წლის 27 ოქტომბერს. იმავე დღეს, სოლსბერი შეხვდა

---

<sup>1</sup> , 431.

<sup>2</sup> , 435.

<sup>3</sup> British Documents on the Origins of the War. 1898-1914, №218, 183.

საფრანგეთის ელჩს და შეპირდა, რომ მონახავდა ფორმას, რომელიც ხელს შეუწყობდა კრიზისის დასრულებას<sup>1</sup>. 27 ოქტომბერს გამოჩნდა სოლსბერის პასუხი საიდუმლო სამახსოვრო ჩანაწერის სახით. მასში ნათქვამი იყო, რომ თუ მარშანი მიიღებდა ბრძანებას ფაშოდის დატოვების შესახებ, მაშინ მოიხსნებოდა წინააღმდეგობანი დისკუსიისათვის ტერიტორიული გამიჯვნის საკითხზე.

ელჩი დე კურსელი თავის მთავრობას სთავაზობდა ეს ფორმულა მიეღო. ამასობაში, ბრისონის მთავრობა გადადგა. 1 ნოემბერს მთავრობის მეთაური გახდა დიუპუი. ახალმა მთავრობამ გადაწყვიტა ფაშოდიდან საფრანგეთს რაზმი გამოეწვია. 3 ნოემბერს დელკასემ, რომელმაც შეინარჩუნა თავისი პოსტი, დიპლომატიური აგენტის მეშვეობით მარშანს ბრძანება გაუგზავნა ქაიროში. მარშანს ევალებოდა ფაშოდის დატოვება და თავისი რაზმით საფრანგეთში დაბრუნება. უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ ეთიოპიაზე გავლით ჯიბუტიდან<sup>2</sup>. ამ გადაწყვეტილების შესახებ და კურსელმა ოფიციალურად აცნობა ინგლისის პრემიერ-მინისტრს 4 ნოემბერს.

9 ნოემბერს სოლსბერი გამოვიდა საჯარო სიტყვით ყოველწლიურ პოლიტიკურ ბანკეტზე ლონდონის ლორდ-მერთან. პრემიერმა გამოსვლისას აღნიშნა, რომ ფაშოდის გამო შეიქმნა ომის წარმოშობის შესაძლებლობა, მაგრამ ის აიცილეს კეთილგონიერების წყალობით, რომელიც გამოიჩინა საფრანგეთის მთავრობამ<sup>3</sup>. თუმცა, საერთო მდგომარეობა მსოფლიოში, სოლსბერის აზრით, საშუალებას არ აძლევდა ინგლისს ხელი აეღო მის მიერ ჩატარებულ სამხედრო ლონისძიებაზე. ინგლისის ფლოტი სრულ მზადყოფნაში რჩებოდა. ეს დაკავშირებული იყო არა მარტო ბურებთან მოსა-

---

<sup>1</sup> Documents Diplomatiques Français (1871-1914), №459, 719-720.

<sup>2</sup> British Documents on the Origins of the War. 1898-1914, №226, 188.

<sup>3</sup> Documents Diplomatiques Français (1871-1914), №492, 768.

ლოდნელი ომისათვის მზადებასთან, არამედ საფრანგეთთან მომავალ მოლაპარაკებებთანაც. 15 ნოემბერს ჩემბერლენი გამოვიდა სიტყვით მანჩესტერში, რომელშიც საფრანგეთისგან მოითხოვდა დათმობებს ყველა სადავო საკითხებში. რაც შეეხებოდა ნილოსის აუზს, საფრანგეთს მასზე საერთოდ უარი უნდა ეთქვა<sup>1</sup>.

ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობები დაძაბული რჩებოდა. 1898 წლის დეკემბერში ლონდონში ჩავიდა საფრანგეთის ახალი ელჩი - პოლ კამბონი. ის თავაზიანად მიიღეს, თუმცა არცერთ მინისტრს არ გამოუთქვამს სურვილი მოლაპარაკება გაემართა მასთან. ლონდონში კარგად შედავდნენ, რომ საფრანგეთს არ შესწევდა უნარი ბრძოლაში ჩაბმულიყო ინგლისთან, მით უმეტეს, რომ გერმანიასთანაც დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა. სიტუაცია აიძულებდა საფრანგეთს უკან დაეხია ინგლისის წინაშე. მან უარი თქვა ბახრ-ალ-გაზალის ოლქზე და ნილოსის გასასვლელზე. ეს საფრანგეთის სრული მარცხი იყო. ინგლისმა კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები ეგვიპტეში. იმისათვის, რომ საფრანგეთი მტრულად არ განწყობილიყო ინგლისის მიმართ, ორი ქვეყნის აფრიკული სამფლობელოები გაიმიჯნა. საზღვარი ძირითადად გავიდა ჩადის ტბის და მდინარე კონგოს აუზებს შორის, ერთი მხრივ, და ნილოსის აუზს შორის - მეორე მხრივ. სანაცვლოდ, საფრანგეთმა მიიღო სუდანის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ტერიტორიის მიღებამ საშუალება მისცა საფრანგეთს, ტერიტორიულად გაემთლიანებინა საფრანგეთის სამფლობელოები ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკაში, მის კოლონიებთან ცენტრალურ აფრიკაში.

1899 წლის შეთანხმება ინგლისსა და საფრანგეთს შორის ამთავრებდა ცენტრალური აფრიკის გაყოფას<sup>2</sup>. თუმცა,

---

1 , 439.

2

წინ იყო ბრძოლა დიდ ქვეყნებს შორის აფრიკის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილებისათვის. რაც შეეხებოდა სამხრეთს, ლონდონი უკვე მზად იყო ბურების რესპუბლიკის დაპყრობისათვის<sup>1</sup>. ამას ხელი შეუწყო აღმოსავლეთ სუდანისა და ნილოსის მთელი აუზის დაპყრობამ. ახლა საჭირო იყო ტრანსვაალის ოქროს საბადოების ხელში ჩაგდება, რომელიც ეკონომიკურად უკვე მათ ხელში იყო. ამასთანავე, დაიპყრობდნენ მის მოკავშირე ორანჟის რესპუბლიკასაც.

#### **დამოწმებანი:**

1. ჩოჩია ვ., ბისმარკი და გერმანიის პრობლემა. 1862-1882. თბ., 2011.
2. . . . . , 2006.
3. . . . . , . II. . . . . , 1963.
4. British Documents on the Origins of the War. 1898-1914. Vol. 1-11. London, 1927-1936. - Vol. I.
5. Documents Diplomatiques Français (1871-1914). T. 1-41. Paris, 1929-1959. -1-ère série, t. XIV.

***Vazha Chochia***

*Gori State Teaching University, Professor*

### **THE CRISIS OF PASHODA AT THE END OF XIX CENTURY RESUME**

In the second half of 1898 on the Upper Nile River, where the Sudan located, became the object of the colonial rivalry between England and France, causing serious

---

<sup>1</sup> . . . . . , 441.

conflict arose, which has attracted the attention of the whole world. England managed to conquer the Sudanese capital of Khartoum and set a goal to conquer the whole of Sudan. But, here 's a serious rival to London – France. The French entered in Sudan and camped near the village Pashoda, but the military forces of England had a great advantage. This was the winning one. France did not want to give up the expectation of compensation remained in Pashoda.

British ruling circles were trying to have a strong position on the Upper Nile, which would allow to strengthen the domination of Egypt and the Suez Canal, which was on its way to India, East Africa, Australia and the Far East. This is very strategic, political and economic importance. That 's why London does not speak more highly of his opponent, but the relationships between them very intensified. London and Paris trying to get as much support to achieve its goals. But the question had to be settled directly between London and Paris. Indeed, Paris stepped back and left the Pashoda. However, France took an important part of Sudan as compensation, they finished the division of the Central African.

*იოსებ (სოსო) აღიშბარაშვილი,  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,  
ასოციირებული პროფესორი*

## **საქართველოს მთიანეთისა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა ზოგიერთი ადათისა და ტრადიციის შესახებ**

ქართველი და ჩრდილო კავკასიელ ხალხთა კულტურა მრავალფეროვნებითა და თვითმყოფადობით გამოირჩევა. მასში ბევრი რამაა საერთოც და ორიგინალურიც<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, ქართველ ხალხს საფუძველშივე ჰქონდა როგორც მშვიდობიანი, ასევე საომარი ურთიერთობა თავის მეზობლებთან. ამ პროცესში ყალიბდებოდა მათი ხასიათი, ზნე-ჩვეულებები, ადათები, ტრადიციები. ეს ურთიერთობები არაერთხელ გამხდარა შემოქმედების წყარო ქართველი თუ არაქართველი ავტორისა და ხალხური პოეზიისათვის. ამ ურთიერთობებმა შექმნა ლიტერატურის კლასიკური შედევრები: ვაჟას - „სტუმარ-მასპინძელი“, იაკობ გოგებაშვილის - „იავნანამ რა ჰქმნა“, ალექსანდრე ყაზბეგის - „ელგუჯა“, „ელეონორა“, ინგუშური თქმულება „გურგალ მეფეზე“, ჩინური ბალადა „სიმღერა ქვრივის ვაჟიშვილსა და ქართველ ჭაბუკზე“<sup>2</sup> და სხვ.

---

<sup>1</sup> იხ: კავკასიის ხალხთა ფოლკლორი, ნაირა გელაშვილის რედ., თბ., 2008.

<sup>2</sup> „გურგალ მეფეში“ (იგულისხმება ერეკლე II) გადმოცემულია, თუ როგორ იყენებს ინგუშებს მტრების წინააღმდეგ ერეკლე. ინგუშები მეწინავეთა რიგებში იბრძოდნენ და თავიც გამოუჩინიათ. ბრძოლის შემდეგ ერეკლე სტეფანწმინდაში (ყაზბეგში) ასულა, ინგუშები იქ მიუწვევია და წყალობის სიგელებიც უხვად გაუცია, ხოლო ზოგიერთისათვის თავადის ტიტულიც უბოძებია. ერეკლესა და ინგუშებს პირობა დაუდიათ ომის დროს კვლავაც ერთმანეთს მიშველებოდნენ.

ყონალობა, ათალიკობა, ურვათი, ლევირათი, სისხლის ალება, კავკასიელების ყოველდღიური ცხოვრების წესს წარმოადგენდა. მაგ., ჩერქეზები არ იცნობდნენ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ნორმებს და ასხვავებდნენ დანაშაულის 8 სახეს: 1) მონის წინააღმდეგობა, ან გაქცევა ბატონისაგან; 2) სტუმარმასპინძლობის წესის დარღვევა; 3) ცოლისგან დაღატი; 4) საკუთარი ოჯახისა და ახლო მეზობლების ქურდობა; 5) სიმხდალე; 6) სისხლის ალება; 7) მკვლელობა, მშობლისა დამამძიმებლად ითვლებოდა; 8) საკუთარი ხალხის (სამშობლოს) დაღატი<sup>1</sup>.

დაღესტანში, სისხლის ალების გარდა, ადათით დასჯის სამი ფორმა იყო მიღებული: 1) დამნაშავის გაძევება სოფლიდან (საქართველოს მთიანეთში ამას თემიდან მოკვეთა ერქვა), როდესაც დაზარალებულს უფლება ჰქონდა დაუსჯე-

---

რაც შეეხება ჩენურ ბაღდას „სიმღერა ქერივის ვაჟიშვილსა და ქართველ ჭაბუკზე“, მასში მოთხრობილია ჩენი ახალგაზრდის ამბავი, რომელსაც პირობითად „ქერივის ვაჟი“ ჰქვია. მას ადგილობრივი თოისამ ურუპის ძე, მცირე ასაკის გამო მამაკაცთა თავყრილობაზე დასწრების უფლებას არ აძლევს. შეურაცხყოფილი „ქერივის ვაჟი“ გადაწყვეტს სახლიდან გაპარვას, საქართველოში გადასვლას და ვაჟკაცობით განთქმული ალაზნისპირელის ტყვედ წაყვანას, რათა ამით სიმამაცე დაუმტკიცოს თანამოძმეებს. საბოლოოდ, ქართველისა და ჩენის შეხვედრა ძმად შეფიცვით სრულდება. ქართველი, მეგობრობის ნიშნად „ქერივის ვაჟს“ სილამაზით განთქმულ ქართველ საპატარძლოსაც მოუყვანს და ჩენეთშიც გააცილებს, ხოლო, როდესაც შეიტყობს, რომ „ქერივის ვაჟის“ სახლში არ ყოფნით სარგებლობს თოისამ ურუპის ძე და ძალის გამოყენებით დას მოსტაცებს, ალაზნისპირელი მათ ქორწილში მიდის, თოისამ ურუპის ძეს კლავს და საპატარძლოს საკუთარ სახლში აბრუნებს.

ბაღდად სრულდება ორმხრივი (ჩენებისა და ქართველებისადმი) მოწოდებით:

„ნუმც დავზოცილვართ ერთმანეთის უნდობლად ძმებო,  
ნუმც დავზოცილვართ ერთმანეთის უსიყვარულოდ!“

<sup>1</sup>

„ . . . I, I, . . . , 1886, 232.

ლად მოეკლა გაძევებული. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, დამნაშავე შეიძლება გაძევებინათ ოჯახთან და ნათესავებთან ერთადაც კი. ასეთ სასჯელს კანლიდან გასვლა ეწოდებოდა. 2) დამნაშავის გაძევება გარკვეული ვადით. ასეთ დროს დაზარალებულს ეკრძალებოდა გაძევებულის მოკვლა. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, დამნაშავეს შეეძლო დაბრუნებულიყო საკუთარ სახლში და დგებოდა შერიგება. 3) ფინანსური, ან ქონებრივი სასჯელი დაზარალებულის სასარგებლოდ<sup>1</sup>.

როგორც წესი, მოსისხლის გარდა, დაღესტანში ადამი სიკვდილით დასჯას არ განიხილავდა, მაგრამ შესაძლებლობას უშვებდა დამნაშავის მოკვლისა ნებისმიერი მსურველისათვის. ასეთი შემთხვევები იყო: მეჩეთში ქურდობა, მკვლელის მოკვლა შერიგების შემდეგ, მშობლის (მამის) მკვლელობა, ხიდის განზრახ დაწვა<sup>2</sup> და სხვ.

ჩრდილო კავკასიასა (ადილელებში, ყაბარდოელებში, ჩერქეზებში, ჩეჩენ-ინგუშებში, ნოღაელებში, დაღესტნელებსა და სხვ.) და საქართველოს მთიანეთში ერთ-ერთი უწმინდესი და უმნიშვნელოვანესი ადამი იყო სტუმარმასპინძლობა და ყონალობა (ძმადნაფიცობა). დაღესტანში გავრცელებული იყო გამოთქმა: „სტუმარს სახელს მხოლოდ მესამე დღეს ეკითხებიანო“<sup>3</sup>. ცუდ ტონად ითვლებოდა სტუმრის გამოკითხვა, თუ საიდან იყო, რა ერქვა, რამდენი დღით იყო ჩამოსული<sup>4</sup>. მიუხედავად მისი წარმომავლობისა, თუნდაც მოსისხლე ყოფილიყო, ჩერქეზისათვის სტუმარი მისი ოჯახის ზღურბლის

1  
 , . I, I, 608.

2  
 , . I, I, 609.

3 ხუციშვილი ნ., დაღესტანი, თბ., 2002, 52.

4  
 „ , კრებულში: „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა“ თბ., 2011, 498.



გადმობიჯებისთანავე ხელშეუხებელი იყო მღვერისათვის<sup>1</sup>. თავის მხრივ, არც სტუმარს ჰქონდა მორალური უფლება, გაჩერებულყო ისეთ ოჯახში, სადაც მასპინძელი სახლში არ იმყოფებოდა. ასეთ შემთხვევაში, მას იღებდა მასპინძელი გვარის წარმომადგენელი ის ოჯახი, რომელშიც მამაკაცი ოჯახში იმყოფებოდა. ეს წესი ვრცელდებოდა მხოლოდ უცნობ სტუმარზე, მეგობრებისა და ყონალებისათვის ამ წესის დაცვა სავალდებულო არ იყო და მათ შეეძლოთ შეუზღუდავი ვადით დარჩენილიყვნენ სტუმრად. სტუმრის პატივისცემის ვალდებულება ვრცელდებოდა არა მხოლოდ უშუალო მასპინძელზე, არამედ იმ თანასოფლელებზეც, რომლებიც სტუმრის მიღებას ესწრებოდნენ, მაგრამ მთავარი ვალდებულება მაინც მასპინძელს ეკისრებოდა. აქედან გამომდინარე, უძძიმეს დანაშაულად და სირცხვილად ითვლებოდა სტუმრის მოკვლა. პირიქით, მასპინძლის ღირსების საქმე იყო, დაეცვა სტუმარი ნებისმიერ შეურაცხყოფისა და თავდასხმისაგან. სტუმრის მკვლელობის შემთხვევაში მასპინძელს ისევე უნდა ეძია შური, როგორც საკუთარი ოჯახის წევრისათვის<sup>2</sup>. ეს ფაქტი საუკეთესოდ აქვს აღწერილი ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“.

ყარა ნოღაელებსა და ყუბანისპირა ნოღაელებში სტუმარმასპინძლობა იმდენად დიდი ვალდებულება იყო, რომ, როდესაც ნოღაელი შორ მანძილზე გადაადგილდებოდა, თან არანაირი საგზალი არ მიჰქონდა, დარწმუნებული იმაში, რომ თითოეული თანამოძმე მას საკვებს მიაწვდიდა და უმასპინძლებდა. ეს წესი აიძულებდა თუნდაც ღარიბ ნოღაელსაც კი, რომ სტუმრისათვის, სულ მცირე, ჩაი მაინც შეეთა-

---

<sup>1</sup>  
 , . I, I, 69.  
<sup>2</sup>

, 498.

ვაზებინა, თუნდაც მეორე დღისათვის თვითონ მშვიერი დარჩენილიყო<sup>1</sup>.

ადილელების ადათის მიხედვით, სტუმარს რამდენადაც ძვირფასი ნივთი არ უნდა მოეთხოვა საჩუქრის სახით, ან შედარებით იაფფასიანში გადაცვლა შეეთავაზებინა, მასპინძელი უარს ვერ ეტყოდა. როგორც წესი, ასეთი საჩუქარი ცხენი, ან იარაღი იყო. სამეგრელოსა და აფხაზეთში სტუმრისათვის საკუთარი, ან ნაპარავი ცხენის მირთმევა ვაჟკაცობასთან ასოცირდებოდა, რაოდენ დიდ რისკთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული (გავისხენოთ აკაკი წერეთლის „გამზრდელი“).

ჩრდილო ოსეთში (იმდროინდელ ოსეთში) სტუმარს შეეძლო 1-2 თვეც დარჩენილიყო. როგორც წესი, სპეციალურად მისთვის იკვლებოდა საკლავი (ცხვარი, ხარი), რომელსაც „კუსარტაკს“ უწოდებდნენ. რაც უფრო საპატიო იყო სტუმარი, მით მეტად ფასობდა „კუსარტაკი“<sup>2</sup>. სანამ სუფრასთან მიიწვევდნენ, სრულდებოდა ხელის დაბანის წესი. პირველად ბანდნენ სტუმართაგან უფროსს. მაგიდასთანაც გამორჩეულ ადგილს ის იკავებდა. მიუხედავად იმისა, რომ ხორცი მთიელის სუფრაზე ყოველთვის დიდი რაოდენობით იყო, ჭამდნენ ძალზე ცოტას და სუფრა ხშირად ხელუხლებელი რჩებოდა. როგორც კი უფროსი სტუმარი ჭამას დაასრულებდა, სადილი დასრულებულად ცხადდებოდა, იმის მიუხედავად, იყვნენ თუ არა დანაყრებულნი მაგიდის დანარჩენი წევრები<sup>3</sup>. საპატიო სტუმრის საპატივსაცემოდ ეწყობოდა დოღი, მიზანში სროლა და ა. შ.

---

1  
„ . I, I, 265.

2  
„ , კრებულში: „  
„ . IX, „ , 1876, 105-106,

სქოლიო.

3  
„ , 107.

ქართველების ცნობიერებაშიც სტუმარი „ღვთისაა“ და მთიელებში (რაჭაში, აფხაზეთში, ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში) იგი მთელი სოფლის სტუმრად მიიჩნეოდა. უცხო ადამიანი პირველად სოფლის თავშეყრის ადგილას (ხევსურეთში - „სანახშოზე“, რაჭაში - „საფიხვნოზე“, სვანეთში - „სვიფზე“) მიდიოდა და დამხვდურთაგან ვინც პირველი მოასწრებდა, სტუმარიც სახლში მას მიჰყავდა. ხშირად ასეთ მასპინძლობას სოფლის თავკაცი კისრულობდა<sup>1</sup>.

ქართველ მთიელებში სტუმრის მიღებასთან დაკავშირებით არსებობდა კიდევ ერთი, განსაკუთრებული მნიშვნელობის რიტუალი. სანამ სტუმარი ოჯახის ზღურბლას გადალახავდა, იარაღი უნდა მოეხსნა და ოჯახის დიასახლისისათვის ჩაებარებინა. მართალია იარაღის, ქამარ-ხანჯლისა და დამბახის აყრა ვაჟკაცისათვის ღირსების შემლახავი აქტი იყო, მაგრამ ქცევის ეს ნორმა თავისებური ზნეობრივი მოტივით იყო გამართლებული. პირველ რიგში, იმით, რომ სტუმარი ოჯახს ნლობას უცხადებდა, ხოლო, მეორე მხრივ, სასმლის მიღების შემდეგ, გაუთვალისწინებელ შემთხვევაში იარაღისკენ ხელი არ წაელო<sup>2</sup>.

ქართულ-კავკასიურმა სტუმარმასპინძლობის ტრადიციამ ისეთი სოციალური ინსტიტუტის შექმნას დაუდო საფუძველი, როგორიც „ყონალობაა“. იგი თურქული წარმომავლობისაა და მეგობარს, მოკეთეს ნიშნავს. ყონალი ის პიროვნებაა, რომელიც ოჯახს ხელოვნური დანათესავების გზით უკავშირდება და ეს ორმხრივი ურთიერთობა, თაობიდან

---

<sup>1</sup> გოცირიძე გ., ზნეობრივ ღირებულებათა მენტალური მახასიათებლები კავკასიის ხალხთა ტრადიციულ ურთიერთობებში, კრებულში: „ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები“, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ., 2014, 120.

<sup>2</sup> გოცირიძე გ., ზნეობრივ ღირებულებათა მენტალური მახასიათებლები კავკასიის ხალხთა ტრადიციულ ურთიერთობებში, 121.

თაობაზე გადადის. ამ ინსტიტუტმა, რომელსაც რაჭველები „კერძობასაც“ უწოდებდნენ, უდიდესი როლი ითამაშა ქართულ-ჩრდილოკავკასიურ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობაში<sup>1</sup>.

კავკასიაში ასევე ადრეული პერიოდიდანვე გავრცელებული სახე ჰქონდა ათალიკობას (ბავშვის გაძიძავებას, აფხაზეთში ამას მორღუბა ერქვა). როგორც წესი, თავადები თავიანთ შვილებს გასაზრდელად აზნაურებს აძლევდნენ, აზნაურები - გლეხებს. შესაბამისად, თავადიშვილები აზნაურიშვილების გვერდით იზრდებოდნენ, აზნაურიშვილები - გლეხების, თანამეზრდილი ბატონიშვილის ძუძუმტეები ხდებოდნენ და მათდამი დიდი ერთგულებითა და თავდადებითაც გამოირჩეოდნენ. თავის მხრივ, დიდგვაროვანი ბავშვის ათალიკობით გლეხიც სარგებელში იყო, რადგან, გარდა საჩუქრებისა, იგი ძლიერ მფარველსაც იძენდა<sup>2</sup>.

ნოღაელებში გაძიძავება ორი წლით ხდებოდა. ამ ხნის განმავლობაში „დაიას“, ანუ მეძუძურ გამზრდელს მის ქმართან „ათალიკთან“ კავშირი უნდა გაეწყვიტა, ამიტომ ქმარი სამუშაოდ მიდიოდა სახლიდან შორს. მიღებული იყო გაძიძავება სხვა ხალხებშიც, მაგ. ნოღაელი თავადის თემბულატ კარამურზინის ათალიკი აფხაზი აზნაური მარშანია იყო<sup>3</sup>. ათალიკისათვის ბავშვის ნებაყოფლობით გადაცემის გარდა,

---

<sup>1</sup> **გოცირიძე გ.**, ზნეობრივ ღირებულებათა მენტალური მახასიათებლები კავკასიის ხალხთა ტრადიციულ ურთიერთობებში, 124.

<sup>2</sup> **ბახია-ოქრუაშვილი ს.**, მამამძუღა აფხაზეთში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VIII, თბ., 2010-2011, 483.

<sup>3</sup> „ (XVIII - XX ), კრებულში: „ , 11-12 2008- , 2009, 441-442.

ნდებოდა მოსისხლის ოჯახიდან ბავშვის ძალით გატაცებაც, რათა იგი აღეზარდათ და ამით შეეწყვიტათ სისხლის აღება<sup>1</sup>.

გაძიძავებული თავადის შვილები ოჯახში ათალიკის შვილების გვერდით იზრდებოდნენ და ასრულებდნენ იმავე საშუალებებს, რასაც ისინი. მიუხედავად წოდებრივი სხვაობისა, ათალიკის საკუთარი შვილები და აღზრდილები დამძად იწოდებოდნენ და იკრძალებოდა მათ შორის ქორწინება. ათალიკის შვილები გამოირჩეოდნენ აღზრდილისადმი საოცარი ერთგულებითა და თავდადებით. ათალიკის გარდაცვალების შემთხვევაში, დაკრძალვის ხარჯებსა და სამძიმარს შვილთან ერთად აღზრდილიც იღებდა<sup>2</sup>. გოგონები ათალიკის ოჯახში 12-13 წლამდე და გათხოვებამდისაც რჩებოდნენ. ასეთ შემთხვევაში „ყალიძი“ ათალიკსაც ეკუთვნოდა<sup>3</sup>.

ათალიკობის ტრადიცია XIX ს. ჩათვლით საქართველოშიც არსებობდა. აფხაზეთში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ქრისტიანი თავის ვაჟს აღსაზრდელად მაჰმადიან ათალიკს აძლევდა<sup>4</sup>. ცნობილი ქართველი მწერალი აკაკი წერეთელი მეზობელ სოფელში - სავანეში, ფარსადან ყანჩაველისა და მანო საღუნის შვილის ოჯახში იყო გაძიძავებული. აკაკის „გამზრდელში“ ჰაჯი უსუპის გაზრდილი ბათუ და საფარ-ბეგი ძუძუმტეები არიან. ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბაში“ ჰაკი უჯუშ ემხას ძუძუმტეა და სხვ.

---

1 XX ), 442. (XVIII -

2 XX ), 443. (XVIII -

3 „  
, . I, I, 184.

4 „  
, . I, II, ., 1886, 65.

ჩრდილო კავკასიაში ძველთაგანვე გავრცელებული და მიღებული იყო ურვათისა<sup>1</sup> და ლევირატის<sup>2</sup> წესიც.

საპატარძლოს გამოსასყიდს ჩერქეზეთში „ყალიმი“ ერქვა და საკმაოდ მაღალი იყო, მაგ. XVII-XVIII საუკუნეებში დიდებული ქალიშვილი 800-დან 1200 მანეთამდე ღირდა, ხოლო გლეხისა 200-დან - 300 მანეთამდე. თუმცა, იგი პერიოდულად მცირდებოდა და XIX საუკუნისათვის „ყალიმმა“ მებატონის ქალიშვილისათვის 500 მან. შეადგინა, ქვრივისა - 300, პირველი ხარისხის უზდენის ქალიშვილისათვის - 350, ქვრივის - 200, უბრალო უზდენის ქალიშვილის - 200, ქვრივის - 150, თავისუფალი ჩერქეზის ქალიშვილის - 150, ქვრივის - 100<sup>3</sup>. კიდევ უფრო დაბალი იყო „ყალიმი“ შავსულებსა და ნატუხაელებში.

მიღებული იყო „ყალიმის“ გადახდა გოგო-ბიჭებით და საქონლით. მაღალი სოციალური ფენის საპატარძლოს „ყალიმი“ 3-8 გოგო-ბიჭი იყო, უბრალო უზდენის ქალიშვილისათვის - 1-2. როგორც წესი, ისინი ტყვედწაყვანილი, ან ნაყიდი ბავშვები იყვნენ<sup>4</sup>.

ასევე „ყალიმი“ ერქვა საპატარძლოს გამოსასყიდს ჩრდილო ოსეთში. მამასახლისის (ან მაღალი სოციალური ფენის) ქალიშვილის „ყალიმი“ შეადგენდა 30-დან 100 ძროხამდე, სოციალურად თანასწორის - 15 ძროხა. გამოსასყიდი, საქონლის გარდა, შეიძლებოდა ყოფილიყო იარაღი, ძვირფასი ნივთები და ა. შ. სანამ სასიძო „ურვათს“ მთლიანად არ

---

<sup>1</sup> ურვათი - საცოლის გამოსასყიდი გადასახადი, რომელსაც სასიძო უხდის ქალის მშობლებს ფულით, ან ნატურით.

<sup>2</sup> ლევირატი [ლათ. levir - მავლი], პატრიარქალურ-გვაროვნული ჩვეულება, რომლის მიხედვით, უშვილოდ გარდაცვლილმა ძმის მომდევნო ძმამ ცოლად უნდა შეერთოს თავისი ქვრივი რძალი.

<sup>3</sup> „  
, . I, I, 140-141.

<sup>4</sup> „  
, . I, I, 141.

გადაიხდიდა, ცოლი არაკანონიერად ითვლებოდა. მთიელების დიდ უმრავლესობაში საპატარძლოს არჩევისას მთავარი როლი სასიძოს მშობლებს ეკუთვნოდათ<sup>1</sup>.

ვისაც ყალიძის გადახდა არ შეეძლო, განსაკუთრებით მოხერხებულები საპატარძლოს იტაცებდნენ. ამ შემთხვევაში ურვათის გადახდა სავალდებულო არ იყო, მაგრამ აუცილებელი იყო საპატარძლოს თანხმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში საპატარძლოს ოჯახი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და სასიძო სიცოცხლით აგებდა პასუხს.

ვისაც არც გადახდის საშუალება ჰქონდა და არც მოხერხება, იგი საპატარძლოს ოჯახში დგებოდა მოსამსახურედ და მხოლოდ რვა წლის სამსახურის შემდეგ შეეძლო მოეთხოვა საცოლუ, ამიტომაც ოსებში იშვიათი არ იყო გადაზრდილი სასიძოები<sup>2</sup>.

გარდა კანონიერი ცოლებისა, ოსებს ჰყავდათ არაკანონიერი ცოლები. რადგან მათზე „ურვათი“ არ იყო გადასახდელი, ისინი რამდენიმე შეიძლებოდა ჰყოლოდათ. მათი უფლებები მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული და მათთან გაჩენილი შვილები (თავაურებში მათ ქავსადარებს უწოდებდნენ, დიგორელებში - კუმიაკებს და ა. შ.) მამას შეეძლო გაეჩუქებინა, გაეყიდა და სხვ.

ჩეჩნეთში ქალიშვილებს ძალზე ადრე ათხოვებდნენ - 12-დან 15 წლამდე ასაკში, მაგრამ „ყალიძის“ ძალაღობის გამო (80-დან - 200 მანეთამდე), ქორწინებები ჩეჩნეთში სხვა მთიელებთან შედარებით ნაკლები იყო. გარდა ამისა, მთიელებში გავრცელებული ტრადიციით, საოჯახო მეურნეობა, ძირითადად, ქალზე იყო დამოკიდებული, ამიტომ საპა-

---

1  
, . I, I, 332-333.

2  
, . I, I, 333.

ტარძლოს მშობლები ცდილობდნენ რაც შეიძლება დიდხანს დაეკავებინათ ქალიშვილი საკუთარ სახლში.

რუსებთან ომის პირობებში ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, შამილისათვის მიუღებელი იქნებოდა, ამიტომ იგი მიმართავდა ე. წ. იძულებით ქორწინებებს. მან შეკრიბა ჩეჩნეთის ყველა საპატივსაცემო პირი და შესთავაზა „ყალიმი“ შეემცირებინათ ქალიშვილის შემთხვევაში - 20, ხოლო ქვრივის შემთხვევაში 10 მანეთამდე.

იმ მამაკაცებს, რომლებიც ქორწინებას გაუბრძოდნენ, შარიათის წესის მიხედვით, 100 ჯოხს ურტყამდნენ და ერთი წლით აძევებდნენ აულიდან.

გაუთხოვარი ქალიშვილის მამას, ან ძმას ნაიბი წინადადებას აძლევდა გარკვეული ვადის (ძირითადად 1 თვის) განმავლობაში მოეძებნა საკუთარ, ან მეზობელ აულში სასიძო. თუ ნაიბის სიტყვა არ შესრულდებოდა, ოჯახის უფროსს აგლებდნენ ხაროში მანამ, სანამ მისი ქალიშვილი არ გათხოვდებოდა.

იგივე ტრადიცია იყო ახალგაზრდა ქვრივის შემთხვევაში, ოღონდ მას სასიძოს მოსაძებნად 3 თვიანი ვადა ჰქონდა დაწესებული. იქიდან გამომდინარე, რომ ჩეჩნეთში პოლიგამია იყო მიღებული, გათხოვება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა<sup>1</sup>.

ასევე პოლიგამია ახასიათებდა დაღესტნურ თემებს, ოღონდ ცოლთა რაოდენობა 4-ს არ უნდა აღმატებულიყო. რომელიმე ცოლის გარდაცვალებისას, შეიძლებოდა ახლის შერთვა, ამ შემთხვევაშიც ოთხისთვის არ უნდა გადაეჭარბებინათ. დაღესტანში მიღებული იყო ენდოგამია. შეიძლებოდა ახლო ნათესავებს შორის ქორწინება, მამა-შვილსა და ღვიძლ

---

<sup>1</sup> „... I, I, 427-428.



დაძმას გარდა. გავრცელებული იყო ლევირატის წესიც, რო-  
დესაც გარდაცვლილი ძმის ქვრივს მომღვენო ძმა ირთავდა<sup>1</sup>.

„ყალიბი“ კუმიკებში თავადის ქალისათვის 750 მანეთს  
აღწევდა, უზღენის - 100. თალარის კატეგორიისათვის გან-  
საზღვრული გადასახადი დაწესებული არ იყო და ურთი-  
ერთშეთანხმებით განისაზღვრებოდა<sup>2</sup>.

ძალზე მძიმე იყო ჩრდილო კავკასიელ ხალხთა უძრავ-  
ლესობაში ქალის ხვედრი. ისინი ადრეული ასაკიდანვე შრო-  
მაში იყვნენ ჩაბმულნი და ადრე დილიდან - გვიან საღამომდე  
ფაქტიურად დამოუკიდებლად უძღვებოდნენ საოჯახო მეურ-  
ნეობას, დაწყებული ბავშვების აღზრდით, დამთავრებული სა-  
ქონლის მოვლით და მოსამსახურის მდგომარეობაში იყვნენ  
ჩაყენებულნი. სამაგიეროდ, მამაკაცი მთელდ დღეს უსაქმუ-  
რობასა და ლაყობაში ატარებდა დროს. მისთვის სამარ-  
ცხვონოდ ითვლებოდა ცოლს საოჯახო საქმიანობაში დახ-  
მარებოდა<sup>3</sup>.

მიუხედავად ზემოთქმულისა, კავკასიელ მთიელებს წე-  
სად ჰქონდათ, როგორი საჩქარო საქმეც არ უნდა ჰქონოდათ,  
შემხვედრი ქალბატონის გამოჩენისას, ცხენიდან ჩამოქვეითე-  
ბულიყვნენ, გაეტარებინათ იგი და მხოლოდ ამის შემდეგ ამ-  
ხედრებულიყვნენ და გზა გაეგრძელებინათ<sup>4</sup>.

დაღესტნის თითქმის ყველა თემში იყო მიღებული აკე-  
ნიდანვე დანიშვნა. ამ შემთხვევაში ვაჟის მამა გოგონას მშო-  
ბელს წინასწარ რაიმე ნივთს აძლევდა ნიშნად და ამის შემ-  
დეგ მცირეწლოვნები სასიძო-საპატარძლოდ ითვლებოდნენ.

---

1  
, . I, I, 460.  
2  
, . I, I, 638.  
3  
, . I, I, 451-453.  
4  
,,

, 88-89, სქოლიო.

სხვათა შორის, ასეთი წესი არსებობდა საქართველოს მთიანეთშიც (თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში). გავისხენოთ მამამზე ერისთავის ვაჟის - ჭიაბერისათვის თალაგვა კოლონკელიძის ასულის - შორენას დანიშვნა აკვანშივე კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“.

მკაცრად ისჯებოდა კავკასიის მთიანეთში ქურდობა. მაგ., აღიღეს სხვადასხვა თემებში ქურდობის საზღაური შვიდმაგი, ან ცხრამაგი იყო. თუ შაფსული ცხენს მოიპარავდა, მას ნაქურდალი უნდა დაებრუნებინა და პატრონისათვის დამატებით კიდევ რვა ცხენი უნდა მიეცა, ხოლო სხვა თემში ანალოგიური ქურდობა ორმაგი საზღაურით იზომებოდა. სამაგიეროდ, გაუმჟღავნებელი ქურდობა ქებას იმსახურებდა. საკუთრება ხელშეუხებლად ცხადდებოდა მათ შორის, ვინც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ნათესაობით, მეგობრობით და სტუმარ-მასპინძლობის წესებით<sup>1</sup>. ასევე შვიდმაგი საზღაური იყო დაწესებული ქურდობაზე თუშეთში<sup>2</sup>.

ჩეჩნეთში ქურდობისათვის სასჯელს განსაზღვრავდა შარიათი, როდესაც ქურდობის თითოეული შემთხვევისათვის სხეულის ნაწილებს (ხელს, ფეხს, ბოლოს - თავს) კვეთდნენ. ქვეყანაში, სადაც ქურდობა ვაჟკაცობასთან ასოცირდებოდა, შარიათის წესის მიხედვით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, შესაძლოა მამაკაცთა უმრავლესობა უხელო, ან უფეხო დარჩენილიყო. შამილმა შეცვალა ეს წესი და ქურდობის პირველი ორი შემთხვევისათვის შემოიღო სამთვიანი პატიმრობა ხაროში ჩაგდებით და ფულადი ჯარიმა, ხოლო თუ იმავე პირის მიერ ქურდობა მესამედაც იქნებოდა ჩადენილი, დამნაშავე სიკვდილით ისჯებოდა. თუ ქურდობას არაკეთილსინდისიერ ქმედებებში შემჩნეული პირი ჩაიდენდა,

---

<sup>1</sup> **ოკუჯავა კ.**, კომპოზიციის სისტემა შავიზღვისპირა ადიღების ჩვეულებით სამართალში. XIX საუკუნის ეთნოლოგიური მასალების მიხედვით. საისტორიო ძიებანი, V, წელიწადი, თბ., 2002, 249-250.

<sup>2</sup> **მაკალათია ს.**, თუშეთი, ტფ., 1933, 99.

მისთვის ქურდობის პირველსავე შემთხვევაში სასჯელი სიკვდილით დასჯა იყო<sup>1</sup>.

სისხლის გადაუხდელობა ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა დიდ ნაწილში (ადილეში, ჩერქეზეთში, დაღესტანში, ხუნძეთში, დარგოელებში, ლაკებში, ჩეჩენ-ინგუშეთში, კუმიკებში და სხვ.) დიდ სირცხვილად ითვლებოდა, რადგან მიაჩნდათ, რომ მათი მიცვალებული საიქიოში იტანჯებოდა, სანამ „სისხლი - სისხლის წილ“ არ მიუვიდოდა. ბუნებრივია, ეს ამბავი ჩრდილო-კავკასიელთა ფოლკლორშიც აისახა, მაგ. დარგოული ბალადა „ნიჟბულატი და ბეკბულატი“, მოგვითხრობს, თუ როგორ არ შეუშვეს მოსისხლე ბეკბულატთან გმირულად მებრძოლი და მძიმედ დაჭრილი ნიჟბულატი დედამ და დამ სახლში მხოლოდ იმიტომ, რომ მან მოსისხლის მოკვლა ვერ მოახერხა<sup>2</sup>. ერთი ლაკური ბალადის მიხედვით, დაჭრილი და სისხლისგან დაცლილი ჭაბუკი დედამისს სთხოვს, გლოვას თავი დაანებოს, მისი ტანსაცმელი ჩაიცვას და „მოსისხლეებს“ სამაგიერო გადაუხადოს<sup>3</sup>. სხვაგან ნათქვამია, რომ ახალგაზრდას დანიშნულ საცოლეს არ ატანენ, სანამ მკვლელის სისხლს არ აიღებს<sup>4</sup> და სხვა.

„მესისხლე“ აქ შეიძლება ყოფილიყო არა მარტო ცალკეული ოჯახი, ან თოხუმი, არამედ მთლიანი სოფელიც კი.

დაღესტანში არსებობდნენ თოხუმები, რომელთაც საფუძველი მკვლელებმა ჩაუყარეს, ანუ მათი წინაპრები თავისი სოფლიდან მკვლელობისათვის იყვნენ გაქცეულნი ან თავშეფარებულნი<sup>5</sup>.

---

1  
, . I, I, 476.

2  
1962, 150.

3  
, 27.

4  
, 93.

5 **თოფჩიშვილი რ.**, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, თბ., 2007, 94.

ძალზე ხშირი იყო, როდესაც ჩრდ. კავკასიაში სისხლის დადების გამო, ისინი ფშავ-ხევსურეთში გადმოდიოდნენ და აქვე სახლდებოდნენ, ან პირიქით. მაგ. მოხვევე ჩოფიკაშვილების წინაპარი ქისტო ჩოფიკა ყოფილა, რომელსაც იქ კაცი შემოჰკლამია და ცოლ-შვილიანად ხევში გადმოსახლებულა. ასევე მოსვლია მარსაგიშვილების წინაპარს<sup>1</sup>. ქისტაურები ამავე მიზეზით გადმოსახლებულან ფშავში<sup>2</sup>. ჩილოში მცხოვრები ოჩონიძის წინაპარი ლეკეთიდან გამოქცეულა. ისინი ორი ძმანი ყოფილან. დაღესტანში მამის სისხლი აუღიათ და თუშეთში გამოხიზნულან. ერთი მათგანი - ჩალმა თუშებს ძმად მიუღიათ და ჩილოში დასახლებულა, მეორე უფროს კაცებს ქისტებში გადაუყვანიათ და იქ თავკაცებისათვის უთხოვიათ მისი მიღება და დასახლება<sup>3</sup> და ა. შ.

სისხლის დადება მრავალი მიზეზით შეიძლებოდა: ოჯახის, ან ნათესავის შეურაცხყოფა, ქალის მოტაცება, მიწაზე, ან ნადავლზე დავა, სტუმრის შეურაცხყოფა და სხვა.

სისხლის აღების ტრადიცია მთელ ჩრდილო-კავკასიასა და მთიან საქართველოს მთიანეთში გავრცელებული და ერთნაირი იყო, თუმცა ცალკეული დეტალები მაინც განსხვავდებოდა, მაგ., დარგოელები ტრადიციულად სისხლის აღებას ღირსების აუცილებელ ნორმად მიიჩნევდნენ, თუმცა, მათ ხუნძებისაგან განსხვავებით XIX-XX საუკუნეების განმავლობაში მოახერხეს სისხლის აღების მსხვერპლთა რიცხვის შემცირება, იმ გარემოებით, რომ მკვლელს თოხუმი თვითონვე აძეგებდა<sup>4</sup>. ასეთივე წესს მიმართავდნენ ყუბაჩელებიც<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> მაკალათია ს., ხევი, ტფ., 1934, 92.

<sup>2</sup> მაკალათია ს., ფშავი, ტფ., 1934, 71.

<sup>3</sup> მაკალათია ს., თუშეთი, 91.

<sup>4</sup> თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, 129.

<sup>1</sup> თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, 129.

სოფლიდან გარკვეული ვადით (მაგ. 6-7 წლით) გადასახლება მიღებული იყო ლაკებშიც. ამ დროის განმავლობაში მოკლეულის ნათესავებს შეეძლოთ სისხლის აღება, მაგრამ დათქმული ვადის გასვლის შემდეგ მკვლეელი ხელშეუხებლად ცხადდებოდა. თუშები თავის მოძმის სისხლს არავის შეარჩენდნენ. სისხლის აულებლობა გვარისათვის სამარცხვინო იყო და ძმებთან ერთად იბრძოდნენ ბიძაშვილები და დედის ძმებიც. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელი იყო სისხლის გამოსყიდვა და შერიგება. სისხლის საზღაურს თუშეთში ხევისბერები და გვარის უხუცესები აკანონებდნენ<sup>1</sup>. დაახლოებით იგივე წესი ჰქონდათ ხევსურებს, მოხვევებსა და სვანებს.

ლაკები სხვა დაღესტნური თემებისაგან (მაგ. ხუნძების, ჩაჩნების) განსხვავებით, სისხლის აღების სუბიექტად მხოლოდ სრულწლოვან მამაკაცს თვლიდნენ. მოხუცზე, ქალსა და ბავშვზე შურისძიება დაუშვებელი იყო<sup>2</sup>.

აგულებში სისხლის აღებაში მამაკაცებთან ერთად მონაწილეობდნენ ქალებიც, თუმცა, მათი მონაწილეობა ამ საქმეში ცივ იარაღამდე (თოფი, დანა, ხანჯალი) არ მიდიოდა და შედარებით იოლი ფორმებით (მაგ. ქვების სროლა) გამოიხატებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აგულებში სისხლზე პასუხისმგებლობა უშუალო მკვლელსა და მის უახლოეს ნათესავებს ეკისრებოდათ, „მესისხლეებად“ მთელი თოხუმი ითვლებოდა<sup>3</sup>.

კუმიკებში მკვლეელი თემიდან უნდა წასულიყო, სანამ შერიგება შედგებოდა. „ემიგრაციის“ ვადა ერთნაირი არ იყო და ზოგჯერ 8 წელს აღემატებოდა, ზოგჯერ - 3-დან - 4

---

<sup>1</sup> მაკალათია ს., თუშეთი, 97.

<sup>2</sup> თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, 136.

<sup>3</sup> „... III, ... . 1962, 100

წლამდე გრძელდებოდა, მოკლულის ნათესავების სურვილის მიხედვით.

ოსები, როდესაც მოკლულს სახლში მოასვენებდნენ, მას სხეულიდან სისხლს გამოუღებდნენ და ნათესავები მას ისვამდნენ სახეზე, ნიკაპზე, შუბლზე, ასევე სისხლში ავლებდნენ ტყვიას, იმ რწმენით, რომ იგი აუცილებლად მიზანს მიაღწევდა.

ამის შემდეგ მოკლულის ნათესავებს შეუზღუდავად შეეძლოთ სისხლის აღება, გარდა პირველი ორი კვირისა, რომელიც „ტუტორობის“ სახელით იყო ცნობილი<sup>1</sup>. ამ დროს ყოველგვარი მტრობა უნდა შეწყვეტილიყო და მკვლელს დაუბრკოლებლად შეეძლო გარეთ გამოსვლა, თუნდაც შეიარაღების გარეშე, მაგრამ 14 დღის გავლის შემდეგ, სისხლის აღება ნებისმიერ დროს შეიძლებოდა და დაზარალებული მხარე ამას უმთავრეს მოვალეობად მიიჩნევდა, ვიდრე მიზანს არ მიაღწევდა<sup>2</sup>.

სისხლის აღების ადრეული ჩრდილო-კავკასიელების სხვადასხვა ხალხებში განასხვავებდა განზრახ, გაუფრთხილებლობით და შემთხვევით მკვლელობის შემთხვევებს (მაგ., ავარებში, უცმის თემში). ტიურინელებში, ღუნებებში, სამურელებში დაშვებული იყო განსაზღვრული თანხა სისხლის წილ.

ჩეჩენ-ინგუშეთში მესისხლეების შერიგებისას, მკვლელი მამაკაცის ნათესავები იხდიდნენ 130 ძროხას, ხოლო ქალის სიკვდილისას (ასეთი შემთხვევა დიდი იშვიათობა იყო) 90 ძროხას<sup>1</sup>.

---

1  
, . I, I, 359.  
2  
, . I, I, 359.  
1  
, „  
, 94.

ჩერქეზეთში სისხლის საზღაური იმდენად დიდი იყო, რომ ერთ პირს მისი გადახდა არ შეეძლო, ამიტომ, ხშირად მთელი გვარი ერთიანდებოდა და გადასახადს მთლიანად, ან ნაწილ-ნაწილ იხდიდნენ, მაგრამ თუ მკვლელობა იგივე პირის მიერ რამდენჯერმე განმეორდებოდა, როგორც გამოუსწორებელ დამნაშავეს, მონად ყიდდნენ, ან სიკვდილით სჯიდნენ, ზღვაში, ან მდინარეში აღრჩობდნენ<sup>1</sup>.

თანხის გარკვეული რაოდენობის, ან საჩუქრების გადახდის შემდეგ შერიგებას უშვებდა კუმიკური ადათიც.

შედარებით ნაკლები იყო სისხლის საზღაური თუშებში. აქ მამაკაცის სისხლის საზღაურად 60 ძროხა იყო დაწესებული, ქალისა - 30. ხანჯლის პირით დაკვრა 5 ძროხად ფასობდა, წვერით - 15 ძროხად<sup>2</sup> და სხვ.

ინგუშებში ადათი არ ასხვავებდა წინასწარგანზრახვით, ან გაუფრთხილებლობით ჩადენილ მკვლელობას. გარდა იმისა, რომ მკვლელს და მის ოჯახს სისხლის ვალდებულება ეკისრებოდა, მკვლელი ასევე ვალდებული იყო მოკლულის თემისათვის (თოხუმისათვის) დამატებით გადაეხადა 12 დასაკრძალავი ძროხა ( ), რომელსაც „ხელამი“ ეწოდებოდა. სისხლი ვრცელდებოდა მკვლელის ძმებზე, ბიძებზე და ახლო ნათესავებზე მამაკაცის მხრიდან<sup>3</sup>.

აღნიშნული ადათი უმნიშვნელო ცვლილებით ჰქონდათ ხვესურებსაც. აქ მოკლულის დასაფლავების დღეს მკვლელი („მეხელე“) შუაგაცების ხელით ჭირისუფალს უგზავნიდა „მიწად შასვლის საკლავს“, რომელიც მიცვალებულის ოჯახში მიჰყავდათ, იქ კლავდნენ და შენდობას ამბობდნენ. ხვესურული სჯულით რიგის გადახდის შემდეგ, მკვლელს დაზა-

---

<sup>1</sup> ოკუჯავა კ., კომპოზიციის სისტემა შავიზღვისპირა ადიღების ჩვეულებით სამართალში, 245.

<sup>2</sup> მაკალათია ს., თუშეთი, 99.

<sup>3</sup> ( ), კრებულში: „  
“, . IX, ., 1876, 74

რალებული ოჯახის სანაცვლოდ 16 ძროხა უნდა გადაეხადა<sup>1</sup>. ფშავ-ხევსურეთში სამი წლის განმავლობაში მკვლელი დაზარალეულის ოჯახში ყოველთვიურად 1 ცხვარს აგზავნიდა. მეოთხე წელს სისხლის წილ იგი დაზარალეულის ოჯახში 280 ცხვარი, ან 70 ძროხა უნდა მიეყვანა. თუ საზღაური დაზარალეული მხარისათვის მისაღები იყო, მკვლელს შეეძლო საკუთარ სოფელში დაბრუნება, მაგრამ ის ხიფათისაგან ბოლომდე დაცული არ იყო, რადგან მოსისხლე ოჯახის ნათესავებს შეეძლოთ მაინც მოეკლათ. ასეთ შემთხვევაში სისხლი ახლიდან დგებოდა, ოღონდ საზღაური უკვე 120 ცხვარს შეადგენდა და „საუკანმოძვედრო“ ეწოდებოდა<sup>2</sup>.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში თავდაცვის დროს ჩადენილი, ქმრის მოღალატე ცოლის მკვლელობა დანაშაულად არ ითვლებოდა და მკვლელს სისხლი არ მოეთხოვებოდა.

კუმიკებში შემთხვევითი მკვლელობა, როგორც წესი, კანლისაგან თავისუფლდებოდა, მაგრამ მას საკუთარ თავზე უნდა აეღო დაკრძალვის ხარჯები, საფლავის მოწყობა და სხვ. თუმცა, თუ მოკლულის ნათესავები მკვლელის პატიებას არ მოისურვებდნენ, იგი კანლისაგან უნდა გასულიყო და სოფელი დაეტოვებინა<sup>3</sup>.

ადათი ჩრდილო კავკასიელ მოსახლეობაში ძალზე დიდ როლს ასრულებდა. ზოგიერთ შემთხვევაში იგი მეტისმეტად მკაცრი იყო, მაგ. დაღესტნურ აულ ხარაჩიში სამარცხვონოთ ითვლებოდა, თუ მამაკაცი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდებოდა.

---

<sup>1</sup> მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1935, 84-88

<sup>2</sup>

, . I, II, 304.

<sup>3</sup>

, . I, I, 638.



ბოდა. ის ან ბრძოლაში, ან მოსისხლის ხელით უნდა და-  
ლუპულიყო<sup>1</sup>.

როდესაც იმიერ და ამიერ კავკასიელი მთიელების  
ადათებსა და ტრადიციებზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვ-  
ლით ისეთ არაჰუმანურ, მაგრამ მთიელებში საკმაოდ ფესვ-  
გადგმულ ჩვეულებას, როგორც ბრძოლის შემდეგ მეტო-  
ქისათვის ხელის მოკვეთა<sup>2</sup> იყო. მიუხედავად ხელისუფლების  
აკრძალვისა და საზოგადოებაში ამ ტრადიციისადმი არაერთ-  
გვაროვანი დამოკიდებულებისა, რაც შესანიშნავად გადმოსცა  
ვაჟა-ფშაველამ „ალუდა ქეთელაურში“, ეს ჩვეულება საბჭო-  
თა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებამდე შემორჩა  
და ვაჟაკობასთან, ჯივიტობასთან ასოცირდებოდა, რის გა-  
მოც, მტრის მოკვეთილ მარჯვენას ოჯახში, ან სახლის  
(კოშკის) გარეთ, გამოსაჩენ ადგილას ჰკიდებდნენ. რაც მეტი  
იყო მტრის მოკვეთილი მარჯვენა, სიამაყის საფუძველიც  
მეტად არსებობდა.

ამ ჩვევას არ იშლიდნენ, არამარტო თემისა თუ თო-  
ხუმის რიგითი წევრები, არამედ ოფიციალური საჯარისო  
ნაწილების მებრძოლებიც. „ქართველთა ქვეითი დრუჟინის“  
ისტორიის აღმწერი - ნ. ვოლკონსკი, ამასთან დაკავშირებით  
წერს: „იმათ (რაზმის წევრებს - ი. ა.) შეხორცებული ჰქონ-  
დათ ერთადერთი მიუტევებელი და საზარელი ჩვეულება, რო-  
მელიც მათში ვერც ჩვენმა და ვერც ჩვენმა ვედრებამ ვერ  
მოსპო; საქმე ის იყო, რომ მილიციონერები მოკლულ ლეკებს  
მარჯვენა ხელებსა სჭრიდნენ ხოლმე.. თუ რამ მისატევებელი  
ჰქონდა ამ ჩვეულებას, ეს მხოლოდ ის იყო, რომ უშიშარი  
მილიციონერები ამ საქმეს შეუბრალებლობისა და ულმო-  
ბელობის გამო კი არ ჩადიოდნენ, არამედ ეს ჩვეულება მათ

---

<sup>1</sup> ხუციშვილი ნ., დაღესტანი, 52.

<sup>2</sup> არსებობდა სხეულის სხვა ნაწილის, მაგ., ყურის მოჭრის  
ტრადიციაც. ამერიკელ ინდიელებში გავრცელებული იყო ნადავლის  
სახით სკალბის (თავის კანის - თმიანად) აძრობა და სხვ.

ლეკებისაგან ჰქონდათ შემოღებული და მოჭრილი ხელების რიცხვით მტრის მკვდართა რიცხვს ტყობილობდნენ; ამასთანავე ეს ამტკიცებდა მტერთან ბრძოლაში მატს სიგმირეს და ვაჟკაცობას, და ვინც მტრის უფრო ბევრს ხელს წაიღებდა ბრძოლის ველიდამ, იგი როგორც თავის ამხანაგთა სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა, ეგრეთვე სარგებლობდა გასათხოვარი ქალების მამათა განსაკუთრებული ყურადღებით, რომელთაც ჰსურდათ, თავიანთი ქალები ამისთანა მამაცებთან შეეკავშირებინათო<sup>1</sup>.

ასევე ბევრ მსგავსებას ვხვდებით ქართველი და იმიერკავკასიელი ხალხების თქმულებებსა და გადმოცემებში. მაგ, რამდენადაც ნოღაელები მესაქონლეობას მისდევდნენ, ყველაზე მეტად მარტის თვეს უფრთხოდნენ. თებერვალში ტემპერატურის მატებისა და საძოვრებზე ახალი ბალახის წამოსვლასთან ერთად, ნოღაელებს თავიანთი ცხვრის ფარები და საქონელი ბაგური კვებიდან საძოვრებზე გადაჰყავდათ, მაგრამ ხშირად მარტში ამინდი ისევ უარესდებოდა და დიდი რაოდენობით ცხვარ-ძროხა იღუპებოდა, ამიტომ ნოღაელები ამბობდნენ: „მარტს უბელურება მოაქვსო“<sup>2</sup>.

ნოღაელებში ასეთი ლეგენდა იყო გავრცელებული, თითქოს ადრე მარტი 30 დღით მთავრდებოდა და ერთი დღე (31-ე), საგანგებო შემთხვევის გამო დაემატა. ერთ ადგილობრივ მწყემსს მარტის თვეში მრავალი საქონელი და ცხვარი დაეღუპა. მარტის ბოლო დღეს, მეორე დღითა და აპრილის დადგომით იმედმოცემული მწყემსი აულიდან გამოვიდა და

---

<sup>1</sup> ისტორია მათი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრის გიორგი მიხეილის ძის ქართველთა ქვეითის დრუჟინისა 1831-1881 წ. შედგენილი **ნ. ვოლკონსკის** მიერ არტილერიის გენერალ-მაიორის **ჩერნიაევის** რედაქციით, თარგმნილი ქართულად ვაზ. „დროების“ რედაქტორის თ. **ი. მანაბლის** რედ., თბ., 1884, 236.

<sup>2</sup> „**ქართული**“, I, 276.

მარტს შესძახა, რომ მისი შიში აღარ ჰქონდა და შეეძლო „მოუსავლეთში წასულიყო“.

„შეურაცხყოფილმა“ მარტმა აპრილს სთხოვა ერთი დღე, რაზეც თანხმობა მიიღო. მეორე დღეს ისეთი ქარბუქი და ყინვა წამოვიდა, რომ მწყემსს გადარჩენილი საქონელი მთლიანად დაეღუპა და სამუდამოდ გადატაკდა. ასე „გახდა“ მარტი 31 დღიანი.

ზემოხსენებული ლეგენდა ძალზე ჰგავს საქართველოში ფართოდ გავრცელებულ მარტის „ნასესხებს“, ოღონდ ქართულ კალენდარში, მარტი, აპრილისაგან 1-ის ნაცვლად, 3 დღეს „სესხულობს“.

ასეთი მსგავსი ლეგენდები მეზობელი ხალხების ფოლკლორში არაერთია.

#### **დამოწმებანი:**

1. **ბახია-ოქრუაშვილი ს.**, მამამეუობა აფხაზეთში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VIII, თბ., 2010-2011.
2. **გოცირიძე გ.**, ზნეობრივ ღირებულებათა მენტალური მახასიათებლები კავკასიის ხალხთა ტრადიციულ ურთიერთობებში, კრებულში: „ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები“, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ., 2014.
3. **თოფჩიშვილი რ.**, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, თბ., 2007.
4. ისტორია მათი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრის გიორგი მინეილის ძის ქართველთა ქვეითის დრუჟინისა 1831-1881 წ. *შედეგნილი ნ. ვოლკონსკის მიერ არტილერიის გენერალ-მაიორის ჩერნიაევის რედაქციით, თარგმნილი ქართულად ვაზ. „დროების“ რედაქტორის თ. ი. მაჩაბლის რედ.*, თბ., 1884.

5. კავკასიის ხალხთა ფოლკლორი, ნაირა გელაშვილის რედ., თბ., 2008.
6. **ოკუჯავა კ.**, კომპოზიციის სისტემა შავიზღვისპირა ადიღების ჩვეულებით სამართალში. XIX საუკუნის ეთნოლოგიური მასალების მიხედვით. საისტორიო ძიებანი, V, წიგნი, თბ., 2002, გვ. 249-250.
7. **მაკალათია ს.**, თუშეთი, ტფ., 1933.
8. **მაკალათია ს.**, ფშავი, ტფ., 1934.
9. **მაკალათია ს.**, ხევსურეთი, თბ., 1935.
10. **ხუციშვილი ნ.**, დალესტანი, თბ., 2002.
11. **მაკალათია ს.**, ხევი, ტფ., 1934.
12. ,

-

, კრებულში: „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა“, თბ., 2010.

13. . „ (XVIII - XX ), კრებულში: „ , „ , 11-12 2008-2009.
14. „ 1962.
15. „ , . I, I, „, 1886.
16. „ , . I, II, „, 1886.
17. ( ), კრებულში: „ „, . IX, „, 1876.
18. „ , , . III, . . . , 1962.

19. ,, კრებულში: ,, IX, ,, 1876
20. ,, .  
- ,, კრებულში: „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა” თბ., 2011.

***Ioseb Alimbarashvili***

Gori State Teaching University, Associate Professor  
**ABOUT SOME OF CUSTOMS AND TRADITIONS OF  
 MTIANETI (ONE OF THE PART OF GEORGIA) AND  
 OF THE PEOPLES OF THE NORTH CAUCASUS  
 RESUME**

Based on the Russian and Georgian narrative sources the article reviews the customs and traditions of the Georgian and North Caucasian Peoples, including: “Dzmadnapitsoba” (brotherhood), “Stumarmaspindzloba” (host and guest relations), “Konaghoba”(brotherhood between representatives of different nations), “Atalikoba” (adoption of a child), “Urvati”( marriage tax (goods, money) for parents of bride), “Levirati”( Levirate marriage is a type of marriage in which the brother of a deceased man is obliged to marry his brother's widow, and the widow is obliged to marry her deceased husband's brother) and other.

In the article there are some of the parallels between the two sides -Mtianeti and the North Caucasus regarding the custom of blood feud and clearly seen both of men and women place of the traditional family in Mtianeti, also analyzed vicious and positive aspects of the traditions.

*ლელა თოგოშვილი*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*  
*ასოციირებული პროფესორი*

**საქართველოში განათლების საკითხის შესწავლისათვის  
(რუსული კოლონიალიზმის პერიოდი)**

ყოველ სახელმწიფოს კოლონიური სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად თითქმის ერთი და იგივე მიზნები ამოძრავებდა. მათგან უმთავრესი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები იყო. რომელს მიენიჭებოდა პრიორიტეტი, ამას კონკრეტული სახელმწიფოს წინაშე მდგარი საგარეო-პოლიტიკური ამოცანები ან შიდა ვითარება განსაზღვრავდა. ა. არბატოვის სიტყვით, რუსეთი მუდამ სამხედრო-პოლიტიკური იმპერია იყო. იგი კოლონიებს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მსოფლიო მასშტაბით თავისი პოლიტიკური, სამხედრო ძლიერებისა და როლის გაზრდისთვის იძენდა<sup>1</sup>. როცა კავკასიონის ქედი გადმოლახა, აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრო, ხოლო შემდეგ ირანსა და ოსმალეთს სამხრეთ კავკასიის ადრე მიტაცებული ტერიტორიები დაათმობინა, რუსეთის იმპერია ამით, უპირველეს ყოვლისა, თავის სამხედრო-სტრატეგიულ ამოცანებს წყვეტდა, რეგიონში მეტოქე მაჰმადიანურ სახელმწიფოებს ავიწროვებდა და აზიაში შესაღწევად საიმედო პლაცდარმს იქმნიდა. მაგრამ, პარალელურად, პეტერბურგსა თუ მოსკოვში მხარის სამეურნეო-ეკონომიკური და კოლონიური ათვისების პროექტებიც იქმნებოდა და ეტაპობრივად პრაქტიკაშიც ხორციელდებოდა.

რუსული კოლონიალიზმი თავის გამოხატულებას მნიშვნელოვანწილად რუსიფიკაციაში ჰპოვებდა. ქართლ-კახეთია

---

<sup>1</sup> ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 2013, 131.

სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის გუბერნიად გამოცხადებისთანავე აღმოსავლეთ საქართველოში ქართული ენა გამოიდევნა მართვა-გამგეობის სისტემიდან და მართლმსაჯულების სფეროდან. რუსულმა ადმინისტრაციამ დაიწყო საქართველოში არსებული განათლების კერების - სკოლების დახურვა. პერიოდული პრესა იმ დროს ჯერ კიდევ არ გამოდიოდა. ამდენად, ქართულმა არა მარტო სახელმწიფო ენის ფუნქცია დაკარგა, არამედ მისი გამოყენების არეც უკიდურესად შევიწროვდა. დედა ენას საოჯახო ენად ქცევის საფრთხე დაემუქრა. იგივე განმეორდა იმერეთის სამეფოს დაპყრობისა და სამთავროთა ავტონომიების მოშლის შემდგომ დასავლეთ საქართველოშიც. ასე დაედო სათავე ჩვენს ქვეყანაში რუსიფიკაციის პროცესს, რომელიც ცარიზმის დამხობამდე არ შეწყვეტილა (თუმცა რუსიფიკაცია ინტენსიურად ხორციელდებოდა საბჭოთა პერიოდშიც).

ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციის გაძლიერების მიზნით ხელისუფლება მიმართავდა მხარის ინტენსიურ კოლონიზაციას - იმპერიის შიდა გუბერნიებიდან რუსი კოლონისტების ჩამოსახლებას<sup>1</sup>, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მათ კომპაქტურად დამკვიდრებას და რუსულენოვანი ანკლავების შექმნას. ამ დემოგრაფიულ ექსპანსიას, პარალელურად, რეგიონში მეფის მთავრობის დასაყრდენი ბაზის გაფართოების მიზანიც ჰქონდა. უნდა ითქვას, რომ კოლონიზაციის პროცესმა მეორე ამოცანა უფრო შეასრულა, ვიდრე პირველი. „ვარგისი მიწის ყოველი მტკაველი, რომელიც მჭიდროდაა დაკავებული გადმოსახლებულებით, წარმოადგენს ამ მხარეში რუსეთის საყრდენს“, - აღნიშნულია კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის მიერ 1907 წელს იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, 121.

<sup>1</sup> დ. ჭუმბურიძე, რუსული დასახლებები საქართველოში (XIX-XX სს.) და „გადასახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილე-

კოლონისტების ჩამოსახლება ვერ გამოდგა ქართველთა გარუსებისათვის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორი. თვით რუს ავტორებს ხაზგასმული აქვთ, რომ რუსული საზოგადოების ასიმილაციური პოტენციალი შედარებით სუსტი იყო, ვინაიდან კოლონისტთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი<sup>1</sup>. საქართველოში მოღვაწე რუსი მოხელეები, როგორც თავად რუსებიც წერდნენ, იყვნენ ჩამორჩენილები, გაუნათლებლები. ისინი არ იცნობდნენ ქართული კულტურის დიდ ტრადიციებს, ამიტომ თავი განმანათლებლებად, რუსული კულტურის მისიონერებად მიაჩნდათ. XIX ს-ის დასაწყისის საქართველოში რუსული ენა ცოტა ვინმემ თუ იცოდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა რუსი მოხელეებისათვის, ქართველი ხალხის კულტურა-განათლებისათვის ეჭვით რომ შეეხედათ. რუსი მოხელე, ისტორიკოსი ნ. დუბროვინი ირონიით წერდა იმერეთის მეფე სოლომონ II-ზე, რომ ციციანოვს პასუხებს უგვიანებდა მისი მდივნის თბილისში წასვლის გამო, რადგან არც თვითონ და არც მისმა ახლობლებმა რუსული არ იცოდნენო. დუბროვინი „განათლების ფრიად დაბალ დონეს“ უწოდებს ქართველი ხალხისაგან რუსული ენის უცოდინარობას, რაც იმპერიული აზრის ჩვეულებრივი გამოვლენა იყო და მეტი არაფერი<sup>1</sup>.

რუსიფიკაციური პოლიტიკის მთავარი გამტარებლები იმპერიაში სახელმწიფო ინსტიტუტები იყო, კერძოდ: სკოლა, არმია და ეკლესია. რუსეთის ხელისუფლებას კარგად

---

ბა“, საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნი I, თბ., 2007, 90.

<sup>1</sup> ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან, 140.

<sup>1</sup> ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, 302.



ესმოდა, რომ მხარის გარუსებაში მთავარ დაბრკოლებას ქართველი სამღვდელთა წარმოადგენდა, რადგან მათ ხელში ისევ რჩებოდა ეკლესია და სკოლა. ამიტომაც ცდილობდა, ეს სფეროები გამოეგლიჯა ქართველი სამღვდელოებისათვის. ამ მიზნით მეფის ხელისუფლება მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებდა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში<sup>1</sup>.

ეკლესია თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის, სახელდობრ, რუსიფიკაციის მნიშვნელოვანი იარაღი იყო. საქართველოში გამოგზავნილ რუს ეგზარქოსებს, სასულიერო სემინარიათა მესვეურებსა და სხვ. ისევე ევალეობდათ იმპერიის მიზანდასახულობათა განხორციელებაზე ზრუნვა, როგორც სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს. 1811 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ღვთისმსახურების რუსულ ტიპიკონზე გადაყვანა თუ ქართულ ტაძრებში სლავური საგალობლების დამკვიდრების ცდები რუსიფიკაციის ისეთივე ღონისძიებები იყო, როგორც მმართველობისა და მართლმსაჯულების სისტემიდან მშობლიური ენის გამოდევნა, ქართული გვარების რუსული დაბოლოებებით შეცვლა და სხვ.<sup>2</sup> ქართველი ხალხის განათლების საკითხი ამ ეტაპზე ცარიზმს ნაკლებად რომ აღუვებდა, იქიდან ჩანს, რომ 1801 წლის 12 ნოემბრის უმაღლეს რესკრიპტში არაფერი იყო ნათქვამი განათლებაზე. ეს საქმე მთლიანად კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის პირად ინიციატივაზე იყო, ის კი, უმთავრესად, რუს მოხელეთა შვილებისა და კავკასიის „კეთილშობილთა“ წოდების რუსულ განათლებაზე ზრუნავდა. მართალია, ხელისუფლება სამღვდე-

---

<sup>1</sup> ი. გელენავა, ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის ერთობლივი დეაწმომოსილება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისათვის (1900-1917 წწ), ანალები №4, თბ., 2009, 246.

<sup>2</sup> ხ. ქოქრაშვილი, რუსეთის რელიგიური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი), საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნი I, თბ., 2007, 129.

ლოებასაც აძლევდა უფლებას ეკლესია-მონასტრებთან კერძო სკოლების გახსნაზე, მაგრამ ეს უფლებაც ძნელი მისაღები იყო. მხოლოდ „პოლიტიკურად სანდონი“ თუ ახერხებდნენ მიეღოთ სკოლების გახსნის ნებართვა, და ესენიც ძირითადად არაქართველები იყვნენ და სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის პირობებში მუშაობდნენ.

1804-1805 წწ. ალექსანდრე I-მა გაატარა საშინაო რეფორმები, მათ შორის იყო განათლების რეფორმაც. წესდება სახალხო განათლების შესახებ 1804 წელს იქნა მიღებული. ამის მიხედვით, რუსეთი გაყოფილი იყო 6 სასწავლო ოლქად: პეტერბურგის, მოსკოვის, ვილნოს, დორპტის, ყაზანის, ხარკოვის, რომლებიც მზრუნველს ემორჩილებოდნენ. ეს მზრუნველები სასწავლებელთა მთავარ სამმართველოში მუშაობდნენ და პეტერბურგში ცხოვრობდნენ, საიდანაც აკონტროლებდნენ სასწავლო ოლქს, ადგილებზე კი იმ ოლქებს მართავდნენ უნივერსიტეტის რექტორები. ვინაიდან საქართველო არც ამ ოლქებში შედიოდა და აქ არც უნივერსიტეტი იყო, ის სრულიად სტიქიურად იმართებოდა. 1814 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი მიაწერეს ყუბანის ოლქს და დაუქვემდებარეს ყაზანის უნივერსიტეტის რექტორს. 1819 წელს ყუბანის სასწავლო ოლქის მზრუნველი გახდა მ.კ. მაგნიცკი, რომელიც ცნობილია თავისი ფანატიზმითა და რუსული შოვინიზმით, რის გამოც მან ბრძოლა დაუწყო კეთილშობილთა სასწავლებელს, ზედმეტად თვლიდა მას და სურდა მისი დახურვა. ეს რუსმა მმართველმა ერმოლოვმაც დაინახა, უკანონოდ ჩათვალა რუსი განმანათლებლის ასეთი ანტიქართული ქმედება და 1823 წლიდან ნებართვა გამოითხოვა უმაღლესი ხელისუფლებისგან, რათა თბილისის სასწავლებელი გადასულიყო ხარკოვის სასწავლო ოლქისა და მისი უნივერსიტეტის რექტორის გამგებლობაში. 1840 წლამდე ასეც იყო. 1824 წელს უკიდურესი რეაქციონერის - გოლიცინის ნაცვლად არჩეულმა სახალხო

განათლების ახალმა მინისტრმა - ა. შიშკოვმა არათუ მხარი დაუჭირა ლიბერალურ იდეოლოგიას, რომელიც ის-ის იყო ფენს იდგამდა რუსეთის მოაზროვნე ელიტაში, არამედ კვლავ რეაქციული ლოზუნგები წამოაყენა. იგი განათლების სისტემის „ძირითად საწყისად“ მიიჩნევდა იმპერიის მცირე ერთა არამშობლიურ, რუსულ ენაზე სწავლებას, ეს სისტემა აგებული უნდა ყოფილიყო წოდებრიობის, მართლმადიდებლობისა და დიდმპყრობელობის საფუძველზე. რუსეთის განათლების სისტემა ეფუძნებოდა მთავრობის მიერ შემუშავებულ სასწავლო დებულებებს. ამის მიხედვით დგებოდა სასწავლო დებულება კავკასიაშიც. 1829 წელს შემუშავდა „ამიერკავკასიის სასწავლებელთა დებულება“, რომელიც იმავე წელს შემუშავებულ რუსეთის სასწავლებელთა მუშაობის დებულებას ეყრდნობოდა, რა თქმა უნდა, გარკვეული შესწორებით, რაც ადგილობრივი პირობების მიხედვით სკოლების მოწყობას გულისხმობდა. ამ დებულებით უნდა შექმნილიყო ერთი გიმნაზია თბილისში და სამაზრო სასწავლებელი თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში, ქუთაისში, გურიასა და სამეგრელოში აქაური მთავრის ნებართვით, რადგან სამეგრელო ჯერ კიდევ არ იყო რუსეთის შემადგენლობაში შესული. თბილისის გიმნაზია 1830 წელს გაიხსნა და დიდი როლი ითამაშა ქართული ეროვნული ცნობიერების გაღვივებაში. აქაური სასწავლებლები და მოსწავლეები ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოწინავე რიგებში ჩადგნენ, ხოლო 1832 წლის შეთქმულების იდეური ხელმძღვანელები სწორედ ამ სასწავლებლის პედაგოგები იყვნენ, მაგალითად, სოლომონ დოდაშვილი, რომელმაც 1827 წელს დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტი, იყო ლიბერალურ-დემოკრატიული აზროვნების პირველი ფრთის აქტიური წარმომადგენელი; უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ 10-20-იანი წლების პეტერბურგში გავრცელებულმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ, მოწინავე რუსი მოაზ-

როვნების სასტიკმა დასჯამ 1825-1826 წლებში, პოლონეთის აჯანყების მესვეურთა ჩამოსახლება თბილისში, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი - საქართველოში არსებულმა კოლონიურმა რეჟიმმა ჩამოაყალიბა გიმნაზიაში ის მოწინავე თვალსაზრისი, რესპუბლიკური მსოფლმხედველობა, რაც მართალია, იგივე რეჟიმის სისასტიკის გამო, მკვეთრად არ გამოიკვეთა დოდაშვილის ნააზრევში, მაგრამ მის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე დაკვირვებული თვალისთვის აშკარა და ნათელია<sup>1</sup>.

ხელისუფლება, უპირველესად, ქართველი ხალხის გარუსების მიზანს ისახავდა საქართველოში არსებული სკოლების მეშვეობით, ადმინისტრაციულ სამსახურში ყველგან რუსული ენის საჭიროება განსაზღვრავდა სოციალური ზედაფენების მისწარაფებას რუსული განათლებისაკენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქალთა რუსულად აღზრდა იძენდა, ვინაიდან ისინი მომავალი დედები იქნებოდნენ და შვილებსაც რუსებად აღზრდიდნენ. პირველად 1830 წელს მთავარმართებელმა პასკევიჩმა გასცა ნებართვა ქალთა პანსიონის დაარსებაზე, რომელსაც კომერსანტ კასტელის ქვრივი ხელმძღვანელობდა. მას პეტერბურგის ეკატერინეს სახელობის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ შექმნა ისეთი სასწავლო დაწესებულება, რომელიც ადგილობრივთა ყურადღებას მიიქცევდა. ხალხი მას კერძო ან საშინაო სკოლებს ამჯობინებდა. 1842 წელს, გოლოვინის მთავარმმართველობის დროს ეს პანსიონი ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად გადაკეთდა. თუ როგორ განათლებას აძლევდნენ ასეთი სასწავლებლები, კარგად ჩანს გრიგოლ ორბელიანის 1834 წელს მიწერილი წერილიდან ნინო ჭავჭავაძისადმი. მწერალს მხედველობაში

---

<sup>1</sup> ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, 306.

ჰქონდა პ. ნ. ახვერდოვას პანსიონი, სადაც აღიზარდნენ ნინო ჭავჭავაძე და მისი დებიც: „მიუბარნენ პანსიონში, სადაც ისწავლეს რამოდენიმე ფრანგული სიტყვა და შესცვალეს ქოშები „ბაშმაკებით“, ჰკონიათ, რომ დაამთავრეს აღზრდის კურსი. ნახევრად რუსები, ნახევრად ფრანგები, ნახევრად ქართველები, ნუთუ მათ შეუძლიათ იყონ კეთილი ცოლები?“<sup>1</sup>.

სამხედრო, საპროფესორო და სხვა სასწავლებლები ემსახურებოდნენ ხელისუფლების კოლონიურ პოლიტიკას, ასრულებდნენ იმ დაკვეთას, რასაც მთავრობა აძლევდა მათ - მხარის სრული რუსიფიკაციისა და რუსეთის ბუნებრივ ნაწილად მისი გადაქცევისათვის. სკოლას უნდა გამოეზარდა შესაფერისი კადრები.

მეფისნაცვალმა მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვმა თავის ლიბერალურ კოლონიურ პოლიტიკაში სცადა განათლების სისტემის ლიბერალიზაციაც. ამ მიზნით, მან 1848 წელს შექმნა კავკასიის სასწავლო ოლქი და შეიმუშავა ახალი დებულება კავკასიის სასწავლებელთა შესახებ. ამ ოლქის პირველი მზრუნველი იყო ვ. ნ. სემიონოვი, ხოლო 1852 წლიდან 1869 წლამდე ბარონი ა. პ. ნიკოლაი. ვორონცოვმა სცადა მთელი კავკასიის ადმინისტრაციულ-ეკონომიკური და პოლიტიკური მმართველობის ერთ სისტემაში გაერთიანების პარალელურად, მოეხდინა ასევე მთელი კავკასიის სასწავლო საქმის მმართველობის უნიფიცირება და გაერთიანება. კავკასიის სასწავლებლები უშუალოდ მეფისნაცვალს და განათლების მინისტრს ემორჩილებოდნენ. კავკასიაში სულ 5 სასწავლო დირექცია შეიქმნა, უშუალოდ საქართველოში კი 2 - თბილისისა და ქუთაისის. მის დროს გიმნაზია დაარსდა ქ. ქუთაისშიც. აქაც სწავლება ძირითადად რუსული და ზედმეტად მკაცრი იყო, რაც ეწინააღმდეგებოდა როგორც ქართულ

---

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, აკაკი გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1936, 34.

პედაგოგიურ ტრადიციას, ასევე ხელს უშლიდა ახალგაზრდებში განათლების მაღალი დონის შეტანას, რაც კარგად ჩანს თუნდაც ქუთაისის გიმნაზიის სასწავლო მეთოდების იმ აღწერით, რაც აკაკი წერეთელმა მოგვცა „ჩემს თავგადასავალში“. აკაკი წერს, რომ მის დროს „სტორიოებს“ ყოველდღიურად თითო ურემი როზვი მოჰქონდათ ბავშვების გასაროზვად. „დღე არ იქნებოდა რომ ყმაწვილების წივილკივილით იქაურობა არ გაყრუებულიყო“. მისი თქმით იყო შემთხვევა, როდესაც ერთ ყმაწვილს დღეში ოთხჯერ როზვაგდნენ. ყმაწვილების თვითმკვლელობისა და დასახინრების ფაქტებს გადმოგვცემს მწერალი, ამბობს, რომ „ლინეიკა“ და როზვი იყო ის იარაღი, რითაც ბავშვებს ასე სძულდებოდათ არათუ სკოლა, ზოგჯერ სიცოცხლაც კი. სხვა ქართველი მწერლებიც უხვად გვაძლევენ ისეთ დოკუმენტურ მასალებს, სადაც XIX საუკუნის საქართველოს სკოლებში გამეფებული არაპედაგოგიური მეთოდები არის აღწერილი. ეს სისტემა საქართველოში ემსახურებოდა ხელისუფლების მოთხოვნას - კავკასიის მართვა-გამგეობის სამეურნეო-ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და სამმართველო აპარატის გაფართოებისა და განმტკიცების მისეული გეგმა განეხორციელებინა ადგილობრივი, რუსული განათლებით აღჭურვილი და ხელისუფლების ერთგული მოხელეებით. ამდენად არც ნიკოლოზ I-ისა და არც მიხეილ ვორონცოვის ლიბერალიზმისა და ლოიალობის გამოხატვა არ ყოფილა საგანმანათლებლო სისტემის გაფართოება საქართველოში, ის უფრო რუსულ ინტერესებს შეესაბამებოდა, რაც კარგად აჩვენა XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებულმა ქართველი ხალხის საპროტესტო მოძრაობამ, რაც მიმართული იყო ქართული სკოლების შექმნისა და ეროვნული განათლების ტრადიციების აღდგენისაკენ<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, 308.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალი ძალით გაიშალა. მას სათავეში ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები - 60-იანთა სახელით („თერგდალეულე-ბი“) ცნობილი მოღვაწეები ჩაუდგნენ. ამ ჯგუფის იდეური ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე იყო. სწორედ მან დაინახა და იგრძნო ქართველთათვის განათლების მიღების, ეროვნული ცნობიერების გაღვივებისათვის მშობლიურ ენაზე სწავლებისა და აღზრდის აუცილებლობა. მთელი ამ თაობისთვის მთავარი იყო სკოლების, ბიბლიოთეკების, სტამბებისა და ჟურნალ-გაზეთების დაარსება. ეს იყო ოთხი საყრდენი, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა ეროვნული კადრების აღზრდა, ხალხის გათვითცნობიერება და ქვეყნის „მყობადის შექმნა“. იმდროინდელი ქართული ეროვნული ძალები უპირველეს როლს ანიჭებდნენ ქართველ დედას, რომელსაც უნდა აღეზარდა რწმენით, სიმართლითა და ვაჟკაცობით გამორჩეული ადამიანები, რომ მომავლის საქართველო საიმედო ხელში მოხვედრილიყო. ილია ჭავჭავაძის და მისი თანამებრძოლების პედაგოგიური შეხედულებები, მთლიანად ეროვნულ ნიადაგს და ქართველი ხალხის საჭიროებას, მისი მომავლის ინტერესებს ეფუძნებოდა, მან სასტიკად გაილაშქრა რუსეთის კოლონიური საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ. ქართული ენის სწავლებიდან ამოღება მას უსამართლოდ მიაჩნდა და წერდა: „რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზე უწინარეს ენას მისწავდა“<sup>1</sup>. შოვინისტმა რუსმა მოხელეებმა კარგად იცოდნენ, რომ ენის გაუქმებით ისინი სპობდნენ ერის არსებით ნიშანს და ამიტომაც, როგორც სკოლებში, ისე დაწესებულებებში ქართულად სწავლა და ქართულ ენაზე საქმის წარმოება თანდათან მოსკეს. ე.წ.

---

<sup>1</sup> ილ. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, თბ., 1927, 107.

„მუნჯური მეთოდი“, რომელიც განათლების სისტემის შოვინისტი მოხელებების - იანოვსკის, ზავადსკის, ლევიცკის, ტერ გასპარიანცის და სხვათა მიერ იყო შემოღებული, ბუნებრივად უარყოფდა დედა-ენის გამოყენებას. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი 1903 ელის ანგარიშში სწავლების ენის შესახებ წერდა: „ოლქის მმართველობა და საერთოდ სკოლების დირექტორების ზრუნვის წყალობით და აგრეთვე რუსული ენის სწავლების დროს ეგერთწოდებული ბუნებრივი მეთოდის ხმარებით, ამჟამად პირველ დასაწყისის სკოლების უმრავლეს ნაწილში (92,4%) სწავლება წარმოებს მარტო რუსულად, ხოლო ისეთი სკოლები, სადაც სწავლება დედაენაზეა, ამჟამად სრულიად აღარაა“<sup>1</sup>. ქართული ენისა და ეთნოკულტურისადმი რუსეთის დამოკიდებულება კარგად ჩანს თბილისის სასულიერო სემინარიის მაგალითზე. როდესაც 1864 წლის 19 სექტემბერს ამ სასწავლებლის მოწაფეებმა, შემდეგში სახელგანთქმულმა მოღვაწეებმა - ვასილ პეტრი-აშვილმა, ნიკოლოზ ინაშვილმა და დიმიტრი ჯანაშვილმა სემინარიის გამგეობის სახელზე განცხადება შეიტანეს ქართული ენის, ქართული სამოქალაქო საეკლესიო ისტორიის ცალკე კათედრად გამოყოფისა და ამ საგნებში ქართველი მასწავლებლების დანიშვნის შესახებ, მათ უარი მიიღეს. საეკლესიო-ბიბლიურ ისტორიას სასწავლებლებში ასწავლიდა თევდორე ფავორსკი, რომელიც არ იცნობდა ქართულ მასალებს, საქართველოს ეკლესიის ისტორიას, არ შეეძლო მათი გაცნობა, რადგან ქართული არ იცოდა. სემინარიის ხელმძღვანელობამ მსჯელობის საგნად აქცია მოწაფეთა განცხადება, მაგრამ საქმე არ გაუკეთებია. რამდენიმე ხნის შემდეგ სრულად მოსპო საქართველოს ისტორიის, ქართული ეკლესიის ისტორიის ცალკე საგნად სწავლება, მათ ნაცვლად მსოფლიო ისტორია, რუსეთის სამოქალაქო და საეკლესიო

---

<sup>1</sup> ტ. სარიშვილი, სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში, თბ., 1956, 10.



ისტორიები ისწავლებოდა. ქართული ენა, მართალია, დარჩა, მაგრამ ძალზე შემცირებული საათებით<sup>1</sup>.

1860-1870-იან წლებშიც მდგომარეობა წინა ათწლეულებზე უკეთესი არ იყო ხელისუფლების ზეწოლის მხრივ საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო სისტემაზე: მთავრობა დიდ სიძუნწეს იჩენდა სკოლების გახსნის საკითხებში. ყოველგვარ დაბრკოლებას ქმნიდა, რომ არ გახსნილიყო სასწავლებლები, განსაკუთრებით საშუალო ტიპისა, უძალეს სკოლებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არსებული სკოლები გამოყენებული იყო კოლონიური პოლიტიკის განსახორციელებლად, იღვენებოდა ქართული ენა და რუსული ენის გაძლიერებული სწავლებით ხდებოდა ხალხის გარუსების მცდელობა - ქართველი მოწაფეები ხშირად გამოთქვამდნენ პრეტენზიას ქართული ენისა და ისტორიის სწავლების არასახარბიელო დონის გამო, ეს დამსახურება იყო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ ლიდერებისა, რომლებიც თავს არ ზოგავდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ ხალხის გამოსაფხიზლებლად, იმ ტენდენციების გამოსაშკარავებლად, რაც რუსულ დამპყრობლურ ინტერესებში შედიოდა და ქართველი ხალხის გადაგვარების მიზანს ემსახურებოდა. ეს სოციალური ძალა იყო ძირითადად იმდროინდელი ახალი თაობა, რომელთაც რადიკალიზმი ახასიათებდათ ამგვარ ბრძოლაში, განსხვავებით კონსერვატორი მოღვაწეებისა, რომლებიც ხელისუფლების შემოთავაზებულ პოლიტიკას უსიტყვოდ ახორციელებდნენ და არ ცდილობდნენ ერისთვის საზიანო გადაწყვეტილებისათვის წინააღმდეგობის გაწევას. სწორედ ამის გამო, 1871 წელს, მოხდა საბოლოო განხეთქილება ამ ორ ფრთას შორის, გამძაფრდა, „მამათა და შვილთა“ ბრძოლა. ახალგაზრდებმა ვერ აპატიეს

---

<sup>1</sup> სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალების კრებული, I, თბ., 1937, 185.

„მამებს“, რომ არ შეასრულეს ხალხის დაკვეთა, ამ დროს საქართველოში ჩამოსულ იმპერატორს - ალექსანდრე II-ს სთხოვეს არა უნივერსიტეტის, არამედ სამხედრო სასწავლებლის დაარსება, რაც თავად იმპერატორის სურვილი იყო. რუსეთის თვითმპყრობელობის კოლონიური, რუსიფიკატორული პოლიტიკა, რაც განსაკუთრებით ნათლად განათლების სისტემაში გამოვლიანდა, წააწყდა ქართველი ხალხის, მისი საუკეთესო შვილების მედგარ წინააღმდეგობას. ამ ბრძოლაში მთელი ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილი გაერთიანდა.

### **დამოწმებანი:**

1. ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008;
2. ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 2013;
3. გრ. ორბელიანი, წერილები, აკაკი გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1936;
4. ილ. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, თბ., 1927;
5. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალების კრებული, I, თბ., 1937;
6. ტ. სარიშვილი, სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში, თბ., 1956;
7. დ. ჭუმბურიძე, რუსული დასახლებები საქართველოში (XIX-XX სს.) და „გადასახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება“, საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნი I, თბ., 2007;
8. ხ. ქოქრაშვილი, რუსეთის რელიგიური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი), საქართვე-

ლოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნი I, თბ., 2007;

9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970;

10. ი. გელენავა, ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის ერთობლივი ღვაწლმოსილება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისათვის (1900-1917 წწ), ანალები №4, თბ., 2009.

***Lela Togoshvili***

*Gori State Teaching University, Associate Professor*

**FOR STUDYING OF EDUCATION IN GEORGIA**

**(RUSSIAN COLONIALISM PERIOD)**

**RESUME**

After the conquest of Georgia in the XIX century, - the main goal of the Russian government was becoming Russian of Georgian people. The Russian government tried to carry out this goal through the existing schools in Georgia. Colonial, Russian policy of the Russian empire became public clearly in the system of education. Protest among Georgian people was provoked by the pressure of Russian government on the system of education. The leading part of the whole Georgian society united in this fight.

*გიორგი მინდიაშვილი*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*  
*მოწვეული სპეციალისტი*

## **მემინდვრეობა საქართველოს ეთნოლოგიასა და მტკვარ- არაქსის კულტურაში**

დედამიწის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფებს, განსხვავებული ბუნებრივი სამეურნეო პირობების გამო, განსხვავებული აქვთ სამეურნეო დარგებიც და მათთან დაკავშირებული საზოგადოების ორგანიზაციულ-სტრუქტურული ფორმები და ურთიერთობები. მსგავს ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში ცხოვრება კი აჩენს მათ შორის მსგავსებას. ამიტომ, როდესაც გვიხდება პრეისტორიულ საზოგადოებებზე მსჯელობა და მათი სამეურნეო თუ სოციალური ყოფის რეკონსტრუირება, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული გეოგრაფიული რეგიონებისა და მიკრო რეგიონების ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიური მონაცემები. გამონაკლისი, ამ თვალსაზრისით ვერც საქართველო იქნება და 5000 წლის წინანდელი მტკვარ-არაქსის კულტურის სამეურნეო საქმიანობის სურათის აღდგენისას, განსაკუთრებით მისი იმ ნაწილისათვის, რომელიც ქართლის ტერიტორიას ემთხვევა, განსაკუთრებული მნიშვნელობისა უნდა იყოს საქართველოს ამ ნაწილთან დაკავშირებით არსებული ეთნოლოგიური ინფორმაცია. მაგრამ, ცხადია, ეთნოლოგიური მონაცემებით სარგებლობისას, პირველ რიგში, თავად შესასწავლი არქეოლოგიური კულტურის კონკრეტული, შესადარებელი მასალის გამოყოფა და დაჯგუფება არის საჭირო. ამიტომ ჯერ გადავხედოთ, რა მასალას იძლევა საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილი მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლები.

ძვ. წ. IV-III ათასწლეულებით განსაზღვრული ადრე-ბრინჯაოს ხანის ამ კულტურის ძეგლებზე დადასტურებულია: რიტუალურ სახვნელად მიჩნეული, გამოყენების, მუშაობის კვალის მქონე ირმის რქა; პალეოეთნობოტანიკოსების მიერ განსაზღვრული მარცვლეულის ისეთი სახეობები, როგორიცაა: ხორბალი, ქერი, ფეტვი, ერთმანეთთან შერეული პურისა და ქერის ძნა, კაჟისა და სპილენძისაგან დამზადებული ნამგლები, კევრის ქვები - კონხები, მარცვლეულის შესანახი, ქვევრის ტიპის, დიდი ზომის ჭურჭლები, რომლებსაც ყელის ძირთან გაკეთებული აქვთ სასულე (სავენტილაციო) ნახვრეტი, ორმო-ხაროები და პორებიანი ბაზალტისაგან დამზადებული, ნავისებურად წოდებული ხელსაფქვაკები. პრეისტორიული სამეურნეო საქმიანობის აღდგენისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს პალეოგეოგრაფიული ვითარების გარკვევას, რადგან კლიმატი და ლანდშაფტი სწორედ ის გარემოა, რომელიც ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობის საშუალებას გვაძლევს. აქ კი ირკვევა, რომ ჰოლოცენური პერიოდის (უკანასკნელი 12.000 წელი) კლიმატური და გეომორფოლოგიური ვითარება, საქართველოს იმ ნაწილში, რომელზეც მტკვარ-არაქსის კულტურაა გავრცელებული, დაახლოებით ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც დღეისათვის გვაქვს. ამრიგად, გამოდის, რომ როგორც ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა, ისე - ჰიდროქსელი, ეთნოგრაფიაში აღწერილი სამეურნეო საქმიანობისათვის, ანუ მემინდვრეობისათვის, მთელი ამ ხნის განმავლობაში, მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი ყოფილა<sup>1</sup>.

ახლა ვნახოთ ის ინფორმაცია, რომელიც მემინდვრეობასთან დაკავშირებით მოიპოვება საქართველოს ეთნოლოგი-

---

1

„...“ „...“, 1984, 7-11.

აში. ძველი ლიტერატურული ძეგლების, აღწერებისა თუ ნაჩუქრობა-შეწირულობათა საბუთებში არსებული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოში, ზოგადად მიწათმოქმედებისათვის, კერძოდ კი მემინდვრობისათვის, სახნავად, საყანედ განკუთვნილი მიწები: შემადგენლობის, ნაყოფიერების, ტენიანობის, სარწყაობა-ურწყაობის, ექსპოზიციის, მოხვნის სირთულის და სხვა მონაცემების მიხედვით განირჩეოდა და თავისი სახელი გააჩნდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს - წერილობითი ძეგლების მიხედვით, ქართველები ქვეყანას ბარად და მთად ყოფდნენ<sup>1</sup>. ადგილის „რიანობის“ განსაზღვრისას ველი - ყანას, ანუ ხვნა თესვასა და მარცვლეულის მეურნეობას ნიშნავდა; მიწის სამეურნეო დარგისათვის განკუთვნილობას კი აღნიშნავდნენ - სახნავით და უხნავით, „საყანური“, „სათესველი“, „სათესავი ყანაი“<sup>2</sup>. გარდა ამისა, მემინდვრობისათვის ვარგისი ანუ საყანური ადგილები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ „პოხიერებით“ და „სიმჭლევით“, ანუ ნაყოფიერებით და უნაყოფობით (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მლაშე, უნაყოფო მიწისთვის იხმარებოდა სიტყვები „აღდაჭი“ და „ბიცი“), სარწყავობით, ურწყავობით და ურწყულობით<sup>1</sup>; მათგან საუკეთესოს „თავმიწა“, „სასეფო ყანანი“ ეწოდებოდა; თავმიწის სახელად აგრეთვე იხმარებოდა ტერმინი „ხუდაბუნი“ ანუ „ხოდაბუნი“; ტყე-ბუჩქნარისგან და მათი ჯირკვებისგან გაწმენდილ მიწას „ახოს“, ერთი წლის ნასვენ მიწას - „ნარბილს“, ორი წლის ნასვენს - „რცხალს“, სამი-ოთხი წლით დაგდებულს კი

---

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, ტფილისი, 1930, 130.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, 137, 138.

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, 140-141.

„კორდს“ ეძახდნენ<sup>1</sup>. ეთნოლოგ გ. ჯალაბაძის მიხედვით, ხოდაბუნის სისტემა მდინარის სანაპირო ჭალის გატეხვის გზით მიიღებოდა. ხევსურეთში კი ხოდაბუნები იმ მიწას ერქვა, რომელიც ხატს ოდითგანვე ეკუთვნოდა და, ცხადია, საუკეთესო იყო<sup>2</sup>. ხოდაბუნი იმდენად მნიშვნელოვანი მიწა იყო, რომ არც ბატონი და არც გლეხი მას გასაყიდად ან გასაცემად იოლად ვერ გაიმეტებდა<sup>3</sup>. ქართლში სახნავ-სათესი ფართის მოსაპოვებლად, გარდა ტყის გაკაფვისა (ახო) ან ბუჩქნარების გაკაფვა-გაჭრისა (ხოდაბუნი), ფართოდ იყო გამოყენებული ფერდა ადგილების მოვაკება, ხელოვნური ბაქნებისა და ოროკების სახით. ხორბლეულისათვის მინდვრის უკმარისობის შემთხვევაში, დასათესად იყენებდნენ ნასახლარებს, ნავენახარებს და თვით ვენახებსაც კი<sup>4</sup>.

კლიმატის, რელიეფის, ჰიდროქსელისა და ნიადაგების მიკრო თავისებურებიდან, ანუ მოსახნავი მიწის ხასიათიდან (კორდი, ახო, ხოდაბუნი, ურწყავი, სარწყავი და სხვ.) გამომდინარე, სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახენელი გამოიყენებოდა. ქართლში გავრცელებული ყოფილა „ჩუთი“ - უღელი ხარის ძალით სამუშაო იარაღი. მას ასევე ეძახდნენ „ოშს“ ან „კავს“. ამ იარაღს ძირითადად იყენებდნენ ანეულის ან მძრალის ხელახლა გადასახენელად. ანუ, ანეულის ხნულს დათესავდნენ და მერე ააკავებდნენ. ასეთ დროს დაფარცხვა აღარ იყო საჭირო. ასევე სცოდნიათ მძრალის დამუშავება გაზაფხულზე. ჩუთში იცოდნენ როგორც ორი, ისე თითო ხარის შებმა და მორიგეობით მუშაობა; საკმაოდ გავრცელე-

---

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, 152.

<sup>2</sup> ჯალაბაძე გ., მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, 1986, 266.

<sup>3</sup> ჯალაბაძე გ., მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 267.

<sup>4</sup> ჯალაბაძე გ., მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 268.

ბული სახეობა ყოფილა **ორხელა** - სახენელიც, რომელშიც 4-5 უღელი ხარი იბმოდა. ორხელას ოქოქასაც უწოდებდნენ. ქართლის ზოგიერთ სოფელში ხელმოკლე გლეხები, ვისაც დიდი გუთნით მუშაობა არ შეეძლო, ორხელას მცირე ფრთასაც გააკრავდნენ ხოლმე და გუთნის მსგავსად ცალფერდაზე ამუშავებდნენ. ორხელას ტიპი გავრცელებული იყო ქართლში, განსაკუთრებით მტკვრის მარცხენა მხარის სოფლებსა და მდინარეების ქსნის, მეჯუდის და ლიახვის ხეობებში და ვრცელდებოდა რაჭაშიც<sup>1</sup>. როგორც ჩანს, სხვადასხვა ტიპის სახენელი იარაღის გამოყენება, გარდა მიწის სიმძიმე-სიმსუბუქისა, დამოკიდებული იყო გლეხის შეძლებულობაზეც. ანუ, მას შეიძლება ჰქონოდა საყანური მიწა, მაგრამ არ ჰყოლოდა გუთანში შესაბამელი საქონელი. ასეთი მდგომარეობა მათ უბიძგებდა დროებითი, სეზონური კოოპერირებისაკენ - „მოდგამში“ გაერთიანებისაკენ, სადაც ყველა თავთავისი წილით: გუთნით, საქონლით, ჭაპანით, სახნისით და სხვ. შედიოდა.

საქართველოს რთული რელიეფის პირობებში, როდესაც არა მარტო ყოველ მთიან რეგიონშია თავისი ბარი და ზღვის დონიდან მისი მდებარეობა განსაზღვრავს ამ ადგილას დასათესი ხორბლის სახეობას, არამედ სხვადასხვა რაიონის ერთსა და იმავე სიმაღლეზე განლაგებული სავარგულებიც არ ქმნის მცენარის კულტივირებისათვის ერთნაირ პირობებს, უფრო მეტიც, ხშირად ერთსა და იმავე სოფლის ფარგლებშიც კი საყანურები ერთმანეთისაგან განსხვავდება ნიადაგის ხარისხითა და ექსპოზიციით, მიწათმოქმედი მემინდვრე იძულებული იყო ამ ლოკალური პირობების გათვალისწინებით მოეხდინა დასათესი მარცვლეულის შერჩევა. სწორედ ამან განაპირობა საქართველოში გავრცელებულ ხორბლის სახეო-

---

<sup>1</sup> ჯალაბაძე გ., მემინდვრობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 277-278.



ბათა და ჯიშთა მრავალგვარობა, ხელი შეუწყო მათ ფორმატწარმოქმნას<sup>1</sup>.

ამ პროცესის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა **დოლის პური**. მისი ეკოტიპები იქმნებოდა ყოველი მიკრორაიონის ბუნებრივ თავისებურებებთან მისადაგებით, რის შედეგადაც მიღებულია ისეთი ფორმები, რომლებიც კარგად გვარობენ ღარიბ ნიადაგებში; მოჰყავთ როგორც სარწყავ, ისე - ურწყავ სავარგულებში. ქართლელი გლეხის დაკვირვებით, დოლის პურის ადგილობრივი ჯიშები ვერ უძლებენ მოჭარბებულ ტენს და ამიტომ იგი ურწყავად მოჰყავთ. ამასთანავე, მაგარი ხორბლისაგან განსხვავებით, ის სეტყვასაც კი უძლებდა. იმის გამო, რომ მისი ერთი მარცვალიც კი ძლიერ ბორჯობს, ანუ მრავალ ამონაყარს იძლევა, ის ეკონომიურია თესვისას. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი სახელის კავშირი თესვის სეზონთან - შემოდგომასთან, ანუ იმ დროსთან, როდესაც იგებს ცხვარი, მიმდინარეობს დოლი. სწორედ მისი ჩამოთვლილი თვისებები აძლევდა მას იმის შესაძლებლობას, რომ უპირატესი მდგომარეობა ჰქონოდა თავთუხთან შედარებით. მასვე ჰქონდა დაკისრებული სარიტუალო დანიშნულება (შესაწირად, ზედაშედ). დოლის პური, ძირითადად, აღმ. საქართველოს რაიონების ხორბალია. მისი თანმხლები მატერიალური კულტურის ელემენტებია გუთანა, ნამგალი, კევრი და თონე<sup>1</sup>.

**დიკა** - საქართველოს სამიწათმოქმედო კულტურის შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, ვინაიდან ხორბლის ამ სახეობის წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია ძირითადად მთისწინა (800 მ. ზღვის დონიდან) და მთიანი (2300 მ. ზღვის დონიდან) რეგიონისათვის. იგი

---

<sup>1</sup> ბრეგაძე ნ., საქართველო - მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, თბილისი, 2004, 28.

<sup>1</sup> ბრეგაძე ნ., საქართველო - მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, 46-51.

მიჩნეულია საქართველოს ენდემად და სხვა ზორბლის ნათესებში მინარევის სახით დადასტურებულია: ჩრდილოეთ კავკასიაში, სომხეთის ნაწილსა და თურქეთში (ერზრუმის რაიონში).

საყანე ნაკვეთის, სახვნელი იარაღის, დასათესი მარცვლეულის სახეობისა და მისი ერთ-ერთი ვარიაციის არჩევის შემდეგ უნდა შევეხოთ იმ აგროტექნიკურ ხერხებს, რომელთაგან ერთი თუ მიწის ნოციერების შესანარჩუნებლად გამოიყენებოდა - ნაკელის მოფენა მოხვნის წინ, ნაყანურის (ნაწვერალის) მოტუსვა-გადაწვა, დასვენება - საძოვრად დაგდება, მეორე - სინესტის შესანარჩუნებლად, შესანახად იყო განკუთვნილი, მესამე - დასათეს ფართობზე ნიადაგის სათანადოდ დასამუშავებლად, რისთვისაც ზოგან ოთხჯერაც კი ხნავდნენ - მძრალად, ანეულად, აოშვით და აკაგებით. ამასთან ცდილობდნენ სახვნელი ზედმეტ სიღრმეზე არ ჩასულიყო, რათა ნიადაგის ქვეშ არსებული უნაყოფო მიწა კარგ ნიადაგს არ შერეოდა და მისი ნაყოფიერება არ დაექვეითებინა. საქართველოში გავრცელებულ სახვნელ იარაღთაგან ახოს დასამუშავებლად იყენებდნენ კავწერასა და მარტივ სახვნელებს, მიწის ასაჩეჩად - აჩაჩა სახვნელებს, ბელტის გადასაბრუნებლად - ჯილღა გოგორასა და ერქვანს, საანეულო ღრმა ხვნისათვის კი დიდ ქართულ გუთანს. ისე რომ, სახვნელი იარაღის ყველა ტიპს თავისი დანიშნულება ჰქონდა; ამიტომ, მიუხედავად ზოგიერთი მათგანის მარტივი კონსტრუქციისა, ისინი გარკვეულ პირობებში, შეუცვლელად ითვლებოდა<sup>1</sup>.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები, ბუნებრივად უწყობდა ხელს მიწის დასამუშავებლად საქართველოსა და მის გარეთ, მთელ კავკასიაში, სხვადასხვა ზომის, კონსტრუქ-

---

<sup>1</sup> ბრეგაძე ნ., საქართველო - მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, 46-51.

ციისა და დანიშნულების სახენებების შექმნას, გავრცელებას და გვერდი-გვერდ არსებობას.

არ შეიძლება საგანგებოდ არ შევეხოთ მემინდვრობისათვის ისეთ მნიშვნელოვან აგროტექნიკურ ღონისძიებას, როგორც მორწყვაა. როგორც ცნობილია, მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციების აღმოცენებაც ირიგაციისა და ჰიდრო მელორაციის რთულ, ცენტრალიზებულ ორგანიზაციასთან არის მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული. მაგრამ, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული ასეთი მოდელის კავკასიაზე გავრცელება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში კარგად არის ცნობილი შუა საუკუნეების დროინდელი დიდი სარწყავი სისტემების მნიშვნელობა ეკონომიკისათვის, ისიც ფაქტია, რომ საქართველოს დიდი და საშუალო მდინარეების ხეობები იძლევიან იმის საშუალებას, რომ შედარებით მცირე შრომის დანახარჯებით მოხერხდეს ხეობებსა და მთისწინა ზოლში მიწათმოქმედების დარგების, მათ შორის მემინდვრობის სარწყავი წყლით უზრუნველყოფა<sup>1</sup>. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ურწყავ ადგილებში, გვალვისაგან პურეულის მოსავლის დასაცავად იყენებდნენ როგორც ხორბლისა და ქერის შერეულ ნათესებს, ისე - ისეთ მაგიურ და რელიგიურ საშუალებებს, როგორცაა ბარბარესთან, ლაზარესთან და ელიასთან დაკავშირებული რიტუალები, ხატიის მინდორში გაბრძანება და პარაკლისის გადახდა<sup>1</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ურწყავ ადგილებში დიდი იყო რისკი მოსავლის ვერ მოწვევისა, ამ ან მიწის გამოფიტვის მიზეზით მოსახლეობის მიერ საცხოვრებელი ადგილის, სოფლის გამოცვლის შემთხ-

---

<sup>1</sup> გვეგშიძე მ., სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბილისი, 1961.

<sup>1</sup> ბრეგაძე ნ., საქართველო - მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა; ჯალაბაძე გ., მემინდვრობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში.

ვევები არც წერილობით წყაროებში და არც გადმოცემით - ეთნოლოგიაში ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის.

**დამოწმებანი:**

ნ. ბრეგაძე, საქართველო - მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, თბილისი, 2004;

მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბილისი, 1961;

ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, ტფილისი, 1930;

გ. ჯალაბაძე, მემინდვრობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, 1986;

. . .  
“ ”, :: , 1984.

*Giorgi Mindiashvili*  
*Gori State Teaching University, Specialist by Contract*  
**FIELD-HUSBANDRY IN GEORGIAN ETHNOLOGY  
AND IN KURA-ARAX CULTURE  
RESUME**

Based on the studies about the field-husbandry presented in the ethnology of eastern Georgia there has been wide spread soft wheat variations those were well adapted to the diverse geographical and climate conditions. The same can be said with regard to the plowing tools which were presented with different types of plough in accordance with the soil and terrain.

To our opinion the consideration of this and the other peculiarities regarding the agricultural activities such as irrigated and not-irrigated agriculture, protecting of wheat crops from drought, different ways for maintaining of soil fertility and etc. provide a good opportunity for reconstruction of field-husbandry done by Kura-Arax population.

*ივორ კეკელია*

*მარტვილის რაიონის ისტორიისა და კულტურის  
შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, დოქტორი*

**ერთი საკითხი ენგურის ხეობის საისტორიო გეოგრაფიიდან  
(„სააფაციო“)**

ენგურის ხეობა უძველესი დროიდან იქცეოდა უცხოელ და ქართველ მემკვიდრეთა ყურადღებას, მასზე გამავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კომუნიკაციებით. XVIII საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსისა და პოლიტიკური მოღვაწის - ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში ჭანისწყლის ხეობისა და წალენჯიხის აღწერის შემდეგ გადმოცემულია ენგურის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა: „ამის (წალენჯიხის – ი. კ.) ჩდილოთ დის მდინარე ეგური, წოდებული დაბის გამო. გამოსდის მასვე სუანეთსა და ოდიშს შორისს კაკკასსა, მოდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად, მიერთვის ზღვას ანაკრიას. ანაკრიას აღაშენეს ოსმალთა ციხე, ქრისტესსა ჩ-ღვ, ქართულსა ტ-ჟა, აწცა უპყრავთ მათვე. ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინარეზედ არს რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე. აღაშენა ლევან დადიანმან ქრისტესსა ჩქმზ. ქართულსა ტ-ლე, შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩ-ღკე, ქართულსა უ-იგ, და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად. რუხს ითხრების კაჟი ჩანხახისა ფრიად კეთილი და მრავალი. რუხს ხეით, ამ წყალზედ, მთასა შინა არს სააფაციო სათავიდან“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973, 778-779.

ვახუშტი, ენგურის ხეობის იმ ნაწილში, რაც ეგრისის ქელსა და სოფ. რუხს შორის მდებარეობს, ასახელებდა ფეოდალურ ერთეულს **სააფაციოს** სახელწოდებით: „რუხს ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა არს სააფაციო სათავილამ“<sup>1</sup>.

ვახუშტის მიერ შედგენილ რუკებზე სახელდებული ობიექტი ხან მდინარის მარცხენა ნაპირზეა აღნიშნული, ხან მარჯვენაზე. ამ საკითხით თავის დროზე დაინტერესდა ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის ცნობილი მკვლევარი თამაზ ბერაძე. „სააფაციოს“ ლოკალიზაციის კუთხით წარმოებული კვლევა გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომში მან შემდეგი სახით ჩამოაყალიბა: „ის ფაქტი, რომ ვახუშტის თავის რუკათა მეორე ატლასის არც ერთ შესაბამის რუკაზე სააფაციო, როგორც პუნქტი, არ აღუნიშნავს, იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ სახელოვან მეცნიერს ეჭვი ეპარებოდა ამ სახელწოდების პუნქტის რეალურად არსებობაში. ვახუშტის ცნობის თანახმად, სააფაციო ისეთივე ფეოდალური ერთეულია, როგორცაა სალიპარტიანო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ოდიშის ამ ნაწილის სოფელთა ტოპონიმია არ იცნობს პუნქტს „სააფაციოს“ სახელწოდებით. მის არსებობაზე არაფერს გვეუბნება ხალხური გადმოცემა და ვინაიდან წერილობით წყაროებშიც არაფერია ცნობილი აფაციას, როგორც ფეოდალური გვარის შესახებ, სააფაციოს ფეოდალური ერთეულის არსებობაც ეჭვს იწვევს. სააფაციოში, დაასკვნის მკვლევარი, შეუძლებელია ვიგულისხმოთ სოფ. რუხის ერთი უბანი საფარცვანიო, ვინაიდან არაა სავალდებულო ძველ დროში დამოუკიდებელ სოფლად მისი მიჩნევა. ამასთანავე, რაც მთავარია, ფარცვანიების გვარეულობიდან, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ნაგულისხმევი სააფაციოს ფეო-

---

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, 779.

დალური ერთეული ვერ შეიქმნებოდა, რადგან ამ გვარის კაცნი გლეხები იყვნენ<sup>1</sup>.

თ. ბერაძის აღნიშნული მსჯელობა რომ დამაჯერებელია, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რუხელი ფარცვანიების გადმოცემით, მათი წინაპრები XIX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოსახლებულან სალიპარტიანოდან. გადმოცემის სისწორეს ადასტურებს ერთი საისტორიო წყაროც, საიდანაც ირკვევა, რომ სალიპარტიანოს სოფლებიდან – კურძუდან და ნამკოლუდან 85 კომლი გლეხის (მათ შორის – თოლუა 14 კომლი, ფარცვანია – 13 კ; ჯანაშია – 12 კ; ოკუჯავა – 3 კ; ფაცია – 3 კ; ნაჭყებია – 2 კ.) რუხში ჩამოსახლება მომხდარა 1859 წელს, ნიკო დადიანის ინიციატივით, რომელსაც თითოეული ახალმოსახლე ოჯახისათვის ენგურსა და კუჩხიობონუს შუა უფასოდ მიუცია 15 ქცევა მიწა და 5 წლის განმავლობაში ყველა გაუნთავისუფლებია გადასახადისაგან. შემდეგ გადასახადის სახით დაწესებულა 5 მანეთი და ერთი კოკა ღვინო თითო „გრამოტაზე“. ამის გამო სოფელ რუხს, რაც ნიკო დადიანის საკუთრებას წარმოადგენდა, ნიკოსია დარქმევა (26, ჩანაწ. 898). ნიკოსიის სასოფლო თემი 233 კომლით დასახელებულია კავკასიის მხარის კომლობრივი აღწერის მასალებში (1886 წ.) ზუგდიდის მაზრის ზუგდიდის საპოლიციო უბანში. 1930 წელს გამოცემული „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ ცნობარის მიხედვით არსებობდა ზუგდიდის მაზრის, ზუგდიდის რაიონში შემავალი ნიკოსიის სასოფლო საბჭო, რაც აერთიანებდა სამ საფელს: ნაწულუკოუს (94 კომლი, 232 სული), ნიკოსიას (566 კომლი, 131 სული) და რუხს (70 კომლი, 333 სული). პროფ. პ. ცხადაიას თქმით, ნიკოსია სოფელს 1926 წლამდე ერქვა (24,

---

<sup>1</sup> ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, IV, თბ., 1971, 61.



269). „ყაზაყიში გაზეთის“ 1932 წლის №181 კი გვამცნობს, რომ ნიკოსიას 1932 წლის 15 სექტემბერს დაუბრუნდა ძველი სახელი რუხი.

საფარცვანიო უბანია საჯანაშიოსა და ქვემო სათოდუოს შუა. პ. ცხადაიას ცნობით, რადგანაც „გრამოტას“ ჩამოყოლილი ფარცვანიები წაჩხურუმი (მარტვილის რ.) ყოველ წელს სალოცავად ვერ მიდიოდნენ, „საწაჩხურო ლაგვანი“ აქ, რუხში მოუწყვიათ<sup>1</sup>.

საკვლევი ტოპონიმის („სააფაციო“) ლოკალიზაციაზე მსჯელობისას საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სოფ. რუხში მოსახლეობს 30 კომლამდე ფაციას გვარისკაცი და მათი დასახლება იწოდება **საფაციოდ**. უდაოდ თვალშისაცემი გარეგნული მსგავსების მიუხედავად („სააფაციო“ – „საფაციო“) ვახუშტისეული სახელწოდების ამოსავალი ძირის მნიშვნელობის შეძლებისამებრ მკაფიოდ ილუსტირებისათვის რუხში მდებარე ფაციების გვარის კომპაქტური დასახლების აღმნიშვნელი სახელი „საფაციო“ მაინც ვერ გამოდგება, კვლავ იმ უმთავრესი გარემოების გათვალისწინებით, რომ ფაციებიც (ფარცვანიების მსგავსად) გლეხები იყვნენ და, თუ ვიგულისხმებთ, რომ ვახუშტის მიხედვით, სააფაციო მართლაც გარკვეული ფეოდალური ერთეულის სახელწოდება იყო, გლეხთა გვარეულობა ამ ერთეულის სახელის „ნათლია“ ვერ იქნებოდა.

სააფაციოს გარშემო ვრცელი მსჯელობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ სავსებით გაგვეზიარებინა თამაზ ბერაძის საგულისხმო და ანგარიშგასაწევი მოსაზრება ტოპონიმ „სააფაციოს“ ლოკალიზაციის, უფრო ზუსტად ენგურის ხეობაში ამ სახელწოდების მატარებელი პუნქტის არსებობის ეჭვქვეშ დაყენების შესახებ. ამავე დროს ანგარიშგასაწევია შემდეგი თვალსაზრისიც: ვახუშტი ბაგრატიონი შესაძლებელია არას-

---

<sup>1</sup> ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. II. ზუგდიდის რაიონი. თბ., 2007, 272.

წორად იძლეოდეს ამ ფეოდალური ერთეულის სახელს, ან ზუსტად ვერ განსაზღვრავდეს მის მდებარეობას, მაგრამ ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ მას საერთოდ მოეგონებინოს „სააფაციოს“ არსებობა<sup>1</sup>.

ენგურის ხეობაში „რუხს ზეთ, ამ წყალზედ, მთასა შინა... სათავიდაძ“, სააფაციოს, როგორც სოფლის თუ ფეოდალური ერთეულის, არსებობა და ზოგიერთ რუკაზე მისი აღნიშვნა, ძნელი სათქმელია, ვახუშტი ბაგრატიონის სუბიექტურ მოსაზრებას მივაწეროთ, თუ ხალხურ გადმოცემაზე დაფუძნებულ თვალსაზრისად მივიჩნით. თუმცა უფრო სარწმუნოდ ის გარემოება გვესახება, რომ მეცნიერი სააფაციოზე წერისას ხალხისაგან მიღებულ ცნობებზე დაფუძნებულ თვალსაზრისს ვეთავაზობს, ოღონდ – არასწორი სახით.

თ. ბერაძე განაგრძობს მსჯელობას სააფაციოს გარშემო და ვარაუდობს, რომ ვახუშტისეულ სააფაციოში შესაძლებელია წერილობით წყაროებში XIII ს-დან მოხსენიებული ოდიშის ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს – აფაქიძეების (აღგ. გამოთქმით აფაქიძეების) ფეოდალური ერთეული **სააფაქიძო//სააფაქიო** ვიგულისხმოთ. ამ გვარში შემონახული ერთი გადმოცემის თანახმად აფაქიძეთა სამფლობელო ერთ დროს მდ. მაგანამდე აღწევდა, რაც ვახუშტის მიერ მოცემული „სააფაციოს“ ტერიტორიას ნაწილობრივ ემთხვევა. თ. ბერაძე ყურადღებას ამახვილებს XVII ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ საბუთში „საქოჩაქიძეოს“ მოხსენიების ფაქტს, რაც იყო „დადიანის ლევანის წყალობა მამული“. წყაროდ მითითებულია პროფ. სარგის კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული „აფხაზეთის საეკლესიო გლეხების დიდი დავთარი“<sup>1</sup>. ტოპო-

---

<sup>1</sup> ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, 61.

<sup>1</sup> ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, 61; კაკაბაძე ს., აფხაზეთის საეკლესიო გლეხების დიდი დავთარი. ტფ., 1914, 43.

ნიმი „საქოჩაქიძო“ დასტურდება მდ. ენგურიდან რამდენიმე კმ-ით დაშორებულ სოფ. ჩქვალერში (წალენჯიხის რ.). საქოჩაქიძო, მასში შემავალი ჯგალის ციხე-სასახლით, ვრცელი „ქვეყანა“ უნდა ყოფილიყო. რაც, თ. ბერაძის აზრით, ნაწილობრივ თავსდება ვახუშტის რუკაზე მოცემულ ტერიტორიაზე. „სააფაციო“ შესაძლებელია დამახინჯებული „საქოჩაქიძო“ იყოს. ერთი რამ ცხადია, დაასკვნის მკვლევარი, რომ ვახუშტისეული სააფაციო რომელიღაც რეალურად არსებული ფეოდალური ერთეულის გამომხატველია, თუმცა სახელოვანი მეცნიერი მის სახელსა და მდებარეობას არაზუსტად გადმოსცემს<sup>1</sup>.

სააფაციოს მდებარეობის შესახებ თ. ბერაძის მოსაზრების ანალიზი მოცემულია დ. ჭითანავას ნაშრომში, რომელიც საანალიზოდ მიუთითებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თ. ბერაძის მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის შესაბამის გვერდს. ტოპონიმი „სააფაციო“ ამ მხარეში ვერც დ. ჭითანავას დაუფიქსირებია. მკვლევარი ემხრობა იმ აზრს, რომ წერილობით წყაროებში აფაციების ფეოდალური სახლი და გვარეულობა არ იხსენიება, თუმცა დამატებითი მასალა „სააფაციოს“ ლოკალიზაციის თაობაზე მას არ წარმოუდგენია<sup>2</sup>.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ზუგდიდის რენის სოფ. ჭკადუაშში დადასტურებული ტოპონიმი „სააფაქიო“ ჩხოუშია“. ასე ეწოდება მდინარეს, რაც წარმოადგენს ჩხოუშიის მარცხენა მდგენელს. მის სათავესთან მდებარე ფართო ვაკეს „სააფაქიო“ ჰქვია (სახელმდებნი აკონკრეტებენ: საანთიოშ ჩხოუშია, თორდინეფიშ ჩხოუშია//ყალიჩეფიშ ჩხოუშია, თუდოლენი ჩხოუშია, ნაოჩ?შ ჩხოუშია, სააფაქიოშ

---

<sup>1</sup> ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, 62.

<sup>2</sup> ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010, 381-382.

ჩხოუშია). საინტერესოა ისიც, რომ ენგურ-ჭანისწყლის წყალგამყოფზე, სოფ. ჭკადუაშსა და ჯვარს შორის მდებარე მაღლობი და სოფელიც სააფაქიოდ იწოდებოდა. ჭკადუაშის ნაწილს რომ აფაქიები (აფაქიძეები) ფლობდნენ, მოწმობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ეწერის საზღვარზე, საჯინჯოლაში მდებარე სასაფლაოსა და ნაეკლესიარის სახელწოდება ნაოხვამ(უ)//ბუჭუემ ოხვამე ინფორმატორები აქ ეკლესიის აშენებას თავად ბუჭუე აფაქიას მიაწერენ<sup>1</sup>.

დ. ჭითანავა სოფ. ჭკადუაშის სიძველეებზე საუბრისას პ. ცხადაიას ნაშრომიდან შესაბამისი გვერდების მითითებით იმოწმებს სოფელში ტოპონიმებად დადასტურებულ ნაეკლესიარ ადგილებს. ასახელებს ნაოხვამ(უს)//ბუჭუემ ოხვამეს და ამ ეკლესიის მშენებლად შეცდომით თავად ბუჭუე ალანაიას მიიჩნევს<sup>2</sup>.

„სააფაციოს“ ლოკალიზაციის საქმეში გარკვეულ სამსახურს გვიწევს მარი ბროსეს ნაშრომი, რაშიც, სხვა საკითხებთან ერთად, აღწერილია სამეგრელოსა და აფხაზეთის ისტორიული სიძველენი. ფრანგი ქართველოლოგი ნაბაკევის მახლობლად ასახელებს ძველ ციხე-სიმაგრეს **საოხოციოს** სახელწოდებით და მის შემოგარენში, ენგურის შესართავთან მდებარე სამლოცველოს და ღრმა ჭას, რასაც მეგრელები მაჰმეტის ინჭას ეძახდნენ<sup>1</sup>.

ბროსეს ზემოთ დამოწმებული ცნობა იძლევა იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ

---

<sup>1</sup> ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. II. ზუგდიდის რაიონი, 397.

<sup>2</sup> ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), 139.

<sup>1</sup> ბროსე მ., არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში. ტექსტი ფრანგულიდან თარგმნა ხათუნა წიკლაურმა. თბ., 2011, 140.

მოსხენიებული „სააფაციო“ რეალურად არსებობდა ენგურის მარჯვენა მხარეს, ახლანდელი გალის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის თემის შემოგარენში. ნაბაკევი გალიდან 25 კმ-ით არის დაშორებული. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე დაფიქსირებულია **Naalbachia**-ს ფორმით.

2003 წელს გამოქვეყნებულ სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ნუსხაში ვახუშტისეული „სააფაციო“ და ბროსესეული „სახოფაციო“ არ დასტურდება, მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ორივე ტოპონიმი ერთი და იმავე ობიექტის სახელწოდების ვარიანტი უნდა იყოს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მარი ბროსეს მოღვაწეობის პერიოდი (1802-1880 წწ.) 100 წლით აშორებს ვახუშტის ფუნდამენტური ნაშრომის შექმნის დროს, რაც უფრო მეტ სანდოობას ჰმატებს ფრანგი ქართველოლოგის ნაშრომში დამოწმებულ ცნობებს.

### **დამოწმებანი:**

1. ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, IV, თბ., 1971.
2. ბროსე მ., არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში. ტექსტი ფრანგულიდან თარგმნა ხათუნა წიკლაურმა. თბ., 2011.
3. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973.
4. კაკაბაძე ს., აფხაზეთის საეკლესიო გლეხების დიდი დავთარი. ტფ., 1914.
5. ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. II. ზუგდიდის რაიონი. თბ., 2007.
6. ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010.

7. , . V, , 1879, Canaw.  
898.

***Igor Kekelia***

*Martvili Research Center for History and Culture, Doctor*  
**ONE TOPIC FROM THE HISTORICAL GEOGRAPHY  
OF THE RIVER ENGURI VALLEY („SAAPATSIO”)  
RESUME**

The well-known scientist and public man of XVIII century in Vakhushti Bagrationi's fundamental work are given the descriptions of the different parts of Georgia according to the natural consequence and military-political division of these places.

The geographical atlases with the maps of the different parts of Georgia are very important. They were made by Vakhushti in 1735-1745 years. On these maps we can see the historical-geographic parts of the country, settlements, relief and hydrography.

In this review of Vakhushti Bagrationi with his maps and other written sources, there are given the materials about historical Geography of the Enguri Valley.

*ეკა ავალიანი*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*  
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი*

ჩემი პასუხი ბ-ნ ჯემალ შარაშენიძის რეცენზიაზე:  
“რამდენიმე არასასიამოვნო სიტყვა ეკა ავალიანის წიგნზე:  
ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია: განვითარების  
ტრაექტორიები ძვ.წ. III ათასწლეულიდან III საუკუნემდე”,  
თბ. 2012<sup>1</sup>.

### წინასიტყვაობა

2012 წელს გამოიცა ჩემი მონოგრაფია, “ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია: განვითარების ტრაექტორიები ძვ.წ. III ათასწლეულიდან III საუკუნემდე”, წიგნი I, 197 გვ. წიგნის რედაქტორები: ზურაბ კიკნაძე, მაია ღამბაშიძე, ნინო ჩიქოვანი. როგორც ავტორმა, იმთავითვე გავთვალე რედაქტორების შერჩევის საკითხი და მიზანშეწონილად ჩავთვალე, რომ პირველ წიგნს ჰყოლოდა ორი ექსპერტი ძველი მახლობელი აღმოსავლეთის განხრით, პროფესორები ზურაბ კიკნაძე, ვინც ქართულ ენაზე “ამბეცყველა” ძველი შუამდინარული წყაროები და მაია ღამბაშიძე – პირველი თაობის ასირიოლოგიის კურსდამთავრებული, თსუ პროფესორი. ორივე პროფესორი კარგად იცნობს შუამდინარულ წყაროებს და არტეფაქტებს და, ამ თვალსაზრისით, მათი რჩევები ჩემთვის ძალზედ ყურადსაღები იყო. ერთი ექსპერტი ავირჩიე ისტორიის თეორიაში და მეთოდოლოგიაში, რომელიც კარგად იცნობს ისტორიის დარ-

---

<sup>1</sup> ჯ. შარაშენიძის რეცენზია დაიბეჭდა კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებულის XV ნომერში, 2013, გვ., 156-162. რედაქტორი ი. ტატიშვილი

გში აპრობირებულ თანამედროვე მეთოდებს და მეთოდოლოგიას, ეს იყო პროფესორი ნინო ჩიქოვანი. ჩემი გადაწყვეტილება მიმანდა გამართლებულად, რადგანაც კვლევა მიზნად ისახავდა ძველი მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონული, ტრანსრეგიონული და პერიფერიული სისტემების კომპლექსურ მოდელირებას სივრცეში და დროში, ამავე დროს, ძველი ისტორიის ცალკეული თემების და პრობლემების (ემპირიული მასალის) თეორიულ ინტერპრეტაციას და რეინტერპრეტაციას. ბუნებრივია, აღნიშნული მიმართულებებით კვლევა ბევრ ასპექტს მოიცავდა და მეც კომპლექსური ამოცანების გზაშესაყარზე აღმოვჩნდი. თუ უფრო კონკრეტულად დავასაბუთებ მეცნიერულ მიდგომებს, მე მიზნად ვისახავდი, ერთგვარი სიახლე შემომეტანა მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, დარგში **ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური კვლევების სინთეზის ფონზე**, ბოლომდე ამთვისებინა ყველა აპრობირებული მეთოდი (ვეყრდნობოდი არქეოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, კულტუროლოგიურ, ნარატივისტულ მეთოდებს) და შედეგად, ვახდენდი ცალკეული ეპოქების ისტორიულ მოდელირებას, ისტორიული დინამიკის წარმოჩენით. ამ მიდგომების ნაწილობრივი აპრობირების საფუძველზე, 2001 წელს გამოვიდა ჩემი მონოგრაფია სათაურით “ძველი ცივილიზაციების ფორმირება მახლობელ აღმოსავლეთსა და ცენტრალურ მედიტერანულ სამყაროში”, რედაქტორები გრიგოლ გიორგაძე, გურამ ლორთქიფანიძე და ნანა ტონია, მოგვიანებით კი, 2002 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. აქვე მინდა დავძინო, რომ დასავლური აკადემიური სივრცისთვის ეს მიდგომები არ ითვლება სიახლედ, უკვე XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ინტეგრალური კვლევის გვერდით, ფართოდ ინერგება თეორიული, ინტერდისციპლინური და მულტიდისციპლინური კვლევები და სხვადასხვა მეცნიერი განსხვავებულ ხედვას, მიგნებას და მოდელირებას გვთავაზობს.



მე, როგორც მეცნიერი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვემზადებოდი ამ კვლევისათვის, ვსწავლობდი ჩემთვის საინტერესო პრობლემებს, გავეცანი წამყვანი ქართველი და დასავლელი მეცნიერების შრომებს, საერთაშორისო მნიშვნელობის მუზეუმებში გამოფენილ არტეფაქტებს, ვიყავი ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიაზე განფენილი ურბანული ცენტრების არაერთი ექსპედიციის მონაწილე და თვითმხილველი. რასაკვირველია, ჩვენი კვლევა, თავისი მასშტაბურობის გამო, ვერ ჩაეტეოდა ერთი წიგნის ფარგლებში და დიდი ცოდნის დაგროვებას მოითხოვდა. ამდენად, ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო დაგროვილი ცოდნის გააზრება, გადამუშავება, განხილვა, გაზიარება და ინტელექტუალურ ნააზრევად გადაქცევა.

ჩვენი კვლევის პირველი ნაწილი დაეთმო შემდეგ თავებში გადმოცემულ თემებსა და პრობლემებს:

**თავი I.** შესავალი, რას გულისხმობს ცნება – “ძველი მახლობელი აღმოსავლეთი”? ტერმინებისა და კონცეფციების თანამედროვე გააზრებისათვის. **ქვეთავები:** ცნება “ძველი მახლობელი აღმოსავლეთი” და თანამედროვე ხედვები; “ძველი მახლობელი აღმოსავლეთი” ცნება და სხვა მონათესავე ტერმინების დაზუსტება; ტერმინი “ძველი მახლობელი აღმოსავლეთი” და მისი გეოგრაფიული განფენილობის ასპექტები; ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ლოკალური, რეგიონული და ტრანსრეგიონული სისტემები; ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია და ქართული რეალობა; დარგის ქრონოლოგიური მიჯნების პრობლემა.

**თავი II.** დარგის თეორიული კვლევები, მიდგომები, მეთოდოლოგია და მეთოდები XXI საუკუნეში. **ქვეთავები:** დარგის ზოგადი კონცეპტუალური საკითხები და ახალი მიდგომები; ძველი ისტორია და ქალაქური ცხოვრების ინოვაციები.

**თავი III.** ძველი მახლობელი აღმოსავლეთის წინარე ისტორიული (პრეისტორიული) ხანა.

**თავი IV.** ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ურბანიზაცია და ქალაქური ცხოვრება. **ქვეთავები:** იქ, სადაც გაჩნდა პირველი ქალაქი, უკვე დაიწყო ისტორია; დამწერლობის სისტემის განვითარება შუამდინარეთში; ურუქის კულტურის გავლენები და მეზობელი რეგიონები; ურუქის კულტურის დასასრული.

**თავი V.** შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოების ფორმირება, ადრედინასტიური პერიოდი. **ქვეთავები:** შუამდინარეთის ქალაქებიდან მომდინარე წერილობითი დოკუმენტები და წყაროები; ისტორიული აგენტი თუ მითიური გმირი?

**თავი VI.** სამხრეთ შუამდინარეთის პოლიტიკური ცენტრების განვითარება. **ქვეთავები:** სამხრეთ შუამდინარეთის პოლიტიკური ცენტრების განვითარება; პირველი პოლიტიკური კონფლიქტი – უმასა და ლაგაშს შორის სასაზღვრო დავა; სხვა შუამდინარული ქალაქების ისტორია, ტერიტორიული სახელმწიფოების მშენებლობა.

**თავი VII.** ადრედინასტიური ხანის შუამდინარული ქალაქ-სახელმწიფოების ფიზიკური და სოციალური ლანდშაფტის/სივრცის კონსტრუირება. **ქვეთავები:** შუმერული საზოგადოების პირველი კაცი – Princeps Civitas და ქალაქების უზენაესი ღვთაება; ბაბილონის მეზობელი რეგიონები ადრედინასტიურ ხანაში.

**თავი VIII.** შუამდინარული რელიგიის საკვანძო საკითხები. **ქვეთავები:** უძველესი შუამდინარული არტეფაქტები და რელიგიის ჩასახვა; შუამდინარული მიწა-წყლის დიდი ქალღმერთების კულტი; შუმერულ-აქადური სინკრეტიზმი; შუამდინარული პანთეონის კომპოზიცია და იკონოგრაფია; ასურის მფარველი ღვთაებანი; გარდაცვალება და დაკრძალვის ტრადიცია; ქალაქი ნიფური – ქვეყნის რელიგიური ცენტრი; შუამდინარული წმინდა ალაგები და ნეკროპოლისები (ურის ნეკროპოლისის მაგალითზე).

**თავი IX.** ძველი მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური პანორამა, შუამდინარეთი ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულს.

**ქვეთავები:** ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო, პოლიტიკური ცენტრალიზაციის ტენდენციები, აქადის აღზევება; სარგონის ეპოქის ისტორიული აგენტები; უცხოტომელები შუამდინარეთში, პირველი გარდამავალი ხანა; ურის მესამე დინასტიის აღზევება, ძვ.წ. 2112-2004 წწ; ქალაქი ური, როგორც მარადიული ქალაქის სიმბოლო; ურის დაცემის შემდეგ.

**თავი X.** ძველი მახლობელი აღმოსავლეთი ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში. **ქვეთავები:** ახალი სახელმწიფოს წარმონაქმნები; მეფე ხამურაბი, როგორც ეპოქის ისტორიული აგენტი; ხამურაბის მემკვიდრეები და დეკადენსის პირველი ნიშნები; დიპლომატიური კომუნიკაციები ძველ მახლობელ აღმოსავლეთში, ბაბილონის და მარის მაგალითზე; ქალაქი აშური და ქანეშის სავაჭრო კოლონია ძვ.წ. XIX–XVIII სს. შუამდინარეთი და მისი მიკრო-სახელმწიფოების პოლიტიკური ისტორია, ემუნასა და ელამის სახელმწიფო მოდელი; ძველი მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოების რეგიონული სისტემა, დასავლეთის სივრცე: ქალაქ-სახელმწიფო მარი და იამხადის სამეფო. **ცხრილი:** ძველი მახლობელი აღმოსავლეთის მეფეთა სია, დინასტიები.

მონოგრაფიაში გამოყენებულია სხვადასხვა ავტორის შრომები, ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე დაწერილი სამეცნიერო ლიტერატურა (200-ზე მეტი ავტორი), ძირითადად სჭარბობს ანგლო-ამერიკული სკოლის წარმომადგენლების შრომები, რაც ბუნებრივია – დარგი სწორედ ამ სკოლებში განვითარდა. ნაშრომს აქვს 9 გვერდიანი ინგლისურენოვანი რეზიუმე, ერთვის რუკები, სქემები, დიაგრამები, ცხრილები (მეფეთა სია, დინასტიები) და არტეფაქტების ილუსტრაციები. წიგნში განხილულია საკითხები, რომლებიც უკავშირდება ძველი ურბანული ცენტრების, კერძოდ, ქალაქების და ქალაქ-სახელმწიფოების თემას. ეს თემები საჯა-

როდ განხილულია, გააზრებულია და აპრობირებულია საერთაშორისო გრანტის “მარადიული ქალაქები, უძველესი კოსმოპოლიტიური ცენტრებიდან თანამედროვე მეგაპოლისებამდე” სამუშაო შეხვედრების დროს, 2009-2012 წლებში. სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობდნენ ძველი მახლობელი აღმოსავლეთის და აღმოსავლეთ მედიტერანული სამყაროს აღიარებული მკვლევარები, პროფესორები: ჯეკ საზონი და დევიდ ოუენი (აშშ, კორნელის და ვანდერბილტის უნივერსიტეტი), ჯონ ბენსი და ანგუს ბოვიე (ოქსფორდის უნივერსიტეტი), გოჩა ცეცხლაძე (მელბურნის უნივერსიტეტი) და ახალგაზრდა თაობის ნიჭიერი მკვლევრები. კოლეგებისგან დიდი გამოცდილება შევიძინე, ბევრი მეგობრული შენიშვნა და რჩევა მოვისმინე, რაც გავიაზრე და შეძლებისდაგვარად ავსახე ჩემს შრომაში. ჩემი მადლყვრება მათ მიმართ იმით გამოვხატე, რომ აღნიშნული მონოგრაფია მოკრძალებულ საჩუქრად გავუგზავნე, მათი დაჟინებული მოთხოვნით, ორ ეგზემპლარად, საკუთრივ მათთვის და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის.

## **ბ-ნ ჯემალ შარაშენიდის რეცენზია და ჩემი პასუხები**

ბ-ნ ჯემალ შარაშენიდის რეცენზია დაიბეჭდა კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული XV ნომერში, გვ. 156-162. (2013 წ.), რომელიც გამოდის ივ. ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე, მაგრამ საზოგადოებრივ საწყისებზე და მისი რედაქტორია ქნი ი. ტატიშვილი, თუმცა ინსტიტუტის სამეცნიერო ორგანოს წარმოადგენს “ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები”. მე არ მხვდა წილად ბედნიერება, რომ თავად შემეძინა აღნიშნული ჟურნალი, თუმცა ოფიციალურ ვითარებაში, სასამართლოს მსვლელობის დროს, ბ-ნმა თემურ თოდუამ გადმოძცა ბ-ნი ჯემალ შარაშენიდის რეცენზიის ქსე-

როასლი. ამდენად, ვეყრდნობი ამ დოკუმენტს, როგორც ოფიციალურ წყაროს. აღნიშნული რეცენზია, როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, გადაეცა რექტორს, აკადემიკოს ლადო პაპავას. გულდასმით გავეცანი ბ-ნი ჯემალ შარაშენიძის მეცნიერულ კრიტიკას და შენიშვნებს, აქვე მსურს მადლობა გადავუხადო მას იმისათვის, რომ მან შეისწავლა ჩემი ნაშრომი და საჯარო ფორმა მისცა მეცნიერულ პოლემიკას, რასაც ჩვენ მხოლოდ მივესალმებით!

რადგანაც არ მინდა, რომ დაიკარგოს რეცენზიის პათოსი და ასევე, წამოჭრილი აქტუალური საკითხებიდან რაიმე დამრჩეს პასუხგაუცემელი, გადავწყვიტე, ბ-ნი ჯემალის ტექსტის გასწვრივ, განვავითარო ჩემი მოსაზრებანი შემდეგი სისტემით: ბ-ნი ჯემალის რეცენზიის ტექსტი გატანილია ბრჭყალებით (მისეული პუნქტუაციის დაცვით), მას მოსდევს ჩემი პასუხი; იქვე ვუთითებ ნაწილობრივ იმ ლიტერატურის მცირე ნაწილს, რასაც ვეყრდნობი.

1) “წიგნის ავტორი თავისი მონოგრაფიით ერთობ პრობლემური ამოცანის გადაწყვეტას ისახავს მიზნად: მას სურს, რომ შეისწავლოს ძვ.წ. IV-II ათასწლეულის დროინდელი ძველი შუამდინარეთის სახელმწიფოების – შუმერისა და ძველი ბაბილონის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მხარეები და გამოკვეთოს მათი გავლენის სფეროები მაშინდელი ვითარების მიხედვით საკმაოდ ვრცელ რეგიონზე – აღმოსავლეთით მდებარე ელამის სახელმწიფოდან მოკიდებული თითქმის ხმელთაშუაზღვისპირეთის სანახებამდე დასავლეთით.” რეცენზია, გვ. 156.

მონოგრაფიაში წარმოდგენილ პრობლემებზე ხელახლა აღარ შევჩერდები, რაც შესავალ ნაწილში გამოტანილია თავებში და ქვეთავებში, დაკვირვებული მკითხველი კარგად გაეცნობა იქ გაშლილ პრობლემატიკას.

ვეთანხმები ბ-ნ ჯემალს იმაში, რომ მონოგრაფიაში მე წამოვჭრი პრობლემურ ამოცანას, თუმცა აქვე დავაზუსტებ, რომ არა მხოლოდ ერთს, რაც რადიკალურად განსხვავდება რეცენზენტის მიერ აღქმული და დანახული რეალობისგან, რომელსაც ავითარებს რეცენზიის დასაწყისშივე (შდრ. ჩემი სარჩევის თავებს და ქვეთავებს).

ბ-ნ ჯემალს ვერ დავეთანხმები იმაში, რომ ძვ.წ. IV საუკუნეში შუამდინარეთში იყო სახელმწიფოები – შუმერი და ძველი ბაბილონი, რადგანაც აღიარებულია, რომ ძვ.წ. 3500 წლამდე შუამდინარეთში არის “პრეისტორიული ხანა”. **ამდენად, აქ ათვლის წერტილად ამ ქრონოლოგიური ზღვრის დადება, რბილად რომ ვთქვათ, არამართებულია.** ძვ.წ.3500-3100წწ. თარიღდება “ურუქის კულტურა”, ურუქი არის მხოლოდ ქალაქი, მას “პროტოქალაქსაც” უწოდებენ და ის არ არის მიჩნეული სახელმწიფო ერთეულად. **დავაზუსტებ ამ ნაწილს:** სახელმწიფოს ახასიათებს კომპლექსური ადმინისტრაციული სისტემა, ძალაუფლებაზე ორიენტირებული და სახელმწიფო ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი ადმინისტრაციული ინსტიტუტები და სხვა მახასიათებლები, რაც ურუქის შემთხვევაში არ დასტურდება. **ურუქში ჩნდება მხოლოდ ერთი ადმინისტრაციულ-ურბანული ინსტიტუტი – ტაძარი.** შუმერში და აქადში პირველი ქალაქები ჩნდება ძვ.წ. III ათასწლეულიდან და მხოლოდ ძვ.წ. 2900-2700 წლებით თარიღდება ადრედინასტიური I პერიოდი. ამ პერიოდიდან იწყება ქალაქების ისტორია, ან, უფრო სწორად, **ქალაქ-სახელმწიფოების სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული ერთეულებად ფორმირება, რაც დროში გაწეილი პროცესია.**

ბ-ნ ჯემალთან კიდევ მექნება პრეტენზია წიგნის ქრონოლოგიური ქარგის დამახინჯებულ აღქმასთან დაკავშირებით, კერძოდ, **მისი თქმით, ვიკვლევ “ძვ.წ. IV-II ათასწლეულს.”** აქ გაუგებარია მის მიერ მითითებული ბოლო ქრონოლოგიური მიჯნაც – ძვ.წ. II ათასწლეული, რადგანაც

მე მკაფიოდ მიწერია ბოლო თავის სათაურში თავი X. ძველი მახლობელი აღმოსავლეთი ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში, ჩემი წიგნი თავდება ძვ. წ. XVII საუკუნის 20-ანი წლებით და საუბარია მარის ქალაქ-სახელმწიფოზე და, გაკვრით, რეგიონში ხეთების გამოჩენაზე. ზუსტად 6 საუკუნე მრჩება კიდევ საკვლევი, რომ ბოლომდე აღვწერო ძვ.წ. II ათასწლეული, ეს შრომა ჯერ არ დადისრულებია და არც გამომიქვეყნებია. ვინც დარგში მუშაობს (ან არ მუშაობს), შესანიშნავად ესმის, თუ ამ 6 საუკუნეში რამდენი ქალაქი და სახელმწიფო ერთეული განადგურდა ან წარმოიქმნა რეგიონში, როგორ შეიცვალა ეთნიკური და დემოგრაფიული ფონი და, შესაბამისად, როგორ შეიცვალა ისტორიის დინამიკა და ტრაექტორია! ამის დასტურად სულ პატარა მაგალითიც კი საკმარისია, შუმერული ეთნოსი მეორე ათასწლეულის ბოლოს გადაშენებულია!

მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება ბ-ნი ჯემალის მიერ მითითებულ ტერიტორიული განფენილობის პრობლემასთან დაკავშირებით. ნამდვილად პირველად მესმის, რომ “შუამდინარეთის სახელმწიფოებს – შუმერსა და ძველ ბაბილონს” რაიმე შეხება ჰქონდა ტერიტორიასთან, როგორც ის მოიხსენიებს, “ხმელთაშუაზღვისპირეთის სანახებადღე დასავლეთით”. თუ “დასავლეთში” გულისხმობს მარს და იამხადის, ეს ქალაქი-სახელმწიფოები სირიაში მდებარეობდნენ (იამხადი თანამედროვე ალექო, მარი კი ლოკალიზირდება შუა ევფრატზე, ამ ნაწილს “ზემო შუამდინარეთსაც უწოდებენ”). ამდენად, “ხმელთაშუაზღვის სანახებადღე” როგორ გადის შუმერის და ძველი ბაბილონის “კავშირები”, რბილად რომ ვთქვა გაუგებარია. თუ ამ საკითხის ცოდნას მაინც მომაწერს ბ-ნი ჯემალი ამ წიგნის ფარგლებში, მაღლობას ვერ გადავუხდი, რადგანაც ეს არის დარგში სერიოზული განა-

ცხადი, რასაც მე ვერ დავასაბუთებ! თუ ის დაასაბუთებს, მაშინ ის დარგს ახალი აღმოჩენით გააოცებს!

ლიტერატურა: M. Van de Mieroop, A History of the Ancient Near East ca. 3000-323 BC, Second Edition, Blackwell Publishing, Oxford 2007; M. Van de Mieroop, The Ancient Mesopotamian City, Oxford , 2004; Civilizations of the Ancient Near East, ed., J. Sasson, Michigan, 2000; R. Wallenfels (edr.in Chief) and J. Sasson (consulting edr.); The Ancient Near East, An Encyclopedia for Students, v.1., New-York, London 2000.

2) “შეიძლება არ იყოს უადგილო ავტორის მიერ საკითხის დასმა იმის შესახებ, რაც ტრადიციული ტერმინის “ძველი აღმოსავლეთის ისტორიის” მაგივრად შემოვიღოთ ახალი, უფრო ზუსტი და რამდენადმე გამოკვეთილი შინაარსის მქონე ტერმინი ”ძველი ახლო აღმოსავლეთის ისტორია”. ამ საკითხის დასაბუთებას ეძღვნება არც თუ ისე ურიგოდ დაწერილი და მისაღები არგუმენტებით შემაგრებული მსჯელობა, რომელიც მონოგრაფიის პირველი და მეორე თავებისათვის განკუთვნილ ადგილს 5-30 გვ. იკავებს.” რეცენზია, გვ. 156.

ბ-ნი ჯემალი ის პროფესორია, ვინც 2006 წლიდან კითხულობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე “ძველი აღმოსავლეთის ისტორიის” სავალდებულო კურსს, და თუ მე, როგორც ის მიწოდებს, დარგში “უცოდინარმა”, მივიყვანე ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის კონცეფციის რევიზიამდე, ეს ჩემი პირდაპირი თუ ირიბი მეცნიერული აღიარებაა! მაგრამ სინამდვილეში, დარგის კონცეფცია და ტერმინი სულაც არ არის ახალი და ჩემი დაზუსტებული, ეს დარგის ხანგრძლივი განვითარების შედეგია! ბ-ნი ჯემალი ახლა ამ კურსს უკვე აღარ კითხულობს, სამწუხაროდ, სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა, კურსი ორ პროფესორს მიჰყავს, რომლებსაც დარგზე მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა აქვთ (ერთ-ერთი პრო-



ფესორის ნაშრომზე ვფიქრობ, რომ დავწერ რეცენზიას ახლო მომავალში). ბ-ნო ჯემალ, რახან თქვენ მიხვდით, რომ დარგის კონცეფცია ჩემი გავლენის წყალობით უნდა შეცვალოთ, იქნებ მიხედოთ ამ საქმეს, რადგან მე თავის დროზე ეს არ გამაკეთებინეთ! გაგიზიარებთ ჩემს მოსაზრებას იმის თაობაზეც, რომ არსებული სილაბუსი უნდა შეიცვალოს და პროფესიულ დონეს პასუხობდეს. სტუდენტებმა შვება უნდა იგრძნონ!

3) “წიგნის ამ ნაწილში წამოყენებული ზოგადი პოსტულატების ფაქტობრივი მონაცემებით შემაგრებას კი ეთმობა მონოგრაფიის დანარჩენი ნაწილი (გვ. 31-151), სადაც საკმაოდ სკურპულოზურადაა აღნუსხული ის კონკრეტული რეალიები, რაც წიგნის შესავალში დასმული მთავარი პრობლემის – ძველი შუამდინარეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი მახასიათებლების ჩამოყალიბება და გავრცელება-გავლენის სურათის რეალურ სახეს წარმოაჩენდა. მაგრამ სამწუხაროა, რომ წიგნის სწორედ ეს ნაწილი – უმთავრესი და ფაქტობრივი მასალის შემცველი დიდი მნიშვნელობის მქონე მონაკვეთი იწვევს მკითხველში უკმაყოფილების გრძნობას მასალის ნაკლები სისრულით წარმოდგენის თვალსაზრისით.” რეცენზია, გვ. 156.

ბ-ნო ჯემალ, რახან თავიდანვე ავირჩიე პრინციპი, რომ უყურადღებოდ არ დავტოვო თქვენი არცერთი აზრი, ამ ნაწილზეც მოგახსენებთ: თუ პოსტულატების გასამაგრებლად სკურპულოზურად აღვნუსხავ და მომყავს კონკრეტული რეალიები. ვფარავ ყველა ასპექტს და მახასიათებელს კონკრეტული თემის გარშემო და ეს მოიცავს 31-151 გვერდებს, თქვენ რატომ გიჩნდებათ უკმაყოფილების გრძნობა მასალის სიმცირისთან დაკავშირებით? თქვენ ხომ მთელი შუამდინარეთის ისტორიის პრობლემატიკა (თანაავტორი რ. რცხილაძე) და ემპირიკა (ფაქტობრივი მასალა) მხოლოდ 77 გვერდში ჩაატიეთ? (შდრ. ძველი აღმოსავლეთის ისტორია

გვ. 39-117, 1988 წ.). თუ მიპასუხებთ, რომ წიგნის ფორმატი გზლუდავდათ, გავიგებთ, მაგრამ არ მესმის, 1988 წლის შემდეგ ამ ჩავარდნის გამოსწორებას რატომ არ ეცადეთ? მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ ამ წიგნით აიძულებდით (ეს დღემდე გრძელდება) სტუდენტებს, ესწავლათ “ძველი აღმოსავლეთი”? 1988 წლიდან დარგში ახალი არტეფაქტები გამოჩნდა, რომელსაც ქართული საზოგადოება 1988 წელს არ იცნობდა, გამოჩნდა ახალი ფირფიტებიც, რომელიც ერაყიდან აშშ-ს უნივერსიტეტებში მოხვდა და გამოქვეყნდა და ახლა ისევ ერაყში იგზავნება. იქით იყოს ამ თქვენი ნაშრომის საკითხი, ეს თქვენი საზრუნავია, მაგრამ კატეგორიულად არ დაგეთანხმებით იმაში, რომ წიგნში მწირია ფაქტობრივი მასალა. არ წამომიჭრია არც ერთი პრობლემა, რომელიც არსებული ფაქტობრივი მასალით არ მყარდება და დასტურდება. თუ ფაქტი არ არსებობს, არც პრობლემა წამოიჭრება (ეს ხომ მიზეზშედევობრივი კავშირია!) და თუ ფაქტები ერთეულია, მე ვერ გავაკეთებ არტეფაქტის ხელოვნურ ფაბრიკაციას!

თქვენი შენიშვნის საპირწონედ კიდევ გავიმეორებ, რომ ჩემი წიგნის ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ეს მონაკვეთი მხოლოდ ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარს მოიცავს (წიგნი I) და წინ ერთ ათასწლეულზე მეტი მაქვს აღსაწერი!

4) “ამჟამად ჩანს, რომ მოხსენიებული წიგნის უმეტესი და ძირითადი ნაწილი დაწერილია არა ძველი შუამდინარული პირველწყაროების მონაცემთა საფუძველზე, არამედ ზედმეტად კომპილაციური ხასიათისა”. რეცენზია, გვ. 156.

ბ-ნო ჯემალ, დასაზუსტებელია, თუ რას გულისხმობთ გამოთქმაში “შუამდინარული პირველწყაროების მონაცემები”, მხოლოდ ემპირიკას? ზოგადად, პირველწყაროა არტეფაქტები, წერილობითი, ლიტერატურული ტექსტები და ეპიგრაფიკული მასალა (უმჯობესია, თუ ამ მასალას კონტექსტიც

ახლავს თან). თქვენგან განსხვავებით, მე ერთიც ნანახი მაქვს და მეორეც. თუ თქვენ გგონიათ, რომ ეს მხოლოდ ტექსტებია და იმას, რომ შუამდინარული ტექსტი არ არის ჩემი დეშიფრირებული და ნათარგმნი, გეთანხმებით, მე ამ ნაშრომში წყაროების დეშიფრირებას და თარგმანს არ ვისახავ მიზნად, და არც არასდროს მოვკიდებ ხელს იმას, რაც ბრწყინვალედ არის გაკეთებული ჩემამდე, იმ სპეციალისტების მიერ, ვინც კონკრეტულად ამ საქმეს ემსახურებიან. ისე, თქვენს დეშიფრირებულ ტექსტსაც გამოვიყენებდი, ასეთი თუ იქნებოდა და თან სანდო!

კომპილაციის საკითხს რაც შეეხება, მე, თქვენგან განსხვავებით, კომპილაციასა და გამოყენებულ ლიტერატურის შორის სერიოზულ განსხვავებას ვხედავ; მე არ ვთვლი, რომ თქვენ პიონერი ხართ, ვინც დარგში წამოაყენა პრობლემები, აღმოაჩინა არტეფაქტები, შეისწავლა წერილობითი წყაროები, ისტორიულ კონტექსტში ჩასვა და მოახდინა დარგის თეორეტიზაცია, რის გამოც (და მხოლოდ ამიტომ) ამბობთ უარს სხვისი შრომების აღიარებაზე. მე მირჩევნია კომპილატორი მიწოდოთ, ვიდრე ეს შეხედულებები გავიზიარო XXI საუკუნის 10-იან წლებში!

5) “წიგნის დასახელებულ ნაწილში შესული მასალის უდიდესი უმეტესობა ამოღებულია ძირითადად ინგლისურენოვანი პოპულარული ნაშრომებიდან. ავტორი თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება პუბლიკაციას: Van de Mierop M., *A History of Ancient Near East ca. 3000-323 BC*. Oxford, 2007. როგორც ვხედავთ, განსახილველი წიგნის სათაურიც ამ გამოცემიდან არის აღებული: დამატებულია მხოლოდ მთლად არც თუ ისე გასაგები შინაარსის ფრაზა: “განვითარების ტრაექტორიები.” რეცენზია, გვ. 157.

ნამდვილად არ ვიცი, ბ-ნი ჯემალი სიტყვას “პოპულარული” რა მნიშვნელობით ხმარობს, “აღიარებული” თუ სამეცნიერო-პოპულარული? მაგრამ წიგნი მართლაც ღირე-

ბულია, დარგში ახალია და ძალიან მომწონს. რაც შეეხება ამ წიგნიდან ამოღებული მასალის უმეტესობას, ვერ დავეთანხმები რეცენზენტს. მას რომ უნდოდეს, ძალიან ბევრ სხვა ავტორს ნახავდა, ვისაც ვეყრდნობი ჩემი მოსაზრების გასამყარებლად (შდრ. სქოლიოები და გამოყენებული ლიტერატურა), ვის აზრსაც, უბრალოდ, ვიზიარებ, ვის აზრსაც ვსესხულობ ან უბრალოდ, ვისაც ამ პრობლემაზე აქვს გამოთქმული საღი მოსაზრება. ბ-ნო ჯემალ! ამ მიდგომას ჰქვია დღეს დარგის თანამედროვე კვლევები! და იმაში, რომ მე მომწონს ეს ავტორი და ხდება მისი დამოწმება სხვადასხვა შემთხვევებში, რა არის ცუდი? როგორც თქვენ ბრძანებთ, “სიტყვასიტყვით” რომ არ მიყვები ავტორს და სხვა პრობლემატიკას ვიკვლევ, მარტივად დარწმუნდება გონიერი მკითხველი, შეადარებს ამ ორი წიგნის სარჩევებს და გამოტანილ საკვლევ პრობლემების თემატიკას და იქვე ნათელი ხდება ყველაფერი. თქვენ, იქნებ, სარჩევი მაინც შეგედარებინათ, თუ უფრო შორს ვერ წახვედით!

კიდევ ახალი ბრალდება სათაურთან დაკავშირებით. ბ-ნო ჯემალ, თქვენ აცნობიერებთ რას წერთ? მაშინ მომიწევს ახსნა, დარგს ჰქვია “ძველი მახლობელი აღმოსავლეთი” (მე ამას ვერსად ვერ გავექცევი, ჩემი კვლევის ობიექტია), აქვს თავის “ქრონოლოგიური ქარგა” (და ვერც ამ ნაწილს გავუკეთებ რევიზიას), მიზნად ვისახავ ისტორიული პროცესების დინამიკაში ასახვას ამ რეგიონში და ქრონოლოგიაში, ეს სამი ასპექტი ერთიანდება წიგნის სათაურში. თუ თქვენთვის “განვითარების ტრაექტორიები” გაუგებარია, მაშინ იქნებ “ისტორიული პროცესების დინამიკა” იყოს გასაგები? ძველი მახლობელი აღმოსავლეთი ტრაექტორიებს იცვლის მაშინ, როდესაც ჩნდება (ან პირიქით, ნადგურდება) ახალი ხალხი, ახალი ქალაქ-სახელწიფოები, სახელმწიფოები და იმპერიები სხვადასხვა ეპოქაში.

6) “ავტორი ძალზე თავისებურად უთითებს თავის ძირითად წყაროს, მკითხველი, თუ ამ ორი წიგნის დეტალურ შედარებას არ მოინდომებს, ვერ მიხვდება, ეს მითითება რამე კონკრეტული დებულების გაზიარებას ნიშნავს, თუ მთელი პასაჟების, სქემებისა და ა.შ. გადმოწერას. შესაბამისად, სესხების ამ ფორმას მთლად პლაგიატი, ალბათ, არ ეწოდება, მაგრამ მეცნიერულ კეთილსინდისიერებასთან მას ნამდვილად არაფერი აქვს საერთო.” რეცენზია, გვ. 157.

ბ-ნო ჯემალ თქვენ, ალბათ, არ გეკუთვნით ეს “აღმოჩენა”, იმიტომ, რომ პირველად ზუსტად ეს კითხვა, საკონკურსო გასაუბრებაზე თქვენმა კოლეგამ, **ლევან გორდუზიანმა** დაძისვა, შემდეგ არ მომცა საშუალება, ბოლომდე მეპასუხა. ახლა დრო, ფორმატი და ვითარება მაძლევს ამისთვის სრულ თავისუფლებას. არ მესმის “**თავისებურად მითითებული წყაროს**” და “**ძირითადის**” მნიშვნელობა? თუ თქვენთვის, ორივესთვის, ეს წყარო არის ძირითადი, იმიტომ რომ სხვა წიგნები, რომელიც მე მაქვს მითითებული, არ **გაქვთ შეძენილი და წაკითხული**, მაშინ ის “**ძირითადი**” თქვენთვის ხდება და არა ჩემთვის (იხილავს ამ მითითებულ წიგნებს მკითხველი)! **რაც შეეხება მონოგრაფიაში მითითების წესს**, სქოლიოს მითითება აუცილებელია, როცა: 1) ვეყრდნობი სხვა ავტორს ჩემი მოსაზრების გასამყარებლად; 2) სხვა ავტორის აზრს ბოლომდე ვიზიარებ; 3) სხვა ავტორის აზრს ვსესხულობ, თუ სიტყვასიტყვით ვსესხულობ, საჭიროა ბრჭყალების და სქოლიოს მითითება, თუ ნაწილობრივ ვიზიარებ და ვუკეთებ ინტერპრეტაციას, მაშინ სქოლიოს ვეყრდები; 4) მოვიხსენიებ სხვა ავტორს, ვისაც ამ პრობლემაზე აქვს გამოთქმული მოსაზრება. ეს არის საერთაშორისო სტანდარტი, თუ ამ წესს თქვენ “**თავისებურ**” მითითებად თვლით, ალბათ, თქვენ ორს, გაქვთ შემუშავებული “**საკუთარი სისტემა**”, რასაც რეცენზიაში ახსენებთ, მაგრამ არ გვიზუსტებთ!

სქემების საკითხიც არ მინდა უპასუხოდ დამრჩეს, რაც კვლავ კოლეგის, გორდეზიანის კითხვასთან მაბრუნებს. ნაშრომში მრავალი სქემაა, მე მომწონს ეს სტილი, როცა ნაშრომი გამდიდრებულია სქემებით, დიაგრამებით, მაგრამ ამ სქემების დიდი ნაწილი ჩემი შექმნილია, ნაწილი – ნასესხები. ნასესხები სქემები (მითითებული პირველწყაროთი) ორ კატეგორიად იყოფა: პირველი ეხება ქრონოლოგიაში გადატანილ ისტორიულ პროცესებს და მეორე – მეფეთა სიას და დინასტიებს. თქვენ თვლით, რომ “მეფეთა სია” და “დინასტიების სქემა” **Van de Mierop M., A History of Ancient Near East ca. 3000-323 BC. Oxford, 2007** წიგნიდან არის ამოღებული. ამაშიც ცდებით, ეს არის ბრინკენის ნუსხა, რომელიც ისესხა ოპენჰეიმმა და თქვენ რომ წიგნი შეგიძენიათ გორდეზიანთან ერთად, მისმა ავტორმა (**Van de Mierop**) და მეც საერთო პირველწყაროთი ვიხელმძღვანელებთ, ოღონდ **სწორედაც რომ მეცნიერული კეთილსინდისიერებით: მე ეს ავტორები 151-ე გვერდზე მივუთითე!** ეს ავტორები და მათი ღვაწლი კეთილსინდისიერად ავსახე. აი, თქვენ კი ამ მხრივ არ გამოირჩევით კეთილსინდისიერებით! **კარგად მანსოვს, პროფესორ გორდეზიანის “გონივრული შენიშვნა”, რატომ გადმოიტანე ეს მეფეთა სია ამ თანამიმდევრობითო, რომანოვების დინასტია ხომ არ იყო?** განა მართო რომანოვების დინასტიის ასახვის დროს არის თანამიმდევრობა და სახელების მითითება საჭირო?! პატივცემულებო! დარგში უნდა სცეთ პატივი სხვის ღვაწლს, აღმოჩენებს, დადგენილ ნორმას! აბა, თქვენ თქვენს ნებაზე ამ დინასტიებს და მეფეების თანამიმდევრობას არავინ დაგალაგებინებთ! ამას ჰქვია ფაქტებით გამყარებული სისტემა!

მეცნიერული ეთიკა გვკარნახობს, წიგნი ქართულია თუ ინგლისური, სერიოზულად უნდა გაეცნო, კრიტიკაც სერი-

ოზული უნდა იყოს, რასაკერველია, თუ პასკვილების წერი-  
სთვის არ ხარ მოტივირებული და ცოდნაშიც მოიკოჭლებ!

7) **”თხრობაში ავტორი შიგადაშიგ ურთავს ადგილებს  
ენციკლოპედიური გამოცემებიდან, ზოგჯერ სერიოზული  
მონოგრაფიული გამოკვლევებიდანაც, მაგრამ უკანასკნელი  
ძალზე იშვიათად ხდება”.** რეცენზია, გვ. 157.

ბ-ნო ჯემალ, არ გიფიქრიათ იმაზე, რომ დაინტე-  
რესებული მკითხველი და კრიტიკოსი შეადარებს ჩემი წიგ-  
ნის სქოლიოებში მოყვანილ ლიტერატურას და თქვენ ბრალ-  
დებაზე დაფიქრდება?! ეს წიგნი ხომ იყიდება? სულ მცირე,  
რაც შეიძლება იფიქროს, რომ თქვენ ვერ ანსხვავებთ ერთ-  
მანეთისგან ცალკეულ პრობლემაზე გამოცემულ კვლევებს,  
მონოგრაფიებს და ენციკლოპედიურ გამოკვლევებს. უკვე მეო-  
რე საკითხია, თქვენ რატომ ამხნვებთ ამ თანაფარდობას.  
**ამ შემთხვევაში, ვეყრდნობი სტატისტიკურ მონაცემებს:** ჩემი  
სამეცნიერო ერთეულები გატანილია სქოლიოებში, საერთო  
სტატისტიკური მონაცემით, დაახლოებით ერთ გვერდზე 5  
სქოლიო, ზოგადად მერყეობს 3 მითითებული ერთეულიდან  
10-მდე; გამოყენებულ ლიტერატურაში **214 ერთეულია.** ამ  
თემას აღარ განვაგრცობ, უკვე ზემოთ ვისაუბრე. **მაგრამ  
სტატისტიკას კვლავ მოვუხმობ:** თქვენ ძველი შუამდინა-  
რეთის ისტორიის მოდელირებაში დაეყრდენით 16 ავტორს  
(მხოლოდ ქართულენოვანი და რუსულენოვანი ლიტერატურა,  
შდრ. “ლიტერატურა” გვ. 484-485). აქედან 3 ნაშრომი  
თქვენია და ორი 1988 წლისთვისაც კი საკმაოდ მოძველე-  
ბული – თარიღდება 1968 წლით. ყველაზე ახალი ლიტერა-  
ტურა მითითებულია თქვენი ავტორობით 1983 და ყველაზე  
ძველი – 1961 წლით. 1988 წელს გამოცემულია ზურაბ  
კიკნაძის ბრწყინვალე “შუამდინარული მითოლოგია” (1979),  
რომელიც თქვენს მითითებულ ლიტერატურაში არ ხვდება,  
ალბათ, არ მოგწონთ და იმიტომ! მაგრამ ანაცვლებთ თქვენი  
ზემოთ მითითებული ნაშრომით “შუმერები და მათი კულ-

ტურა” (1983). თქვენ არ მოგწონთ და არ იხსენიებთ დასავლეთის არც ერთი ცნობილი ავტორის ნაშრომს, კრამერის ერთი წიგნის გარდა (თუმცა მას მრავალი შთამბეჭდავი კვლევა აქვს). ეს ფაქტიც თქვენს რაფინირებულ მეცნიერულ გემოვნებაზე და კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს!

8) “ამასთანვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ვერ ნახავთ წიგნის თითქმის ვერცერთ გვერდს, რომელზედაც არ გვხვდებოდეს მეტ-ნაკლები ხარისხისა და ღონის უზუსტობანი, ხშირად აშკარა და მკვლევრობის პრეტენზიაზე მქონე ავტორისათვის ყოვლად მიუტყვევებელი შეცდომები. ყველა მათგანის აღრიცხვას ჩვენ ნამდვილად რომ ვერ შევძლებთ, მხოლოდ ზოგიერთზე მივუთითებთ.” რეცენზია, გვ. 157.

ბ-ნო ვემალ, როცა ყველა ცდომილებაზე მიმითითებთ მეტ-ნაკლები სერიოზული ხარისხის და ღონის კრიტიკით, პირობას გაძლევთ, რომ მე ამომწურავ პასუხებს გაგცემთ.

9) “ავტორი ხშირად უკრიტიკოდ იმეორებს უცხოელი მკვლევრების მიერ დაშვებულ აშკარა შეცდომებს, ან არასწორად აქართულებს მათ აზრს, რადგანაც არ ესმის კარგად, რაზეა საუბარი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: ურუქის ხანაში (ძვ.წ. IV ათასწლ. შუა ხანები) თითქოს “დადგინდა წელიწადი, რომელშიც 12 თვე იყო, ხოლო თითოეული თვე 30 დღისგან შედგებოდა. მას ემატებოდა დამატებით ერთი თვე, წელიწადის გამოტოვებით, რათა ერთიანი სოლარული ციკლი დაფიქსირებულიყო (გვ. 47). ავტორი ამისთვის Van de Mierop-ს უთითებს. ამ უკანასკნელს უწერია “an additional month was added intermittently....” შიგადაშიგ/პერიოდულად ერთვოდა დამატებითი თვე (გვ. 33). რაც სწორია, მაგრამ დაზუსტებას საჭიროებს”, სინამდვილეში დამატებითი (ე.წ. diri “ზედმეტ”) თვეს შუმერები ურთავდნენ არა ყოველ მეორე წელიწადს (ეს ხომ შუმერების მხრიდან დიდი შეცდომა იქნებოდა!) არამედ



ყოველ მე-5 წელს (ეს გარემოება კარგა ხანია გამოკვლეულია N.Schneider-ისა და T.Gomi-ის მიერ).” რეცენზია, გვ. 157.

ბ-ნო ჯემალ, არ ივარგებს ასეთი მიდგომა, მწამებთ უყურადღებობას, ზედაპირულობას, ენის უცოდინარობას და თან ამახინჯებთ ჩემს ტექსტს, კონტექსტიდან გლეჯთ ცალკეულ ფრაზებს. მე მიწერია (მომყავს უცვლელად ეს პასაჟი): **“გვიანი ურუქის ხანიდან** ზომა-წონის ერთეულების აღსანუსხავად განჩნდა მეტროლოგიური ნიშნები. დროის აღსანიშნავად დადგინდა წელიწადი, რომელშიც 12 თვე იყო, ხოლო თითოეული თვე 30 დღისგან შედგებოდა. ამას ემატებოდა დამატებითი ერთი თვე, წელიწადის გამოტოვებით, რათა ერთიანი სოლარული ციკლი დაფიქსირებულიყო” (სქოლიო ნ. გვ. 47, მითითებული ავტორი **Van de Mieroop** გვ. 31-33).

რეცენზიაში თქვენ წერთ, თითქოს მე მიწერია: **“ურუქის ხანა (ძვ.წ. IV ათასწ. შუა ხანები)”**. არ მინდა ცილისწამება ან უცოდინარობა დაგაბრალოთ, მაგრამ როგორ მოვიქცე?! ჯერ ერთი, ჩემ მიერ მითითებული დეფინიცია – **გვიანი ურუქი** არ არის **“ურუქის ხანა”** და მისი ერთი მონაკვეთია, მით უმეტეს თქვენეული ჩანართი, ქრონოლოგიური ქარგა **“ძვ.წ. IV ათასწ. შუა ხანებში”** არ არის სწორი, ადრეული ურუქი იწყება და მოიცავს ძვ.წ. 3500-3200 წწ., როცა გვიან ურუქს შეესაბამება ძვ.წ. 3200-3100/3000 წწ. თქვენეული ფრაზა რომ მოვიშველიო, ფაქტობრივი მასალა, **“შუამდინარული პირველწყაროების მონაცემები”** განაპირობებს კულტურის ქრონოლოგიურ დათარიღებას! თქვენ დარგის ქრონოლოგიაზე პირველკურსელი სტუდენტის ცოდნა გაქვთ! ეს არ ეკადრება კრიტიკით დაკავებულ მწერალს!

ლიტერატურა: M.Liverani, Uruk ,The First City, London , 2006 გვ. 84; Civilizations of the Ancient Near East, ed.,

J.Sasson, Michigan, 2000 გვ. 4. შდრ. ქრონოლოგიის სქემას აგრეთვე გვ. 796.-798. ამავე გამოცემაში, H.J. Nissen , “Ancient Western Asia before the Age of Empires”.

მეორე საკითხი ეხება ისევ ჩემს კეთილსინდისიერებას, ავტორის (**Van de Mierop** გვ. 31-33.) ამ გრძელ პასაჟებს ბრჭყალების გარეშე გადმოვცემ, ჩემი ერთი პატარა პასაჟი მითითებული ავტორის მსჯელობას არ ასახავს ბოლომდე, მე ამ მსჯელობას არ მივყვები, თუმცა ვიზიარებ. თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს დებულება **სწორია, მაგრამ** დაზუსტებას მოითხოვს, ვის ასწავლით ჭკუას – მე თუ მეირუპს? კარგით, იქით იყოს ეს საკითხი, მაგრამ მოვყავთ ორი ავტორის გვარი, თქვენი აზრის დასტურად (**T.Gomi** და **N.Schneider**), **მაგრამ არ უთითებთ ნაშრომის სათაურებს** და სწორედ აქ უნდა დაგესხნოთ მართებულ სიტყვას: “**თითქოსდა**” გესმით ეს საკითხი. არ გესმით, ბ-ნო ჯემალ, ეს საკითხი, არც მეირუპზე და არც ჩემზე უკეთ, და აი რატომ:

**T. Gomi:** მართლაც, ამ ავტორს აქვს გამოქვეყნებული ნაშრომი კალენდარზე: Tohru Gomi, “On the Position of the Month iti-ezem-dAmar-dSin in the Neo-Sumerian Umma Calendar”, Zeitschrift für Assyriologie und Vorderasiatische Archäologie 75 (1985), 4–6. მაგრამ ჩემი სუსტი უცხო ენების ცოდნის კვალობაზეც ნათელია, რომ ეს ნაშრომი ურუქის ხანას კი არა, ახალ შუმერულ ხანას ეხება. სად ვცურავთ ახლა ჩვენ? ახალ შუმერულ ხანაში – ძვ.წ. 21-20 საუკუნეებში, თუ ისევ ურუქში ვართ?

ეს წიგნი არ მაქვს და, გამოვიტყდებით, არც ავტორს ვიცნობ, მაგრამ ინტერნეტ რესურსის დახმარებით შევდივარ ოქსფორდის უნივერსიტეტის შუამდინარული კალენდრის გარშემო არსებულ ლიტერატურის კატალოგში და იქ ვნახულობ ბიბლიოგრაფიას. გასაუბრებაზე თქვენს მიერ ნათქვამ ფრაზას თუ დავყვრდნობი, “ოქსფორდშიც არიან დებილი პროფესორები”, მაგრამ დასავლური უნივერსიტეტის ხიბლი

იმაშია, რომ ყველაფერს აღნუსხავენ და მეცნიერს უადვილებენ ცხოვრებას. თქვენი მეორე ავტორიც აქ არის, **Nikolaus Schneider**, *Die Zeitbestimmungen der Wirtschaftsurkunden von Ur III* (Rome 1936). რატომღაც ესეც ურის III პერიოდზე წერს და ისევ ახალ შუმერულ ხანაში მახრუნებს. ამიტომაც არ გინახავთ ეს ავტორები თქვენ და სათაურებიც არ იცით ამ წიგნების!

[http://cdli.ox.ac.uk/wiki/doku.php?id=calendars&s\[\]=gomi#pre-sargonic\\_and\\_sargonic\\_calendars](http://cdli.ox.ac.uk/wiki/doku.php?id=calendars&s[]=gomi#pre-sargonic_and_sargonic_calendars)

10) “ასევე არასწორია, რომ თითქოს ურუქის ხანაში განისაზღვრა წონის ერთეულის – ტალანტის სიდიდე (გვ. 47). ამ აზრსაც ავტორი **Van de Mieroop**-ს მიაწერს, ამჯერად სამართლიანდ. ცნობილი კი არის, რომ ტალანტის ზომა გაცილებით გვიან დადგინდა (ამაზეც არსებობს **I.J.Gelb**-ისა და **A.Solonen**-ის ნაშრომები)” რეცენზია, გვ. 158.

ბ-ნო ჯემალ, მინდა კიდევ ერთხელ ავიხსნათ, რომ ავტორის სახელი და გვარი მისი ნაშრომის გარეშე არის მარტო სახელი და გვარი, ნაშრომის სათაური აკადემიურ რეცენზიაში აუცილებლად უნდა მიეთითოს! წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს არასერიოზულია და არასერიოზულ კითხვებს სერიოზული მეცნიერები არ პასუხობენ! ახლა გადავალ **Van de Mieroop**-ს “დაცვაზე”, იხილეთ გვ. 320-321, ავტორის მიერ 2 თავისთვის აკურატულად შედგენილი და გამოყენებული ლიტერატურა (რასაც თქვენ ელავებით უკვე მას), ინტერნეტ რესურსი (ლექსიკური ტექსტების მონაცემებისთვის). სხვათა შორის, თქვენი ავტორები გააკრითაც არ არიან ნახსენები, თუ თქვენი წინა მაგალითით ვიმსჯელებთ, იქნებ არც კი ჰქონიათ მათ ამ თემაზე ასეთი გამოკვლევა? მე გირჩევთ, თუ **Van de Mieroop**-ს მიმართ რაიმე პრეტენზია გაქვთ, თავად მისწერეთ (მისამართს მე მოგაწვდით), ან ინგლისურად გამოუქვეყნეთ რეცენზია და დაელოდეთ

**პასუხს!** ისევ მეირუპის “კრიტიკას” მიჰყვება ჩემი რეცენზენტის შემდეგი პასაჟები:

12) “ამავე ავტორს მიეწერება კიდევ ერთი უზუსტობა: თითქოს აქადის დინასტიის მეფემ მანიშთუსუმ (და არა “მანიშთუსუმ” “როგორც წიგნის ავტორი წერს) მის მიერ შესყიდული 3 ათას ჰექტარზე მეტი მიწა თითქოს “გადასცა მის ერთგულ ხალხს საკუთრებაში” (გვ. 105). Van de Mieroop-ი უფრო რბილად წერს (გვ. 66): “თუმცა შესყიდვის ფასი არ იყო უჩვეულოდ დაბალი, ცხადია, რომ მანიშთუსუმ იძულებით გააყიდვინა მფლობელებს მიწა, რათა თავისი მხარდამჭერებისთვის მისი დარიგების შესაძლებლობა ჰქონოდა.” რეცენზია, გვ. 158.

ბ-ნო ჯემალ, რა უზუსტობაზეა ლაპარაკი, ვერ გავიგე. და ვერც მკითხველი გაიგებს, რადგანაც მიმახინჯებთ ტექსტს. მე ვწერ: ”სავარაუდოდ, მეფე მანიშთუსუს ზეგავლენა მოუხდენია მიწის მეპატრონეებზე და ეს მიწები შედარებით იაფად მიუღია. მეფე მანიშთუსუს ეს მიწები გადაუცია მისი ერთგული ხალხისთვის საკუთრებაში” (გვ. 104-105).. შეადარეთ ეს ტექსტი თქვენს მოყვანილ **Van de Mieroop-ის ტექსტს**. მე არ მესმის, მისი ტექსტის “სირბილეში” თქვენ რას გულისხმობთ, მაგრამ ამ საკითხში ჩემი აზრი ბოლომდე ემთხვევა მის აზრს.

მეორე თემა – საკუთარი სახელების (ონომასტიკონის) საკითხი – ძალზე პრობლემური თემაა ძველი ისტორიის დარგში, განსაკუთრებით, თუ მკვდარ ენებზეა საუბარი. სხვადასხვა ავტორი შეიძლება გვთავაზობდეს სახელის მისეული ამოკითხვის ვერსიას. ახლა ამ საკუთარი სახელის შესახებ ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა, **მანიშთუსუ-ს, ჩემეული ვერსიის და მანიშთუსუ-ს, თქვენეული ვარიანტის შესახებ**. არც ჩემი და არც თქვენი ვერსიები არ არის ფართოდ აღიარებული, უფრო მიღებულია ვარიანტებია *Maništisu* (*მანიშთისუ*) ან *Maništišu* (*მანიშთიშუ*) და არა **მანიშთუსუ**,

ან მანიშთუშუ. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი იყენებს ჩემს და თქვენს მითითებულ ვერსიასაც (თქვენი ვერსია მიღებულია რუსულენოვან გამოცემებში). ონომასტიკონის თემას აღარ დავუბრუნდები, ამ მიმართულებით რეცენზენტი სხვაგანაც გვახვევს თავს თავის ვერსიებს, მე დავაკონკრეტებ საკითხს, უპირატესობას დასავლეთში მიღებულ ვერსიებს ვანიჭებ!

**ლიტერატურა:** Neo-Sumerian Administrative Tablets from The Yale Babylonian Collection, I part, eds., M.Sigrist, T.Ozaki 2009, 56 გვ.; The Babylonian Laws-Hammurabi king of Babylonia, Clarendon Press 1955, 127 გვ. იქვე იხილე დამოწმებული ლიტ-რა. თქვენეულ ვარიანტს იმოწმებს **Van de Mieroop-ი**.

13) “ამავე ავტორისაგან მომდინარეობს ე. ავალიანის მორიგი შეცდომა: თითქოს შუმერის სახელმწიფოს “პერიფერიაში მიმდინარე პროცესებს ცენტრთან (იგულისხმება ქვეყნის დედაქალაქი ური – ჯ.შ.) აკონტროლებდა მეფის მოხელე ე.წ.სუკალ-მანი” (გვ. 119). ეს განცხადება არაა სწორი. სუქალმანს არ ევალებოდა პერიფერიებში მიმდინარე პროცესების კონტროლი. იგი იყო სახელმწიფოს საგარეო საქმეების უწყების მეთაური, რომელიც იჯდა არა დედაქალაქში, არამედ მისგან რამდენადმე მოშორებით მდებარე ლაგაშში. სუქალმანის სახელოში შედიოდა აგრეთვე ქვეყნის შიგნით მიმდინარე საფოსტო საქმიანობის ზედამხედველობაც (ამ საკითხზე არსებობს ჩემი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელსაც ავტორი, ჩანს არ იცნობს. თუ იცნობს, მასზე მითითებას იგი მაინც არ იკადრებდა, რადგანაც ე. ავალიანი პრინციპულად არ სცნობს უცხოელი, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი მკვლევრების გარდა არავის – არც რუსებს და მითუმეტეს არც ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებს!)” რეცენზია, გვ. 158.

ბ-ნო ჯემალ, კიდევ ერთხელ გთხოვთ, არ გინდათ ვოლუნტარული ტიპის პერიფრაზები და პასაჟების “დაჩეხ-

ვა”, “მიმატება” და “გულისხმობა”, სიტყვების დაკლება და ა.შ., მაშინ ბრჭყალები მაინც მოსპეთ! არ გეკადრებათ ამ ასაკში ეს ყმაწვილკაცური ცუდლუტობა. მე ვწერ: ”პოლიტიკურად დაქვემდებარებულ რეგიონებში ურის მეფეებმა დაადგინეს თავიანთი სამხედრო რეჟიმი, მმართველები სამხედრო გენერლები იყვნენ (მითითებულია სქოლიო). პერიფერიაში მიმდინარე პროცესებს ცენტრიდან აკონტროლებდა მეფის მოხელე ე.წ. კანცლერი, *სუკალ-მახი*” (მითითებულია სქოლიო) (გვ. 119).

ახლა გადავიდეთ თქვენს ბრალდებაზე და მოვიშველიოთ მეცნიერული სტატისტიკა: ური III ხანაში *სუკალ-მახი*-ს პოზიცია საზოგადოდ მიჩნეულია დიდი ვეზირის თანამდებობად, სიტყვა-სიტყვით კი ნიშნავს “უზენაეს მაცნეს”, იგივე პრემიერ მინისტრს შდრ. W.W. Hallo, *Early Mesopotamian Royal Titles*, American Oriental Series 53, New Haven, 1957 9-121 გვ.). ამ პერიოდში ური III-ს სახელმწიფო იყოფა ცენტრად და პროვინციებად/პერიფერიად, მმართველის (*ენსი*) გარდა, პროვინციას განაგებდა ცენტრიდან დანიშნული გენერალი, რომელიც იჯდა პროვინციაში და ისინი პირდაპირ მითითებას იღებდნენ კანცლერ *სუკალ-მახისგან*, ან მეფისგან, გვ. 20. შდრ. P. Steinkeller, “The Administrative and Economic Organization of UR III State: The Core and the Periphery”, in McGurie Gibson and R. D. Biggs eds., *The Organization of Power.Aspects of Bureaucracy in Ancient Near East*, Chicago, The Oriental Institute 1987 გვ. 19-41. გავაგრძელოთ ხაზი, მე არსად ვწერ (თქვენ გულისხმობთ ამას), რომ *სუკალ-მახი* იჯდა ქ. ურში, მე ვწერ, რომ იჯდა “ცენტრში და იქიდან აკონტროლებდა” (გვ. 119). ახლა დავაზუსტოთ, თუ რა ითვლება ცენტრად მაგ ხანებში: ური, ურუქი, გირსუ, ლაგამი და სხვ. ქალაქები ითვლება ცენტრად, შდრ. P. Steinkeller, გვ. 19. და არა მარტო ური, თქვენ რომ გგონიათ და”ვარაუდობთ” და თან მე მაწეროთ ამ

**აზრს!** ლაგაში ლანი, მისი ვაჟი ურ-შულფა და შვილიშვილი ირ-ნანა იკავებენ ამ თანამდებობას, ცნობილია აგრეთვე რამდენიმე ცილინდრი ირ-ნანას სახელით **გირსუდან**. დიდი ვეზირის ტიტული ვრცელდება ელაშიმიც, შუპერულის გავლენით.

თქვენ ამ საკითხში არ ეთანხმებით **Van de Mieroop-ს**, მაგრამ რას ერჩით ჩიკაგოს ბრწყინვალე სკოლის წარმომადგენელ **P. Steinkeller-ს**, ესეც დებილი **ოქსფორდელი პროფესორი ზომ არ არის? ჰარვარდის პროფესორია!** და ასევე ცნობილ მკვლევარს, **Dominique Charpin-ს**, ისინი ზომ ამ აზრს იზიარებენ – ურის III ხანაში პერიფერიებს მართავდნენ სამხედრო ავტორიტეტის მქონე მმართველები, ვინც ექვემდებარებოდნენ კანცლერს (SUKKAL.MA ).

ბ-ნო ჯემალ, არ შემოიძლია არ შევეხო თქვენს ბრალდებას, რომ ქართველ და რუს მეცნიერებს არ ვიხსენიებ ჩემს კვლევაში, ორივე სკოლის წარმომადგენლებს ვიხსენიებ (იხ. გამოყენებული ლიტერატურა), მაგრამ თქვენ არა! ამასაც ქვემოთ ავხსნი, თუ რატომ არა: 1974 წელს გამოვიდა თქვენი ნაშრომი, D.M.Scharaschanidze, "Die Sukkal-mäh des alten Zweistromland in der Zeit Der Ur 3 Dyn.von Ur" შემდეგ გამოცემაში: Acta Orientalia, 22, 1977, 103-12, სადაც თქვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ჰალოსგან განსხვავებულ პოზიციას აყალიბებთ. 1992 ისევ იბეჭდება W.W. Hallo-ს ნაშრომი "Ebrium at Ebla", Essays on the Ebla Archives and Eblite Language, გამომცემელები Cyrus H.Gordon & Gary A.Rendsburg, სადაც ის თქვენს პოზიციას მოიხსენიებს და არ ეეთანხმებათ, ჩანს, არც გორდონი და რენსბურგი იზიარებდნენ თქვენს აზრს, სხვების მსგავსად, იმიტომ რომ ისინი არ გბეჭდავენ ჰალოს გვერდით! რბილად რომ ვთქვა, არ მინდოდა ამის შესახებ საქართველოში გაეგოთ, მაგრამ თქვენ მაიძულებთ!

ლიტერატურა: Dominique Charpin, The History of Ancient Mesopotamia in: Civilizations of the Ancient Near East, ed., J.Sasson, Michigan, 2000, გვ. 812.

14) “გვ. 119-ზე განსახილველი წიგნის ავტორი წერს: ძვ.წ. 21-ე საუკუნეში “ურის დინასტიის პრინცესა დაქორწინდა ირანელ უფლისწულზე”. საოცარია, როგორ უნდა ვივარაუდოთ ამ შორეულ წარსულში თუნდაც ცნებისა და მისი შესაბამისი პოლიტიკური ერთეულის “ირანის” არსებობა. ეს შეცდომაც Van de Mieroop-ს ეკუთვნის, ე. ავალიანი კი უნებლიედ მის ტირაჟირებას ახდენს”. რეცენზია, გვ. 158.

ბ-ნო ჯემალ, არ არის ეს შეცდომა და არც Van de Mieroop-ს მოსვლია ეს შეცდომა. ტერმინ “ირანს” ძველ პერიოდთან მიმართებაში, როგორც გეოგრაფიულ-კულტურულ და პოლიტიკურ ცნებას, ისე გამოიყენებენ და არა როგორც მხოლოდ პოლიტიკურ ერთეულს, იმ ირანს, თქვენ რომ გგონიათ! ნახეთ ასეთი შრომა Art and Archaeology of Western Iran in Prehistory, ავტორი Oscar, White Muscarella, Civilizations of the Ancient Near East, ed., J.Sasson, Michigan, 2000, გვ. 981-999. ავტორს განხილული აქვს “ძველი ირანის” (სიტყვა-სიტყვით) კულტურები, ურბანული ცენტრები და სხვა, წინარე ისტორიიდან დაწყებული, რკინის ხანით დამთავრებული! იქვე იხილეთ სხვა ავტორების შრომები და ცოდნა გაიღრმავეთ!

15) “გვ. 131 წიგნის ავტორის მიხედვით, ”ხამურაბის სახელს მიეწერება სამართლის კოდექსის შექმნა”. ხამურაბის “კოდექსი” არ შეუქმნია და არც შეიძლებოდა იმ ეპოქაში შეექმნა. მას მხოლოდ კანონების კრებულის ავტორობა მიეწერება. ამიტომაც აშკარად მცდარია ტერმინის “ხამურაბის კოდექსის” ხმარება, რასაც, სამწუხაროდ, ქართველი იურისტის ნაშრომებშიაც ვხედავთ. აღნიშნული ტერმინის გამოყენებასაც ავტორი Van de Mieroop-ს მიაწერს.” რეცენზია, გვ. 158-159 .



ბ-ნო ჯემალ, რბილად რომ გითხრათ, აქაც ვოლუნტარულ ინტერპრეტაციას აკეთებთ, **Van de Mieroop-ს** კი არა, **S. Greengus** ვუთითებ მაგ სქოლიოში, რაც შეეხება თქვენს კატეგორიულ უარყოფას ამ ტერმინისა, რა ვქნა, მე ჯექ საზონის ავტორიტეტის და არგუმენტების უფრო მჯერა, ვისაც სერიოზული შრომა აქვს ამ საკითხში, ვიდრე თქვენი, ამიტომ ვიმეორებ მისეულ ტერმინს “ჰამურაბის კოდექსი”. ხომ ხედავთ, ქართველ იურისტებსაც თქვენზე მეტი ცოდნა აქვთ მაგ მიმართულებით!

რეცენზიის 159 გვ-ზე კვლავ ამ “დახვეწილ” სტილში გრძელდება ავტორის “შენიშვნები”. ამ შენიშვნებს პასუხი რომ კეთილსინდისიერად გავცე, ვშიშობ, არ დავარღვიო მეცნიერული ეთიკის ნორმები! აბა, როგორი პასუხი უნდა გავცე ასეთ შენიშვნას: “ნარამ-სინმა **kiššatu-ს** (უნდა იყოს ნარამსუენმა) დაუმატა დინგირი, ღვთის აღმნიშვნელი ნიშანი და ახალი კონცეფცია შემოიტანა ”მეფე ოთხი მხარისა”, ავტორი ჩაუფიქრდება ამ ფრაზას და ინანებს, რა უსუსური შეცდომა დაუშვა უნებლიედ.” ბ-ნო ჯემალ, იყოს თქვენთვის “ნარამსუენი”, მე უპირატესობას ბ-ნ ზურაბ კიკნაძის ვერსიას ვანიჭებ – “ნარამსინს.” ისე, არც მაგ ფრაზას აკლია “ჩაფიქრება” და არც ამ ნაშრომის სქოლიოში მითითების შემრცხვება: P. Michalowski, Memory of Deed: The Historiography of the Political Expansion of the Akkad State. In: Akkad: The First world Empire. Structure, Ideology, Traditions, ed.M.Liverani, History of the Ancient Near East studies 5. Padua, 1993, 88. ამ სიტუაციაში კი მართლა მრცხვენია ყოფნა, ოღონდ “სხვის” გამო! ნეტა, პიოტრ მიხალოვსკი, მიჩიგანის უნივერსიტეტის ძველი ენებისა და ძველი მახლობელი აღმოსავლეთის პროფესორი, იელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული დოქტორი, “ინანებდა” იმის გამო, უსუსური შეცდომა რომ დაუშვა “უნებლიედ” და ჯემალ შარაშენიძემ აღმოუჩინა?!

რეცენზენტი 160-161 გვერდებზე კვლავ ამ ტიპის, ყოვლად დაუსაბუთებელ არგუმენტებს იშველიებს და “შეცდომების კორიანტელში” მადანაშაულებს, ხან სრულიად უცოდინარს მიწოდებს, არ ინდობს არც იმ ავტორებს, ვისაც ვეყრდნობი, თუმცა არსად იშველიებს თავისი აზრის გასამყარებლად სხვათა შრომებს. ხანდახან ეს ბრალდებები XXI საუკუნეში იმდენად მიაძიმურად დასმულ საკითხებად გვეჩვენება, რომ თავს ვიკავებთ იმისგან, რომ ემერიტუს პროფესორს ეს აეუხსნათ! ბ-ნი ჯემალი, მაგალითისთვის, ასე “გვამეცადინებს”: “ავტორს შეიძლება ვუთხრათ, რომ ურუინიმგინა არის იგივე ურუქაგინა, რაც მან, როგორც ჩანს, არ იცის”. რეცენზია, გვ. 160.

რეცენზენტს ვპასუხობ, საკუთარი სახელი Uru'inimgina, რომელიც ასე გამოითქმის, და მიღებულია დარგში, დასავლეთში XXI საუკუნეში და თქვენეული ვერსიისგან (ურუქაგინა) განსხვავებულია, რატომ არის ჩემი უცოდინრობის სამხილი? იქნებ პირიქით, თქვენი უცოდინრობის დასტურია! რუსებმაც ხომ შეცვალეს ეს არასწორი ვერსია? დარგის ზოგიერთი მკვლევარი ორივეს ახსენებს, მაგრამ ჩემს ვერსიას ანიჭებს მეცნიერულ უპირატესობას შდრ. Hallo, William W. "Reforms of Uru-inimgina (2.152)." *Context of Scripture Online*. Editor in Chief: W. Hallo. Brill Online, 2013. Reference. 23 November 2013 [http://www.encquran.brill.nl/entries/context-of-scripture/reforms-of-uru-inimgina-2-152-aCOSB\\_2\\_152](http://www.encquran.brill.nl/entries/context-of-scripture/reforms-of-uru-inimgina-2-152-aCOSB_2_152) [http://www.encquran.brill.nl/entries/context-of-scripture/reforms-of-uru-inimgina-2-152-aCOSB\\_2\\_152?s.num=1#COSBIBLSB.2.152\\_Bibliography](http://www.encquran.brill.nl/entries/context-of-scripture/reforms-of-uru-inimgina-2-152-aCOSB_2_152?s.num=1#COSBIBLSB.2.152_Bibliography)

მომყავს ციტატა:

“The last ruler of the “First Dynasty of Lagash” (ca. 2570–2342 BCE) is known in the literature variously as **Uru-inimgina or Uru-kagina** (ca. 2351–2342 BCE)<sup>1</sup> (სქოლიოში მოტანილია ამ სახელის წაკითხვის ვარიაციები Edzard 1991,

Lambert 1992, Selz 1992). როგორ მოვიქცე მე, როგორც მეცნიერი, თქვენი ლანძღვა მივიღო, თუ თქვენი უცოდინრობა გამზილო? ნეტავ, მართლა სად გადის ზღვარი მეცნიერულ კეთილსინდისიერებასა და უზნეობას შორის?!

161 გვ. რეცენზენტი წერს: “ავტორს მოძალებულად ეძინევა უცხოურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურით გატაცება – მის წიგნზე თანდართული ლიტერატურის სიაში გვხვდება ისეთი წიგნების დასახელება, რომლებიც, ეტყობა, თვალითაც არ უნახავს მას. ასეთებია, მაგალითად, შემდეგი: (ამაზე უთითებს სხვა ავტორის მეშვეობით, აშკარად ჩანს, რომ წიგნის შესავლისათვის, გერმანულის არცოდნის გამო, არც გადაუხედავს მას).

რეცენზიის ამ ნაწილში ბ-ნი ჯემალი ბრალს გვდება დასავლური სამეცნიერო ლიტერატურით ზედმეტად გატაცებაში და ამავე დროს გამოთქვამს აზრს, რომ ზოგიერთი მათგანი თვალითაც არ გვინახავს. იმის მტკიცება რთულია, თუ ფიზიკური შეხება რა წიგნებთან მქონდა წარსულში სხვადასხვა ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს, ეს ნაწილი მორიგ ცილისწამებას უფრო ჰგავს, ვიდრე აკადემიური რეცენზიის სტილს მიჰყვება; თუმცა ამ წიგნებთან წვდომის ხარისხი, რეცენზენტთან შედარებით, გაცილებით მეტი და ხანგრძლივი რომ მქონდა, ამას ადასტურებს ჩემი დასავლეთის ბიბლიოთეკებში მუშაობის გამოცდილება, რაც ჩვენს რეცენზენტს, უბრალოდ, არ გააჩნია, მარტივი მიზეზის გამო – მან არ იცის არც ერთი დასავლური ენა, ვერ ესწრება საერთაშორისო კონფერენციებს და ვერ მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებსა და პროექტებში, რაც XXI საუკუნეში მართლაც წარმოუდგენელია დარგში მუშაობის დროს! გერმანული და ფრანგული ენის ბაზისური ცოდნა, ჩემს შემთხვევაში, გამართლებულია ინგლისური ენის სრულფასოვანი ცოდნით, ამავე დროს, მაღალი ტექნოლოგიების XXI საუკუნეში არ წარმოადგენს სირთუ-

ლეს წიგნის გარკვეული პასაჟები ინტერნეტული რესურსების დახმარებით თარგმნო, ლექსიკონი გამოიყენო, ეს თარგმანი გადაამოწმო და შემდეგ მოიშველიო, ჩანს, ჩვენი ობონენტი ამ მხრივაც მოკლებულია თანამედროვე ცოდნას და მხოლოდ საკუთარ ცოდნას აღიარებს!

**161 გვ. რეცენზენტი წერს: “Thureau-Dangin F., Les Cylindres de Goudea, Paris 1905 (უნდა იყოს: 1925), თუ უნახავს, რასაკვირველია, რატომ უთითებს მათზე? საკუთარ ნაშრომში ხომ ვერსად ვხვდებით მათი გამოყენების კვალს!**

ეს წიგნები კიდევაც რომ ენახა ავტორს, მათი მონაცემებით ვერავითარ შემთხვევაში ვერ ისარგებლებდა იგი, რადგანაც ჩამოთვლილ გამოცემებში შუმერულენოვანი ლურსმული ტექსტების მხოლოდ ავტოგრაფებია გამოქვეყნებული; მათზე კი შუმერული ლურსმული დამწერლობისა და ენის სრული უცოდინარობის გამო ხელი არ მიუწვდება მას”.

რეცენზენტის მიერ მითითებული წიგნი პირველად გამოიცა 1905 წელს და არა 1925 წელს, როგორც ეს ჩვენს პატივცემულ ემერიტუს პროფესორს ჰგონია და შეცდომას გვისწორებს! ბ-ნ ჯემალს შეუძლია იხილოს ეს წიგნი ვებ-გვერდზე, ჩემს მიერ ქვემოთ მითითებულ მისამართზე, იქვე გადაამოწმოს გამოცემის წელი და, სურვილის შემთხვევაში, შეიძლება გადმოიწეროს კიდევ:

[http://www.forgottenbooks.org/books/Les\\_Cylindres\\_de\\_Goudea\\_1200048134](http://www.forgottenbooks.org/books/Les_Cylindres_de_Goudea_1200048134)

კვლავ ვერ დავეთანხმები რეცენზენტს, რომ ამ წიგნში შუმერულენოვანი ლურსმული ტექსტების მხოლოდ ავტოგრაფებია გამოქვეყნებული, აქ გამოყენებულია გუდეას ცილინდრების ტექსტების ტრანსკრიპცია, ტრანსლიტერაცია, შესაბამისი კომენტარები და საუბარია გრამატიკულ და ლექსიკის საკითხებზე. შუმერულ ტექსტებს თან ერთვის ფრანგული თარგმანი. ეს უნდა იცოდეს ჩვენმა გამოცდილმა რეცენზენტმა! გამოყენებული ლიტერატურა არ ნიშნავს და-

მოწმებულ ლიტერატურას, მეცნიერმა უნდა წაიკითხოს დარგში სხვადასხვა ლიტერატურა, გაიაზროს, გააცნობიეროს და საკუთარი წარმოდგენები შეიქმნას გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, მან ციტირებაში შეიძლება არ გამოიყენოს, მაგრამ გამოყენებულ ლიტერატურა კი უნდა მიუთითოს, თუ გასცნობია. ბ-ნი ჯემალი კატეგორიულია ჩვენი ენის ცოდნის შეფსების საკითხში, სრულ უცოდინარს გვიწოდებს, მე კი საკუთარ ცოდნას ამ მიმართულებით მოკრძალებულს დავარქმევდი და იქ, სადაც ვფიქრობ, რომ სხვა მეცნიერები უკეთეს კომპეტენციებს ფლობენ, მათ შრომებს დავეყრდნობოდი, რასაკვირველია, გადამოწმების და კონტექსტური გააზრების შემდეგ. ამ ურთიერთობებს ჰქვია მეცნიერული და კოლეგიალური თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცნობ შუმერული ტექსტების კატალოგებს და პირადად მიმუშავია ამ კატალოგებზე და ფირფიტებთან, ბ-ნი ჯემალის სახელი არსად შემხვედრია, არც ერთი თარგმნილი ფირფიტის გასწვრივ! ბატონ ჯემალს ხელშიც არ სჭერია ორიგინალური შუმერული არტეფაქტი, ფირფიტა ლურსმული ტექსტებით, ან სად უნდა ჰქონოდა ამის შესაძლებლობა?! ბუნებრივია, არ მინდანიშნისმოგებით საუბარი, მაგრამ არც ცილისწამება და საჯარო დამცირებაა კორექტული ბ-ნი ჯემალის მხრიდან.

161-162 გვ. რეცენზენტი წერს: “ისე გამოდის, რომ ამ წიგნების მითითებით იგი აშკარად ცდილობს თავის გამოჩენას არასპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების წინაშე, რასაც ზოგჯერ ახერხებს კიდევ (ერთმა არასპეციალისტმა, მეცნიერების სულ სხვა დარგში მომუშავე სოლიდური ავტორიტეტის მქონე მკვლევარმა ჩვენთან საუბარში გაკვირვებით განაცხადა: ეკა ავალიანის მიერ საკუთარ წიგნებზე თანდართული უმდიდრესი და ვრცელი ბიბლიოგრაფიის თუნდაც შემდგენელი როგორ შეიძლება, რომ ისეთი დაბალი კვალიფიცირების მკვლევარი იყოს,

როგორც ამბობენო. ჩვენმა მოსაუბრემ არ იცოდა, რომ ძველი აღმოსავლეთის ისტორიის, ენებისა და კულტურის შესახებ ცნობების შემცველი ინტერნეტული გვერდები სავსეა მსგავსი ლიტერატურული ჩამონათვალით, რითაც გულსრულად და მიზანმიმართულად ყოველთვის სარგებლობს ჩვენი "აღმოსავლეთმცოდნე" ავტორი).

რა გაეწყობა, ამ ლირიკულ გადახვევაზეც მომიწევს პასუხის მიგება ბ-ნი ჯემალისათვის: პატივცემულო რეცენზენტო, არ გეჩვენებათ თქვენი ანტირეკლამა ჩემს წისქვილზე დასმხმულ წყლად?! თუ დღეს ქართულ საზოგადოებაში არასპეციალისტები და ფართო საზოგადოება, როგორც თქვენ ამბობთ, ჩემს წიგნებს კითხულობს და ინტერესდება დარგით – ძველი ისტორიით (რაღაც მანქანებით ვაიძულებ მათ ამის გაკეთებას, მეც მიკვირს, თუ როგორ), განა ეს ჩემი, როგორც მეცნიერის, აღიარება და დამსახურება არ არის? თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარეთ ამ სიტყვებით, რადგანაც ვერც კი ვიფიქრებდი, თუ ფართო საზოგადოება გიორგი მელიქიშვილის, გრიგოლ გიორგაძის და ზურაბ კიკნაძის გარდა, დარგში ჩემი თაობის მეცნიერებსაც თუ იცნობდა სახელებით, იცნობდა და დროს უთმობდა მათ კვლევებს. მაღლობელი ვარ, რომ თქვენ და არასპეციალისტი, სოლიდური რეპუტაციის მქონე ქართველი მეცნიერი (სამწუხაროდ, არ ასახელებთ პიროვნებას), საუბრობთ ჩემს წიგნებზე, მსჯელობთ მათ აკაკარგიანობაზე, როგორც ჩანს, თქვენ "ავზე" და ის "კარგზე", ესეც დიდი სტიმულია ჩემთვის! მაგრამ ბოლო ნაწილში ვედარ დაგეთანხმებით, არა მარტო ლიტერატურის ჩამონათვალით, არამედ სერიოზული გამოკვლევებითაც გვანებივრებს ინტერნეტ რესურსები, ზოგჯერ წვდომა ამ ლიტერატურაზე უფასოა, ზოგჯერ კი ფასიანი.

არ მესმის თქვენს მიერ გამოყენებული სიტყვის "გულსრულად" მნიშვნელობა და ვერც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (მთავარი რედ. არნ. ჩიქობავა)

მოვიძიე იგი, მაგრამ ვვარაუდობ, რომ რაღაც “ბეჯითობასა” (“გულიანად”) და “სრულფასოვნების“ კომპოზიტი უნდა იყოს, ამ აზრს მიმყარებს მეორე სიტყვა - “მიზანმიმართულება”, რასაკვირველია, ბეჯითად შესწავლილი მასალა უნდა გააანალიზო, გაიაზრო, გაითავისო და მიზანმიმართულად, ანუ სათანადო კონტექსტში გამოიყენო, ამას ჰქვია ძველი ისტორიის ინტერპრეტაცია და ეპისტემოლოგიური კვლევების განვითარება. არსად მითქვამს, რომ ვარ აღმოსავლეთმცოდნე – Orientalist (თქვენ ბრჭყალებში სვამთ ამ ტერმინს, ირონიზირების კონტექსტში). აღმოსავლეთმცოდნეობა, იგივე ორიენტალისტიკა, არ იკვლევს ძველ მახლობელ აღმოსავლეთს (Ancient Near East), მას სხვა ქრონოლოგია და კვლევის ობიექტი აქვს, შესაბამისად, დარგის სხვა კონცეფციაც. თუ საბჭოური სკოლის ტერმინს იყენებთ, მაშინაც უადგილოა თქვენი შენიშვნა, ძველი ინდოეთი და ჩინეთი, როგორც მკვლევარს, ნაკლებად მიზიდავდა და თქვენ, იცნობთ რა “გულსრულად” ჩემს კვლევებს, ეს არ უნდა გამოგპარვოდათ!

162 გვ. რეცენზენტი წერს: “ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია მხოლოდ გულისტკივილით აღვნიშნოთ: რა დასანანია, რომ ამგვარი წიგნები კიდევ იწერება და, სამწუხაროდ, მომავალშიც დაიწერება ამისგან თავდაცვის რაიმე ეფექტური საშუალებების არარსებობის გამო. საერთაშორისო კავშირების გაფართოვების კვალდაკვალ უცხოეთიდან ბევრი ცუდი რამ შევითვისეთ და მათ შორის შემდეგიც: ახლა რასაც გინდა, იმას დაწერ და თანხების მოპოვების შემთხვევაში საუკეთესო ყდაში ჩასმულ მდარე ხარისხის ნაშრომსაც კი გამოაქვეყნებ”.

პატივცემულ რეცენზენტს მინდა გული დავუძიმო, რადგანაც ვმუშაობ ორ მონოგრაფიაზე და მაქვს გარკვეული სამეცნიერო გეგმები მომავლისთვის. რაც შეეხება ამგვარი ლიტერატურიდან თავდაცვის ეფექტურ საშუალებას, ვმიშობ,

რომ არ არსებობს! ბ-ნ ჯემალს ამ მწვავე პრობლემასთან დაკავშირებით შემიძლია გავუზიარო ჩემეული მოსაზრება: თქვენ უნდა დაწეროთ უკეთესი ნაშრომი, ბ-ნო ჯემალ! თქვენს მიერ დაწუნებული ავტორის შრომების კითხვაზე დრო აღარ დაკარგოთ, თუ ამ პრევენციულმა მეთოდმაც არ გაჭრა, მაშინ ეს წიგნები დაწვით კოცონზე და გულზეც მოგეშვებათ!

უცხოეთიდან ვინ რა შეითვისა, კონკრეტული ადამიანის გემოვნების საკითხია, ვინ როგორ მოიპოვებს თანხებს, ეს თემაც არ მეჩვენება მეცნიერული დავის ან განსჯის საგნად (რადგან ქართულ რეალობაში ამის გამოძიებამ შეიძლება შორს წაგვიყვანოს თქვენს შემთხვევაში), ხოლო მდარე ხარისხის ნაშრომს რომ ვერც ძვირფასი გარეკანი (ესეც თქვენი შემთხვევაა) და ვერც ავტორის რეგალიები (ესეც თქვენი შემთხვევაა) უშველის, ამაშიც არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რადგანაც ეს ნაშრომები “ჩაწოლილია”. ყავლ-გასული ლიტერატურით არც ქართველი სტუდენტი ტყუვდება, არც პროფესიონალი და არც ფართო საზოგადოებაში იწვევს რაიმე ინტერესს. დასავლეთში (ამ შემთხვევაში მე არ ვგულისხმობ დასავლეთ საქართველოს და თქვენი “უცხოეთის” საპირწონედ შემომაქვს ეს ცნება, რადგანაც “უცხოეთი” ძალზე ფართო მნიშვნელობის მატარებელია ქართულ ენაში), რომელიც თქვენ ასე არ მოგწონთ, უბრალოდ არ სცნობენ ამ ნაშრომების ავტორებს, როგორც მეცნიერებს, არც არავინ თანამშრომლობს მათთან, რადგანაც სერიოზულ კონფერენციაზე რომ დაგიდასტურონ მონაწილეობა, სულ მცირე, ჯერ ორი შავი ოპონენტი წაიკითხავს შენს თეზისს, თუ არ მოეწონათ, არ დაგიშვებენ, რადგანაც უფრთხილდებიან სხვის და საკუთარ დროს, ამაშია დასავლეთის მოკრძალებული ხიბლი, დრო ფასობს!

ისე არ მინდა დავასრულო ჩემი პასუხი, რომ მეგობრული რჩევა არ მივცე ბ-ნ ჯემალს. გაუფრთხილდით თქვენს



და ჩემს დროს, უმჯობესია ეს დრო სერიოზულ მეცნიერულ კვლევას დაუთმოთ და არა “ომებიდა”-ს წერას. **ლიახ, ომებიდა ჯემალ შარაშენიძის ბოლო ნაშრომის სათაურია,** თსუ გამომცემლობაში დაბეჭდილის. სათაური კი ძალიან მახსენებს ჰომეროსის “ილიადას”, ოღონდ ილიონი ძველი ქალაქის, ტროას მეორე სახელია! არის პრეფიქსს “ადა”-ში “რადაც ანტიკური”, მაგრამ შარაშენიძე შორს არის ჰომეროსისგან! 2006 წლიდან ბ-ნი ჯემალი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დანიშნულია **საგამომცემლო ექსპერტთა ჯგუფის უფროსად** და მისი დასტურის გარეშე პროფესორი ვერ დაბეჭდავს შრომას თსუ გამომცემლობაში, უნივერსიტეტის სახელით! ცალკე თემაა მისი ლექციების სათაურებიდან გამომდინარე კურსის შინაარსი, ხარისხი და პედაგოგიური კეთილსინდისიერების საკითხებიც! თუმცა ეს სხვა თემაა და სცილდება რეცენზიის პასუხს. და მაინც, მინდა მადლობა გადავუხადო ბ-ნ ჯემალს, ამ სათნო მეცნიერს, რეცენზიისათვის და, რაც მთავარია, იმისთვის, რომ ჩვენს პოლემიკას საჯარო სახე მისცა.

*ეკა ავალიანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*